Как известно, Иран является осевым государством региона Большого Ближнего Востока, являясь переднеазиатской, центральноазиатской, каспийской и кавказской страной. Иран является центром мирового шиизма.

В.Сажин отмечает, что сейчас исторический противник, конкурент Турция с помощью Азербайджана пытается понизить роль Ирана в регионе Большого Ближнего Востока, прежде всего, в кавказско-каспийском регионе, исходя из своих планов создания «Великого Турана». Это глубоко тревожит правящую элиту Ирана, который является носителем древней мировой цивилизации.

Поэтому в правящей элите Ирана слышались голоса о возвращении Ирану «исторических областей- Карабаха и Нахичевани».

Иран стремится развивать стратегию «Север-Юг», завязать многоуровневые связи с Европой, Центральной Азией, Китаем, стать полноправным членом ШОС. Кавказский регион является второстепенным во внешнеполитической стратегии Ирана, но нарушение баланса интересов в пользу Турции и активное проникновение Израиля на Кавказ создает опасность для безопасности Ирана.

Необходимо отметить, что риски для безопасности Ирана отмечались в российской аналитике и раньше. В 2021-2013 годах аналитики Л.Савин, В.Сажин отмечали попытки «суверенизации т.н.Южного Азербайджана», расшатывания целостности Ирана.(3)

Некоторые авторы считают, что после победы Азербайджана во второй Карабахской войне США старались втянуть в конфликт Иран. США обеспокоены

ядерной программой Ирана. В связи с этим антииранская кампания усиливается в Израиле. По сведениям информационного агентства CURSORINFO от 4 ноября 2021 года «Израиль выделяет 5 млрд шекелей на изучение потенциала Ирана»(сбор разведанных, создания специальных и уникальных вооружений).(4)

В этом контексте обострение на границе Азербайджана и Ирана в октябре 2021 года не выглядит случайным. Но возможна ли война между этими государствами?

Эксперты(П.Фельгенгауэр, К.Сивков) считают, что Иран был довольно сдержанный во время Второй Карабахской войны. Иран симпатизирует Армении, но с подозрением смотрит на «соросовца», прозападного лидера Армении Н.Пашиняна. Но Иран не пойдет на прямой конфликт с Турцией. На конфликт с усилившейся на Кавказе Эрдоганской Турцией не пойдет и Москва. Сепаратизм в Иране не пройдет, иранский народ консолидирован вокруг руководства страны.

Определенную политику равноудаленности от конфликтов на Кавказе Иран сохранит, придерживаясь формулы –«3+3». Об этом было заявлено в октябре 2021 года министром иностранных дел Ирана Хоссейном Амир Абдоллахияном в Москве на встрече с своим российским коллегой С.Лавровым.(5)

Но события октября 2021 года еще раз показали, что свои национальные интересы на Кавказе Иран будет защищать.

### **Использованная литература:**

1. Белов А. Антииранский курс еще аукнется Баку- Responsible Statecraft-<http://regnum.ru/news/polit/3405181.html> -4.10/2021.
2. Мирзаян Г. Иран и Азербайджан балансируют на грани войны.- <http://exspert.ru/2021/10/11.eran-azerbaydhan>
3. Савин Л.Роль и интересы Ирана на Кавказе- [http://commniturian.ru/publicacil/kavkaz/rol\\_i\\_interesy\\_irana\\_kavkaze](http://commniturian.ru/publicacil/kavkaz/rol_i_interesy_irana_kavkaze)
4. Сажин В. [iran.ru/new/analitics/848091](http://iran.ru/new/analitics/848091)
5. Позиция Баку отражена -Кямал Али. Иран и Турция в призме азербайджанской политики. Взгляд из Баку.- [www.kavkazovedinfo/new/2012/12/25/iran-i-turain](http://www.kavkazovedinfo/new/2012/12/25/iran-i-turain) - 5.10.2021. См.: <http://cursorinfo.co>- 04.11.2021.
6. 5.Война Ирана и Азербайджана станет праздником для Америки// <https://news.rumbler.ru/army/47325540-voyna-irana-i-azerbayzhana> (8.11/2021).

## **Iran and Azerbaijan - is war expected or not?**

### **Abstract**

In October 2020 y., contradictions intensified between Iran and Azerbaijan. The situation escalated to the point that the troops of Iran and Azerbaijan were concentrated on the border of both states. Tensions in the region increased after the joint large-scale Azerbaijani-Turkish military exercises «Indestructible Brotherhood», which began in September 21 in Hakhichevan. What separate the two Muslim states? What causes the tension?

Let`s trace the development of event on the basis of Russian analities, which, perhaps, is not so objective, from an outside perspective. But nevertheless, it is significant that the interest in the problem of the discord between the two mighbors, so close in their historical past, religion and culture, has certain roots. Is not acadental.

A number of authors highlight the anti-iranian course of the current leadership of Azerbaijan. A.Belov asserts, that «the aggressive and provocation course of I.Aliyev towards Iran can lead to undermining the security of Azerbaijan in the long term» (1).

A year has pased sins the second Karabakh war and as G.Mirzayan writes in the article «Iran and Azerbaijan are teetering on the brink of war», Iran is not ready to come to terms with the changes that have taken place in the South Caucasus”(2).

The alignment of geopolitical forces has changed: «Ankara`s influence has increased, Azerbaijan fell under Erdogan`s control, Georgia is under the strong influence of Turkey. N.Pashinyan`s Armeniya is ready to submin to Turkish influence”. The expert claims, that 21 kilometres of the road, connectings Iran and Armeniya is under the authority of Baku. Azerbaijani sources of new agancies report that the issue of building a railway and automobile “Zangezurg corridor» has been practically resolved. It opens the way for Turkey throught Nakhichevan to Azerbaijan, to the Caspian Sea. At the same time, Azerbaijan is forcing Iranian truck drivers to pay S 120-130 for traval. This is just challenge and humiliation of Iran.

As you know, during the second Karabakh war, Iran occupied a neutral pozition. Russian only at the final stage joined in the resolution of the conflict. I.Alieyev`s shillful diplomacy has borne fruit. Armenia saffered a heavy defeat. The euphoria of the victory in Baku strengthened Azerbaijan nationalism not only in Azerbaijan. But also in the northen provinces of Iran, where Iranian Azerbaijan live. According to the Russian expert, this has

especially activated the «5<sup>th</sup> colona», which dream of dividing Iran and plays along with separatism.

One of the annoying factor, if not the wain one, is the cooperation of the Azerbaijani authorities with Israel special services. Tehran believes that Israel uses the territory of Azerbaijan for subversive actions against Iran, kidnapping of nuclear scientist, espionage. It also intensively supplies the Azerbaijan army with modern weapons, primanty drons.

Azerbaijan is helping to strenghen Turkey`s positions in the South Caucasus, which clearly does not correspondend to Iran`s strategic interests. Sunny Turkey is pushing Iran out of the historical sphere of influence in the Caucasus, expolling Shiizm. This is evidenced by the events of the persecution of Shiite clerics educated in Iran.

As you know, Iran is pivoted state in the Greater Middle East region, a Central Asian, Caspian and Caucasian country. Iran is center of Would Shiizm. Resent events show, that Erdogan`s Turkey, procceding from the myth of the «Turanian world» in allians with Azerbaijan, is trying to diminism role of Iran not jonly in Caucasus, but also in the whole region of the Creater Middle East.

Therefore, in the rulling elite of Iran, voices are heard abut the return of historical lands-Karabakh and Nakhichevan.

This deeply worries the rulling elite of Iran, which is the bearer of the most ancient Eastern culture. Iran seeks to develop the the «Noth-South» strategy, to establish multilevel ties with Europe, Central Asia, China, and become a full memberil the SCO.

The Caucasus region in secondary in Iran`s foreign policy strategy, but the imbalance of interests in favor of Turkey, and Israel`s active penetration into the Caucasus creates a treat to Iran`s security. It should be noted that risks to Iran`s security have been noted in Russian analysts befor in 2012-2013 years.

I.Savin, V.Sashin noted attempts to sovereinize the so-called South Azerbaijan, attempts to undermine the intergrity of Iran by external actors. (3)

Some exspert beliefs that during the second Karabakh war, the Unuted States tried to involve into the Iran conflict. Anti-Iranian policy has intensifield in Israel. According to the information agency CURSORINFO dated November 4.2021 y., Israel allocates 5 billion shekels to study the potential of Iran (intellgens collection, espionage, crietion of modern weapons). (4).

In this context, the aggravation on the border of Iran and Azerbaijan in October 2021 y. does not look accidental...

But is war possible between two states? Experts believe, Iran was pretty low-key a year ago during the war. Iran simpathizes with Armenia, but looks with suspician at the pro-western leader of Armenia N.Pashinyan. Iran will not go into direct conflict with Turkey. Russia will not go to aggravation, which is escalating in the Caucasus.

Separatism in Iran will not work. The Iranian people are consolidated around their leadership. Iran will maintain a policy of equidistance to the «3+3» strategy. This was stated by Iranian foreign minister Hossein Amir Abdolmohseni in Moscow at a meeting with his counterpart S.Lavrov on October 5, 2021. But the events of October 2021 showed that Iran will defend its national interest in the Caucasus.

## **თამარ კიკნაძე**

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### **ნათო არღვლიანი**

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

## **სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და რეგიონული უსაფრთხოება**

ბოლო ხანს ახლო აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენების გამო, სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესებმა პოლიტიკური დღის წესრიგის პერიფერიაში გადაინაცვლეს. ამ რეგიონისადმი ექსპერტებისა და დიპლომატების მიერ ყურადღების შემცირების მიუხედავად, ის კვლავ რჩება სტრატეგიული მნიშვნელობის ადგილად (5).

სამხრეთ კავკასია მეტად მნიშვნელოვანი რეგიონია, სადაც სხვადასხვა გეოპოლიტიკური მოთამაშეების როლი იკვეთება. მათ რეგიონში სურთ საკუთარი გავლენის გაზრდა და მსხვილი ეკონომიკური პროექტების განხორციელება, მაგრამ აქ არსებული კონფლიქტები აფერხებს ამ პროექტების განხორციელებას. ასეთი პროექტების რეალიზება კი ხელს შეუწყობდა ერთი მხრივ, ეკონომიკურ განვითარებას და მეორე მხრივ, მშვიდობიანი გარემოს ჩამოყალიბების და სტაბილურობის შენარჩუნების პროცესს.

პოსტსაბჭოთა პერიოდში სხვადასხვა მოთამაშეების გეოპოლიტიკურმა ინტერესებმა და გავლენის სფეროების ახლებურმა გადანაწილებამ, ერთი ქვეყნის (სსრკ-ს) ფარგლებში მყოფი ქვეყნების ინტერესების დივერსიფიცირება მოახდინა და ნათლად გამოაჩინა, რომ სამხრეთ კავკასიაში იკვეთება არა მხოლოდ მეზობელი სახელმწიფოების, არამედ რეგიონით დაინტერესებული სხვა ქვეყნებისა და



ძალაუფლების ცენტრების ინტერესები. რაც უფრო ინტენსიური ხდება ამ მოთამაშეთა ბრძოლა და დაპირისპირება, მით უფრო გრძელდება პროცესები, ხოლო გეოპოლიტიკური ძვრები და მათგან მომდინარე იმპულსები მჭიდროდ არის გადაჯაჭვული შიდა რეგიონულ პრობლემებთან. ეს კი არა მხოლოდ ართულებს აქ არსებული კონფლიქტების გადაჭრას, არამედ იწვევს გარკვეული მოვლენების უკონტროლო განვითარებას.

დღეს კავკასიის რეგიონისათვის ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტები წარმოადგენს ყველაზე უფრო დიდ საფრთხეს და გარკვეული ჯგუფების მიერ ეთნიკური ფაქტორების პოლიტიკური მიზნების რეალიზების საშუალებას. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ავტონომიური ერთეულები და გარკვეული ხალხების თვითგამორკვევის უფლება და ტერიტორიული პრეტენზიები, სხვა საკითხებთან ერთად, კონფლიქტების მნიშვნელოვან ფაქტორებად რჩებიან და დიდ გავლენას ახდენენ, როგორც სამხრეთ კავკასიის ქვეყნების შიდა, ისე საგარეო პოლიტიკური და რეგიონული პროცესების ხასიათსა და დინამიკაზე.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტების ესკალაციის სისტემურ მიზეზთა შორის, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია საბჭოთა კავშირის დაშლა და მის სივრცეში ახალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოების გაჩენა. სიტუაციური მიზეზები კი ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქაში არსებულ ნაციონალისტურ ტენდენციებთან, ეთნიკურ, სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრობლემებთან არის დაკავშირებული. სსრკ-ის დაშლამ გამოიწვია მასში შემაჯავლი რესპუბლიკების დამოუკიდებლობა, რამაც კონფლიქტი საბჭოთა შიდა პრობლემიდან, სახელმწიფოთაშორის პრობლემად გადააქცია.

სამხრეთ კავკასიის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ენერგეტიკული ფაქტორი. პირველ რიგში, ეს არის აზერბაიჯანში ნახშირწყალბადის ნედლეულის მოპოვება და უცხოურ ბაზრებზე ექსპორტი. 1990-იან წლებში აზერბაიჯანში ნახშირწყალბადის რესურსების მოპოვების გაფართოებამ ხელი შეუწყო მილსადენების პროექტების განხორციელებას. ნავთობსადენ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და გაზსადენ ბაქო-თბილისი-ერზერუმის მშენებლობა იყო პირველი ნაბიჯი, ახალი ენერგეტიკული დერეფნის რეალიზაციის გზაზე, რომელმაც უზრუნველყო კასპიის ზღვის ნახშირწყალბადის რესურსების დასავლეთის მიმართულებით გატანა.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენმა, ისევე, როგორც ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო პროექტის რეალიზაციის დაწყებამ, სამხრეთ კავკასია მნიშვნელოვან სატრანსპორტო დერეფნად აქცია და დიდი ეკონომიკური და პოლიტიკური დატვირთვა მიანიჭა ამ რეგიონს.

2003 წლის ვარდების რევოლუციისა და 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, საქართველო მოსკოვის პირდაპირი პოლიტიკური გავლენიდან გამოვიდა. რუსეთმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა, რითაც შეიცვალა რეგიონში რუსეთის გავლენის მოზაიკა. თუ მანამდე მოსკოვი სამხრეთ კავკასიაში სომხეთსა და ნაწილობრივ, საქართველოს და აზერბაიჯანს ეყრდნობოდა, ახლა ის იძულებული გახდა, დაებალანსებინა პოლიტიკა ერთი მხრივ, მნიშვნელოვან სტრატეგიულ მოკავშირე, სომხეთსა და სტრატეგიულ პარტნიორ აზერბაიჯანს შორის. ამ მხრივ მოსკოვი ხანდახან უფრო მეტ

ძალისხმევას მიმართავდა ბაქოსთან ურთიერთობების დალაგებისათვის, ვიდრე ერევანთან. იმ სიტუაციაში, როდესაც მოსკოვთან, ერევანსა და ბაქოს ურთიერთობებს ალტერნატივა არა აქვს, ისინი პერიოდულად ამ უკანასკნელის მიმართ თავშეკავებულ კრიტიკას გამოთქვამდნენ. ერევნის რუსეთთან ასეთი ურთიერთობა გამოწვეული იყო ქვეყნის ნახევრად ბლოკირებული მდგომარეობით, აზერბაიჯანსა და თურქეთთან დამაბული, საქართველოსა და ირანთან არცთუ მარტივი ურთიერთობებით, გარე სამყაროსაგან მოწყვეტილობით და რუსეთიდან რეალური უსაფრთხოების გარანტიების არარსებობით (610).

ყარაბაღის კონფლიქტი, რომელიც გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში დაიწყო და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1991 წელს სრულ ომში გადაიზარდა, 1994 წელს ცეცხლის შეწყვეტით დასრულდა.

2020 წლამდე მათ შორის ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულება არაერთხელ დაირღვა. 1990-იან წლებში სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის დაპირისპირების შემდეგ, შეწყდა მათ შორის ეკონომიკური კავშირი. საქართველოში მდებარე სადახლო, რომელიც ეთნიკურად აზერბაიჯანული მოსახლეობით არის დასახლებული, გახდა რეგიონული ვაჭრობის მნიშვნელოვანი წერტილი. იმ პერიოდში თურქეთმაც სომხეთს გამოუცხადა ბლოკადა და ჩაკეტა მასთან საზღვრები. მას შემდეგ მათ შორის ურთიერთობების ნორმალიზების და საზღვრის გახსნის მცდელობა არაერთხელ იყო. 2009 წელს ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომელიც მიზნად ისახავდა თურქეთსა და სომხეთს შორის კავშირების აღდგენას და მათი საერთო საზღვრის გახსნას. თუმცა 2018 წელს გარიგება ჩაიშალა და აღარ განხორციელებულა. დავების შედეგად, სომხეთს მხოლოდ ორი სახმელეთო გზა დარჩა იმპორტისა და ექსპორტისთვის - საქართველოდან ჩრდილოეთით და ირანის გავლით - სამხრეთით.

ამასობაში, შემუშავებულ იქნა ბაქო თურქეთის დამაკავშირებელი სატრანზიტო მარშრუტები, რომელიც გვერდს უვლის სომხეთს. საქართველო სხვადასხვა მნიშვნელოვან პროექტებში ჩაერთო - ჩინეთის ერთი სარტყელი - ერთი გზის და ტრანსანატოლიის გახსადენის პროექტებში. მეთიუ ბრაიზამ, აშშ-ის ყოფილმა ელჩმა აზერბაიჯანში, რომელიც ათზე მეტი წლის წინ ყარაბაღის კონფლიქტში შუამავლის როლს ასრულებდა, როგორც ეუთოს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარე აშშ-დან, განაცხადა, რომ სამშვიდობო შეთანხმებას ჰქონდა იმის პოტენციალი, რომ ბიძგი მისცეს ეკონომიკურ ზრდას კავკასიაში (3 1).

აზერბაიჯანმა ყარაბაღის პირველი ომის მარცხის შემდეგ აქტიურად დაიწყო სამხედრო შეიარაღების მოდერნიზება და თანამედროვე რელსებზე გადაყვანა. ის წლების განმავლობაში სხვადასხვა უახლესი შეიარაღების შესყიდვით, ჯარის ბრძოლისუნარიანობის ამაღლებით და სამხედრო ინდუსტრიის განვითარებით იყო დაკავებული. ამის განხორციელების საშუალებას მას ძლიერი ეკონომიკა აძლევდა. სამხედრო პოტენციალის გაზრდა საკმაოდ დიდ ფინანსურ რესურსებთან იყო დაკავშირებული. ასევე მნიშვნელოვანი იყო საერთაშორისო და რეგიონულ პარტნიორებთან პოლიტიკური ურთიერთობები, რამაც მას საშუალება მისცა, სხვადასხვა სახელმწიფოებისგან შეესყიდა მოწინავე სამხედრო შეიარაღება. ამ კუთხით აღსანიშნავია თურქეთის როლი. აზერბაიჯანმა ყარაბაღის მეორე ომის დაწყებამდე მისგან აქტიურად დაიწყო სხვადასხვა უპილოტო საშუალებების შესყიდვა. თურქეთისგან შეისყიდა უპილოტო საფრენი აპარატი Bayraktar TB2-ი,

რომელიც ამერიკული დრონების Reaper-ის და Predator-ის მსგავსია. აღნიშნულ დრონებს თურქეთი ლიბიაში და სირიაში აქტიურად იყენებდა. ხოლო უკვე ყარაბაღის სამხედრო კონფლიქტისას, მისი ეფექტურობა საჭაერო დარტყმებისას კიდევ უფრო გამოჩნდა.

რეგიონში გავლენისათვის, თურქეთი რუსეთის ძლიერი კონკურენცია. თურქეთისთვის სამხრეთ კავკასია კასპიის ზღვის და შუა აზიისაკენ მიმავალი გზის კარიბჭეა (7, 288). აქამდე თურქეთის საგარეო პოლიტიკა სამხრეთ კავკასიასა და შუა აზიასთან მიმართებაში პერიფერიულ ხასიათს ატარებდა და მხოლოდ მაშინ აქტიურდებოდა, როდესაც პრობლემები ჰქონდა შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირთან. თუმცა ბოლო დროს თურქეთი ორმხრივ ურთიერთობებს ავითარებს სამხრეთ კავკასიის და ცენტრალური აზიის ქვეყნებთან. მან აქტიური რეგიონული პოლიტიკის გატარება დაიწყო, დომინანტური როლის მოპოვების პერსპექტივით (9, 134).

2020 წელს სამხრეთ კავკასია მსოფლიო ყურადღების ცენტრში მოექცა მთიანი ყარაბაღის ომის გამო. ამ სრულმასშტაბიან სამხედრო დაპირისპირებას გარდა მსხვერპლისა, მოჰყვა მნიშვნელოვანი პოლიტიკური შედეგები. ომში აზერბაიჯანმა დაამარცხა სომხეთი, რის შედეგადაც დაიბრუნა 1988-1994 წლების ომის დროს დაკარგული ტერიტორიების დიდი ნაწილი, მათ შორის საკუთრივ მთიანი ყარაბაღის სამხრეთ ნაწილი, ქალაქ შუშას ჩათვლით. კონფლიქტის შეწყვეტაში მთავარი როლი რუსეთმა შეასრულა. ზავის შედეგებიდან გამომდინარე, მან მიიღო სარგებელი და საკუთარი სამშვიდობო ნაწილები იქ განათავსა, რამაც საშუალება მისცა მას, ორივე დაპირისპირებულ სახელმწიფოზე საკუთარი გავლენა უფრო გაემლიერებინა.

სომხეთის პრემიერ-მინისტრი ნიკოლ ფაშინიანი და აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი შეხვდნენ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს მოსკოვში იმ დეტალების განსახილველად, რომლებიც რუსეთის შუამავლობით დადებული შეთანხმებით გადაუწყვეტელი დარჩა - მათ შორის ის, თუ როგორ უნდა აღდგეს სარკინიგზო, საგზაო და საკომუნიკაციო კავშირები (3,1).

მათ მიერ განხილული ერთ-ერთი პროექტი გულისხმობდა საბჭოთა კავშირის დროინდელი სარკინიგზო ხაზის აღდგენას, რომელიც ერევანს რუსეთთან აკავშირებდა, ნახჭევანს აზერბაიჯანის ანკლავის გავლით, შემდეგ სომხეთის სამხრეთ ნაწილს აზერბაიჯანთან.

მოცემული პროექტით აზერბაიჯანს ეძლევა შესაძლებლობა, დაუკავშირდეს თურქეთს, ნახჭევანის გავლით პირდაპირი სარკინიგზო მარშრუტით, რაც მისთვის საკმაოდ მისაღებია ტვირთბრუნვის მოცულობის გაზრდისა და უსაფრთხო ტრანსპორტირებისათვის.

ამ პროცესის ფარგლებში უკვე გამოჩნდა ახალი დაინტერესებული მხარეც ირანის სახით. რომლის საგარეო საქმეთა მინისტრმა მოჰამედ ჯავად ზარიფმა განაცხადა, რომ ქვეყანას ასევე სურს, სარკინიგზო კავშირის დამყარება სომხეთთან, ნახჭევანის გავლით. გამოიკვეთა ახალ ეკონომიკური განზომილების განვითარების მიმართულება. ამ შეთანხმებას და მის განხორციელებას შეიძლება მრავალი პრობლემა და გამოწვევა შეექმნას, თუმცა ლიდერების სერიოზული დამოკიდებულება მიანიშნებს მისი შესრულების მზადყოფნაზე.

რაც შეეხება საქართველოს, იმას, თუ რა გავლენა ექნება პროექტს საქართველოზე, პირველ რიგში, ეს არ არის რამდენიმე დღეში შესრულებადი საქმე, ამას დასჭირდება წლები. შესაძლოა, საქართველომ ახლო პერსპექტივაში ზარალი მიიღო, მაგრამ თუ რეგიონში მთლიანობაში მდგომარეობა გაუმჯობესდება, ამით ყველა ისარგებლებს“ (2,1). შესაბამისად, საქართველომ უნდა შეაფასოს მოსალოდნელი რისკები ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით და პოლიტიკური კომპონენტიც გაითვალისწინოს.

რუსეთი საფრთხედ აღიქვამს დასავლური სამხედრო, თუ ეკონომიკური ორგანიზაციების (ნატო-სა და ევროკავშირის) აღმოსავლეთით გაფართოებას, ამიტომ მისთვის მიუღებელია საკუთარი გავლენის სფეროდ აღქმული რომელიმე სახელმწიფოს დასავლურ სტრუქტურებთან დაახლოება. თურქეთმა აზერბაიჯანის წარმატებით მკვეთრად გაიმყარა პოზიცია სამხრეთ კავკასიის რეგიონში და ახალი შესაძლებლობები შექმნა აზერბაიჯანთან ენერგეტიკული თანამშრომლობისთვის. აზერბაიჯანული ენერგომატარებლების როლი თურქეთის გართულებული ეკონომიკური დინამიკისათვის სულ უფრო მნიშვნელოვანია. თურქეთი უპირატესობას ანიჭებს ურთიერთობებს აზერბაიჯანთან, რაც, როგორც ორი ქვეყნის კულტურული და ენობრივი სიახლოვით, ისე აზერბაიჯანის მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მდებარეობით აიხსნება (4).

ყარაბაღის ომის შედეგად სამხრეთ კავკასიის რეგიონში ძალთა ახალი ბალანსი შეიქმნა. რუსეთთან და თურქეთთან ერთად მნიშვნელოვან მოთამაშედ და ანგარიშგასაწევ ძალად აზერბაიჯანიც წარმოჩინდა. თურქეთი, რომელიც აზერბაიჯანს სტრატეგიულ მოკავშირედ და მის მონათესავე ერად განიხილავს, მას უპირობო მხარდაჭერას უცხადებს და ამ პოზიციას ახალი თანამშრომლობის ხელშეკრულებებით ამყარებს.

აზერბაიჯანის პოლიტიკა რუსეთის მიმართ შეიძლება „მშვიდი დიპლომატიის“ გამოვლენად ჩაითვალოს, რომლის საშუალებითაც ბაქო თანდათან ზრდის რეგიონში თავის გავლენას დიდ ქვეყნებს შორის არსებული დაპირისპირების ფონზე. აზერბაიჯანისთვის რუსული ფაქტორი მეტად მნიშვნელოვანია ყარაბაღის კონფლიქტის და მასზე პოლიტიკური, სამხედრო-ტექნიკური და სხვა გავლენების, აგრეთვე რუსეთის, როგორც იარაღის მომწოდებლის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გასაღების ბაზრის და სხვ. კონტექსტში.

ბაქოს პოლიტიკა მოსკოვთან ურთიერთობებში უფრო მოქნილი გახდა. რაც უფრო ჩამოშორდება საქართველო რუსეთს, მით უფრო მეტად დასჭირდება ამ უკანასკნელს აზერბაიჯანთან ურთიერთობები, რათა რეგიონში გავლენა შეინარჩუნოს. აზერბაიჯანი კი თავს უფრო ძლიერად და მნიშვნელოვნად ჩათვლის (4).

სომხეთს გადაჭარბებული მოლოდინები ჰქონდა საომარი მოქმედებების პროცესში რუსეთის მის სასარგებლოდ ჩართულობასთან და ეფექტურობასთან დაკავშირებით. ერევანს მიაჩნდა, რომ რუსეთი დროის მოკლე პერიოდში შეძლებდა მშვიდობის დამყარებას, სომხეთი ყარაბაღის ტერიტორიებს არ დაკარგავდა და სიტუაცია კვლავ დაკონსერვდებოდა. ომის შედეგებმა სომხურ პროდასავლურ პარტიებს მისცა საბაზი, რომ ღიად ალაპარაკებულიყვნენ სომხეთის გეოპოლიტიკური ორიენტაციის შეცვლაზე. მათი განცხადებებით, რუსეთმა ასეთი პოზიცია სპეციალურად დაიკავა, რათა ფაშინიანის პოზიცია ქვეყანაში დაესუსტებინა და მას არჩევნებში მოსახლეობის მხარდაჭერა არ ჰქონოდა.

სომხეთის პრორუსული ძალები კი რუსეთთან უფრო მეტ ინტეგრაციაზე საუბრობდნენ, მომავალში მსგავსი გართულებებისაგან თავის დასაცავად. ამ ვითარებაში რუსეთისადმი ნდობის განწყობა სომხეთის მოსახლეობაში მკვეთრად დაეცა, ხოლო აშშ-ის და საფრანგეთის მხარდამჭერთა რიცხვი (საფრანგეთის მიერ სომხეთის საჯარო მხარდაჭერის გამოცხადების ფონზე), გაიზარდა.

ექსპერტების მოსაზრებით, მათ შორის თომას დე ვაალის, სომხეთის შეიარაღებული ძალების მთიანი ყარაბაღის შვიდი რაიონიდან გასვლის შემდეგ, თურქეთსა და სომხეთს შორის საზღვრის გახსნა და ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება სომხეთის მხრიდან პრაგმატული ნაბიჯი იქნებოდა. თუმცა ნათელია, ეს ასე არ მოხდება, რადგან თურქეთი აზერბაიჯანს ომის პერიოდში დაეხმარა და სრული მხარდაჭერა გამოუცხადა. ყოველ შემთხვევაში, ამის მოლოდინი არ არსებობს, სანამ თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ ტაიფ ერდოღანია (8,1).

მსოფლიო ბანკის კვლევის მიხედვით, თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის ბლოკადების მოხსნის შედეგად, მშვიდობიანი ეკონომიკური თანამშრომლობის პოტენციური სარგებელი განსაკუთრებით საგრძნობი იქნებოდა სომხეთისთვის და მისი ეკონომიკის სტიმულირებისა და გაზრდისთვის. სავაჭრო დისბალანსი შემცირდება, რაც პოზიტიურ ეფექტს გამოიწვევს სომხეთისთვის. სომხეთის მთავრობამ აღნიშნა, რომ ის ჯერ კიდევ არ არის მზად თურქეთთან თავისუფალი ვაჭრობისთვის. აღსანიშნავია, რომ ომის მიმდინარეობისას სომხეთში თურქული საქონლით ვაჭრობა აიკრძალა, თურქეთის მიერ აზერბაიჯანისთვის ღია მხარდაჭერის გამო. ამან მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა სომხურ ბიზნესს და ვაჭრობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარდა ყარაბაღის კონფლიქტში თურქეთის მიერ აზერბაიჯანის მხარდაჭერისა, განხეთქილების მიზეზია სომეხთა გენოციდის საკითხი, რომელშიც სომხური ეკლესია განსაკუთრებულ როლს თამაშობს. ეკლესიას კი გარკვეული გავლენა გააჩნია პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში (1).

არსებული ვითარება, რომელიც პოსტკონფლიქტურ პერიოდში გამოიკვეთა, იმის თქმის საშუალებას იძლევა, რომ უახლოეს მომავალში ნაკლებად სავარაუდოა კავშირების დამყარება. თუმცა პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის ფონზე კონკრეტული პროექტების განხორციელება ყველა მხარეს ხელს უნდა აძლევდეს და ალბათ ამის მცდელობები იქნება კიდევ (5).

ამრიგად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები გარე ფაქტორების მნიშვნელოვან გავლენას განიცდიან. მათ შორის მნიშვნელოვანია დაპირისპირება რუსეთსა და დასავლეთს შორის (იგივე ფაქტორები მოქმედებს შეიარაღებულ კონფლიქტებზე ა და სხვა ქვეყნებშიც). შესაბამისად, კავკასიის კონფლიქტები უფრო ფართო კონტექსტში უნდა განვიხილოთ. მათ რეგიონულ ფორმატს სულ უფრო მეტად ავსებს გეოპოლიტიკური მოსაზრებები, რაც ამცირებს კომპრომისის მიღწევის ალბათობას, რადგანაც პრინციპი „თამაში ნულოვანი შედეგით“ დომინანტი ხდება. ამ კონტექსტში აუცილებელია დაიწყოს საერთო მრავალმხრივი დიალოგი ევროპის უსაფრთხოების სისტემის პრობლემებზე, რომელშიც კავკასიის, უკრაინის და შავი ზღვის რეგიონის კონფლიქტები განიხილება. ასეთ დიალოგში ჩართული უნდა იყვნენ როგორც ევროკავშირის, ასევე ნატოს წევრი ქვეყნები და რუსეთი. ამის გარეშე დღეს ამ საკითხზე რაიმე

დადებითი დინამიკის მიღწევა და კონფლიქტების მოგვარება ძალიან რთული იქნება. ამიტომ აუცილებელია განახლებულ იქნას ყველა მოთამაშის ინტერესის „ჩამონათვალი“, განისაზღვროს კონკრეტული მიზნები და შემუშავებულ იქნას „საგზაო რუკა“, მიუხედავად ცალკეული სახელმწიფო წარმონაქმნების სტატუსის გარშემო არსებული უთანხმოებებისა.

რაც შეეხება საქართველოს როლს და ჩართულობას ყარაბაღის კონფლიქტში, მას შეეძლო ყოფილიყო მედიატორი და მნიშვნელოვანი როლი შეესრულებინა მოლაპარაკებების საშუალებით კონფლიქტის დარეგულირებაში. უნდა აღინიშნოს, რომ ოფიციალური თბილისის დახმარებით და ჩართულობით აზერბაიჯანმა 15 სომეხი სამხედრო ტყვე საქართველოს გავლით სომხეთში გაუშვა. ამ მოლაპარაკებებში საქართველოსთან ერთად აშშ და ევროკავშირიც მონაწილეობდნენ. სანაცვლოდ, სომხეთმა აზერბაიჯანს გადასცა დანაღმული ტერიტორიების რუკა ნაღმების ადგილმდებარეობის მითითებით.

### ბიბლიოგრაფია

1. ანთაძე გ. „ყარაბაღის ომის გეოპოლიტიკური შუქ-ჩრდილები“, 7 ნოე. 2020. გვ.1. <https://www.geocase.ge/ka/publications/294/yarabaghis-omis-geopolitikuri-shuq-chrdilebi> (ბოლო ნაცვა - 10.04.2021)
2. მენაღარიშვილი ზ., რა გავლენას მოახდენს საქართველოზე რუსეთ-აზერბაიჯან-სომხეთის შეთანხმება, netgazeti, 14.01.2021. გვ1. <https://netgazeti.ge/news/511785/> (ბოლო ნახვა - 14.06.2021)
3. სინოვიცი რ. ბადალიანი ს., „შიში და სიძულვილი ვაჭრობისა და კეთილდღეობის წინააღმდეგ სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე, თებერვალი 05, 2021. გვ1. <https://www.radiotavisupleba.ge/a/31087978.html> (ბოლო ნახვა - 12.06.2022)
4. Броерс Л. Политика Запада на Южном Кавказе в 2015 г. // Кавказ — 2015. Ежегодник Института Кавказа. Ереван, 2017
5. Маркедонов С. Россия и конфликты на Южном Кавказе: основные подходы, проблемы и перспективы», Caucasus Edition, Journal of Conflict Transformation, ноябрь 2018
6. Valiyev A. Azerbaijan-Russia Relations after the Five-Day War: Friendship, Enmity, or Pragmatism? // TPQ. 2011. Vol. 10. № 3. P.10
7. Punsman G. Turkey's Interest and Strategies in the South Caucasus // South Caucasus: 20 Years of Independence. B., 2011. P. 287
8. Turkey's role in the Nagorno Karabakh war: a potential resource for peace“, Caucasus Edition Journal of Conflict Transformation. P.1. 15 Jul 2013.

<https://caucasusedition.net/turkeys-role-in-the-nagorno-karabakh-war-apotential-resource-for-peace/> (ბოლო ნახვა - 14.05.2021).

9. Novikova G. Quid pro quo Turkey s South Caucasus politics. // TPQ, 2011. Vol. 10. π 1.

**Tamar Kiknadze**

Caucasus International University  
Georgian Technical University

**Nato Argyliani**

Caucasus International University

## **South Caucasus Conflicts and Regional Security**

### **Abstract**

The South Caucasus is a very significant region where the interests of various geopolitical players intersects. They want to increase their influence in the region and implement large economic projects, but the conflicts here prevent the implementation of these projects. Realization of such projects would contribute to economic development on the one hand, and the process of establishing and maintaining stability in a hunger-free environment on the other hand.

Today, ethno-political conflicts are the biggest threat to the Caucasus region and a way for certain groups to realize their political goals with ethnic factors. The autonomous entities of the former Soviet republics and the right to self-determination and territorial claims of certain peoples, among other issues, remain important factors of conflicts and greatly influence the nature and dynamics of both the internal and external political processes of the South Caucasus Countries.

In the post-Soviet period, the geopolitical interests of various players and redistribution of spheres of influence diversified the interests of countries that were once within the framework of one country.

These conflicts are also significantly influenced by external factors. Among them, the confrontation between Russia and the West is important.

Therefore, we should consider the conflicts in the Caucasus in a wider context. Their regional format is increasingly filled with geopolitical considerations, which reduces

likelihood of reaching a compromise, as the principle of "zero-sum game" becomes dominant.

As a result of the Karabakh second war, a new balance of power was created. Along with Russia and Turkey, Azerbaijan emerged as an important player and force to be reckoned. Iran has its own interest in this process. The direction of development of a new economic dimension was outlined. The agreement between these countries and its implementation may face many problems and challenges, although the serious attitude of the leaders indicates the readiness to implement it. As for Georgia, it should assess the expected risks from the point of view of economic development and take into account the political component of this processes.

## **დავით კახალაშვილი**

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

## **ოთარ სომხიშვილი**

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

## **კონსტანტინე კახალაშვილი**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **საერთაშორისო სანქციებისა და ლობიზმის სადაზვერვო ხასიათი**

სახელმწიფოთა შორის ურთიერთობები ოდითგანვე შეუქცევადი პროცესი იყო, რაც მათ შორის გარკვეული თანამშრომლობის, პასუხისმგებლობისა, თუ კონფლიქტების ჩამოყალიბებაში გამოიხატებოდა. თითოეული სახელმწიფო გარკვეულწილად ერთმანეთზე იყო დამოკიდებული, რაც სავაჭრო, კულტურული, დიპლომატიური, სამხედრო და სხვა სახის ურთიერთობებში ვლინდებოდა. თანამედროვე ეტაპზე კი, ეს პროცესი უფრო გამძაფრდა. ამ ყველაფერს ხელი შეუწყო გლობალიზაციის პროცესმა, რამაც მსოფლიო ერთ დიდ მთლიანობად აქცია და სახელმწიფოებს შორის გარკვეული ბარიერები მოშალა. იმისათვის, რომ ამგვარი ურთიერთობები სრულყოფილი გახდეს, აუცილებელია სახელმწიფოთა



შორის ქცევის წესების დადგენა. სწორედ, საერთაშორისო საჯარო სამართალი აღმოჩნდა ის ინსტიტუტი, რომელმაც ჩამოაყალიბა ურთიერთობის ზოგადი ნორმები, განმარტა სახელმწიფოს ადგილი მის სისტემაში და გარკვეული პროცედურები შეიმუშავა საერთაშორისო სამართლებრივ სუბიექტთა მიერ წესების დაცვის კუთხით. ეს ყოველივე ხელს უწყობს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო საერთაშორისო საჯარო სამართლის მთავარი სუბიექტია, რომლისთვისაც მოქმედებს მთელი რიგი სამართლებრივ წესთა ერთობლიობა. ამგვარად, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობები არ დარჩენილა სამართლებრივ ჩარჩოებს მიღმა, რაც ურთიერთობის მონაწილე მხარეებისთვის ერთგვარ დაცვით საშუალებას წარმოადგენს.

ბუნებრივია, რომ საერთაშორისო ასპარეზზე სახელმწიფოთა შორის მოწესრიგებული ურთიერთობების შედეგად უამრავი სიკეთე წარმოიშვა, რაც თითოეული მხარისათვის გარკვეული სარგებლის მომტანია. მიუხედავად ყველაფრისა, წარმოუდგენელია ურთიერთობები გადაცდომებისა და დარღვევების გარეშე, სწორედ ამ დროს მოქმედებს საერთაშორისო საჯარო სამართალით გათვალისწინებული ღონისძიებები, რაც მიმართულია ამავე სამართლის სისტემაში შემავალ სუბიექტებს შორის სამართლიანობის აღდგენისაკენ. საერთაშორისო საჯარო სამართალი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმის დარღვევისას, ადანაშაულებს სახელმწიფოს, როგორც მთავარი მოქმედების სუბიექტს, რომელმაც იმოქმედა, ან არ იმოქმედა. მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის, რომელიც სახელმწიფოს მიერ შეიძლება იქნას განხორციელებული, საერთაშორისო საჯარო სამართალი რამდენიმე სახის პასუხისმგებლობას აწესებს, ესენია: მატერიალური და პოლიტიკური პასუხისმგებლობები.

მატერიალური პასუხისმგებლობა საერთაშორისო საჯარო სამართლის სუბიექტის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო აქტის შედეგად დგება. ამ დროს სახელმწიფოს დაეკისრება მოვალეობა, აანაზღაუროს მიყენებული მატერიალური ზიანი. ამ ფორმას „კომპენსაცია“ ეწოდება. ხოლო მეორე მხრივ, მას შეუძლია, რომ აღადგინოს პირვანდელი მდგომარეობა, ანუ მოქმედებს პასუხისმგებლობის სახე „რესტიტუცია“.

პოლიტიკური პასუხისმგებლობის დროს სახელმწიფო არამართლზომიერი ქმედებით არღვევს საერთაშორისო საჯარო სამართალით დადგენილ ქცევის წესებს, რის შედეგადაც მოტანილ ზიანს არ აქვს მატერიალური ხასიათი. გამოწვეული პასუხისმგებლობის ფორმა შეიძლება იყოს „სატისფაქცია“, რომლითაც, მაგალითად, საერთაშორისო სამართლის სუბიექტი გამოთქვამს სინანულს და ა.შ.

საერთაშორისო საჯარო სამართალში არსებული პასუხისმგებლობების ფორმებიდან ყველაზე გავრცელებულია: დიპლომატიური ურთიერთობის შეწყ-

ვეტა, მშვიდობიანი ბლოკადა, ეკონომიკური სანქციები და უკიდურესი ზომა - შეიარაღებული ძალების გამოყენება.

სანქციების გამოყენებისას აუცილებელია დიდი ყურადღება. ძირითადი ორგანო, რომელიც მსგავსი ტიპის სანქციების დაწესებაზეა უფლებამოსილი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაა. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის გამოყენება საერთაშორისო მშვიდობისა და სტაბილურობის შესანარჩუნებლად აუცილებელია.

საერთაშორისო სანქციების ორგანიზებისა და თავიდან აცილებისათვის სახელმწიფოები აქტიურად გამოიყენებენ სადაზვერვო სამსახურებს, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია ეკონომიკური დაზვერვის როლი. მისი წარმატებით განხორციელების მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს სადაზვერვო ხასიათის ლობისტური საქმიანობა.

ეკონომიკური დაზვერვის სამიზნე სახელმწიფოებში სადაზვერვო ლობიზმისა და სადაზვერვო კოორდინაციის პირობებში გამარტივებულია ეკონომიკური სანქციების როლი, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს სამიზნე სახელმწიფოს ეკონომიკური ინტერესების დაზიანება, გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური დესტაბილიზაციით. ამ დროს განვითარებულმა პროცესებმა მზვერავ სახელმწიფოს შესაძლოა მოუტანოს ისეთი სარგებელი, როგორცაა:

დაზვერვის ობიექტი სახელმწიფოს ეკონომიკური პოტენციალის გამოუყენებლობა ან დამაზიანებელი ათვისება, უცხო ქვეყნის ინტერესების შესაბამისად;

ეკონომიკური ბერკეტების ხელში ჩაგდება;

პოლიტიკური მმართველობის იძულება, მზვერავი ქვეყნის სასარგებლოდ საკანონმდებლო აქტების მიღებისა და აღმასრულებელი ხელისუფლების უკანონო ლობირების განსახორციელებლად და სხვა.

ეკონომიკური სანქციების განხორციელების კუთხით, ეკონომიკური დაზვერვის განსახორციელებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გადაწყვეტილების მიმღებ საერთაშორისო ორგანიზაციებში სადაზვერვო ხასიათის მოწყვლადი ადგილების გამოვლენას და სათანადო ზეგავლენა-შედწევადობის ოპერაციებს. უძველესი პერიოდიდან დღემდე, დაზვერვის ობიექტ სახელმწიფოში ეკონომიკურ ბერკეტებზე კონტროლის მოპოვება სახელმწიფოთა პოლიტიკური, სამხედრო, სამეცნიერო-ტექნიკური, ეკოლოგიური უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი პირობაა. შესაბამისად, სადაზვერვო საქმიანობა აღნიშნული ინტერესის გასატარებლად განსაკუთრებული აქტიურობით ხორციელდება.

ეკონომიკური დაზვერვის ორგანიზებაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დაზვერვის ობიექტ სახელმწიფოებში საიდუმლოების გრიფის ქვეშ განხორციელებულ კვლევებს, რომლის პროდუქტი შესაძლოა ქვეყნის ენერგეტიკული და სამხედრო უსაფრთხოების განმაპირობებელი გარემოება გახდეს. იმ ფონზე, როდესაც სადაზვერვო სამსახურებს დაზვერვის ობიექტი სახელმწიფოს

საიდუმლოების რეჟიმის მოშლა, იქ შეღწევა და ინფორმაციის მოპოვება ევალუბათ, კონტრსადაზვერვო უწყების პრეროგატივა საიდუმლოების რეჟიმის მოშლისთვის ხელის შეშლა, დანაშაულებრივი ქმედებების დროული გამოვლენა და აღკვეთაა.

ეკონომიკური დაზვერვის განხორციელების კუთხით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, ხელსაყრელი პირობაა ლობისტური ჯგუფების შექმნა, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია უკვე შექმნილ ლობისტურ ჯგუფებში შეღწევა და მასზე სათანადო ზეგავლენის მოპოვება. სადაზვერვო ხასიათის ლობისტური საქმიანობა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების დონის მნიშვნელოვან მსაზღვრელს წარმოადგენს. უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ სადაზვერვო ლობიზმს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, როგორც მოწინააღმდეგე სამიზნე სახელმწიფოების მიმართ ეკონომიკური სანქციების უზრუნველყოფის საქმეში, ასევე - მისი როლი განსაკუთრებულია უკვე დაწესებული ეკონომიკური სანქციების ნეიტრალიზაციის ორგანიზებაში. ამ მიმართულებით ეკონომიკური დაზვერვის საქმიანობა, რაღა თქმა უნდა, გათვლილია სარგებლის მიღებაზე და ნებისმიერი ქმედება ემყარება სადაზვერვო-კონტრსადაზვერვო, უწყებრივი ინსტიტუტების მიერ დამუშავებულ ანალიტიკურ მონაცემებს, რომლის უსაფრთხოებისთვისაც გამოყენებულია ამ ინფორმაციების სამეცნიერო დამუშავების მეთოდოლოგია. ყველა ქმედებას თან ახლავს ფინანსური გაანგარიშება, მოსალოდნელი შედეგის თვალსაზრისით. ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ეკონომიკური დაზვერვა, მზვერავი ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, სამეცნიერო-ტექნიკური და ეკოლოგიური სარგებლის მიღების მიზნით განხორციელებული ქმედებათა კომპლექტია, რომლის მნიშვნელოვან შემადგენელს წარმოადგენს აგენტურულ-ოპერატიული საქმიანობა და ტექნიკური დაზვერვის ელემენტები. ეკონომიკური დაზვერვის სოციალურ-ეკონომიკური დესტაბილიზაციის მაინსპირირებელ ქმედებად შეგვიძლია მივიჩნიოთ მოვლენათა განვითარების შემდეგი სტრუქტურა:

საერთაშორისო არენაზე დაზვერვის ობიექტი სახელმწიფოს ხელისუფლებისადმი უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის მობილიზება, სათანადო პროპაგანდა საკუთარ და დაზვერვის ობიექტ სახელმწიფოში;

დაზვერვის ობიექტ სახელმწიფოში მცირე მასშტაბის საპროტესტო აქციის გადაზრდა მასობრივ გამოსვლებში;

დაზვერვის ობიექტ სახელმწიფოში მასობრივი პროტესტის მასობრივ არეულობაში გადაზრდა;

დაზვერვის ობიექტ სახელმწიფოში მასობრივი არეულობით სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობრივი დამხობა;

ხელისუფლების კომპლექტაცია მზვერავი სახელმწიფოს ინტერესების გამტარებელი პირებით.

ეკონომიკური დაზვერვის განხორციელების ნიშნებზე შეგვიძლია ვისაუბროთ მაშინ, როდესაც:

დაზვერვის ობიექტ სახელმწიფოში მიუწვდომელია საერთაშორისო ბაზარზე დომინანტი ვალუტა;

დაზვერვის ობიექტ სახელმწიფოს შეზღუდული აქვს საერთაშორისო ბაზრებზე ოქროთი და ძვირფასი ლითონებით რეალიზაციის შესაძლებლობა;

დაზვერვის ობიექტ სახელმწიფოს შეზღუდული აქვს ბუნებრივი რესურსების (მათ შორის, ნავთობპროდუქტების) საერთაშორისო ბაზრებზე რეალიზაციის შესაძლებლობა;

დაზვერვის ობიექტ სახელმწიფოს შეზღუდული აქვს სამრეწველო ნედლეულის საერთაშორისო ბაზრებზე რეალიზაციის შესაძლებლობა და სხვა.


თუ სადაზვერვო საქმიანობას უსაფრთხო საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგად განვიხილავთ, ზემოაღნიშნული მიზნებისა და ამოცანების, ღონისძიებების განხორციელებისათვის ძირითად ხელსაყრელ პირობას სადაზვერვო საქმიანობის საფარქვეშ ლობისტური ჯგუფების /კომპანიების /კორპორაციების გამოყენება წარმოადგენს. აღნიშნული პირობის ხელსაყრელობა მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფოს აქვს ვალდებულება მყარად შენიღბოს საკუთარი სადაზვერვო მიზნები, ამოცანები, ქმედებები, რაც უსაფრთხოების და სახელმწიფოს კომპრომეტაციის თავიდან აცილების მნიშვნელოვანი პირობაა.

უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სანქციების დაწესების პროცესში გაეროს უშიშროების საბჭო განსაკუთრებულ როლს თამაშობს. საბჭოს მიზანი საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება-განვითარებაა. გაეროს ქარტიის VII თავის 41-ე მუხლის თანახმად, საბჭოს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად ბერკეტების საკმაოდ ფართო სპექტრს ფლობს, რომლის შემადგენელ ნაწილს საერთაშორისო სანქციებით ზემოქმედება წარმოადგენს. შესაბამისად, გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრ სახელმწიფოებს სადაზვერვო ინტერესების თანხვედრის შემთხვევაში, შეუძლიათ (მათ შორის არამოტივირებული, დეზინფორმაციის ნიშნების შემცველი ინფორმაციებით) ისეთი სანქციების მიღება უზრუნველყონ, რომელიც საკუთარი სახელმწიფოებისათვის სასარგებლო, ხოლო დაზვერვის ობიექტი სახელმწიფოებისათვის საზიანო იქნება. შესაბამისად, დღის წესრიგში დგება საკითხი, გაეროს უშიშროების საბჭოსთან მიმართებაში სადაზვერვო ზეგავლენისა და შეღწევადობის შესახებ, რათა სამიზნე სახელმწიფოებმა თავიდან აიცილონ მოსალოდნელი საფრთხეები. გამოდის, რომ სანქციების მიღების წინა პერიოდი აქტიურ სადაზვერვო შესწავლას ექვემდებარება.

ბოლო ასწლეულის განმავლობაში საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესების აღსასრულებლად, გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფარგლებში,

საერთაშორისო პოლიტიკური გამოწვევების საპასუხოდ, სანქციები და მასთან დაკავშირებული ლობირება სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ზემოქმედების ინსტრუმენტი ხდება, რომლის მიზანია შეცვალოს მთავრობების, ან პოლიტიკური აქტორების ქცევა სამიზნე ქვეყნებში, რაც პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, სამეცნიერო-ტექნიკური უსაფრთხოების სისტემებზე დამაზიანებელ ზეგავლენას გულისხმობს და ამავე მიმართულებებით სადაზვერვო ქმედებების კომპონენტებს წარმოადგენს.


გამოთქმული მოსაზრების გასამყარებლად შეგვიძლია გამოვიყენოთ ღია წყაროებში არსებული მნიშვნელოვანი კვლევა იმის შესახებ, თუ რა აყენებდა მნიშვნელოვან ზიანს სხვადასხვა სახელმწიფოებს პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და სამეცნიერო-ტექნიკური უსაფრთხოების კუთხით. აღნიშნულ კვლევაში **დიაგრამაზე N 1 A** პანელზე ასახულია ყველა გამოყენებული სანქციის



ევოლუცია 1950 წლიდან 2016 წლამდე, ხოლო B პანელზე გამოყენებული სანქციების ხასიათი. სანქციების დინამიკა ზრდადია და თანდათან უფრო პოპულარული გახდა 1950 წლიდან 1990 წლამდე. 1990-იანი წლების დასაწყისში სანქციების გამოყენების სიხშირე რადიკალურად გაიზარდა, რაც XX საუკუნის დასასრულს წარმოქმნილი საერთაშორისო პოლიტიკური გამოწვევებით აიხსნება. 2004 წლიდან კი, სანქციების გამოყენება ისევ ფართოდ გავრცელდა. საერთო ჯამში, სანქციების რაოდენობა სტაბილურად იზრდება ბოლო 65 წლის განმავლობაში. ყველა ქმედება მიმართულია სახელმწიფოთა მხრიდან საერთაშორისო არენაზე დომინანტის როლის მოსაპოვებლად, ან მნიშვნელოვანი, თუ უმნიშვნელო სარგებლის მისაღებად, რაც სამიზნე (დაზვერვის ობიექტი) სახელმწიფოების ინტერესების დაზიანების, ე.ი. მზვერავი სახელმწიფოების დამაზიანებელი ქმედების გარეშე წარმოუდგენელია.

საერთაშორისო ურთიერთობებში აღიარებული პრაქტიკაა, რომ კერძო ინტერესებით დაინტერესებული ჯგუფები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ როგორც აღმასრულებელი, ისე საკანონმდებლო ხელისუფლების გადაწყვეტილებების მიღების პროცესებზე, ასევე საზოგადოებრივ აზრის შექმნაზე, მათ შორის,

სადაზვერვო ხასიათის პროპაგანდის გამოყენებით. სადაზვერვო ქმედებების ნიშნების შემცველია ირანთან მიმართებაში დღემდე განხორციელებული საერთაშორისო სანქციები, რომლის მიზანიც ირანში არსებული წეს-წყობილების დასუსტება, პოლიტიკურ-ეკონომიკური ხასიათის დესტაბილიზაციის ინსპირირება და სათანადო საზოგადოებრივი განწყობის ფონზე ირანის ხელისუფლებაზე დამაზიანებელი ზეგავლენის მოხდენა იყო.



დღემდე, უშიშროების საბჭომ სანქციების დაწესების პრაქტიკას მიმართა 30 შემთხვევაში, მათ შორის გამოირჩეოდა 2006 წელს ირანის მიმართ დაწესებული სანქციების რეჟიმი, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ირანის პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკური, სამხედრო და სამეცნიერო-ტექნიკური მდგომარეობის გაუარესებაში. შესაბამისად, სახეზეა იმ სახელმწიფოთა სადაზვერვო ინტერესების განხორციელება, რომლებსაც სურდათ ირანის დასუსტება, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე რეგიონსა და საერთაშორისო ასპარეზზე. ირანის შემთხვევა აჩვენებს, თუ რამდენად რთული და დამაზიანებელი შეიძლება იყოს სანქციების პრაქტიკა ეროვნული უსაფრთხოებისთვის. დიაგრამა N 2-ის ანალიზი გვიჩვენებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ სანქციები მოიხსნებოდა, სახეზე იქნებოდა ირანის კეთილდღეობის ეფექტის ზრდა, რაც მის რეალურ შემოსავალს ერთ სულ მოსახლეზე დაახლოებით 4,2%-ით გაზრდიდა. აღნიშნული დიაგრამის ანალიზი გვამძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ პრაქტიკულად ყველა ის ქვეყანა, რომელიც გაეროს მხრიდან სანქციებს დაექვემდებარა, სანქციების მოხსნის შემთხვევაში საკუთარ რეალურ შემოსავალს ერთ სულ მოსახლეზე მნიშვნელოვნად გაზრდიდა და შეამცირებდა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური დესტაბილიზაციის საფრთხეს. გამოთქმული მოსაზრების გასამყარებლად გამოდგება ამერიკის შეერთებულ შტატების და ასევე ევროკავშირის მხრიდან სანქციების გატარება ირანთან მიმართებაში, რომელთა მიზანი ირანის ბირთვული და ბალისტიკური პროგრამის განვითარების შეწყობა იყო.

საბოლოო ჯამში, ირანის წინააღმდეგ გატარებული სანქციების შედეგად სახეზე გვაქვს:

- 20% -ით ინფლაციის დონის გაზრდა;
- სურსათზე ფასების გაორმაგება;
- ეროვნული ვალუტის (რეალის) მკვეთრი გაუფასურება;
- დეფიციტი მედიკამენტებზე;
- სათადარიგო ნაწილების უქონლობა;
- გადაადგილებისა და საერთაშორისო ფრენების აკრძალვა;
- დოლარის მოპოვებაზე ხელის შეშლა;

ოქროთი და ძვირფასი ლითონებით ვაჭრობის აკრძალვა საერთაშორისო ბაზრებზე;

ბუნებრივი წიაღისეულით ვაჭრობის აკრძალვა;

სამრეწველო ნედლეულით ვაჭრობის აკრძალვა;

კვების პროდუქტებისა და ხალიჩების ექსპორტის აკრძალვა;

პირების და პირთა ჯგუფების შავ სიაში შეყვანა;

საბანკო და საფინანსო უწყებების საქმიანობაზე სანქციების დაწესება;

საერთაშორისო ბაზარზე ვაჭრობის 55%-ით შემცირება (მათ შორის, სხვა სანქცირებულ ქვეყნებთან მიმართებაში).

პრაქტიკულად, სახეზეა ხელსაყრელი ვითარება სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური დესტაბილიზაციის ინსპირირებისათვის. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული დესტაბილიზაციისათვის პირობების შექმნა სადაზვერვო სამსახურების უმნიშვნელოვანეს მიზანს და ამოცანას წარმოადგენს, შეიძლება დავასკვნათ, რომ სახეზეა სადაზვერვო ხასიათის სანქციები, როგორც ერთეული სახელმწიფოს, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით. შესაბამისად, დღის წესრიგში დგება საკითხი ინდივიდუალურად, კონკრეტულ სახელმწიფოებთან, ასევე ევროკავშირთან მიმართებაში სადაზვერვო ზეგავლენისა და შეღწევადობის შესახებ, რათა სამიზნე სახელმწიფოებმა თავიდან აიცილონ მოსალოდნელი საფრთხეები.

ღია წყაროებში არსებული ინფორმაციების ანალიზმა აჩვენა შემდეგი:

**სანქციის მაორგანიზებელი სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან საფრთხედ იქნა აღქმული:**

ირანის ატომური იარაღის შექმნის მცდელობა და ურანის გამდიდრების პროცესი;

ირანის ბალისტიკური რაკეტების სისტემის განვითარება;

ირანის მხრიდან რეგიონში ტერორისტული ჯგუფების „მხარდაჭერა“;

ირანში ადამიანის უფლებების სისტემატური დარღვევა.

**სადაზვერვო პროპაგანდაში ჩართული საერთაშორისო, სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციები:**

გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები და გერმანია;

აშშ (სადაზვერვო სამსახური);

ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტო;

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი;

ლონდონის გლობალური ენერჯეტიკის ცენტრი;

საუდის არაბეთის ამერიკულ საზოგადოებასთან ურთიერთობის საქმეთა კომიტეტი (SAPRAC);

საუდის არაბეთის საელჩო;

ლობისტური ფირმა Off Hill Strategies;

ლონდონის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტი;  
ბალტიმორის ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტი;  
ბირმინგემის უნივერსიტეტი;  
ახლო აღმოსავლეთის ინსტიტუტი;  
საერთაშორისო კრიზისის ჯგუფი;  
მასმედსიის საშუალებები;  
დიპლომატიური კორპუსი;  
პრეზიდენტის ადმინისტრაცია.

**სადაზვერვო პროპაგანდაში ჩართული პირები:**

საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტი;  
პრეზიდენტი;  
საგარეო საქმეთა მინისტრი;  
სადაზვერვო პროპაგანდის განხორციელებელი პირი;  
მეცნიერი;  
მკვლევარ-მეცნიერი;  
პროექტის დირექტორი;  
ანალიტიკოსი;  
სასულიერო პირი;  
სახელმწიფო მდივანი.

ზემოაღნიშნული პროცესების სადაზვერვო ხასიათიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ზოგადად მიმოვიხილოთ ლობიზმის როლი სადაზვერვო ხასიათის სანქციების განგრძობადობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. ამ კუთხით გამორჩეულია ირანის ბირთულ პროგრამასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების პროცესი.

ირანის ბირთულ შეთხმებასთან დაკავშირებით განახლებულ, 4+1 ფორმატით მოლაპარაკებების პროცესის ვენაში დაწყებას თან სდევდა ირანის ოპონენტი ქვეყნების (მათ შორის, საუდის არაბეთი, გაერთიანებული არაბთა საამიროები, ისრაელი) მხრიდან ლობისტური საქმიანობის გააქტიურება ვაშინგტონზე ზეწოლის მიზნით, რადგან ამ პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატების და ირანის ხელისუფლება ცდილობდა ბირთულ პროგრამასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებების განახლებას, რაც შესაძლოა დაკავშირებოდა სანქციების შერბილების პროცესს.

ამერიკის შეერთებული შტატების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების გადაწყვეტილებაზე ზემოქმედების მიზნით, 2016 წელს დაარსებულმა საუდის არაბეთის ამერიკული საზოგადოებასთან ურთიერთობის საქმეთა კომიტეტმა (SAPRAC) აქტიური პროპაგანდა დაიწყო ამერიკულ საზოგადოებრივ აზრზე სათანადო ზემოქმედების უზრუნველსაყოფად, ირანზე ნეგატიური წარმოდგენის შექმნის მიზნით. აღნიშნული ქმედება საუდის არაბეთის



სადაზვერვო ინტერესებში შედიოდა, რათა დაზიანებულიყო ირანის ეროვნული ინტერესები. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორგანიზაციამ აქტიური როლი ითამაშა ტრამპის ადმინისტრაციასთან ურთიერთობების გაღრმავებაში, რომლის პრეზიდენტობის პერიოდშიც აშშ-მ დატოვა ბირთვული შეთანხმება.

იმის გათვალისწინებით, რომ ნებისმიერი სახელმწიფოს დიპლომატიური კორპუსი აქტიურად არის ჩაბმული საკუთარი ქვეყნის სადაზვერვო საქმიანობაში, ყურადღებას იმსახურებს საუდის არაბეთის საელჩოს მხრიდან 2020 წლის 13 ნოემბერს ვაშინგტონში ლობისტური ფირმის Off Hill Strategies დაქირავება. ამ კომპანიის მიზანს წარმოადგენდა, საკანონმდებლო ადვოკატირების სტრატეგიების ჩამოყალიბება, საკანონმდებლო ადვოკატირების სტრატეგიების განხორციელება, დოკუმენტების შემუშავება, კონგრესის ოფისებში ინფორმაციის გაგზავნა და კონგრესის წევრებთან და/ან მათ თანამშრომლებთან შეხვედრა, ბირთვული შეთანხმების მიღწევასა და ირანზე სანქციების მოხსნის გამორიცხვასთან დაკავშირებით.

სადაზვერვო საქმიანობის ნიშნებით გამორჩეულ ლობისტურ საქმიანობას ეწეოდა ამერიკის ისრაელის საზოგადოებრივ საქმეთა კომიტეტი (AIPAC). მათი ქმედებები მიმართული იყო ირანის ინტერესების დაზიანებისაკენ, რაც გამოიხატა ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიული პარტიის პროგრესულ გეგმასთან (განახლებულიყო მოლაპრაკებები ბირთვულ შეთანხმებასთან დაკავშირებით) სასტიკ წინააღმდეგობაში. შესაბამისად, ისრაელისათვის ირანი წარმოადგენს რეგიონალურ საფრთხეს და აქედან გამომდინარე, მის ინტერესში შედის ამ ქვეყნის დასუსტება.

#### **ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი:**

სანქციების გამოყენება სახელმწიფო და სადაზვერვო ინტერესების შესაბამისად, სპეცსამსახურების მონაწილეობით ხორციელდება, რომლის მიზანია, დაასუსტოს სამიზნე სახელმწიფოები და ხელში ჩაიგდოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და სამეცნიერო-ტექნიკური ბერკეტები. შესაბამისად, ამ მიზნებისთვის სახელმწიფოები აქტიურად იყენებენ პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და სამეცნიერო-ტექნიკური ხასიათის სადაზვერვო ელემენტებს. ამიტომაც, სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის სადაზვერვო სამსახურებმა ყურადღება განსაკუთრებულად უნდა გაამახვილონ სხვადასხვა სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში სამიზნე სახელმწიფოების მიმართ სანქციების დაგეგმვის პროცესზე, რათა შეძლონ საკუთარი სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული მოსალოდნელი საფრთხეების აღმოჩენა. ისინი დროულად უნდა ფლობდნენ სანდო, ოპერატიულ და სრულყოფილ ინფორმაციას, რათა ხელისუფლება აღჭურვოს და შეძლოს დროული რეაგირება;

სახელმწიფოთა სადაზვერვო მიზნებისა და ამოცანების გადასაწყვეტად სანქციების განგრძობადობის ორგანიზებისათვის აქტიურად გამოიყენება ლობისტური ჯგუფები (ინდივიდუალური პირები, კომპანიები, კორპორაციები), შესაბამისად, სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების მდგრადობისათვის სადაზვერვო სამსახურებმა უნდა მოიპოვონ მონაცემები იმ ლობისტური კომპანიების შესახებ, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მზვერავ სახელმწიფოს;

სადაზვერვო სამსახურების მხრიდან დაზვერვის ობიექტ სახელმწიფოში კონტროლს ექვემდებარება ინფორმაციები:

სამეცნიერო-ტექნიკური უსაფრთხოების სეგმენტზე (მათ შორის, ირანის ატომური იარაღის შექმნის, ბალისტიკური რაკეტების სისტემის განვითარების, კუთხით) მიმდინარე კვლევების შესახებ;

ხელისუფლების და/ან სპეცსამსახურების ტერორისტულ ორგანიზაციასთან კავშირების შესახებ;

ადამიანის უფლებების კუთხით არსებული ვითარების შესახებ და სხვა.

სადაზვერვო პროპაგანდაში შესაძლოა ჩართული იყვნენ:

საერთაშორისო ორგანიზაციები;

სახელმწიფო მოხელეები (მათ შორის, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები);

კერძო, მათ შორის, ლობისტური ორგანიზაციები;

სამეცნიერო-კვლევითი სექტორი;

მასმედია.

## ბიბლიოგრაფია

1. „SUBSIDIARY ORGANS OF THE UNITED NATIONS SECURITY COUNCIL“, DPPA FACT SHEETS, 2021  
[https://www.un.org/securitycouncil/sites/www.un.org.securitycouncil/files/subsidiary\\_organ\\_factsheets.pdf](https://www.un.org/securitycouncil/sites/www.un.org.securitycouncil/files/subsidiary_organ_factsheets.pdf)
2. “The Global Sanctions Data Base”, Gabriel Felbermayr, Aleksandra Kirilakha, Constantinos Syropoulos, Erdal Yalcin, Yoto Yotov, 4 August 2020.  
<https://voxeu.org/article/global-sanctions-data-base>
3. „IAEA and Iran reach agreement to avert nuclear deal crisis“, By Maziar Motamedi  
Published On 12 Sep 2021  
<https://www.aljazeera.com/news/2021/9/12/iaea-and-iran-reach-agreement-to-avert-nuclear-deal-crisis>
4. “Iran Nuclear Deal Opponents’ Relations with Lobbying Firms”, Bilgehan Alagöz, 24.04.2021

[https://iramcenter.org/en/iran-nuclear-deal-opponents-relations-with-lobbying-firms/?send\\_cookie\\_permissions=OK](https://iramcenter.org/en/iran-nuclear-deal-opponents-relations-with-lobbying-firms/?send_cookie_permissions=OK)

5. „ირანის სანქციები“, ახალი ამბები, 29 ივნისი, 2012.  
[https://www.amerikiskhma.com/a/iran\\_sanctions\\_oil/1351759.html](https://www.amerikiskhma.com/a/iran_sanctions_oil/1351759.html)
6. “აშშ-ის სანქციები ირანის წინააღმდეგ - "ყველა დროის უმკაცრესი ზომები", ფრუდ ბეჟანი, ოქროპირ რუხაძე ნოემბერი 08, 2018.  
<https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%95%E1%83%97%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%90%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A7%E1%83%98%E1%83%93%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AA-%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A0-%E1%83%94%E1%83%A6%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/29588281.html>
7. “ირანის პრეზიდენტი: ირანის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები უნდა მოიხსნას”, imedi / 05 აგვისტო.  
<https://imedinews.ge/ge/msofli/213158/iranis-prezidenti-iranis-tsinaagmdeg-datsesebuli-sanqtsiebi-unda-moikhsnas>
8. „ჯო ბაიდენი - აშშ ირანს სანქციებს არ მოუხსნის, ვიდრე თეირანი ურანის გამდიდრების პროგრამას არ შეაჩერებს“, გივი ბარამიძე, 07.02.2021  
<https://1tv.ge/news/jo-baideni-ashsh-irans-sanqciebs-ar-moukhsnis-vidre-teirani-uranis-gamdidrebis-programas-ar-sheacherebs/>
9. „ჯო ბაიდენი - ირანი ვერასდროს მიიღებს ბირთვულ იარაღს, ვიდრე პრეზიდენტი ვარ“, interpressnews.ge, 29.06.2021  
<https://www.interpressnews.ge/ka/article/663243-jo-baideni-irani-verasdros-miigebs-birtvul-iarags-vidre-prezidenti-var/>
10. “ბლინკენმა და ლავროვმა იმსჯელეს ირანის ბირთვული პროგრამის გარშემო”, რადიოთავისუფლება, ოქტომბერი 07, 2021  
<https://www.radiotavisupleba.ge/a/31496508.html>

**David Kukhalashvili**

Caucasus International University

**Otar Somkhishvili**

Caucasus International University

**Konstantine Kukhalashvili**

Tbilisi State University

## **International sanctions and The intelligence nature of lobbying**

### **Abstract**

In modern international relations, states actively use intelligence activities to achieve their political, economic, military scientific and technical goals. This serves to maintain a dominant role in the international arena and receiving benefits corresponding to the goals. States actively use lobbying activities under the guise of intelligence, it is a lever that provides significant benefits in the pursuit of intelligence goals and interests.

For the modern international community, ensuring international security remains an unresolved task. In the process of resolving this dilemma, states will resort to any means to strengthen their own security, this will help maintain their dominant role in the region, the international arena or increase their influence. These include the imposition of sanctions by an international / country-specific intelligence service, which increases the effect of the detrimental impact on the object of intelligence damage to the political, economic, military and scientific-technical interests of the state.

### ევროკავშირის გეოპოლიტიკური ინტერესები შავი ზღვის რეგიონში

#### შესავალი

შავი ზღვის რეგიონი წარმოადგენს იმ ტერიტორიას, რომელიც ევროპას ენერგეტიკული რესურსებით მდიდარ კასპიის ზღვის რეგიონთან და მის ფარგლებს გარეთ ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასთან აკავშირებს. შავ ზღვის აკვატორიას და მის გარშემო სახმელეთო ტერიტორიას ევროპისთვის ყოველთვის ჰქონდა სტრატეგიული მნიშვნელობა, განსაკუთრებით, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის (CEE) ქვეყნების უსაფრთხოების თვალსაზრისით, რომლებიც შავი ზღვა-დუნაის აუზის გასწვრივ მდებარეობენ. ევროკავშირის ენერგოუსაფრთხოება სულ უფრო დამოკიდებული ხდება მილსადენის პროექტების წარმატებაზე, რომლებიც გადის სამხრეთ კავკასიაზე, უკრაინაზე, თურქეთსა და ევროკავშირის წევრ ზღვისპირა სახელმწიფოებზე. რეგიონს ასევე უკავშირდება ევროპა-აზიას შორის ახალი სატრანსპორტო მარშრუტების განვითარებასთან დაკავშირებული პროექტებიც.

თავის მხრივ, ფართო რეგიონი ქმნის მზარდ ბაზარს 350 მილიონზე მეტი მოსახლეობით და ის ბუნებრივად წარმოადგენს კომერციული ინტერესების საგანს. რეგიონი ეთნიკური, თუ რელიგიური თვალსაზრისით, ასევე მასში შემავალი ქვეყნების საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის თვალსაზრისით არ გახლავთ ჰომოგენური

წარსულში შავი ზღვის რეგიონი უფრო მეტად დაყოფილი იყო და საერთო რეგიონული პოლიტიკის განვითარებისთვის არასაკმარის პირობას ქმნიდა. შავი ზღვის ორი მონაპირე ქვეყნის - რუმინეთისა და ბულგარეთის - ევროკავშირში გაწევრიანებამ ორგანიზაციას გაუჩინა ამ რეგიონში უფრო კონსოლიდირებული როლის თამაშის ინტერესი და ამბიცია. შავი ზღვის რეგიონის გაძლიერების პროცესში ევროკავშირმა სცადა გაფართოების სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენება, როგორცაა; თურქეთის აღიარება ევროკავშირის წევრობის კანდიდატად, სტრატეგიული პარტნიორობა რუსეთთან და პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებების გაფორმება სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებთან. იმ მიზეზის გამო, რომ რეგიონი უამრავი გამოწვევის წინაშე იდგა, ადგილი ჰქონდა კონფლიქტებს და უსაფრთხოების გამოწვევებს. ევროკავშირის, როგორც უსაფრთხოების აქტორის გააქტიურებამ, გაზარდა მისი გავლენა შავი ზღვის რეგიონში. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკამ (2003 წ.), შავი ზღვის სინერჯიამ (2007 წ.) და აღმოსავლეთ პარტნიორობამ (2009 წ.) გავლენა იქონია რეგიონის დემოკრატიულ ტრანსფორმაციასა და შიდა კონსოლიდაციაზე და ხელი შეუწყო რეგიონული სახელმწიფოების ევროკავშირთან დაახლოების

პროცესს. რუსეთის იმპერიალისტურმა პოლიტიკამ (ნათელია, რომ ოფიციალური კრემლი 2008 წლიდან მიზნად ისახავს ეროვნული საზღვრების შეცვლას, რეგიონში სამხედრო ყოფნის გაძლიერებას, ძალის გამოყენების მუქარას, სტრატეგიული უპირატესობის მოპოვებასა და დასავლეთთან გეოპოლიტიკურ კონკურენციას), მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა შავი ზღვისა და მის გარშემო არსებულ უსაფრთხოების გარემოში.

მოცემული ნაშრომის მიზანია, გაანალიზებულ იქნას ევროკავშირის გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური და გეოსტრატეგიული ინტერესები შავი ზღვის რეგიონში, თანამშრომლობის ძირითადი პრიორიტეტები და ასევე ევროკავშირის პოლიტიკის ძლიერი და სუსტი მხარეები.

### **შავი ზღვის რეგიონში ევროკავშირის ინტერესების ზრდა.**

შავი ზღვის რეგიონის მიმართ ევროკავშირის ინტერესები კიდევ უფრო მეტად გაიზარდა მას შემდეგ, რაც 2007 წლის 1 იანვრიდან შავი ზღვის ორი მონაპირე ქვეყანა, რუმინეთი და ბულგარეთი გახდნენ ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრები. წამყვანი ევროპული ინსტიტუტის მთავარი გამოწვევები უკავშირდება გარემოს, მიგრაციას, დასაქმებასა, სოციალურ დაცვას, ეკონომიკურ განვითარებასა და ვაჭრობას. ასევე საზღვრისპირა და შიდა დავებს და რყევებს, ტერორიზმს და იარაღის გავრცელებას, ნარკოტიკითა და ადამიანებით ტრეფიკინგს, ბუნებრივი რესურსების გამოყენებას, ნავიგაციასა და სამხედრო დაპირისპირებას.

რეგიონის ქვეყნები ან მდიდარი არიან ბუნებრივი რესურსებით, ან წარმოადგენენ სატრანზიტო ქვეყნებს, რაც მნიშვნელოვანია ევროკავშირის ენერგეტიკული უსაფრთხოებისათვის. ისინი ქმნიან სატრანსპორტო დერეფანსა და ხიდს კასპიის და ცენტრალური აზიის რეგიონთან, რომელიც ასევე მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, მათ შორის, ენერგორესურსებით. შავ ზღვაზე უსაფრთხოებასა და სტაბილურობას აქვს და ექნება მნიშვნელოვანი გავლენა ევროკავშირის მომავალზე.

1997 წელს ევროკავშირის საბჭომ დაამტკიცა დოკუმენტი, რომელიც შავი ზღვის რეგიონის სანაპირო ქვეყნებთან ორმხრივ ურთიერთობებზე იყო ფოკუსირებული (4).

თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, შავი ზღვის აუზში რამდენიმე ფინანსური ინსტრუმენტი ამოქმედდა, რომელიც მოიცავს ცენტრალური ევროპის, აღმოსავლეთ ევროპისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებს:

- TRACECA და INOGATE – მრავალწლიანი სახელმწიფოთაშორისი პროექტები შავი ზღვისა და კასპიის ზღვის რეგიონებში სატრანსპორტო და ენერგო-დერეფნების განვითარებისთვის.

- პანევროპული სატრანსპორტო სივრცის (PETRA) შავ ზღვაზე გავრცელების გეგმები.

- დუნაი-შავი ზღვის გარემოსდაცვითი დავალებათა ჯგუფის (DANBLAS) ინიციატივა (3).

- ევროკავშირის დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების (EIDHR) პროგრამა.

- სტაბილურობის ინსტრუმენტი რეგიონში, კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების ხელშეწყობისთვის.

1990-იანი წლების შუა პერიოდიდან მოყოლებული, ბისეკი (შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია) წარმოადგენს პრაქტიკულად

ერთადერთ ინკლუზიურ ფორმატს შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების ფართო თანამშრომლობისათვის. საბოლოოდ, 2007 წელს ევროკავშირი გახდა ორგანიზაციის დამკვირვებელი წევრი. შავი ზღვის სანაპირო ქვეყნებთან ორმხრივი ურთიერთობები განვითარდა სხვადასხვა ფორმატისა და ინსტრუმენტის გამოყენებით. თურქეთთან ურთიერთობები წარიმართა (და კვლავაც იმართება) 1963 წლის ასოცირების შეთანხმებით, 1995 წლის ევროკავშირში თურქეთის საბაჟო კავშირში გაწევრიანებით და მიერთების პროცესით (2005 წ.). რუმინეთი და ბულგარეთი კანდიდატი სახელმწიფოები იყვნენ 1998-2007 წლებში, საბოლოო გაწევრიანებამდე. ევროკავშირთან მათი ურთიერთობები მოიცავდა ევროპის შეთანხმებებსა (1994 წ.) და მიერთების სტრატეგიებს, რომლითაც მათზე გავრცელდა ევროკავშირთან მიერთების ფინანსური ინსტრუმენტები.

2007 წლიდან კანდიდატმა და გაწევრიანების პროცესში მყოფმა სახელმწიფოებმა მიიღეს სარგებელი მიერთებამდე დახმარების ინსტრუმენტით (4). გარდა ამისა, თურქეთი სარგებელს იღებდა MEDA ინსტრუმენტით, რომელიც შეიქმნა ხმელთაშუა ზღვის რეგიონში თანამშრომლობისათვის. რუსეთთან და აღმოსავლეთ ევროპისა და სამხრეთ კავკასიის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის სახელმწიფოებთან (როგორც მათ თანამშრომლობის შეთანხმებები (PCA) წარმოადგენდა ორმხრივი ვალდებულებების ფართო სპექტრს და მიზნად ისახავდა ამ სახელმწიფოებში დემოკრატიული ღირებულებების პატივისცემას, კანონის უზენაესობის ინსტიტუტების შექმნას, ევროკავშირთან მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესებით ვაჭრობას, მნიშვნელოვანი მიმართულებებით ევროკავშირის კანონმდებლობასთან მსუბუქ დაახლოებასა და უსაფრთხოებისა და საერთაშორისო მშვიდობასთან დაკავშირებულ საკითხებზე დიალოგს (18).

თანამშრომლობის მხარდასაჭერად დუნაი-შავი ზღვის აუზში რამდენიმე ფინანსური ინსტრუმენტი ამოქმედდა, რომელიც მოიცავს ცენტრალური ევროპის, აღმოსავლეთ ევროპისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებს:

- TRACECA4 და INOGATE5 – მრავალწლიანი სახელმწიფოთაშორისი პროექტებია შავი ზღვისა და კასპიის ზღვის რეგიონებში. შესაბამისადაა სატრანსპორტო და ენერჯო-დერეფნების განვითარებისთვის.

- პანევროპული სატრანსპორტო სივრცის (PETrA) შავ ზღვაზე გავრცელების გეგმები.

- დუნაი-შავი ზღვის გარემოსდაცვით დავალებათა ჯგუფის (DANBLAS) ინიციატივა.

- ევროკავშირის დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების (EIDHR) პროგრამა.

- სტაბილურობის ინსტრუმენტი რეგიონში კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების ხელშეწყობისთვის. 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან მოყოლებული, ბისეკი (შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია) წარმოადგენს პრაქტიკულად ერთადერთ ინკლუზიურ ფორმატს შავი ზღვის ფართო რეგიონის ქვეყნების თანამშრომლობისათვის. საბოლოოდ, 2007 წელს ევროკავშირი გახდა ორგანიზაციის დამკვირვებელი წევრი. ბისეკის აქტივობებში მონაწილეობა პოლიტიკურად სწორი გადაწყვეტილება იყო, რადგან ეს ორგანიზაცია აერთიანებდა 12 წევრს, 17 დამკვირვებელსა და სექტორული დიალოგის 14 პარტნიორს. სხვა ფორმატებს რაც შეეხება, პ. მანოლის მოსაზრებით, 2014 წელს „სქემები, როგორებიცაა შავი ზღვის საზღვაო თანამშრომლობის

დავალებათა ჯგუფი (BlackSeaFor), ოპერაცია შავი ზღვის ჰარმონია, შავი ზღვის სანაპირო და სასაზღვრო დაცვის ფორუმი და შავი ზღვის კომისია, ადასტურებს საზღვაო თანამშრომლობას სანაპირო სახელმწიფოებს შორის“ (16). მართლაც, ზემოთაღნიშნული თანამშრომლობის ყველა ფორმატი წარმოადგენდა ინკლუზიურ ინიციატივებს (სანაპირო ქვეყნებისთვის). თუმცა, რუსეთის ფედერაციის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ პრაქტიკულად ყველა ესენი აღმოჩნდა წარუმატებელი.

შავი ზღვის შესახებ ევროკავშირის ოფიციალური დოკუმენტების უმრავლესობა 1990-იან და 2000-იან წლებში (2007 წლამდე) ეხებოდა თევზჭერასა და გარემოსდაცვით პრობლემებს. TRACECA-ს და INOGATE-ს მცირე გავლენა ჰქონდათ რეგიონში ევროკავშირის ღირებულებებისა და მმართველობის გავრცელების საქმეში. პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებებმა (PCA) ხელი შეუწყო ევროკავშირთან შავი ზღვის სახელმწიფოების დაახლოების ზრდას და თანამშრომლობის გაღრმავებას. ევროკავშირი 2007 წელს რუმინეთისა და ბულგარეთის მიერთებით გახდა შავი ზღვის აქტორი, რამაც მას გაუჩინა მოტივაცია, რომ მონაწილეობა მიეღო რეგიონულ თანამშრომლობაში, ხელი შეეწყო რეგიონის კონსოლიდაციისა და კოლექტიური ინტერესების საკითხებში თანამშრომლობისათვის, ეპასუხა გამოწვევებისათვის და განეფიქსირებინა პოზიტიური დღის წესრიგი მშვიდობის დამყარებისა და უსაფრთხოების გაზრდის მიზნით. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა ევროკავშირის სურვილი, ახლო კავშირები განეფიქსირებინა აღმოსავლეთ ევროპის (EE) რეგიონთან (ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებთან), ყოველთვის გულისხმობდა „ახლო თანამშრომლობას“ და არა - მათი ინტეგრირების შესაძლებლობას. 2003 წლის გაფართოების მეხუთე ტალღის შემდეგ მოსაზღვრე ტერიტორიის ქვეყნებში, კანონის უზენაესობის, კეთილდღეობისა და კარგი მმართველობის ნაკლებობის გათვალისწინებით, წარიდარდა დებატები, ახალ მეზობლებთან გაფართოების შემდგომი პოლიტიკის შესახებ, რათა დაცული ყოფილიყო ევროკავშირის უსაფრთხოება და სტაბილურობა. აღნიშნული განსაკუთრებით რელევანტური გახდა აღმოსავლეთ ევროპის რეგიონთან ურთიერთობის კონტექსტში. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკამ (ესპ), რომელიც 2003 წელს დაიწყო (2004 წელს მოიცვა სამხრეთ კავკასია), მიზნად დაისახა ევროკავშირისა და რეგიონს შორის განვითარების თვალსაზრისით არსებული ნაპრაღის შემცირება. ტრანსფორმაცია წევრობის პერსპექტივის გარეშე შესაძლებელი ჩანდა, თავის მხრივ, ევროკავშირის მიზიდულობის ძალის, ელიტების მაღალი მოტივაციისა და პარტნიორ ქვეყნებში საზოგადოებრივი დაკვეთის გამო. პოლიტიკის საწყის ეტაპზე პირობითობის პრინციპზე სოციალიზაციის საშუალებების უპირატესობამ და „თაფლა კვერების“ არარსებობამ პარტნიორ ქვეყნებში სწრაფი და ადეკვატური ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობები შეამცირა. ესპ-ის კიდევ ერთ სისუსტეს წარმოადგენდა „ეგალიტარული“ და ერთიანი მიდგომა აღმოსავლეთ ევროპისა და სამხრეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის, ორი განსხვავებული რეგიონის მიმართ. მართალია, საწყის ეტაპზე შემოიღეს ესპ-ში „დიფერენცირების“ პრინციპი, მაგრამ განვითარების სხვადასხვა დონის სახელმწიფოების ერთ კალათაში მოთავსებამ, რეალურად უარყოფითად იმოქმედა „საუკეთესო ქვეყნების“ მოტივაციაზე. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, სამეზობლო პოლიტიკა შეიძლება შეფასდეს



ევროკავშირის მცდელობად, ერთ ინიციატივაში მოაქციოს ხმელთაშუა ზღვისა და შავი ზღვის რეგიონებში არსებული ამბიციები. რეგიონებს შორის ფუნდამენტური განსხვავებებისა და სუსტი კულტურული, ეკონომიკური, ისტორიული და პოლიტიკური კავშირების გამო, ევროკავშირმა ამ მიზანს ვერ მიაღწია. შესაბამისად, გაიზარდა მოთხოვნა უფრო დიფერენცირებულ პოლიტიკაზე, რომელიც ერთმანეთისგან განასხვავებდა ამოცანებს, მეთოდებსა და ინსტრუმენტებს, ერთი მხრივ, აღმოსავლეთ ევროპის შავი ზღვის ქვეყნებისთვის (უფრო ზუსტად, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის, რადგან ბელარუსი არ ითვლება შავი ზღვის სახელმწიფოდ) და მეორე მხრივ, სამხრეთით ხმელთაშუაზღვისპირეთის რეგიონისთვის. ესპ-ის დაწყებიდან რამდენიმე წელში, ევროკავშირის ინსტიტუტებს, უფრო კონკრეტულად - წევრ სახელმწიფოებს, ჰქონდათ ყოფილი საბჭოთა კავშირის 6 სახელმწიფოსთვის რაღაც განსხვავებულის შეთავაზების რამდენიმე მცდელობა. კერძოდ, ევროკავშირის საბჭოს მაშინდელმა თავმჯდომარემ გერმანიამ, ევროკავშირის საბჭოს შესთავაზა ესპ-პლუსი (2006) (12). ეს ინიციატივა მიზნად ისახავდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის პოლიტიკის დიფერენცირებას. კონკრეტულად, ის მოიცავდა აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებთან უფრო ღრმა ჩართულობას მათი სწრაფი ტრანსფორმაციისა და ევროკავშირთან მეტი ეკონომიკური ინტეგრაციის მიზნით. იდეას დიდი განხილვა და კამათი მოჰყვა ევროკავშირის ანალიტიკურ ცენტრებსა (think-tanks) და ეპისტემურ საზოგადოებებში (ემერსონი, ნოუჩევა, პოპესკუ, 2009). მიღების შემთხვევაში ინიციატივა იძლეოდა შავი ზღვის სახელმწიფოებთან და ბელარუსთან ახლო კავშირების დამყარების შესაძლებლობას. ინიციატივა არ გაიზიარა რამდენიმე წევრმა სახელმწიფომ, თუმცა ის გახდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან მიმართებით გერმანიის ორმხრივი ურთიერთობის ნაწილი.

### **შავი ზღვის სინერგია.**

ევროკომისიის 2007 წლის კომუნიკაცია შავი ზღვის სინერგიის შესახებ გამოხატავდა ევროკავშირის ღია ინტერესს, მოეგვარებინა რიგი პრობლემებისა რეგიონის ყველა მოთამაშესთან უფრო აქტიური და მიზანმიმართული ჩართულობით. ეს ასევე ნიშნავდა აღიარებას, რომ რეგიონში ევროკავშირის ორმხრივი პოლიტიკით გავლენის გაზრდის ადრეული მცდელობები არასაკმარისი იყო. სინერგიის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენდა კოლექტიური ქმედებებისათვის სახელმწიფოებს შორის რეგიონული კონსოლიდაციისა და კონსენსუსის მიღწევა. შემოთავაზებული ინიციატივით ევროკავშირის ჩართულობა მიზნად ისახავდა საკუთრივ, ევროკავშირსა და შავი ზღვის რეგიონს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობას (2). შავი ზღვის სინერგიამ აქცენტი გააკეთა გარემოს, საზღვაო საქმეების, თევზჭერის, საზღვაო ტრანსპორტის, ენერგეტიკის, განათლების, საზღვრისპირა და კვლევის სფეროებში თანამშრომლობისა ახალი პროექტების კონსოლიდირებასა და განვითარებაზე. კომუნიკაცია ეცადა წარმოედგინა ევროკავშირის პოლიტიკის, ფინანსური ინსტრუმენტებისა და ორმხრივი, თუ რეგიონული ინიციატივების ნაკრები და შესაძლებლობების ფარგლებში მოეხდინა მათი რე-ორიენტირება რეგიონული თანამშრომლობის კუთხით. ამ ყველაფრის მიზანი იყო შავი ზღვის ქვეყნებს შორის სინერგიისა და თანამშრომლობის გაზრდა, რაც ხელს შეუწყობდა მთელ რეგიონში ურთიერთობების გაღრმავებას, მშვიდობასა და განვითარებას. იმ დროისთვის

ევროკავშირს რუსეთთან რეგიონულ საკითხებზე სრულად თანამშრომლობის იმედი ჰქონდა. ევროკომისიამ ხელი შეუწყო რეგიონული მნიშვნელობის მთელ რიგ სექტორულ ინიციატივებს. ეს მოლოდინი ევროკავშირს უძლიერებდა სურვილს, რომ ბისევი გამხდარიყო შავი ზღვის რეგიონში თანამშრომლობის გაღრმავებისა და კონსოლიდირების ძლიერი პლატფორმა. ევროკომისიის კომუნიკაციაში აღნიშნული იყო: „ბისევის ფართო წევრობა და ფაქტი, რომ რუსეთი და თურქეთი არიან დამფუძნებელი წევრები, წარმოადგენს ძლიერ უპირატესობას და ამან შესაძლოა მნიშვნელოვნად შეუწყოს ხელი შავი ზღვის სინერჯის წარმატებას. უფრო მეტიც, ევროკომისიამ გამოხატა ორგანიზაციაში დამკვირვებლის სტატუსის მიღების სურვილი (რადგან ევროკავშირის შვიდ წევრ სახელმწიფოს უკვე ჰქონდა ეს სტატუსი) და 2007 წელსვე მიიღო კიდევ. 2009 წლიდან ევროკავშირი მონაწილეობს ბისევის მინისტრიალებსა და სამიტებში. შავი ზღვის სინერჯის შესახებ ევროკომისიის 2015 წლის პროგრესის ანგარიშმა აჩვენა (SWD, 2015), რომ გარკვეულ სფეროებში მიღწეულია საერთო რეგიონული კონსოლიდაცია. აღსანიშნავია შავი ზღვის წყლის ხარისხის ბიოლოგიური და ქიმიური მონიტორინგის შესაძლებლობების გაზრდისთვის გარემოსდაცვითი მონიტორინგის ორი პროექტი. თანამშრომლობის სხვა მაგალითებს წარმოადგენდა 2012 წლის შავი ზღვის გარემოს მონიტორინგის (EMBLAS) ინიციატივა, რომელიც უკრაინასა და საქართველოსთან ერთად რუსეთსაც მოიცავდა; ენერჯეტიკის სფეროში თანამშრომლობაზე ევროკავშირ-რუსეთის საგზაო რუკა, რომელიც მიზნად ისახავს 2050 წლისათვის პანევროპული ბაზრის შექმნას (რუსეთი და უკრაინა Erratum-ის აქტიური პარტნიორები არიან); შავი ზღვის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი, სადაც ყველა სახელმწიფო, რუსეთის ჩათვლით, აქტიურ მონაწილეობას იღებს; ახალგაზრდების ეროვნული საბჭოს კავშირი; თანამშრომლობა თევზჭერის სფეროში და სხვა.

2014 წელს ევროკავშირის საბჭომ მოიწვია ევროკომისია, რათა თავიდან შეეფასებინა ევროკავშირ-რუსეთის თანამშრომლობის პროგრამები და ცალკეული შემთხვევების საფუძველზე მიეღო გადაწყვეტილებები ევროკავშირის თანამშრომლობის ორმხრივი და მრავალმხრივი პროგრამების განხორციელების შეჩერების შესახებ. ეს გადაწყვეტილება ცხადია, მიიღეს რეგიონში რუსეთის პოლიტიკასთან დაკავშირებით მზარდი უთანხმოების გამო. 2008 წელს საქართველოს რეგიონების ოკუპაცია და 2014 წელს უკრაინის ტერიტორიის ანექსია წარმოადგენდა პირველ მნიშვნელოვან განხეთქილებას რეგიონულ ინტერესებსა და ღირებულებებთან დაკავშირებით. ამ მოვლენამ გავლენა იქონია ბისევის ეფექტურობაზე. ორგანიზაცია, რომელშიც რუსეთი წამყვან როლს ასრულებს, ვერ გახდებოდა რეგიონული აქტორების გამაერთიანებელი ინსტრუმენტი. 2008 წელს რუსეთის საქართველოსთან ომით გამოწვეულმა მზარდმა დაპირისპირებამ რეგიონში დაასუსტა ბისევის, როგორც ინკლუზიური თანამშრომლობის ფორმატის, შესაძლებლობები.

#### **აღმოსავლეთ პარტნიორობა.**

აღმოსავლეთ პარტნიორობა, რომელიც შეიქმნა 2009 წელს, პრადის სამიტის შემდეგ, წააგავს ევროკავშირის შავი ზღვის პოლიტიკის „სათადარიგო პროტოკოლს“, რადგან პარტნიორობის ექვსიდან, ხუთი სახელმწიფო, შავი ზღვის რეგიონის ქვეყანაა. მიუხედავად იმისა, რომ შავ ზღვასთან დაკავშირებული

საერთო პროექტები ხორციელდება მხოლოდ ფლაგმანური ინიციატივებისა, თუ თემატური პლატფორმების გზით, აღმოსავლეთ პარტნიორობა მართლაც ზრდის შავი ზღვის რეგიონში ევროკავშირის წარმომადგენლობასა და გავლენას. აღმოსავლეთ პარტნიორობა ქმნის აღმოსავლეთ ევროპულ სახელმწიფოებთან ორმხრივი და რეგიონული ურთიერთობების უფრო მაღალი დონისა და ამბიციის ჩარჩოს, ვიდრე ნებისმიერი წინა ინიციატივა. ეს ფორმატი მოიცავს: ყოველ ორ წელიწადში ჩატარებულ სამიტებს, ყოველწლიურ მინისტრიალს, თემატურ პლატფორმებს მრავალმხრივი თანამშრომლობისთვის, სთავაზობს ორმხრივ ასოცირების ხელშეკრულებებს (ღრმა პოლიტიკური დიალოგის წარმართვის ყველა ინსტრუმენტით), ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებს, გაზრდილ მობილობასა და თანამშრომლობას მოქალაქეებს შორის, მონაწილეობას ევროკავშირის პროგრამებსა და სააგენტოებში და ახლო თანამშრომლობას პრაქტიკულად ყველა სექტორული მიმართულებით.

ჩაფიქრებული იყო, რომ რაოდენობრივად ნაკლებ პარტნიორ ქვეყანაზე (რომლებიც შედარებით ჰომოგენურები არიან ისტორიული განვითარების თვალსაზრისით) და, შესაბამისად, ნაკლებ გამოწვევაზე, მმართველობის ფორმასა და ეკონომიკურ, თუ სოციალურ განვითარებაზე ფოკუსირებით, ევროკავშირისთვის უფრო მარტივი იქნებოდა თავისი პოლიტიკისა და ფინანსური საშუალებების გამოყენება, რეფორმების ხელშეწყობა, *acquis* გავრცელება და ევროპეიზაცია. აღნიშნულმა ინიციატივამ ქვეყნებს საშუალება მისცა, ეთანამშრომლათ ევროკავშირთან მათი ინდივიდუალური დღის წესრიგის მიხედვით და მეზობლებისგან დამოუკიდებლად, რათა განვეითარებინათ საკუთრივ პოლიტიკით განსაზღვრული დონისა და ხარისხის ორმხრივი ურთიერთობები (10). ევროპის სამეზობლო პოლიტიკის თვალსაზრისითაც აღმოსავლეთ პარტნიორობამ ევროკავშირს შესაძლებლობა მისცა, განესხვაგვებინა თავისი პოლიტიკის ამოცანები ერთი მხრივ, სამხრეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის, ხოლო, მეორე მხრივ, აღმოსავლეთ ევროპის (შავი ზღვის) მიმართ და გზა გაუხსნა აღმოსავლეთ ევროპასთან გაზრდილი პოლიტიკური თანამშრომლობისა და ეკონომიკური ინტეგრაციის შესაძლებლობას, რომელიც გარკვეული პირობების საფუძველზე და შესაბამის დროს შესაძლოა გახდეს ევროკავშირის სამომავლო გაფართოების საგანი. მაშინ, როცა რუმინეთი, ბულგარეთი და საბერძნეთი, როგორც ევროკავშირის წევრები, მონაწილეობენ ინიციატივაში, აღმოსავლეთ პარტნიორობა არ ვრცელდება რუსეთზე, პირველ რიგში იმიტომ, რომ 2003 წელს არ გამოუთქვამს სურვილი, შეერთებოდა ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკას. მეორე მხრივ, რუსეთის გეოპოლიტიკური ამბიციები, საერთაშორისო ასპარეზზე მისი ქმედებები და დემოკრატიული განვითარების რეგრესი არ ეთავსება აღმოსავლეთ პარტნიორობის მიზნებსა და სულისკვეთებას.

თურქეთს, როგორც კანდიდატ სახელმწიფოს, შეუძლია სამომავლოდ შეასრულოს გარკვეული როლი აღმოსავლეთ პარტნიორობის თანამშრომლობის ფორმატში. ეს არის საკითხი, რომელსაც მეტი განხილვა და მსჯელობა სჭირდება. თურქეთი არის მნიშვნელოვანი რეგიონული მოთამაშე, რეგიონის ზღვისპირა სახელმწიფოებთან პრაქტიკულად ყველაზე მაღალი სავაჭრო ბრუნვით. მართლაც, მისი პოლიტიკური როლი, რომელიც ბოლო წლებში გარკვეულწილად არ შეესაბამება ევროკავშირის სტრატეგიას, კამათის საგანია. მთავარი სირთულე

უკავშირდება ევროკავშირთან გაერთიანების ინტერესის კლებას, სტაგნაციას დემოკრატიული განვითარების პროცესში, მეზობლებზე საკუთარი გავლენის დამყარების ინტერესს, დასავლეთისგან (და კონკრეტულად ევროკავშირისგან) გაზრდილ კრიტიკასა და ფართო რეგიონული უსაფრთხოების საკითხებზე გარკვეულ დაპირისპირებას. ბოლო წლებში აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებს შორის, საგარეო პოლიტიკის ორიენტირებას, თუ შიდა პოლიტიკაში, ამკარად გამოიკვეთა განსხვავებები მიზანსწრაფულობის, ამბიციების, ღირებულებებისა და მიღწევების თვალსაზრისით. მიუხედავად ამისა, აღმოსავლეთ პარტნიორობის ბრიუსელის 2017 წლის სამიტმა აჩვენა მნიშვნელოვანი პროგრესი შავი ზღვის აღმოსავლეთ პარტნიორობაში მონაწილე სახელმწიფოებთან ევროკავშირის ურთიერთობების თვალსაზრისით.

სომხეთმა, მიუხედავად ევრაზიის ეკონომიკურ კავშირში მონაწილეობისა, ხელი მოაწერა თანამშრომლობისა და გაძლიერებული პარტნიორობის შეთანხმებას (CEPA), რომელიც აღმოსავლეთ ევროპასთან და, კონკრეტულად, შავი ზღვის რეგიონთან ევროკავშირის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების გავრცელების შესაჩერებლად შექმნილი რეგიონული თანამშრომლობის მოდელია. ეს ადასტურებს ფაქტს, რომ ევროკავშირი რჩება მიზიდულობის ძალად შავი ზღვის აღმოსავლეთ პარტნიორობაში ჩართული სახელმწიფოებისთვის და მომავალშიც იქონიებს მათზე გავლენას. მიუხედავად ამისა, ახლო მომავალში სომხეთი და აზერბაიჯანი ვერ შეძლებენ ევროპეიზაციას და ახლად ასოცირებული ქვეყნების (NAS) – მოლდოვის, უკრაინისა და საქართველოს მსგავსად ევროკავშირთან დაახლოებას.

აღმოსავლეთ პარტნიორობის წარმატება მატერიალიზებულია სამ პარტნიორ სახელმწიფოსთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერაში, უვიზო რეჟიმის გავრცელებასა და სექტორულ სფეროებში გაზრდილ თანამშრომლობაში, მათ შორის, ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში და საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) ოპერაციებში მონაწილეობაში. ეს პროცესები წარმოშობს დისკუსიას ევროკავშირის შავი ზღვის პოლიტიკის შესაძლო სახეცვლილებაზე.

### **ცვლილებები უსაფრთხოების გარემოში.**

როგორც კარგად გამოჩნდა, შავი ზღვის სინერგია და აღმოსავლეთ პარტნიორობა ორი თავსებადი პოლიტიკაა შავი ზღვის რეგიონში. მაშინ, როდესაც შავი ზღვის სინერგიის ფარგლებში ევროკავშირი ცდილობს ყველა ქვეყნის (მათი პოლიტიკური პრიორიტეტებისგან დამოუკიდებლად) რეგიონული თანამშრომლობის გაზრდასა და არსებული ძალისხმევის კონსოლიდაციას, აღმოსავლეთ პარტნიორობა წარმოადგენს კონსტრუქციულ პროექტს, რომლის მიზანია, იმ ქვეყნების ტრანსფორმაცია და მათზე პოზიტიური გავლენის მოხდენა, რომელთაც აქვთ ევროკავშირთან ინტეგრირების ინტერესი, ასევე, არსებული პრობლემების მოგვარება და განვითარების უკეთესი პირობების შექმნა. მრავალი თვალსაზრისით, ამ ორ ინიციატივას აქვს გადაკვეთისა და თავსებადობის შესაძლებლობა. არსებითია, რომ ეს ინიციატივები არ შექმნის დაძაბულობას რეგიონში, რამდენადაც არც ერთი სახელმწიფო არ არის იძულებული, ითანამშრომლოს იმ საკითხებზე, რომლებიც არ შედის მათ ინტერესებში და განახორციელოს რეფორმები და ცვლილებები, რომელთა სურვილიც არ გააჩნია. ცხადია, მზარდი

განსხვავებები ევროკავშირსა და რუსეთს შორის, რაც განსაკუთრებით აშკარაა შავ ზღვასთან მიმართებით, მოითხოვს არსებული პარადიგმის გადახედვას.

რუსეთის ძველ და ახალ პოლიტიკას არ გააჩნია ის სულისკვეთება, რაც ევროკავშირისას. მაშინ, როდესაც ევროკავშირი ცდილობს, განავითაროს ინკლუზიური პოლიტიკა სხვებისთვის ზიანის მიყენებისა და დაბრკოლების გარეშე, რუსეთის მიზანია, მოიპოვოს დომინანტობა და დაამყაროს ძალთა ახალი ბალანსი. სიანა ლუცკანოვას მოსაზრებით: „დღეისათვის უსაფრთხოების გარემოს (შავი ზღვის რეგიონში) ორი მთავარი გამოწვევა აქვს - სამხედრო შესაძლებლობების შეუსაბამობა ყირიმის ანექსიის შემდეგ და კასპიის და ევროპული ბაზრების დამაკავშირებელი ახალი ენერგეტიკული და სატრანსპორტო დერეფნების მომავალი. ეს ფაქტორები აყალიბებს ზოგად წარმოდგენებს შავი ზღვის რეგიონზე ყველა გეოსტრატეგიული, ან/და კონტინენტური პოლიტიკის ანალიზში“ (15).

როდესაც ევროკავშირი ავითარებდა ორივე პოლიტიკას, შავი ზღვის სინერგიასა და აღმოსავლეთ პარტნიორობას, ჯერ კიდევ არსებობდა მოლოდინი იმისა, რომ რუსეთი გახდებოდა სანდო პარტნიორი და ითანამშრომლებდა ახლო სამეზობლოში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარებისთვის. ამ შეხედულების გამო, რეგიონის ტრანსფორმაციისთვის ევროკავშირის ყველა სახის ძალისხმევაზე გავლენა მოახდინა რუსეთის წნეხმა უკრაინასა და სომხეთზე: ამან, უკრაინის შემთხვევაში, ქვეყნის დესტაბილიზაცია გამოიწვია და სომხეთის შემთხვევაში, აიძულა ქვეყანა უარი ეთქვა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე. ევროკავშირის აღმოსავლეთ ევროპული და საერთო შავი ზღვის პოლიტიკის მიმართ რუსეთის აგრესიული წინააღმდეგობა ვლინდება ამ უკანასკნელის მიერ ჰიბრიდული ომის საშუალებების – პროპაგანდის, მედიასა და სამოქალაქო ორგანიზაციებზე გავლენის მოპოვების, სუვერენული სახელმწიფოების და მათი უსაფრთხოების სტრუქტურების კიბერსივრცეზე შეტევის გამოყენებით.

სირიაში რუსეთისა და დასავლეთის ძალების დაპირისპირება აღრმავებს განსხვავებას რუსეთისა და ევროკავშირის სტრატეგიულ პროექტებს შორის და ხელს უწყობს გეოპოლიტიკურ დაყოფას. აშკარაა, რომ ამ თვალსაზრისით, შავი ზღვა ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი ადგილი ხდება. რუსეთი ღიად ცდილობს საბჭოთა დროინდელი პოზიციის დაბრუნებას უკრაინის, მოლდოვისა და საქართველოს დასავლეთისკენ შემდგომი სვლის შეჩერებით, იქნება ეს ნატოში გაერთიანება, თუ მზარდი ინტეგრაცია ევროკავშირთან. მაშინ, როდესაც რუსეთმა მიაღწია სომხეთის ლოიალობასა და აზერბაიჯანის შედარებით ნეიტრალურობას, ის ინტენსიურად გააგრძელებს ევროკავშირთან ასოცირებულ ქვეყნებზე ზეწოლას და მოითხოვს საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების შეცვლას. რუსეთის არმიის საფუძვლიანი მოდერნიზაცია და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებსა და ჩრდილოეთ კავკასიაში ახალი შენაერთების განლაგება, რუსეთის ამ განზრახვის ნიშნებია. აღმოსავლეთ უკრაინის კონფლიქტი ქმნის ხანგრძლივი სამხედრო დაპირისპირების კერას და ყირიმის ნახევარკუნძული, გაძლიერებული საზღვაო და სტრატეგიული შეიარაღებით, ხდება სამხედრო ციხე-სიმაგრე, რომელსაც შესწევს ძალა, საფრთხე შეუქმნას ყველა მშვიდობიან პროექტს შავ ზღვაზე. ევროკავშირის მხარდაჭერილი რეგიონის მშენებლობის მცდელობები კარგავს რელევანტურობას, რამდენადაც შავი ზღვის რეგიონში ფრაგმენტაცია ხდება, რეალობა. ამ პრობლემის გათვალისწინებით, გარდაუვალია რეგიონში ნებისმიერი

პოლიტიკის სეკურტიზაცია. შავი ზღვის რეგიონში პარტნიორი სახელმწიფოების ჩართულობისა და ტრანსფორმაციის გაზრდისათვის საჭიროა ევროკავშირის დამატებითი ძალისხმევა, რათა გაძლიერდეს გამძლეობა უსაფრთხოების გამოწვევების მიმართ. პარალელურად, საჭიროა უსაფრთხოების თანამშრომლობაში საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის ჩართულობაც.

### **მეტი აქცენტი უსაფრთხოებაზე.**

ევროკავშირს დამოუკიდებლად არ გააჩნია საკმარისი ინსტრუმენტები პარტნიორი სახელმწიფოების დასახმარებლად, რომ შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების მზარდ გამოწვევებს გაუმკლავდნენ. ერთი მხრივ ევროკავშირი ზრდის თავის ჩართულობას რეგიონში, თუმცა მეორე მხრივ, მისი ინსტრუმენტები ვერ უზრუნველყოფს სტაბილურ და უსაფრთხო გარემოს, ორგანიზაციის პოლიტიკურის მიზნების რეალიზებისათვის. საბოლოოდ, ნატო რჩება ევროკავშირი უსაფრთხოების გარანტორად და არის ერთადერთი აქტორი, რომელსაც შეუძლია რეგიონში ევროპული ინტერესებისა და, პირველ რიგში, ევროკავშირის სამეზობლოს დაცვა.

შემთხვევითი არ არის, რომ ნატოს შავ ზღვასთან დაკავშირებით საკუთარი დღის წესრიგი აქვს და გარკვეულ ნაბიჯებს დგამს პარტნიორი სახელმწიფოების (უკრაინა და საქართველო) თავდაცვის შესაძლებლობების გასაზრდელად. ნატოს 2016 წლის ვარშავის სამიტის დეკლარაციაში ხაზგასმულია შავი ზღვის რეგიონში გარკვეულ საფრთხეებზე რეაგირების მნიშვნელობა, რომლებიც ძირითადად უკავშირდება რუსეთის მიერ ყირიმის ხელში ჩაგდებასა და შემდგომში მიმდინარე სამხედრო გაძლიერების ინტენსიურ პროცესებს. შავ ზღვაზე ნატო წარმოდგენილია სამი სახელმწიფოთი და აქვს სამყოფი სამხედრო ძალა, რომ არ აწუხებდეს თავისი წევრების ტერიტორიული დაცვის საკითხი. მართლაც, ახალი გეოპოლიტიკური რეალობა აჩვენებს, რომ რუსეთის სამხედრო შესაძლებლობამ, რომელიც ყირიმის ანექსიის შემდეგ მოდერნიზებულია, შესაძლოა სერიოზული საფრთხე შეუქმნას ნებისმიერ საზღვაო ფლოტს შავ ზღვაზე და, განსაკუთრებით კი, ევროკავშირის პარტნიორ ქვეყნებს, როგორებიცაა საქართველო და უკრაინა.

მოდერნიზაცია მოიცავს გაძლიერებულ საჰაერო ბაზას, გაუმჯობესებულ ხომალდებს, რომლებიც აღჭურვილია კალიბრის კრუიზით, ახალ ანტი ისაჰაერო და ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტებს, სამ ახალ ფრეგატსა და სხვადასხვა ზომის 30 ახალ ხომალდს. აღნიშნულმა ცვლილებებმა რუსეთს საშუალება მისცა, ძალიან გაურთულოს, ან შეუძლებელი გახადოს ნატოსთვის შავ ზღვაზე პარტნიორების დაცვა მნიშვნელოვანი საავიაციო, საზღვაო და ადამიანური დანაკარგის გარეშე (1). უფრო მეტიც, რუსეთის ყოფნამ სირიაში შეიძლება შეზღუდოს ნატოს დიდი საზღვაო ძალების წვდომა თურქეთის სრუტეებზე, თუ სიტუაცია მოითხოვს ასეთი ოპერაციის ჩატარებას. ჩარლზ ფრატინი III-ის და ჟენევიევ კასაგრანდეს მოსაზრებით, „2017 წლის 5 ივლისისთვის რუსეთის სამხედრო ძალებს გამწვავებული ჰყავთ დაახლოებით 15 საზღვაო ხომალდი, როგორც ხმელთაშუა ზღვის მუდმივ დავალებათა ჯგუფის (MTF) ნაწილი ... და ის გააგრძელებს MTF-ის გამოყენებას ხმელთაშუა ზღვის აუზში რუსეთის სამხედრო გავლენის გასაზრდელად და ამავდროულად, გაზრდის ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში შეერთებული შტატების თავისუფალი მანევრირების რისკებს“ (13). აღნიშნული, რუსეთის აგრესიისას შავი ზღვის პარტნიორების დაცვის საჭიროების შემთხვევაში

დაბრკოლებებს შეუქმნის მოკავშირეთა ხომალდებს თურქულ სრუტეებზე წვდომის მხრივაც. ნატოს ქვეყნების მიერ მონტროს კონვენციის (1936 წ.) შეზღუდვების გადალახვისა და შავ ზღვაზე 2014 წლის გაზაფხულის შემდეგ როტაციული წარმომადგენლობის მცდელობების მიუხედავად, რუსეთის გაზრდილი საზღვაო შესაძლებლობები და დამატებითი საშუალო და გრძელ რადიუსიანი ტაქტიკური რაკეტების განთავსება ყირიმში, ასევე სამხედრო წარმომადგენლობა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე - აფხაზეთსა და ე. წ. სამხრეთ ოსეთში, სერიოზული ეჭვის ქვეშ აყენებს ალიანსის შესაძლებლობას, ხელი შეუშალოს შეიარაღებული კონფლიქტის ინიცირებას რეგიონში. გარდა ამისა, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს აქვს მყარი ხედვა, რომ პარტნიორი სახელმწიფოების უსაფრთხოება წარმოადგენს საკუთრივ ალიანსის უსაფრთხოების მნიშვნელოვან ელემენტს. შესაბამისად, ნატო დაინტერესებულია თავის პარტნიორებთან - საქართველოსა და უკრაინასთან (სავარაუდოდ, მომავალში მოლდოვასთანაც) თანამშრომლობის გაღრმავებითა და მათი სამხედრო შესაძლებლობებისა და გამძლეობის გაზრდით.

რაც შეეხება ამ ქვეყნების ნატოში გაწევრიანებას, ამან შესაძლოა ნატოს მოუტანოს გაზრდილი სახმელეთო შესაძლებლობები (სამხედრო ბაზა, საზღვაო პორტი, ლოჯისტიკა და ინფრასტრუქტურა), თუმცა ასევე შეიცავს რუსეთის მხრიდან შესაძლო ინტერვენციის, ან სხვა ტიპის პროვოკაციის რისკებს. ნატოს ზემოხსენებული ამოცანები სრულად შეესაბამება ევროკავშირის პოლიტიკას. რეგიონში ნატო და ევროკავშირი ერთად იშვიათად მოქმედებენ. ევროკავშირის ბოლოდროინდელი ინტერესი, გააძლიეროს თავისი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა, სხვა თემებთან ერთად, აჩენს ამ ორ ბლოკს შორის თანამშრომლობის გაზრდის საკითხს. გლობალური უსაფრთხოების სტრატეგიის (2016 წ.) მიღების შემდეგ ნატოს ვარშავის სამიტზე (8 ივლისი, 2016წ.) ევროკავშირმა და ნატომ მიიღეს ერთობლივი დეკლარაცია, როგორც ორ ორგანიზაციას შორის თანამშრომლობის ერთ-ერთი მიმართულება და მიზნად დაისახეს „აღმოსავლეთით და სამხრეთით ნატოს და ევროკავშირის პარტნიორების თავდაცვისა და უსაფრთხოების შესაძლებლობებისა და გამძლეობის გაზრდის ხელშეწყობა ცალკეული მიმღები სახელმწიფოთათვის სხვადასხვა სფეროში კონკრეტული პროექტების განხორციელებით. მათ შორის, საზღვაო შესაძლებლობების გაზრდით. დეკლარაციას თან ერთვის ახალი წინადადებების ნაკრები, რომლებიც ფოკუსირებულია საერთო პროექტებსა და აქტივობებზე ჰიბრიდული საფრთხეების საპასუხოდ. ამ ახალ მიდგომაზე დაფუძნებით მოსალოდნელია, რომ მომავალში ნატო და ევროკავშირი ხელს შეუწყობენ საერთო აქტივობებს შავი ზღვის პარტნიორ სახელმწიფოებში.

#### **გაფართოების ახალი პერსპექტივა.**

2003-2007 წლების გაფართოებებმა ევროკავშირში წარმოშვა მცდარი განცდა, რომ რეგიონული მიდგომითა და ფინანსური ინსტრუმენტების ინტენსიური გამოყენებით შესაძლებელია სამიზნე სივრცის სრული ტრანსფორმაცია. ბალკანეთის გაფართოების პოლიტიკამ ნაწილობრივ შეასუსტა ეს მოსაზრება და „მზადყოფი“ სახელმწიფოებისთვის გამოიყენეს თანდათანობით ინტეგრაციის მიდგომა. დასავლეთ ბალკანეთის მიმართ ევროკომისიის უკანასკნელი კომუნიკაცია აჩვენებს ევროკავშირის სურვილს, მოამზადოს და სრულად

შეითვისოს რეგიონი მომავალ ათწლეულში. ამკარაა, რომ ევროკავშირის მმართველობის გავრცელება (რომელიც აპრიორი არ გულისხმობს გაფართოებას) წარმოადგენს კავშირების, თანამშრომლობის ფორმატების, თავისუფალი ვაჭრობისა და ა.შ. განვითარების გზით რეგიონის ჰომოგენიზაციის, ევროპეიზაციის, კონსოლიდაციისა და შიდა ინტეგრაციის პოლიტიკას. სერბეთ-კოსოვოს პრობლემის მიუხედავად, ევროკავშირს მაინც აქვს წარმატება დასავლეთ ბალკანეთის რეფორმირების საქმეში, რასაც ადასტურებს რეგიონთან მიმართებით ორგანიზაციის სრულფასოვანი გაფართოების საკითხიც. „გაფართოება“, როგორც „ტერიტორიული ექსპანსია, „არასდროს იყო ევროკავშირის მთავარი მოტივაცია. თავდაპირველად უპირატესობა მიენიჭა სავაჭრო ბარიერების მოხსნისა და ეკონომიკური ინტეგრაციის პრაგმატულ მიზნებს.

გაფართოების მეხუთე ტალღა განპირობებული იყო უსაფრთხოების გამოწვევებითა და აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში კომუნისტური მმართველობის დაბრუნების შიშით. დასავლეთ ბალკანეთისთვის ევროპული პერსპექტივის მინიჭების გადაწყვეტილება მიზნად ისახავდა სამხრეთ-აღმოსავლეთით სტაბილური და მშვიდობიანი სამეზობლოს განმტკიცებას, რომლის მიღწევა შესაძლებელი იყო მხოლოდ „გაწევრიანების შეთავაზებით“. ყველა შემთხვევაში, გაფართოების პროცესი ხელს უწყობს შესაბამისი სახელმწიფოების დემოკრატიულ ტრანსფორმაციასა და სწრაფ ეკონომიკურ განვითარებას. ევროკავშირის მმართველობის დამყარება და ფუნქციური ინტეგრაცია არის ორგანიზაციის საბოლოო მიზანი აღმოსავლეთ ევროპაში. როგორც ჩანს, ამის მიღწევა ჩაფიქრებული იყო სხვა (არა გაფართოების) საშუალებებითაც, წევრობის შეთავაზების გარეშე. თავდაპირველად პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებები, ევროპის სამეზობლო პოლიტიკა და აღმოსავლეთ პარტნიორობა შეიქმნა იმ პირობით, რომ მეზობელი სახელმწიფოები თანახმანი იყვნენ ევროკავშირის მმართველობის სისტემისა და თანდათანობითი ფუნქციური ინტეგრაციის მიღებით, საბოლოო გაწევრიანების ამბიციის გარეშე. ეს ლოგიკური და რეალისტური შესაძლებლობა იქნებოდა, თუმცა არა - თანდათანობით გაუარესებული უსაფრთხოების გარემოში. რადგან შავი ზღვა ხდება ევროკავშირის ინტერესის სფერო, ტრანსფორმაციის პროცესის წინ წაწევა, ევროპეიზაცია, ლიბერალიზაცია და (ევროკავშირის) ოთხი თავისუფლების გავრცელება, რომლებიც იწვევს ქვეყნების ევროკავშირთან ფუნქციურ ინტეგრაციას, გეოპოლიტიკურად და უსაფრთხოების მიზეზების გათვალისწინებით, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება გაფართოების ახალი პოლიტიკის გარეშე.

ევროკავშირისთვის ეგზისტენციალურად მნიშვნელოვანია შავი ზღვის არაწევრი სახელმწიფოების ფუნქციური ინტეგრაცია, განსაკუთრებით კი უკრაინის და საქართველოსი, რადგან ამათგან პირველი, ევროკავშირის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ყველა წევრი ქვეყნისთვის წარმოადგენს ბუფერულ სახელმწიფოს, ხოლო მეორე, ხიდია შავ ზღვასა და კასპიის ზღვას შორის. ასეთი გეოპოლიტიკური დაყოფა და რეგიონში გავლენისთვის გაზრდილი კონკურენცია მოითხოვს მაქსიმალურ ძალისხმევას, ქვეყნებში რეფორმების შენარჩუნებისა და მოტივაციისათვის, რომ „ევროკავშირთან ყოფნა ჯობია სხვებთან ყოფნას“. აღნიშნულმა გარემოებამ შესაძლოა აიძულოს ევროკავშირი, გადახედოს თავის ძველ მიდგომას და დაიწყოს სამომავლო გაფართოება შავი ზღვის მიმართულებით.



თუ ევროკავშირი გამოიჩენს გაფართოების ამბიციას შავ ზღვაში, მან მხედველობაში უნდა მიიღოს ის გარემოება, რომ აღარ იქნება „მთელი რეგიონის წაღების“ შესაძლებლობა და წააწყდება დიდ წინააღმდეგობას, რომელიც პრობლემებს შეუქმნის ამ პროცესს. ამასთან, უსაფრთხოების გამოწვევა იქნება რეალური. შესაბამისად, გაფართოების პოლიტიკის მიდგომის გადახედვასთან დაკავშირებით, ევროკავშირს მართებს სერიოზული დაფიქრება და მთლიანად შავი ზღვის პოლიტიკის სეკურიტიზაცია. მან ამავდროულად, დასახული მიზნების მისაღწევად, უნდა იზრუნოს თავისი უსაფრთხოების დაცვის შესაძლებლობების გაზრდაზეც.

### **დასკვნა და რეკომენდაციები**

- შავი ზღვის მიმართულების პოლიტიკის შენარჩუნებისთვის ევროკავშირს სჭირდება უსაფრთხოების დამატებითი ინსტრუმენტები პარტნიორი სახელმწიფოების გამძლეობის გასაზრდელად და მათი ევროპული მისწრაფებების შესანარჩუნებლად, რისი მიღწევაც ევროკავშირს დამოუკიდებლად გაუჭირდება.

- რეგიონში უსაფრთხოების განმტკიცებისა და ევროკავშირის ტრანსფორმაციული ძალის უფრო ეფექტური გამოყენებისთვის საჭირო იქნება ევროკავშირ-ნატოს გაძლიერებული კოორდინაცია. ევროკავშირს ასევე დასჭირდება გაძლიერებული პოლიტიკის ინსტრუმენტების შემოღება, მათ შორის, ასოცირებული სახელმწიფოებისთვის - მოლდოვის, საქართველოსა და უკრაინისთვის - წევრობის პერსპექტივის მინიჭება და სამმხრივი რეგიონული ფორმატის ჩამოყალიბება, რომლის მიზანიც იქნება ევროკავშირთან თანდათანობითი ფუნქციური (საბოლოოდ - ინსტიტუციური) ინტეგრაცია.

- რუსეთის გაძლიერებული წნეხის გამო, შესაძლოა, შემცირდეს შავ ზღვაზე ევროკავშირის პარტნიორი სახელმწიფოების ევროატლანტიკური ინტეგრაციის მოტივაცია. ამ თვალსაზრისით, შეიძლება საკმარისი არ აღმოჩნდეს ელიტებისთვის „პოლიტიკური ასოცირებისა და უფრო ღრმა ეკონომიკური ინტეგრირების“ მიზანი, რომ შეძლოს ამ კუთხით საზოგადოებრივი ინტერესის საკმარის დონეზე შენარჩუნება. ახლად ასოცირებული სახელმწიფოების ევროკავშირში გაწევრიანების შესაძლებლობას კერძოდ კი, ევროპული პერსპექტივის მინიჭებას, მნიშვნელოვანი გავლენა ექნება მათ მოსახლეობაზე და გაზრდის მათ მისწრაფებებსა და მედეგობას.

- ევროკავშირმა, ასოცირებული ქვეყნებისთვის ევროპული პერსპექტივის მინიჭებასთან ერთად, საკანონმდებლო რეფორმების ადეკვატური მხარდაჭერისთვის, რაც ითვალისწინებს ევროკავშირის *acquis* მაქსიმალურად ბევრი ელემენტის შესაბამისობას ეროვნულ საკანონმდებლო ჩარჩოსთან, თანდათან უნდა შემოიღოს ახალი ფინანსური ინსტრუმენტები, განსაკუთრებით, აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოებისთვის და ისინი უნდა გამოთიშოს ENI-სგან, ან ეს ქვეყნები უნდა აქციოს IPA II-ის ბენეფიციარებად.

- შავ ზღვის რეგიონული ინტეგრაცია არ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ინკლუზიური შესაძლებლობა. საჭიროა ასოცირებული სახელმწიფოების - საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის მხარდაჭერა თანამშრომლობის რეგიონული ფორმატის - საერთო ეკონომიკური სივრცის (CEA) შექმნის საქმეში იმისათვის, რომ მოხდეს მათი საკანონმდებლო რეფორმების პოლიტიკის ჰარმონიზება და ასევე ეკონომიკური თანამშრომლობის წახალისება. CEA-ს შეუძლია ევროკავშირთან

ინსტიტუციური კავშირების ჩამოყალიბება და ევროპის ეკონომიკური სივრცე პლუსში (EEA+) გადაზრდა, რომელმაც შესაძლოა მოიცვას შავი ზღვის წვერი საზღვაო ქვეყნები, თურქეთი, რომელიც, იმედია, ევროპული ინტეგრაციის იდეის ერთგული დარჩება, და დასავლეთ ბალკანეთის კანდიდატი და პოტენციური კანდიდატი სახელმწიფოები (მათი უმრავლესობა ამა თუ იმ ფორმით ჩართულია შავი ზღვის რეგიონის თანამშრომლობაში).

- საჭიროა უკრაინისა და საქართველოს ცენტრალური ევროპის თავისუფალი ვაჭრობის სივრცეში (CEFTA) გაერთიანების შესაძლებლობის მხედველობაში მიღება. EEA+ დაეხმარება აღნიშნულ ქვეყნებს ევროკავშირთან ურთიერთობების გაღრმავებაში და გაზრდის ევროპული ინტეგრაციის ამოცანების გადაწყვეტაში მეტი კოორდინაციისა და ურთიერთდახმარების შესაძლებლობას.

- ახლადსაოცირებელი სახელმწიფოების (NAS) უსაფრთხოების გამოწვევების მიმართ გამძლეობის ასამაღლებლად, ევროკავშირმა უნდა გაზარდოს მათთან თანამშრომლობა საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის (CSDP) ფარგლებში, განსაკუთრებით კი, მუდმივი კონსულტაციისა და ინფორმაციის გაცვლის არხის შექმნით ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: ბრძოლა და თავდაცვა ჰიბრიდული საფრთხეების, ტერორიზმის, პროპაგანდის, კიბერშეტევებისა და ა.შ. წინააღმდეგ. თავდაცვისა და უსაფრთხოების სტრუქტურებს შორის თანამშრომლობა უნდა გახდეს პრიორიტეტი. ევროკავშირის საერთო მოქმედების (EU Joint Action) ფარგლებში შესაძლებელია ჰიბრიდული უსაფრთხოების რეგიონული ცენტრის შექმნა, მაგალითად, ბათუმში, (საქართველოში), ან ოდესაში (უკრაინაში) და კვლევის კომპონენტთან ერთად, NAS-ის მაღალჩინოსნებისთვის სასწავლო ცენტრის ჩამოყალიბება.

- საჭიროა აღმოსავლეთ პარტნიორობის მრავალმხრივი განზომილებისა და ექვსივე პარტნიორი სახელმწიფოს ჩართულობის შენარჩუნება. აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოების ევროპული მისწრაფებების დონეებს შორის განსხვავებების მხედველობაში მიღებით აუცილებელია, ევროკავშირსა და NAS-ს შორის თანამშრომლობის დამატებითი ფორმატის შემოღება. ეს შეიძლება იყოს EAP+ ფორმატი, რომლის განხილვაც უკვე მოხდა ევროკავშირის ინსტიტუტების ფარგლებში. ასეთი ფორმატი გაზრდიდა რეგიონულ თანამშრომლობას ევროკავშირსა და NAS-ს შორის.

- შავ ზღვაზე უსაფრთხოების მზარდი გამოწვევების გადაჭრის გარეშე რთული იქნება აღმოსავლეთ პარტნიორობის, ან რეგიონში სხვა პოლიტიკის საბოლოო წარმატების მიღწევა. ევროკავშირი, მიუხედავად უსაფრთხოების აქტორად ჩამოყალიბების მზარდი ამბიციისა, ახლო მომავალში ვერ შეძლებს შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების უზრუნველყოფას. ამავე დროს, ევროკავშირი და ნატო სინერგიული მოქმედებით შეძლებდნენ ყველა საშუალების (რბილი და ხისტი) უზრუნველყოფას შავი ზღვის პარტნიორების მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვისათვის. ამგვარი თანამშრომლობის ერთ-ერთი სახე შეიძლება იყოს რეგიონში უსაფრთხოების დაცვისათვის ევროკავშირ-ნატოს საერთო ფონდის შექმნა. მისი გამოყენება შესაძლებელი იქნებოდა პარტნიორი სახელმწიფოების უსაფრთხოებისა და თავდაცვის შესაძლებლობების გაზრდის საერთო პროექტების დასაფინანსებლად, რაც მოიცავს საერთო დაგეგმვისა და თავდაცვა-უსაფრთხოების პერსონალის შესაძლებლობების გაზრდის ტრენინგებსა და წვრთნებს და NAS-ის

ქვეყნებისთვის აღჭურვილობის, შეიარაღებისა და ტექნოლოგიების/ნოუ-ჰაუს შეძენას.

- ორივე ორგანიზაციისთვის - ნატოსთვისაც და ევროკავშირისთვისაც - პრიორიტეტული უნდა გახდეს ჰიბრიდულ საფთხებთან ბრძოლაში თანამშრომლობა. მათ უნდა გაავრცლონ ეს თანამშრომლობა საერთო ქმედებებსა და ნატოს ვარშავის სამიტზე შემოთავაზებულ პროექტებში შავი ზღვის რეგიონის პარტნიორების ჩართულობით, აღმოსავლეთითა და სამხრეთით პარტნიორი სახელმწიფოების თავდაცვისა და უსაფრთხოების შესაძლებლობების გასაზრდელად.

## ბიბლიოგრაფია

1. Coalson, Robert. 2017. News Analysis: Russian Buildup Focuses Concerns around the Black Sea, Radio Free Europe/Radio Liberty. Retrieved from: <https://www.rferl.org/a/russia-black-sea-military-buildup-turkey/27569877.html>.
2. COMMISSION OF THE EUROPEAN COMMUNITIES, 2015. COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE COUNCIL AND THE EUROPEAN PARLIAMENT BLACK SEA SYNERGY - A NEW REGIONAL COOPERATION INITIATIVE. Retrieved from: [http://eeas.europa.eu/archives/docs/enp/pdf/pdf/com07\\_160\\_en.pdf](http://eeas.europa.eu/archives/docs/enp/pdf/pdf/com07_160_en.pdf).
3. Danube Region. 2009. Funding Private Sector. Retrieved from: <https://www.danube-region.eu/funding/private-sector-2>
4. EC Communication. 2018. A Credible Enlargement Perspective for and Enhanced EU Engagement with the Western Balkans. Strasbourg. Retrieved from: [https://ec.europa.eu/commission/sites/betapolitical/files/communication-credible-enlargement-perspective-western-balkans\\_en.pdf](https://ec.europa.eu/commission/sites/betapolitical/files/communication-credible-enlargement-perspective-western-balkans_en.pdf).
5. EU, 2020. Communication from the Commission to the European Parliament and the Council - Eastern Partnership. Retrieved from: <https://eur-lex.europa.eu/legalcontent/EN/TXT/HTML/?uri=CELEX:52008DC0823&from=EN>.
6. European Council, 2016. Joint Declaration by the President of the European Council, the President of the European Commission and the Secretary General of the North Atlantic Treaty Organization. Retrieved from: <http://www.consilium.europa.eu/media/21481/nato-eu-declaration-8-july-en-final.pdf>.
7. EU. 1997. EC Communication on Regional Cooperation in the Black Sea Area: State of Play, Perspectives for EU Action Encouraging its Further Development (Doc. COM (97) 579 Final, Brussels.

8. EU, 2007. European Neighborhood Policy Two Years On: Time Indeed for an ENP Plus (2007). Retrieved from: <https://www.ceps.eu/system/files/book/1479.pdf>.
9. EU, 2001. EU Energy Policy. Retrieved from: [https://ec.europa.eu/energy/sites/ener/files/documents/2a\\_EE%20progress%20report%20-%20CSWD%20part%201.pdf](https://ec.europa.eu/energy/sites/ener/files/documents/2a_EE%20progress%20report%20-%20CSWD%20part%201.pdf).
10. Gogolashvili, K. 2016. Georgia-EU Relations and Future Perspectives. GCSD.
11. Gogolashvili, K. 2017. Georgia-EU Relations and Future Perspectives, GCSD. Retrieved from: <http://www.gcsd.org.ge/uploads/tinyMCE/documents/EUGeorgia%20Relations%20and%20Future%20Perspectives.pdf>
12. Gotkowska, Justyna. 2010. Germany and the Eastern Partnership. Retrieved from: <https://www.osw.waw.pl/en/publikacje/osw-commentary/2010-06-18/germany-and-eastern-partnership>
13. Frattini, Charles. Casagrande, Gevevieve. 2017. Russia's Mediterranean Threat to NATO, Institute for the Study of War. Retrieved from: <http://iswresearch.blogspot.com/2017/07/russias-med-threat-to-nato.html>
14. Konarzewska, N. 2016. A New Balance of Power in the Black Sea? CACI Analyst. Retrieved from: <https://www.cacianalyst.org/publications/analytical-articles/item/13393-a-new-balance-of-power-in-the-blacksea?.html>.
15. Lutzkanova, S. 2017. NATO and EU Strategies for the Black Sea Region: The Challenge of a Power Balance in a New Security Environment. Journal of Shipping and Ocean Engineering.
16. Manoli, Panagiota. 2014. Regional Cooperation in the Black Sea. Commissioned Paper for the Black Sea Trade and Development Bank, University of the Aegean. Retrieved from: [https://www.bstadb.org/publications/Regional Cooperation in the Black Sea.pdf](https://www.bstadb.org/publications/Regional%20Cooperation%20in%20the%20Black%20Sea.pdf).
17. NATO, 2018. Joint Declaration by the President of the European Council, the President of the European Commission and the Secretary General of the North Atlantic Treaty Organization. Retrieved from: [https://www.nato.int/cps/ic/natohq/official\\_texts\\_133163.htm](https://www.nato.int/cps/ic/natohq/official_texts_133163.htm).
18. TACIS, ENPI. 2014. Main financial instruments: TACIS, ENPI (later and since 2014, ENI). TransportCorridorEurope-Caucasus-Asia.

19. Tsantoulis, Yannis. 2009. Black Sea Synergy and the Eastern Partnership: Different Centers of Gravity? Complementarity or Confusing Signals? Policy Brief # 12, Retrieved from: [https://www.files.ethz.ch/isn/104869/PB\\_12.pdf](https://www.files.ethz.ch/isn/104869/PB_12.pdf)

**Nika Chitadze**

Caucasus International University  
International Black Sea University  
Center for International Studies

## **Geopolitical Interests of EU in the Black Sea Region**

### **Abstract**

EU has its own geopolitical interests in the Black Sea region. Particularly:

EU import oil and gas from the Russia, Persian Gulf and North Africa, which are politically unstable regions. Therefore, EU is looking for alternative sources for its oil and gas imports. In this regard, Black Sea/Caspian Region can play significant role for energy projects implementation process in favor of European Union.

EU structures have their commercial interests in the Region. Enlargement of commercial activities of the European companies in Black Sea Region, important investments and installation of modern European technologies will bring the increasing of political influence of EU in the Black Sea/Caspian Region.

Channeling social movements and public outrage and proper leveraging of social and civil capital to fight corruption, Use of total restructure as tool, limiting extensive bureaucracy, economic freedom specially business freedom, exiting the system of crony capitalism with appropriate structural reforms in tax, currency, banking and Customs, defending private property, forming e-government and single window system in public services are reported as successful strategies to be further studied for use in localized Iranian anti-corruption management models.

## **ჩინეთის პოლიტიკური გავლენის ზრდა ახლო აღმოსავლეთში ირან- ჩინეთის ურთიერთობის მაგალითზე**

ჩინეთსა და ირანის ისლამური რესპუბლიკის ურთიერთობები მოიცავს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ თანამშრომლობის სფეროებს. თანამშრომლობა ჩინეთსა და ირანს შორის 1979 წლის ირანის ისლამური რევოლუციის შემდეგაც დღემდე ინტენსიურად გრძელდება. ამ ქვეყნებს შორის ოფიციალური ურთიერთობები დაიწყო ბევრად ადრე, კონკრეტულად 1937 წელს. ეს ურთიერთობები შორეული წარსულიდან იღებს სათავეს. ამ ორ ცივილიზაციას აქვს კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია. ის უკავშირდება აბრეშუმის გზას. ჩინეთი და ირანი დღემდე ინარჩუნებენ სტრატეგიულ პარტნიორობას.

ამ ორ ქვეყანას შორის კავშირები შენარჩუნდა ირანის ისლამური რესპუბლიკის ჩამოყალიბების პერიოდიდანაც (1979 წლიდან) (1). ამ სტატიაში ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ამ ორი ქვეყნის ურთიერთობის უახლოეს პერიოდზე. კონკრეტულად კი, ბოლო რამდენიმე წლის ამბებზე. სანამ უშუალოდ კვლევაში დასმულ ძირითადად საკითხებზე გადავალთ, მანამ მოკლედ მიმოვიხილავთ წინა პერიოდსაც.

უნდა აღინიშნოს, რომ ირანმა და ჩინეთმა 2015 წელს ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც ეხებოდა სავაჭრო ურთიერთობებს და რომლის ღირებულებაც 600 მილიარდ დოლარამდე გაიზრდებოდა ათი წლის განმავლობაში\_ ანუ 2016 წლის იანვრიდან. ჩინეთის ლიდერი სი ძინ პინი ეწვია ირანის პრეზიდენტ ჰასან როუჰანს, რომლებმაც განიხილეს ამ სავაჭრო შეთანხმების პირობები და მისი და დასახეს მისი განხორციელების გზები. ეს შეთანხმება შეესაბამებოდა ერთი სარტყლის იდეას. მას შემდეგ ამ ორ ქვეყანას შორის სულ გაფორმდა 17 შეთანხმება. მათგან ერთ-ერთ ეხებოდა ირანის ბირთვულ პროგრამას. სხვა შეთანხმების მიხედვით ჩინელები ხელს შეუწყობენ თეირანის მაშჰადთან დაკავშირებას მათი მაღალსიჩქარიანი სარკინიგზო მაგისტრალით(3). აღსანიშნავია, რომ 2020 წლის ივნისში, ირანი იყო ერთ-ერთი 53 ქვეყანიდან, რომელმაც მხარი დაუჭირა ჰონგკონგის ეროვნული უსაფრთხოების კანონს გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოში ( 2).

ირან-ჩინეთის ეკონომიკური ურთიერთობების ერთ-ერთი მთავარი საყრდენი ნავთობი და ბუნებრივი აირია. 2011 წელს ჩინეთის ნავთობის იმპორტის დაახლოებით 10% იყო ირანიდან. ამ ქვეყნიდან ჩინეთის მთლიანი იმპორტის

დაახლოებით 80% ნავთობზე მოდის, დანარჩენი კი მინერალური და ქიმიური პროდუქტებია. ირანულ ნავთობსა და ბუნებრივ აირზე დამოკიდებულების გამო ჩინეთი ინვესტიციებს დებს ირანის ნავთობისა და ბუნებრივი აირის სექტორის მოდერნიზაციაში, რათა უზრუნველყოს ამ რესურსზე მეტად წვდომა. ჩინეთის ნავთობის ეროვნულ კორპორაციას (CNPC) გადაეცა 85 მილიონ დოლარიანი კონტრაქტი ბუნებრივი აირის საბადოების 19 ჭაბურღილზე სამუდამოდ სამხრეთ ირანში. ამას გარდა ხელი მოაწერა კიდევ ერთ მსგავს, 13 მილიონი დოლარის კონტრაქტს. ირანსა და ჩინეთს შორის 2004 წელს მიღწეული იქნა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ჩინეთი 30 წლის განმავლობაში 270 მილიონი ტონა ბუნებრივ აირს შემოიტანდა სამხრეთ ირანის საბადოებიდან, რომელიც არის მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ბუნებრივი გაზის საბადოები, 70 მილიარდ დოლარად. კიდევ ერთი ჩინური კომპანია, Sinopec Group, იღებს ნახევარ წილს იარდარვარანის ნავთობის საბადოებიდან, რომლის ღირებულებაა დაახლოებით 100 მილიარდი აშშ დოლარი (4).

უფრო ადრე, 2007 წელს, ხელი მოეწერა 3,6 მილიარდი დოლარის ღირებულების ხელშეკრულებას ირანში ოფშორული გაზის საბადოების ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის. მათ შორის ხელმოწერილი იქნა კიდევ 2 მილიარდ დოლარიანი კონტრაქტი ჩრდილოეთ ირანის ნავთობის საბადოსთან დაკავშირებით. ჩინეთი არა მხოლოდ ეხმარება ეხმარება ირანს ნავთობისა და გაზის სექტორის განვითარებაში, არამედ ის მხარს უჭერს ირანის ამბიციებს მილსადენებით სამხრეთ ირანის პორტებში კასპიის ზღვის ნავთობისა და გაზის გატანაზე, რათა ამ ბუნებრივი რესურსების ევროპასა და აზიაში ექსპორტზე გატანა მოხდეს. ირანი ხელს უწყობს ნავთობის გაყიდვას ჩინეთში, რათა ამით უზრუნველყოს თავისი კეთილდღეობა (3).

მნიშვნელოვანია, რომ ჩინეთი ირანს მიიჩნევს მუდმივ პარტნიორად მისი ექსპორტისთვის და ენერგორესურსების მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილების ერთ-ერთ წყაროდ. 2004 წლის ჩინურმა სახელმწიფო კომპანიამ ხელი მოაწერა 25 წლიან კონტრაქტს ირანიდან 110 მილიონი ტონა თხევადი ბუნებრივი აირის (LNG) იმპორტის შესახებ. ამას მოჰყვა მეორე კონტრაქტი Sinopec-სა და Iran LNG-ს შორის, რომელიც გაფორმდა იმავე წლის ოქტომბერში. 100 მილიარდი დოლარის ღირებულების გარიგებას დამატებით 250 მილიონ ტონა LNG-ს უმატებდა ჩინეთის ენერგომომარაგებისათვის. 2009 წლის იანვარში ირანმა და ჩინეთმა ხელი მოაწერეს 1,76 მილიარდი დოლარის კონტრაქტს დასავლეთ ირანში ჩრდილოეთ აზადეგანის ნავთობის საბადოს განვითარებისთვის. იმავე წლის მარტში ამ ორმა ქვეყანამ დადო სამწლიანი ხელშეკრულება 3,39 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობით თხევადი ბუნებრივი აირის მოპოვებაზე ირანის სამხრეთ პარსის ბუნებრივ გაზზე. ირანისათვის დაწესებული სანქციებიდან გამომდინარე, ნავთობპროდუქტების გადამუშავების შეზღუდული შესაძლებლობების გამო, ირანი ამ პროდუქტების მესამედს, ისეთს, როგორცაა ბენზინი, ჩინეთიდან შემოიტანდა (5).

2011 წელს პეკინმა და თეირანმა ხელი მოაწერეს ვრცელ შეთანხმებას, რომელმაც ჩინეთს მისცა განსაკუთრებული უფლებები ირანის ნავთობისა და ბუნებრივი აირის რამდენიმე საბადოზე 2024 წლამდე. ამ შეთანხმების პირობების თანახმად, ირანი ჩინურ ნავთობკომპანიებს განსაკუთრებული უფლება მიანიჭა ამ ქვეყნის სამ დიდ რეგიონში საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობის უფლებით. სანაცვლოდ ჩინეთი დაპირდა ირანს, რომ ნებისმიერი საგარეო თავდასხმა ამ რეგიონებზე განიხილება ჩინეთის მიერ, როგორც თავდასხმა საკუთარი სუვერენული ტერიტორიის მიმართ და დაიცავდა მათ უსაფრთხოებას (4). ამ წელს ირანსა და ჩინეთს შორის ტვირთბტუნვამ 45 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია. მომდევნო წელს კი ეს რიცხვი 50 მილიარდ აშშ დოლარამდე გაიზარდა (5).

გარკვეული პერიოდის მანძილზე ირანსა და ჩინეთს შორის იყო არაოფიციალური სავაჭრო ურთიერთობები, რომელიც დროთა განმავლობაში შეიცვალა და გაიზარდა კიდევ (7). 2005 წელს ჩინეთიდან ირანში ექსპორტი შეადგენდა 8,3%-ს. ირანის იმპორტი ჩინეთიდან თანდათანობით გაიზარდა.

მომგებიანი სავაჭრო ურთიერთობების გამყარებისათვის ჩინეთმა ინვესტიცია ჩადო თეირანის მეტროპოლიტენის სისტემებში, კაშხლებში, თევზჭერასა და ცემენტის ქარხნებში. ხოლო ირანი დაეხმარა ჩინეთს მისთვის საჭირო მინერალების, ნახშირის, თუთიის, ტყვიის და სპილენძის მიწოდებაში (6). ორ სახელმწიფოს შორის ვაჭრობა ასევე მოიცავს სამთო და სატრანსპორტო აღჭურვილობას და ასევე ავტო ნაწილებს, სათამაშოებს და ა. შ. ირანი სავსეა ჩინური პროდუქციითა და მანქანებით (6). ალი აკბარ სალეჰიმი, ირანის ყოფილმა წარმომადგენელმა ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოში, განაცხადა, რომ ეს ორი ქვეყანა (ირანი და ჩინეთი) "ერთმანეთს ავსებენ. მათ (ჩინეთს) აქვთ მრეწველობა და ჩვენ (ირანს) გვაქვს ენერჯორესურსები" (6).

მნიშვნელოვანია, რომ 2016წელს ორი სახელმწიფოს მეთაურმა გაცვალეს აზრები ორმხრივი ურთიერთობების ყველა სფეროში თანამშრომლობის შესახებ და ამით მიაღწიეს ვრცელ შეთანხმებებს.

ტვირთები ჩვეულებრივ იგზავნება ჩინეთიდან ირანში და პირიქით. ასევე შესაძლებელია ორ ქვეყანას შორის გადაადგილება მატარებლით, ყაზახეთისა და თურქმენეთის გავლით. 2016 წელს პირველი პირდაპირი საკონტინერო მატარებელი ივიუს (ჟეჯიანის პროვინცია) და თეირანს შორის აზიის გავლით მანძილი 14 დღეში დაფარა. ირანელები და ჩინელები ამჟამად ახდენენ რელსების განახლებას ურუმჩის თეირანთან დასაკავშირებლად, აგრეთვე ყაზახეთის, ყირგიზეთის, უზბეკეთისა და თურქმენეთის დასაკავშირებლად. 2016 წლის შანხაიდან თეირანში ტვირთის გადატანას 12 დღე დასჭირდა, მაშინ როცა საზღვაო გზით 30 დღე იყო საჭირო (3).

2018 წლის მაისში ჩინეთმა დაგეგმა ახალი სატვირთო მატარებლის ხაზის აგება ირანთან. ახალმა სატვირთო მატარებელმა მუშაობა დაიწყო 2018 წლის 10 მაისს, ამ სარკინიგზო ხაზმა დააგაკავშირა ეს ორი ქვეყანა. იგი მიემართებოდა ჩრდილოეთ

ჩინეთის ქალაქ ბაიანურიდან ირანის დედაქალაქ თეირანში, სადაც 20 დღეში ჩავიდა.

2020 წელს კი ამ ქვეყნებს შორის ხელი მოეწერა შეთანხმება, რომელიც ეხებოდა ერთი სარტყელი ერთი გზიდ იდეას. 2020 წლის დოკუმენტმა აჩვენა, რომ ორ ქვეყანას შორის განხორციელდება 25-წლიანი სტრატეგიული პარტნიორობა, რომელშიც ჩინეთი ინვესტიციებს ჩადებს ირანში ტრანსპორტსა და საზღვაო ნავსადგურებში. სანაცვლოდ, ირანმა უნდა უზრუნველყოს თავისი ნავთობის რეგულარული მიწოდება ფასდაკლებით. უპირველეს ყოვლისა, ამ შეთანხმების დადების მიზეზად მიიჩნევა ამ რეგიონში მეტოქეობა აშშ-ს და ჩინეთს შორის. აშშ არის ირანის მთავარი მოწინააღმდეგე, ხოლო ჩინეთი, ირანის მთავარი მხარდამჭერი (5).

ირანის პრეზიდენტი ებრაჰიმ რაისი 2021 წელს ატარებს „აღმოსავლეთისკენ“ პოლიტიკას ჩინეთთან და რუსეთთან კავშირების გაღრმავების მიზნით. თეირანი შეუერთდა შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციას 2021 წლის სექტემბერში. 2022 წლის იანვარში ირანმა, ჩინეთმა და რუსეთმა ჩაატარეს მესამე ერთობლივი საზღვაო წვრთნები ინდოეთის ოკეანეში. სამმა ქვეყანამ ერთობლივი საზღვაო წვრთნები 2019 წელს დაიწყო ინდოეთის ოკეანეში და ომანის ზღვაში. ამ წვრთნების მიზანია რეგიონში უსაფრთხოებისა და მისი საფუძვლების გაძლიერება და სამ ქვეყანას შორის მრავალმხრივი თანამშრომლობის გაფართოება, რათა ერთობლივად მხარი დაუჭირონ მსოფლიო მშვიდობას(1).

ირანსა და ჩინეთს შორის პირდაპირი ბირთვული თანამშრომლობა დასრულდა, მაგრამ არსებობს ვარაუდი, არსებობს თუ არა არაპირდაპირი ბირთვული თანამშრომლობა. მაგალითად, 2005 წელს შვიდი ჩინური ფირმა იყო ექვმიტანილი ბირთვული იარაღის ტექნოლოგიის გაყიდვაში და შვიდივე მათზე სანქციები დაწესდა. ამ ფირმებს ორი წლით აკრძალა ვაჭრობა შეერთებულ შტატებთან.

2021 წლის 16 ნოემბერი შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა და ჩინეთის პრეზიდენტმა სი ძინპინმა ისაუბრეს თავიანთ პოზიციებზე ირანთან 2015 წლის ბირთვული შეთანხმების აღდგენის შესახებ მოლაპარაკებების განახლების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთი მხარს უჭერს შეთანხმების აღორძინებას.

რაც შეეხება, ბოლო დროინდელ ურთიერთობებს 2021 წლის 27 მარტს 7 მარტს ირანმა და ჩინეთმა ხელი მოაწერეს სადავო გრძელვადიან შეთანხმებას ორმხრივი ურთიერთობების შესახებ. შეთანხმების დეტალები არ გაუსაჯაროებიათ, მაგრამ ვარაუდობენ, რომ ის შეიცავს ჩინეთის ინვესტიციებს ირანის ენერჯეტიკისა და ინფრასტრუქტურის სექტორებში. ჩინეთი ირანის მთავარი სავაჭრო პარტნიორი და საკვანძო მნიშვნელობის ბაზარია ირანის ენერგომატარებლების ექსპორტისთვის, რომელიც სერიოზულად შეაფერხა აშშ-ის სანქციებმა.

ორ ქვეყანას შორის შეთანხმებას ხელი მოაწერეს ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯავად ზარიფმა და მისმა ჩინელმა კოლეგამ, ვან იმ. ირანის სახელმწიფო ტელევიზიამ შეთანხმებას უწოდა „25-წლიანი სტრატეგიული თანამშრომლობის

ხელშეკრულება“. ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა, საიდ ხატიბზადემ ხელმოწერამდე თქვა, რომ დოკუმენტი შეიცავს „პოლიტიკურ, სტრატეგიულ და ეკონომიკურკომპონენტებს. როგორც ვარაუდობენშეთანხმებით გათვალისწინებულია ასევე ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაძლიერება სამხედრო და უსაფრთხოების სფეროებში(1).

## ბიბლიოგრაფია

1. "Iran-China to sign 25-year cooperation pact: Tehran". Arab News. 27 March 2021. Retrieved 27 March 2021.
2. Saleh, Alam; Yazdanshenas, Zakiyeh (9 August 2020). "Iran's Pact With China Is Bad News for the West". Foreign Policy.
3. "Iran and China conduct naval drill in Gulf". Reuters. 18 June 2017. Retrieved 9 January 2020.
4. "Iran and China to expand trade relations", Payvand, 4 January 2012
5. "Iran, China and Russia hold naval drills in north Indian Ocean". Reuters. 21 January 2022
6. "China's Iran oil imports hit two-month high in June: customs". Reuters. 21 July 2015.
7. [https://en.wikipedia.org/wiki/China%E2%80%93Iran\\_relations#Modern\\_China](https://en.wikipedia.org/wiki/China%E2%80%93Iran_relations#Modern_China)

Tamta Kodua

Caucasus International University

## **The rise of Chinese political influence in the Middle East on the example of Iran-China relations**

### **Abstract**

The government of the People's Republic of China is interested in deepening political and economic relations with the countries of the Middle East region, including the Islamic Republic of Iran.

This interest is driven by the strengthening of its political influence in this region, which has been driven by the growth of its interests in this region over time. China is making every effort to establish as close a political and economic relationship as possible with as

many countries as possible in this region, which will help, as I have already mentioned above, significantly strengthen this country's influence in the region.

In my article I will focus on the recent expansion of relations between China and the Republic of Iran. Before moving on to the main issue, I would like to point out that China has become significantly more active in relation to Iran since 2016 after the gradual lifting of sanctions on Iran.

It is noteworthy that based on the relations between the two countries, China supports the maintenance and implementation of the joint action plan of the nuclear agreement reached with Iran.

China wants to strengthen coordination with Iran on cooperation within the organization within the organization, as well as in other international structures, in order to jointly ensure the observance of the basic norms of international law that unite states with common interests. In addition, the relations between the two countries are crucial, with a total of 25 years of negotiations concluded on March 27, 2021, which will bring Iran and China closer together.

This agreement caused some consternation in Iran. I think China is making every effort to strengthen its influence, both in the region as a whole and in Iran. In addition to Iran, it also manages to sign long-term agreements with other countries in the region.



## **ისლამისტური მოძრაობის გააქტიურების მიზეზები ავღანეთი**

### **შესავალი**

ზოგადად, ისლამიზმისა და ისლამისტური ორგანიზაციების შესახებ საკმაოდ ბევრი კვლევა გამოქვეყნდა, რომლებშიც ასახულია ისლამიზმის წარმოშობის მიზეზები და მისი რადიკალიზაცია. ამ მხრივ საინტერესოა ავღანეთი, სადაც ისლამიზმის განვითარება და ისლამისტური ორგანიზაციების ჩამოყალიბება უფრო რთულ და განსხვავებულ პირობებში მოხდა. ისე, როგორც სხვა მუსლიმურ ქვეყნებში, ავღანეთშიც ისლამისტი რადიკალების გააქტიურებას ხელი უცხო ქვეყნის, ამ შემთხვევაში საბჭოთა კავშირის ჯარების შესვლამ შეუწყო. ავღანელ ისლამისტებს ბრძოლა უხდებოდათ, როგორც მათთვის მიუღებელი ავღანეთის ხელისუფლებების, ასევე საბჭოთა ჯარების წინააღმდეგადაც.

### **ისლამისტური მოძრაობა ავღანეთში XX საუკუნის 60-იან წლებში.**

ავღანეთში ისლამისტურმა მოძრაობამ ჩამოყალიბებისა და განვითარების მეტად რთული გზა განვლო. მისი ისტორია დიდი ხნის მანძილზე ფაქტობრივად უცნობი იყო. დღესაც ავღანურ ისლამისტური მოძრაობის ისტორიაში ძალზე ბევრი ბნელით მოცული ადგილებია.

ავღანეთის ისლამისტურ მოძრაობას საფუძვლად დაედო ეგვიპტური ისლამისტურ-ფუნდამენტალისტური ორგანიზაცია „ძმები მუსლიმების“ იდეოლოგია (5). ისლამისტების ბრძოლის მეთოდები გულისხმობდა არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებულ გამოსვლებს, აჯანყებებს, ტერორისტულ აქტებს და ა. შ. ავღანელ ისლამისტებს კავშირი ჰქონდათ ქვეყნის გარეთ მოქმედ ანალოგიურ ორგანიზაციებთან. მათ ეგვიპტელი „ძმები მუსლიმების“ არამარტო იდეოლოგია, არამედ ამ ორგანიზაციის სტრუქტურაც კი შეუცვლელად გადაიღეს და ამ ასოციაციის პრინციპით მოქმედებდნენ (1, 78).

აღსანიშნავია, რომ ავღანეთში ისლამისტური მოძრაობა ჯერ კიდევ მუჰამად ზაჰირის მმართველობის დროს დაიწყო. 1965 წელს ქაბულის (6) უნივერსიტეტის საღვთისმეტყველო ფაკულტეტზე ჩამოყალიბდა პირველი ისლამისტური ჯგუფი, რომლებიც განიხილავდნენ ავღანეთში ისლამის აღორძინებისა და სამომავლოდ ქვეყანაში ისლამური სახელმწიფოს შექმნის საკითხებს. ისინი აკრიტიკებდნენ ქვეყანაში არსებულ რეჟიმსა და მმართველობის სისტემას. ავღანეთის ეს პირველი ისლამისტური დაჯგუფება ამუშავებდა სამოქმედო პროგრამას, რომლითაც უნდა

ეხელმძღვანელათ მომავალში. ამ დაჯგუფების ლიდერი იყო ფაკულტეტის დეკანი, ლულამ მუჰამად ნიაზი.

პარალელურად, ამავე უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტზე შეიქმნა ანალოგიური ისლამური დაჯგუფება. XX საუკუნის 60-იან წლებში ეს ორი ისლამური დაჯგუფება იყო ძირითადი, რომლებიც ღიად მოქმედებდნენ მთავრობის წინააღმდეგ. ამ დაჯგუფებების ცალ-ცალკე მოქმედებებმა ცხადყო, რომ საჭიროა ერთი გეგმა და საერთო მიზნისაკენ ბრძოლა. მოგვიანებით, 1969 წელს მოეწყო ამ ორი ისლამისტური დაჯგუფების შეხვედრა, რამაც საფუძველი ჩაუყარა „მუსლიმური ახალგაზრდული“ ორგანიზაციის შექმნას. ქაბულის უნივერსიტეტი იყო კონფლიქტის ცენტრი, სადაც სასტიკად იბრძოდნენ სახელმწიფოსა და საზოგადოების მიმართულების განსაზღვრაში უზენაესობის მოსაპოვებლად.

**მონარქიის დამხობა ავღანეთში და ისლამისტური ორგანიზაციების გააქტიურება.**

ავღანეთში XX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში იწყება ისლამისტური მოძრაობის გააქტიურება. ამ პერიოდიდან სათავეს იღებს დაპირისპირება ისლამისტური მოძრაობების ლიდერებს შორის. მათი განხეთქილების მიზეზი ამ მოძრაობების მოქმედებებისა და პრინციპების განსაზღვრაში სხვაობა იყო. ისლამისტურ ორგანიზაციებს საერთო გეგმა არ ჰქონდათ. ყველა თავისი მიზნისთვის იბრძოდა, რამაც ქვეყანას დესტაბილიზაცია მოუტანა. არალეგალური მოღვაწეობა გააქტიურეს, როგორც ისლამისტებმა, ისე მემარცხენე მიმართულების პოლიტიკურმა პარტიებმა. 1973 წლის ივლისში გენერალმა მუჰამედ დაუდმა მოაწყო სამხედრო გადატრიალება, რის შედეგადაც დაემხო მონარქია. ამას მოჰყვა ხელისუფლებისათვის ბრძოლის გამლიერება ავღანეთში ცალკეულ პოლიტიკურ დაჯგუფებებს შორის. წარმოიშვა სამოქალაქო ომის კერები. მონარქიული რეჟიმის დამხობის შემდეგ ავღანეთი რესპუბლიკად გამოცხადა, ხოლო პრეზიდენტად არჩეულ იქნა გენერალი დაუდი (7).

ქვეყანაში მოსული ახალი მთავრობის პარალელურად, 1974 წელს „მუსლიმური ახალგაზრდობის“ წარმომადგენლები ავღანეთიდან პაკისტანში გადავიდნენ, სადაც გადიოდნენ სამხედრო მომზადებებს (2), რომლებსაც დაგეგმილი ჰქონდათ აჯანყება სამომავლოდ. მათ სურდათ კონტროლის მოპოვება ქვეყანაში განვითარებულ სიტუაციაზე. „მუსლიმურმა ახალგაზრდულმა“ ორგანიზაციამ 1975 წელს ფანჯშირის ხეობაში წარუმატებელი აჯანყების მცდელობის შემდეგ, სცადა იქ ხალხის მხარდაჭერა მოეპოვებინა, მაგრამ მან ვერ მოიპოვა ადგილობრივების მხარდაჭერა. რესპუბლიკის მთავრობამ გაანადგურა ისლამისტები, რის გამოც „მუსლიმი ახალგაზრდობის“ ყველა ლიდერი გაიქცა პაკისტანში. თავად ორგანიზაციამ კი არსებობა შეწყვიტა. თუმცა, მისმა ლიდერებმა განაგრძეს თავიანთი მისიის შესრულება და საბოლოოდ განახორციელეს კიდევ

წარმატებული აჯანყებები ავღანეთის მარქსისტული დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, რომელსაც მხარს უჭერდა საბჭოთა კავშირი (8).

ავღანეთის ისლამისტური ორგანიზაციის ლიდერებს შორის დაპირისპირება კვლავაც გაგრძელდა პაკისტანში, რის შედეგადაც 1976 წელს ჩამოყალიბდა ორი მთავარი ორგანიზაცია: ავღანეთის ისლამური პარტია (აიპ) გ. ჰექმაიათარის ხელმძღვანელობით და ავღანეთის ისლამური საზოგადოება (აის) ბ.რაბანის ხელმძღვანელობით (9).

1978 წელს ახალგაზრდა ოფიცერთა ჯგუფმა ავღანეთში დაამხო პრეზიდენტ მოჰამედ დაუდის ხელისუფლება. ქვეყნის სათავეში პროკომუნისტური მიმართულების მემარცხენე „ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტია“ მოვიდა. პარტიის ხელმძღვანელი ნ. თარაკი აკონტროლებდა ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს (10). მას მხარს უჭერდნენ სსრ კავშირი და სოციალისტური ბლოკის ქვეყნები, რომლებიც ერეოდნენ ქვეყნის შიდა სახელმწიფოებრივ საქმეებში. ოპოზიცია კი დახმარებას იღებდა მუსლიმური ქვეყნებიდან, ჩინეთიდან და სხვა. ნ. თარაკის ანტიისლამისტურმა პოლიტიკამ ავღანეთში, კიდევ უფრო გააღრმავა უფსკრული მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის.

ხელისუფლებით უკმაყოფილო ავღანელები ტოვებდნენ სამშბლოს და ირანსა და პაკისტანში გარბოდნენ. პაკისტანში შექმნილ ლტოლვილთა ბანაკებს ისლამისტები აკონტროლებდნენ. მათ პაკისტანელი სამხედროების დახმარებით დაიწყეს ლტოლვილთა ბანაკში შეიარაღებული დაჯგუფებების ჩამოყალიბება და სამხედრო წვრთნები. 1978 წლის ბოლოს უკვე პაკისტანიდან დაიწყო გაწვრთნილი სამხედრო დაჯგუფებების გადასროლა ავღანეთში ხელისუფლების წინააღმდეგ.

ავღანეთის ისლამური პარტიტიისა (აიპი) და ავღანეთის ისლამური საზოგადოების (აისი)გარდა 1979 წლის დასაწყისში პოლიტიკურ არენაზე გამოჩნდნენ ახალი ისლამისტური პარტიები, რომლებიც პაკისტანში ჩამოყალიბდნენ. ესენი იყვნენ:

ჰალსის ისლამისტური პარტია (ჰიპ);

ავღანეთის ეროვნული ისლამური ფრონტი (აეიფ);

ავღანეთის ისლამისტური რევოლუციის მოძრაობა (აირმ) და სხვა.

ამ პარტიებმა შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა ავღანეთის მმართველ ხელისუფლებას. ქვეყანაში ისლამისტური პარტიების გააქტიურებას მოჰყვა სსრკ-ს ჯარების შეყვანა ავღანეთში. სამოქალაქო ომი, რომელიც მიდინარეობდა „ურწმუნოთა“ წინააღმდეგ, საღვთო ომში" – „ჯიჰადში“ გადაიზარდა. საბჭოთა ჯარების შესვლას ავღანეთში დიდი რეზონანსი მოჰყვა, რომელიც მთელმა მსოფლიომ დაგმო (11).

ავღანელ ისლამისტებს დიდ დახმარებას უწევდნენ მუსიკალური სახელმწიფოები და ისლამისტური ორგანიზაციები. აშშ-ს კონგრესი ყოველწლიურად

განიხილავდა ავღანეთის ოპოზიციის დახმარებას. თავდაპირველად ეს დახმარებები ხორციელდებოდა სადაზვერვო სამსახურებისა და კერძო ორგანიზაციების საშუალებებით, შემდეგ კი, უკვე ღიად.

ავღანეთში საბჭოთა ჯარების შესვლის შემდეგ, პაკისტანის ტერიტორიაზე მყოფი ისლამისტური პარტიები გაერთიანდნენ ავღანეთის ისლამური რევოლუციის მოძრაობის ალიანსში, მაგრამ ერთსულოვნების არ ქონის გამო მალე დაიშალენ. ეს იყო ავღანეთის ისლამისტური პარტიების გაერთიანების პირველი მცდელობა.

1980 წლის 27 იანვარს პაკისტანის დედაქალაქში გაფორმდა ახალი ალიანსი, რომელშიც ექვსი ავღანური ოპოზიციური ისლამისტური პარტია გაერთიანდა. მათი მიზანი იყო - ავღანეთის განთავისუფლება „ათეისტური“ რეჟიმისაგან და ამ ქვეყანაში ისლამური სახელმწიფოს შექმნა. ეს ალიანსიც მალევე დაიშალა ისე, როგორც წინა. მოგვიანებით, მათი მხარდამჭერების მოთხოვნით, 1981 წლის 25 ივნისს კვლავ შეიკრიბნენ ავღანეთის ისლამისტური მოძრაობის ლიდერები. მათ შექმნეს ახალი ალიანსი „ავღანეთის მოჯაჰედთა ისლამური კავშირი“, რომელიც ითვალისწინებდა ექვსივე ისლამისტური მოძრაობის დაშლას. მათ ალიანსისთვის უნდა გადაეცათ: მატერიალური საშუალებები, შემოსავლის წყაროები, უძრავი ქონება და იარაღი. ამ ალიანსმაც, როგორც წინა ორმა, ვერ შეძლო დიდი ხნით ფუნქციონირება და მალევე დაიშალა. ამის შემდეგ ავღანეთის ისლამისტურმა ორგანიზაციებმა დაიწყეს დამოუკიდებელი მოქმედებები და თავიანთი მიზნებისათვის ცალ-ცალკე ბრძოლა.

ისლამისტურ ორგანიზაციებს შორის ბოლო ალიანსი შეიქმნა 1982 წელს, რომელსაც „შვიდთა ალიანსი“ ეწოდა. მოძრაობის ლიდერებმა თავიანთი ძალისხმევა პოლიტიკური მოღვაწეობიდან სამხედრო მოქმედებებზე გადაიტანეს. შეთანხმების მიუხედავად ნათლად არ იყო განსაზღვრული მათი გავლენის სფეროები და მოქმედებების არეალი ავღანეთში, რის გამოც ხანდახან მათ შორის ერთმანეთშიც კი ხდებოდა შეიარაღებული შეტაკებები.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ავღანური ისლამისტური მოძრაობების წარმომადგენლები პატრიოტიზმითა და ენთუზიაზმით გამოირჩეოდნენ, მაგრამ ისინი საერთო მიზნის მიღწევისთვის გაერთიანებული ძალებით ბრძოლას ვერ ახერხებდნენ. მათ ჰქონდათ დაპირისპირება ალიანსში თავისი გავლენების გასაძლიერებლად, რის გამოც რამოდენიმეჯერ დაიშალა ალიანსი და დამოუკიდებლად დაიწყეს ბრძოლა ქვეყანაში გავლენას მოსაპოვებლად.

რაც შეეხება ირანში ბაზირებულ ავღანეთის ოპოზიციას, პაკისტანში არსებული ისლამისტური პარტიების მსგავსად, ისინიც გაერთიანდნენ ალიანსში, რომელშიც რვა პარტია შედიოდა. ალიანსის შტაბ-ბინა თეირანში მდებარეობდა. ეს ალიანსიც არ აღმოჩნდა სიცოცხლისუნარიანი, ისევე, როგორც პაკისტანში შექმნილი ალიანსები. უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებით პაკისტანისა, ირანის ისლამური

რესპუბლიკის ხელისუფლებამ შეძლო ავღანეთის ისლამისტური პარტიების დაქუცმაცებული ალიანსის გაერთანება „ავღანეთის ისლამური რევოლუციის გუშაქთა კორპუსის“ სახით, რომელიც მკაცრი კონტროლის ქვეშ აიყვანა.

ირანის ხელისუფლების ასეთი დამოკიდებულება განპირობებული იყო მისი აშკარად მტრული დამოკიდებულებით აშშ-სადმი და თანაგრძნობა ავღანეთის წინააღმდეგობის მოძრაობებისადმი. ირანი ვერ ეგუებოდა აშშ-ის სულ უფრო მზარდ გავლენას ავღანეთში. ამიტომაც ირანის დახმარებას ავღანეთის ოპოზიციისადმი შერჩევითი ხასიათი ჰქონდა. ირანის ხელისუფლება ეხმარებოდა მხოლოდ პროირანულად განწყობილ ავღანურ დაჯგუფებებს, რომლებსაც დიდი გავლენა ჰქონდათ ავღანეთის შიიტურ მოსახლეობაზე.

### **საბრძოლო მოქმედებები ავღანეთში საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ.**

1978 წელს დაიწყო სამოქალაქო ომი ავღანეთში. თავდაპირველად ეს ომი ავღანეთის მთავრობასა და შეიარაღებულ აჯანყებულებს შორის მიმდინარეობდა. ხელისუფლება ამ საომარ მოქმედებებში პოზიციებს კარგავდა, რაც მიუღებელი იყო ავღანეთის პროკომუნისტური მთავრობისა და მისი მხარდამჭერი საბჭოთა კავშირისათვის. საბჭოთა ჯარების შემსვლამ ავღანეთში და საომარ მოქმედებებში მათმა ჩართვამ გამოიწვია, როგორც უკვე ზემოთხეხილთ ავღანიშნეთ, საღვთო ომი, „ჯიჰადი“, რომელიც გაგრძელდა 1989 წლამდე (12). ავღანეთში განვითარებულ მოვლენებს ამერიკის შეერთებული შტატები სრულად აკონტროლებდა. ისინი დახმარებას უწევდნენ ისლამისტურ ორგანიზაციებს, როგორც ეკონომიკის, ისე შეიარაღებისა და საბრძოლო ტექნიკის მხრივ რადგანაც მისთვის საბჭოთა კავშირის დომინანტობა ავღანეთში მიუღებელი იყო. ავღანეთის ისლამისტურ ორგანიზაციებს ასევე დახმარებას უწევდნენ მულიმური სახელმწიფოებიც. ავღანელი ისლამისტები სამხედრო წვრთნებს გადიოდნენ პაკისტანსა და ირანში, შემდეგ კი ბრუნდებოდნენ სამშობლოში კონკრეტული გეგმების განსახორციელებლად. ეს ორგანიზაციები მოსვენებას არ აძლევდნენ საბჭოთა ჯარებს, რამაც გარკვეული შედეგი გამოიღო კიდევ.

როგორც უკვე ავღანიშნეთ, პაკისტანის გარდა, ავღანეთის ისლამისტური ორგანიზაციების წვრთნებში ასევე აქტიურად იყო ჩართული ირანის ისლამური რესპუბლიკაც, რომელიც უზრუნველყოფდა მათ ყველა საჭირო რესურსით. ირანს თავისი ინტერესები ჰქონდა ავღანეთთან დაკავშირებით. მისთვის, როგორც, ახლო აღმოსავლეთის დომინანტი ქვეყნისათვის, დაუშვებელი იყო, არ გაეკონტროლებინა საბჭოთა კავშირი და აშშ რეგიონში.

შემდგომში მსოფლიოს ნომერ პირველ ტერორისტად წოდებული, ორგანიზაცია „ალ-კაიდას“ ლიდერი ოსამა ბენ-ლადენი ასევე აქტიურად იყო ჩართული ავღანეთში განვითარებულ მოვლენებში. მან ჯერ კიდევ სტუდენტმა განაცხადა, რომ ის აღშფოთებული იყო უსამართლობით, რომელიც ავღანელი ხალხის მიმართ იქნა ჩადენილი (4, 39). ის აფინანსებდა ავღანეთის ისლამისტურ

ორგანიზაციებს. ოსამა ბენ ლადენმა პაკისტანის ტერიტორიაზე გახსნა სამხედრო ბანაკები (13), სადაც წვრთნიდნენ ავღანელ ახალგაზრდებს. მოგვიანებით კი ბენ-ლადენი თვითონაც გადავიდა ავღანეთში და საბრძოლო მოქმედებებში ჩაერთო თავის მომხრეებთან ერთად. ის სრულ მხარდაჭერას აღუთქვამდა ისლამისტურ ორგანიზაციებს. ამას გარდა ბენ ლადენი მთელ არაბულ ქვეყნებში ეძებდა მეზრძოლებს, მიჰყავდა ისინი პაკისტანში, წვრთნიდა მათ და აგზავნიდა ავღანეთში. ის ამისთვის საკუთარ ფულს ხარჯავდა. ბენ-ლადენი მოუწოდებდა მუსლიმურ ქვეყნებს, აქტიურად ჩართულიყვნენ ავღანეთში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლაში.

10 წლიანი უშედეგო ბრძოლის შემდეგ, საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა პოლიტიკურად მოეგვარებინა არსებული სიტუაცია ავღანეთში (12, 37). 1986 წელს ავღანეთის გენერალურ მდივნად აირჩიეს მ. ნაჯიბულა. სახელმწიფოს ახალმა მეთაურმა გამოაცხადა ახალი პოლიტიკური კურსი ავღანეთის შიდა პრობლემის გადასაჭრელად.

1987 წელი ხასიათდება მ. ნაჯიბულას მიერ წამოწყებული ეროვნული შერიგების პოლიტიკის სრული მარცხით. ისლამისტური ორგანიზაციები მთავრობის ჯარების მაგალითის მიბადვას არ აპირებდნენ. მთელ ქვეყანაში საბრძოლო მოქმედებები კვლავ გაგრძელდა. საბჭოთა ჯარებმა კვლავ დაიწყეს დიდი საბრძოლო ოპერაციების წარმოება ავღანეთში.

1988 წლის 14 აპრილს ჟენევაში ავღანეთისა და პაკისტანის მინისტრებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებებს ავღანეთის კონფლიქტის დიპლომატიური გზით მოგვარების შესახებ. სსრკ და აშშ ამ ხელშეკრულების გარანტიად იქცნენ, ამის გარდა, სსრკ-მ დადო პირობა, რომ 9 თვის განმავლობაში გაიყვანდა ჯარს ავღანეთიდან. ასევე აშშ-მ და პაკისტანმა პირობა დადეს, რომ შეაჩერებდნენ ისლამისტური ორგანიზაციების მხარდაჭერას.

საბჭოთა კავშირმა ავღანეთის გენერალური მდივნის, მ. ნაჯიბულას თხოვნით ბოლო ოპერაცია „ტაიფუნ“ ჩაატარა და 1989 წლის 15 ნოემბერს დაიწყო ჯარების ქვეყნიდან გაყვანის ბოლო ეტაპი. ამ ოპერაციის მიზანი იყო შეემსუბუქებინათ ქვეყნის გარკვეულ ტერიტორიაზე აჯანყებულებულები, სანამ ერთიანი ძალებით შეძლებდა მათ წინააღმდეგ ბრძოლას ავღანეთის მთავრობა (14).

ჟენევაში დადებული ხელშეკრულების ვალდებულება ყველა მონაწილემ შეასრულა. ავღანეთში პოზიცია და ოპოზიცია ერთმანეთის პირისპირ დარჩა. ისლამისტური ორგანიზაციები იმ დროისთვის გაძლიერებული იყო, როგორც მეზრძოლებით, ასევე საბრძოლო მასალებითა და ტექნიკით. მათ მხარს უჭერდა ოსამა ბენ ლადენიც, რომელიც მათთან ერთად ახორციელებდა საბრძოლო მოქმედებებს. ავღანეთის ხელისუფლებას არ შეეძლო მშვიდობის შენარჩუნება ქვეყანაში. ის უფრო და უფრო განიცდიდა ისლამისტური ორგანიზაციების მიერ ქლიერ ზეწოლას. მათ ქვეყნის გარკვეულ რაიონებზე კონტროლიც კი დაამყარეს.

ავღანეთში კიდევ კარგა ხანს ვაკუუმი შეიქმნა. საბჭოთა ჯარების ავღანეთიდან გასვლის დაახლოებით ხუთი წლის შემდეგ (1994 წ.) ამ ქვეყნის სამხედრო და პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდა ისლამისტური ორგანიზაცია „ტალიბანი“

### დასკვნა

ამრიგად, ავღანეთში ისლამისტური მოძრაობების ჩამოყალიბების პროცესი საკმაოდ ხანგრძლივად მიმდინარეობდა. აღნიშნული პროცესი დაიწყო გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან. ისლამიზმის გააქტიურებას ამ ქვეყანაში ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირის ჯარების შესვლამ. საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლამ კი საფუძველი ჩაუყარა „ტალიბანის“ ჩამოყალიბებას.

### ბიბლიოგრაფია

1. ქაროსანიძე თ. ისლამური ფუნდამენტალიზმი თანამედროვე ეგვიპტეში „მუსლიმი ძმების“ და რადიკალური ისლამისტური ორგანიზაციების სტრატეგია . გამომცემლობა „ნეკერი “ , თბილისი 2009;
2. Ahmed Rashid, The United States and the Failure of Nation Building in Pakistan, Afghanistan, and Central Asia, Vicing Press, New York, 2008;
3. Kakar, H. “The Fall of the Afghan Monarchy in 1973.” International Journal of Middle East Studies, vol. 9, no. 2, Cambridge University Press, 1978;
4. Fisk r. the great war for civilization, first vintage books edition, February 2007;
5. <http://coi-mra.gov.ge/ka/2018/03/05>;
6. <http://genia.ge/?p=21813>;
7. [https://historica.fandom.com/wiki/Mohammed\\_Daoud\\_Khan](https://historica.fandom.com/wiki/Mohammed_Daoud_Khan);
8. <http://edition.cnn.com/ASIANOW/asiaweek/current.bak/issue/is1.html>;
9. <https://www.c-r.org/who-we-are/people/gulbuddin-hekmatyar>;
10. <https://www.britannica.com/biography/Nur-Mohammad-Taraki>;
11. <https://www.radiotavisupleba.ge/a/1915900.html> ;
12. <https://ik-ptz.ru/ka/testy-ege---2017-po-matematike/vvod-sovetskih-voisk-v-1979-vvod-sovetskih-voisk-v-afghanistan.html> ;
13. <https://www.cfr.org/timeline/us-war-afghanistan>;
14. <https://inews.co.uk/news/world/russia-afghanistan-why-invade-soviet-union-invasion-1979-timeline-what-happened-1156206>.

### **Reasons for the intensification of the Islamic movement in Afghanistan**

In the 1960s, Islamic movements became quite active in many eastern countries for whatever reason. As for Afghanistan, the intensification of Islamic movements in this country is also related to this period. This process was facilitated by a number of circumstances. These movements started at Kabul University in Afghanistan, which soon expanded beyond the borders of Afghanistan.

In this regard, the situation changed especially in the late 70s of the 20th century. Which was facilitated first by the overthrowing of the monarch in Afghanistan and then by the entry of Soviet troops to protect the pro-communist government in Afghanistan.

The intensification of Islamic movements in Afghanistan has moved to a completely different level since the entry of the Soviet Union. Afghan Islamists have been receiving financial support and equipment from various countries.

Afghan Islamists have been undergoing military training in neighboring Pakistan and Iran. Numerous Afghan Islamic movements were formed in these countries, moving to their own country and fighting Soviet troops. Their support and assistance, as I've already mentioned, came from many other countries as well. The Islamists fighting against the Soviet Union led to the emergence of one of the most organized Afghan Islamist movements, the Taliban, which still is relevant today, not only for this country, but also for the world.



## ბუნებრივი სიყინავა

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი  
საერთაშორისო პოლიტიკის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი

### ებრაჰიმ რაისი და ირანის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები

მსოფლიო მასმედია და საერთაშორისო საზოგადოება დიდი ინტერესით ადევნებდა თვა-ლყურს ირანის საპრეზიდენტო არჩევნებს, რომელიც 2021 წლის 18 ივნისს გაიმართა. ირანის უზენაესი ლიდერი, აიათოლა ალი ხამენეი მოსახლეობას საარჩევნო უზნებთან მისვლისა და ხმის მიცემისაკენ მოუწოდებდა. ის ამავდროულად ამ საპრეზიდენტო არჩევნებს ქვეყნისთვის მნიშვნელოვან მოვლენას უწოდებდა. მოსახლეობას აქტიურობისაკენ მოუწოდებდა ასევე ირანის სახელმწიფო ტელევიზია სლოგანით - „ყველა ხმას ფასი აქვს, მოდით და აირჩიეთ თქვენი პრეზიდენტი“ (1).

აქვე უნდა აღინიშნოს რომ ირანის ისლამურ რესპუბლიკაში პრეზიდენტის სავარძელი უზენაესი ლიდერის შემდეგ მეორე მნიშვნელოვანი თანამდებობაა. ირანში პრეზიდენტი ოთხი წლის ვადით ირჩევა იმ მოქალაქეების მიერ, რომელთა მინიმალური ასაკი 18 წელია. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტის თანამდებობა მნიშვნელოვანი პოზიციაა ამ ქვეყანაში, ირანის პოლიტიკური სისტემის მიხედვით, მთავარი სიტყვა მაინც უზენაეს ლიდერს ეთქმის. სწორედ უზენაესი ლიდერი აკეთებს საბოლოო მოწოდებასა და შესწორებებს სახელმწიფო მნიშვნელობის ყველა მთავარ საკითხზე. კანონმდებლობის მიხედვით, ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტი აბსოლუტური უმრავლესობით აირჩევა, რაც იმას ნიშნავს, რომ კანდიდატმა ხმების მინიმუმ 50.1%-ის მოპოვება უნდა შეძლოს.

არჩევნების წინა პერიოდში ექსპერტები ამომრჩეველთა პასიურობას ვარაუდობდნენ. საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ რეგისტრირებული ამომრჩეველების 48.8%-მა (ირანის 2021 წლის XIII საპრეზიდენტო არჩევნებზე 59310307 ამომრჩეველი იყო დარეგისტრირებული. მონაწილეობა მიიღო - 28989529) მიიღო საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა. ექსპერტების ვარაუდი ამომრჩეველთა პასიურობასთან დაკავშირებით გამართლდა, ვინაიდან აბსენტეიზმმა 51.2% შეადგინა (2). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საპრეზიდენტო არჩევნებზე დარეგისტრირდა 592 კანდიდატი, საიდანაც 40 ქალი იყო. თუმცა საბოლოოდ მხოლოდ 7-მა სუბიექტმა (დარეგისტრირებულ კანდიდატთა 1.2 %) მოიპოვა არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

1979 წლის ისლამური რევოლუციის შემდეგ, 2021 წლის არჩევნებში ყველაზე დაბალი აქტივობა დაფიქსირდა (მანამდე 1989 წლის არჩევნები ითვლებოდა, სადაც ამომრჩეველთა აქტივობა 51% იყო) (3). 14%-ზე მეტი ბიულეტენი ბათილად

გამოცხადდა, რაც ისლამური რევოლუციის შედეგ ყველაზე მაღალი შედეგია (მანამდე 1981 წლის შედეგი ითვლებოდა, სადაც ბათილად 3.8% გამოცხადდა) (4).

ტრადიციისამებრ, ახლადარჩეული პრეზიდენტი ებრაჰიმ რაისი ოფიციალურ ინაუგურაციამდე ორი დღით ადრე, 3 აგვისტოს, ირანის უზენაეს ლიდერს ალი ხამენეის შეხვდა, რომლისგანაც მან რწმუნების სიგელი მიიღო პრეზიდენტის უფლებამოსილების შესახებ (5), ხოლო ორი დღის შემდეგ კი, 5 აგვისტოს, პრეზიდენტის ოფიციალური ინაუგურაცია გაიმართა, რომელსაც ავღანეთის, სომხეთის, ერაყის, რუსეთის, პალესტინური ჰამასის უმაღლესი თანამდებობის პირები ესწრებოდნენ. ინაუგურაციის ცერემონიალს ასევე დაესწრნენ სირიის, თურქეთის, პაკისტანის, აზერბაიჯანის, იემენის და სხვა ქვეყნების სია მაღალი თანამდებობის პირები. ირანის სახელმწიფო ტელევიზიის განცხადებით, თეირანში გამართულ პრეზიდენტის ინაუგურაციას საერთო ჯამში 70-ზე მეტი სახელმწიფოს წარმომადგენელი დაესწრო (6).

ახლადარჩეული პრეზიდენტის საინაუგურაციო გამოსვლაში გამოიკვეთა ირანის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი საკვანძო მიმართულებები და პრიორიტეტები. ჩვენი კვლევის თემატიკიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია შევისწავლოთ და ყურადღება გავამახვილოთ ირანის საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტებსა და საგარეო პოლიტიკურ ვექტორზე და ძირითად ტენდენციებზე ქვეყნის ახალი პრეზიდენტის პირობებში.

ინაუგურაციაზე სიტყვით გამოსვლის დროს ებრაჰიმ რაისიმ ირანის საგარეო პოლიტიკის ორი ძირითადი პრიორიტეტი გამოკვეთა: 1. მეზობლებთან ურთიერთობების გაუმჯობესებაგაუმჯობესება და 2. აზიურ სახელმწიფოებთან კავშირების გაფართოება, განსაკუთრებით კი ჩინეთთან და რუსეთთან. ზემოხსენებული პრიორიტეტები ექსპერტების მიერ მალევე შეფასდა ირანის საგარეო პოლიტიკის ხელახალ გააზრებად და ახალი ერას დასაწყისად (7). თავის გამოსვლაში რაისიმ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ირანი რეგიონში მხოლოდ მშვიდობას შეუწყობს ხელს და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ გარე აქტორების ინტერვენცია, რომელიც რეგიონში ხორციელდება, წარმოადგენს პრობლემას და იგი რეგიონში არანაირად არ უწყობს ხელს არსებული პრობლემების მოგვარებას (8). თეირანის ალამ-ე თაბათაბაის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ასოცირებულმა პროფესორმა სეიდ რეზა მოუსავინიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ „შიდა კონსენსუსი დაეხმარება რაისს, გაატაროს უფრო ძლიერი „ურთიერთქმედებასა და შეკავებაზე“ დაფუძნებული საგარეო პოლიტიკა“ (9).

ებრაჰიმ რაისი და მისი გუნდი მალევე შეუდგა ზემოხსენებული პრიორიტეტების პრაქტიკაში იმპლემენტირების პროცესს. მის განცხადებას, რომ ირანს სურს კეთილმეზობლური ურთიერთობები რეგიონის სახელმწიფოებთან, მალევე მოჰყვა საპასუხო ნაბიჯების გადადგმა რეგიონის ქვეყნების მხრიდან. 28 აგვისტოს ერაყის დედაქალაქი ბაღდადში გამართული სამიტი ირანსა და არაბულ

ქვეყნებს შორის ურთიერთობების დათბობის ათვლის წერტილად შეიძლება მივიჩნიოთ.

ბაღდადის კონფერენცია "თანამშრომლობისა და პარტნიორობისთვის" (Baghdad Conference for Cooperation and Partnership) საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო. მას ესწრებოდნენ საფრანგეთისა და ეგვიპტის პრეზიდენტები, გაერთიანებული არაბთა საამიროების ვიცე-პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი, იორდანის მეფე, კატარის ემირი და ქუვეითის პრემიერ-მინისტრი. თურქეთი, საუდის არაბეთი და ირანი საგარეო საქმეთა მინისტრებით იყვნენ წარმოდგენილები. ასევე, კონფერენციას ესწრებოდნენ არაბული ქვეყნების ლიგის, ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაციის (OIC) და ყურის თანამშრომლობის საბჭოს (GCC) გენერალური მდივნები.

ეს სამიტი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენად შეიძლება კვალიფიცირდეს, იმ თვალსაზრისით, რომ კონფერენციას, რომელსაც ერაყი მასპინძლობდა, წარმოდგენილნი იყვნენ როგორც მეგობარი, ასევე ერთმანეთის მეტოქე ქვეყნები (10). კონფერენციაზე ყურადღება გამახვილდა უსაფრთხოების, რეკონსტრუქციის, უცხოური ინვესტიციების და კლიმატის ცვლილების საკითხებზე. ასევე, რეგიონში კონსტრუქციული დიალოგის მხარდაჭერის აუცილებლობაზე და ერაყის პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების, უსაფრთხოების უზრუნველყოფის და თანამშრომლობის საკითხებზე. ბაღდადის კონფერენციით შეიძლება ითქვას, ერაყი ცდილობს მოიხდოს შუამავლის როლი ირანსა და არაბულ ქვეყნებს შორის. ის ფაქტი, რომ ირანი და სპარსეთის ყურის სხვა ქვეყნები მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდნენ - ეს უკვე დიდ მიღწევას. ამგვარი პრაქტიკა მხარეებს შორის ურთიერთობების ნორმალიზების და დამაბულობის დასრულების დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს.

ახალი პრეზიდენტის განცხადების მიხედვით, ირანი ყოველთვის მიესალმება თავის მეზობლებთან ურთიერთობების გაუმჯობესებას, მათ შორის საუდის არაბეთთან. თუმცა, რაისის ამგვარი პათოსისა, ოფიციალურმა არ-რიადმა ირანის პრეზიდენტის ეს განცხადება სკეპტიკურად შეაფასა და თეირანისაგან მსგავსი რიტორიკის სანაცვლოდ დასაბუთებული და ქმედითი ნაბიჯების გადადგმა მოითხოვა. არ-რიადის ამგვარი დამოკიდებულება ირანის მიერ ლიბანში, იემენსა და რეგიონულ წყლებში პოზიციონირებით არის განპირობებული. გარდა ამისა, ეს ორი სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთის რეგიონში გავლენების გაფართოებისთვის დიდი ხანია მეტოქეებად ითვლებიან. მიუხედავად ამისა, ირანსა და საუდის არაბეთს შორის ურთიერთობების ნორმალიზება სავსებით რეალური და შესაძლებელია. ამისი ვარაუდის საფუძველია თუნდაც, ის ფაქტი, რომ ისინი ბაღდადის კონფერენციაზე ერთი მაგიდის ირგვლივ დასხდნენ. ეს ფაქტი უკვე დიდ მიღწევად შეიძლება შეფასდეს.

ბალდადის სამიტზე ირანს ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი ჰოსეინ ამირ-აბდოლაჰიანი წარმოადგენდა, რომლისთვისაც ეს მინისტრის რანგში პირველი ოფიციალური მივლინება იყო. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მას არაბულ ქვეყნებთან ურთიერთობების და დიპლომატიური საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. სამიტზე ჰოსეინ ამირ-აბდოლაჰიანი თავის გამოსვლაში, რომელიც არაბულ ენაზე იყო, კიდევ ერთხელ დაადასტურა ირანის სურვილი და მზადყოფნა რეგიონის ქვეყნებთან ურთიერთობების გაუმჯობესების შესახებ. იგი შეეხო ახლო აღმოსავლეთში შექმნილ მდგომარეობას და აღნიშნა, რომ რეგიონში უსაფრთხოების მიღწევა მხოლოდ კეთილმეზობლური ურთიერთობების ინტენსიფიკაციითაა მიღწევადი და არა გარე აქტორების ინტერვენციით. ამირ-აბდოლაჰიანი მწუხარება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ კონფერენციაზე სირია არ იყო მიწვეული. თავის გამოსვლაში მან აგრეთვე აღნიშნა ისიც, რომ ამ კონფერენციაზე ირანის წარმომადგენლის დასწრება ერაყის მიმართ ირანის მტკიცე მხარდაჭერაზე მიუთითებს (11).

ირანის საგარეო პოლიტიკისთვის კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იყო 17 სექტემბერს შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის (SCO) მიერ ტაჯიკეთის დედაქალაქ დუშანბეში გამართული კონფერენცია (12), სადაც ორგანიზაციის მუდმივმა წევრებმა დააკმაყოფილეს ოფიციალური თეირანის განაცხადი, ორგანიზაციაში სრული წევრობის შესახებ. აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ირანს ამ ორგანიზაციაში 2005 წლიდან დამკვირვებელი სახელმწიფოს სტატუსი ჰქონდა. შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციაში გაწევრიანების შესახებ ირანმა ადრეც შეიტანა განაცხადი, თუმცა იგი გაეროს მიერ დაწესებული სანქციების გამო დაიბლოკა. გარდა ამისა, ალიანსში ირანის გაწევრიანების წინააღმდეგი იყო ტაჯიკეთიც, ვინაიდან ირანს ტაჯიკეთის ისლამური მოძრაობის მხარდამჭერად მიიჩნევდა. შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია ევრაზიის პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო მნიშვნელობის რეგიონული ალიანსია, რომლის გეოგრაფიული მასშტაბი მოიცავს ევრაზიის კონტინენტის 3/5-ს, დედამიწის მოსახლეობის 40%-ს და მსოფლიო GDP-ის 20%-ს (13).

ფორმალური და იურიდიული სამუშაოების დასრულების შემდეგ, რაც დაახლოებით ორი წელი გაგრძელდება, ირანი ოფიციალურად შეუერთდება შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციას, უკვე ამჯერად, სრულუფლებიანი წევრი სახელმწიფოს სტატუსით. რაც იმას ნიშნავს, რომ ირანის თანამშრომლობითი ურთიერთობები პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური და კულტურული მიმართულებით მომდევნო წლებში კიდევ უფრო გაძლიერდება როგორც ამ ორგანიზაციის ღერძ სახელმწიფოებთან, ასევე მის დანარჩენ ქვეყნებთან.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ებრაჰიმ რაისიმ თავისი პირველი საგარეო ვიზიტები აზიური სახელმწიფოს ლიდერებთან შეხვედრით დაიწყო, რითაც ხაზი გაუსვა ირანის აღმოსავლური ვექტორის პრიორიტეტულობას. აღნიშნული

მოსაზრების გასამყარებლად შეიძლება ჩაითვალოს რაისის მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 76-ე სესიაზე დისტანციურად სიტყვით მიმართვა. საერთაშორისო საზოგადოების და ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების წინაშე გაკეთებულ მიმართვაში ებრაჰიმ რაისიმ ისაუბრა ირანის საგარეო პოლიტიკის ძირითად მიზნებზე და ყურადღება გაამახვილა თავისი ქვეყნის პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური და კულტურული კავშირების გაფართოების მნიშვნელობაზე რეგიონის სახელმწიფოების მასშტაბით. რაისიმ რეგიონული თანამშრომლობისა და ურთიერთობების გარდა, ასევე ისაუბრა საერთაშორისო პოლიტიკაზე და განაცხადა, რომ მსოფლიოში ახალ ერას ჩაეყარა საფუძველი. რაისის განცხადებით, „ჰეგემონია და უტილიტარიზმი მარცხდება. საერთაშორისო ბალანსი მულტილატერალიზმისკენ ინაცვლებს და დამოუკიდებელი ქვეყნების ძალაუფლების სასარგებლოდ ნაწილდება“ (14).

დასავლეთის მიერ გარიყული ირანისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია ახალი პარტნიორი ქვეყნების მოძიება, რათა ამით აღმოფხვრას დასავლური ქვეყნების მიერ დაწესებული სანქციების შედეგები. ცხადია, რომ ამგვარი პროცესი მხოლოდ ცალმხრივ მოგებაზე არ იქნება ორიენტირებული და არსებობს იმის დიდი ალბათობაც, რომ ჩინეთი და რუსეთი ირანის მეშვეობით თავიანთი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების გატარებას შეეცდებიან ახლო აღმოსავლეთის რეგიონში.

შეიძლება ითქვას, რომ ახლადარჩეული პრეზიდენტისა და უმაღლესი სულიერო ლიდერის საგარეო პოლიტიკური გემოვნება ერთმანეთს ემთხვევა, ვინაიდან ორივე მათგანი აღმოსავლურ ვექტორს ანიჭებს უპირატესობას. ამგვარი საგარეო პოლიტიკით ირანი შეეცდება სტრატეგიული მოკავშირეების შექმნას, რათა, ერთი მხრივ, წინააღმდეგობა გაუწიოს დასავლეთის ეკონომიკური სანქციებს და, მეორე მხრივ, ახალი პარტნიორების დახმარებით ახალი ბირთვული შეთანხმების მიღწევა მოხდეს.

სავარაუდოა რომ ირანის საგარეო პოლიტიკა მომდევნო წლებში აღმოსავლურ მიმართულებების იქნება. ოფიციალურ თეირანი მომდევნო წლებში მაქსიმალურად შეეცდება დაუახლოვდეს ჩინეთსა და რუსეთს რუსეთს და ამავდროულად კეთილმეზობლური ურთიერთობებით განიმტკიცოს თავისი პოზიციები ახლო აღმოსავლეთის რეგიონში.

ირან-ჩინეთის ურთიერთობების გაძლიერება ერთი სარტყლისა და ერთი გზის ინიციატივის ფარგლებში ისედაც ინტენსიურად მიმდინარეობდა, თუმცა იგი მხოლოდ ეკონომიკურ და სავაჭრო ურთიერთმოგებაზე იყო ორიენტირებული. შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციაში ირანის გაწევრიანება თავისთავად ნიშნავს პეკინისა და თეირანის ურთიერთდაახლოების ტენდენციის გაგრძელებას და გაძლიერებას არა მხოლოდ სავაჭრო-ეკონომიკური მიმართულებით, არამედ სამხედრო და პოლიტიკური მიმართულებითაც. ჩინეთისათვის, სარტყლისა და

გზის ინიციატივის სულისჩამდგმელისთვის, მნიშვნელოვანია ისეთ პოლიტიკურ პარტნიორთან სტრატეგიული თანამშრომლობის გაძლიერება, როგორც ირანია. ამაზე მეტყველებს თუნდაც 2021 წლის მარტში ჩინეთსა და ირანს შორის გაფორმებული 25 წლიანი თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს ჩინურ ინვესტიციებს ენერჯეტიკის, ნავთობქიმიური და ინფრასტრუქტურის მიმართულებით, ასევე საზღვაო პროექტებსაც.

## ბიბლიოგრაფია

1. Iran Supreme Leader casts first ballot in presidential election. 18.06.2021. <https://english.alarabiya.net/News/middle-east/2021/06/18/Iran-Supreme-Leader-casts-first-ballot-in-presidential-election> (ბოლოს ნანახია 05.11.2021)
2. 2021 Presidential Election. 2021. <https://irandataportal.syr.edu/2021-presidential-election> (ბოლოს ნანახია 05.11.2021)
3. Final Iran Vote Results Show Lowest Turnout In Four Decades. 19.06.2021. <https://old.iranintl.com/en/iran/final-iran-vote-results-show-lowest-turnout-four-decades> (ბოლოს ნანახია 05.11.2021)
4. Nada, G. Raisi: Election Results Explainer, 23.06.2021. <https://iranprimer.usip.org/blog/2021/jun/23/raisi-election-results-explainer> (ბოლოს ნანახია 05.11.2021)
5. ShahlaI, A. Iran's Supreme Leader to Confirm Raisi as President on Aug. 3. 03.05.2021. <https://www.bloomberg.com/news/articles/2021-08-01/iran-s-supreme-leader-to-confirm-raisi-as-president-on-aug-3> (ბოლოს ნანახია 05.11.2021)
6. Motamedi, M. Ebrahim Raisi sworn in as Iran's eighth president, 05.08.2021. <https://www.aljazeera.com/news/2021/8/5/irans-raisi-sends-message-of-strength-in-inauguration> (ბოლოს ნანახია 05.11.2021)
7. Therme, C. Iran Rethinks its Foreign Policy. 02.09.2021. <https://orientxxi.info/magazine/iran-rethinks-its-foreign-policy,5005> (ბოლოს ნანახია 05.11.2021)
8. Nada, G. Raisi's First Moves on Foreign Policy. 03.08.2021. <https://iranprimer.usip.org/blog/2021/sep/22/raisi%E2%80%99s-first-steps-foreign-policy> (ბოლოს ნანახია 05.11.2021)
9. Akbar Dareini, A. Iran's Foreign Policy under Raisi. 30.06.2021. <https://studies.aljazeera.net/en/analyses/iran%E2%80%99s-foreign-policy-under-raisi> (ბოლოს ნანახია 05.11.2021)
10. Mamouri, A. Baghdad Conference to Establish Cooperation, Partnership in Region. 30.08.2021. <https://www.al-monitor.com/originals/2021/08/baghdad-conference-establish-cooperation-partnership-region> (ბოლოს ნანახია 05.11.2021)

11. Iran FM holds extensive talks in Baghdad. 29.08.2021.  
<https://www.tehrantimes.com/news/464485/Iran-FM-holds-extensive-talks-in-Baghdad>  
(ბოლოს ნაწახი 05.11.2021)
12. Experts react: 2021 Shanghai Cooperation Organisation (SCO) summit in Tajikistan. 22.09.2021. <https://www.atlanticcouncil.org/blogs/southasiasource/experts-react-2021-shanghai-cooperation-organisation-sco-summit-in-tajikistan/> (ბოლოს ნაწახი 05.11.2021)
13. Fathi, N. What will SCO membership mean for Iran? 28.09.2021.  
<https://www.mei.edu/publications/what-will-sco-membership-mean-iran> (ბოლოს ნაწახი 05.11.2021)
14. Yazdanshenas, Z. Iran Turns East. 26.10.2021.  
<https://foreignpolicy.com/2021/10/26/iran-china-russia-sco-raisi-turns-east/> (ბოლოს ნაწახი 05.11.2021)

**Bukhuti Sitchinava**

Caucasus International University  
The Center for International Politics Research and Forecasting (CIPRF)

## **Ebrahim Raisi and the priorities of Iran's Foreign Poli**

### **Abstract**

Ebrahim Raisi won the Iran's presidential elections from June 18, 2021, and he became the sixth president of the country. The newly elected president in his inaugural speech outlined the main vectors and priorities of Iran's political, economic and social development.

Ebrahim Raisi determined two major priorities of Iran's foreign policy: improvement of relations with neighboring countries (1) and expansion of communication with states in Asia, most importantly China and Russia (2). The messages voiced by the newly elected president was assessed by experts and international relations specialists as the rethinking of Iran's foreign policy and start of the new era.

Ebrahim Raisi and his team soon started the implementation of the aforesaid priorities. This is evidenced by the summit held on August 28 in Baghdad, which on its part can also serve as a starting point for improvement of relations between Iran and Arab countries. In

addition, the summit held in Dushanbe on September 17, where the Shanghai Cooperation Organization approved official Tehran's application to join the alliance, can be considered as one of the most recent achievements of Iran's foreign policy.

The study will analyze the latest achievements, as well as the existing challenges with regards to neighborhood, regional and international politics. Based on the topic of the research it is important for us to study the main priorities and vectors of Iran's foreign policy, in order to be able to determine its future trends for the coming years.

## **მალხაზ ქაქუთია**

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

### **ქურთების საკითხი თურქეთისთვის - როგორც გამოწვევა დემოკრატიის გზაზე**

#### **ქურთი ეთნოსის მცირე ისტორიული მიმოხილვა**

ქურთები მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ეთნოსია, რომლებიც ძვ.წ. II-ათასწლეულში განსახლდნენ იმ ტერიტორიაზე, სადაც ახლაც ცხოვრობენ. არსებობს ამ ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში მათ სახელმწიფო არ ჰქონიათ, ვინაიდან ის ტერიტორია, რომელზეც იყვნენ ქურთები განსახლებულნი, ყოველთვის წარმოადგენდა სხვადასხვა დიდი იმპერიების ინტერესის სფეროს. და ამდენად, ქურთებს სხვადასხვა იმპერიის შემდგენლობაში უხდებოდათ ბრძოლა გადარჩენისთვის. ამ ტერიტორიაზე ქურთები წარმოადგენენ დომინანტ ეთნოსს. სახელწოდება „ქურთისტანი“-ს ქვეშ იგულისხმება არა მხოლოდ ის გეოგრაფიული რეგიონი, რომელსაც „ქურთისტანი“ ეწოდება, არამედ ხალხი, რომელთაც აერთიანებთ საერთო ტრადიციები და კულტურა (3, 6). ქურთები ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ერთ-ერთი უდიდესი ეთნიკური ჯგუფია. რაც შეეხება მათ სასაუბრო ენას, ძირითადად გავრცელებულია ქურმანჯის დიალექტი,



რომელზეც ქურთების უდიდესი ნაწილი საუბრობს. ასევე გავრცელებულია შემდეგი დიალექტები: სორანი, გორანი, ავრომანი, ზაზაკი და სხვა. რაც შეეხება ქურთების რელიგიას, მათი დიდი ნაწილი სუნიტი მუსლიმი გახლავთ, თუმცა არიან შიიტებიცა და იეზიდებიც, თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრები ქურთების დიდი ნაწილი სწორედ სუნიტური თემის წარმომადგენელია. „ქურთისტანი“ კი ეწოდება საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას, რომელიც მოიცავს დასავლეთიდან ტავროსის ქედს (თურქეთი), სამხრეთიდან ალ-ჯაზირა (სირია და ერაყი), ხოლო აღმოსავლეთიდან, ურმიის ტბა (ირანი) (1, 16).

„ქურთისტანად“ წოდებული მიწა ჯერ კიდევ XVI საუკუნეში გაიყო ოსმალეთსა და სპარსეთის იმპერიებს შორის. სწორედ ამ პერიოდიდან მოყოლებული, დღევანდელ დღემდე აქტიურად დგას ქურთების საკითხი თურქეთის რესპუბლიკისთვის, რომელიც გახლავთ ოსმალეთის იმპერიის სამართალმემკვიდრე.

ქურთები გადანაწილებულია ოთხ სახელმწიფოში (ირანი, თურქეთი, ერაყი და სირია), რომელთაგან ყველაზე მეტი თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზეა. სხვადასხვა მონაცემებით ისინი ამ ქვეყანაში დაახლოებით 20 მილიონს შეადგენენ. სიდიდით მეორე ქვეყანა გახლავთ ირანი, სადაც დაახლოებით შვიდი მილიონი ეთნიკურად ქურთი ცხოვრობს. რიგით მესამე გახლავთ ერაყი ხუთ მილიონამდე ქურთი მოსახლით, ხოლო ყველაზე მცირე ნაწილი, დაახლოებით 1,2 მილიონი მოსახლით, მეოთხე ადგილს სირია იკავებს.

### **ქურთების საკითხი თურქეთის რესპუბლიკაში.**

1923 წლის ლოზანის ხელშეკრულებით გამოიკვეთა ის კონტურები, რომელიც რეალურად ჰქონდა ქურთებს თურქეთის რესპუბლიკაში. ამ ხელშეკრულებით პრაქტიკულად ხაზი გადაესვა ქურთების სურვილს, ყოფილიყვნენ დამოუკიდებლები. მეტიც, საფრთხე გაჩნდა მათი იდენტობის შენარჩუნების კუთხითაც, ვინაიდან თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრები ქურთები იწოდებოდნენ თურქებად. ამას მოყვა ქურთი მოსახლეობისათვის დაწესებული აკრძალვების დიდი ტალღა. კონკრეტულად, აიკრძალა ქურთული ენა, მათი ეროვნული სამოსის ტარება და სხვა. დიდი ძალისხმევა იყო საჭირო იმისთვის, რომ ქურთებს თურქულად ესაუბრათ ვინაიდან ქურთების 60 % ზე მეტს არ ესმოდა თურქული. ქვეყანაში ამ მხრივ გაჩნდა გარკვეული პრობლემები, რომლებიც უნდა გადაეღებინათ თურქეთის რესპუბლიკას (2, 21). ამდენად, იმ აკრძალვების ფონზე, როდესაც ქურთებს საჯარო სივრცეში ქურთულად საუბარიც კი ეკრძალებოდათ, შეექმნათ მძიმე სოციალური ფონი. სწორედ ამ დროს გამოჩნდა ასპარეზზე ახალგაზრდა ლიდერი აბდულა ოჯალანის სახით, რომელმაც საკუთარ თავზე აიღო არსებული პრობლემების მოგვარება და შეუდგა ბრძოლას, ქურთების უფლებრივი მდგომარეობის გაზრდისათვის.

**ქურთისტანის მუშათა პარტიის (PKK) შექმნა და ახალი ფაზა ადგილობრივი ქურთების და თურქეთის რესპუბლიკის ურთიერთობაში.**

„ქურთისტანის მუშათა პარტია“ შეიქმნა 1978 წელს, ქურთ სტუდენტთა ჯგუფის მიერ, რომელსაც მეთაურობდა აბდულა ოჯალანი. პარტიის უპირველესი სურვილი, მოთხოვნა და გეგმა იყო, შეექმნათ „ქურთისტანის“ დამოუკიდებელი სახელმწიფო. თუმცა, მოგვიანებით ოჯალანმა შეიცვალა პოზიციები და მხოლოდ ფართო ავტონომიის მოთხოვნას დასჯერდა. მიუხედავად იმისა, რომ ქურთი ხალხი საუკუნეების მანძილზე განსახლებულნი იყვნენ აღმოსავლეთ თურქეთის, ჩრდილოეთ ერაყის და დასავლეთ ირანის ტერიტორიებზე, ასევე, ჩრდილოეთ სირიისა და სომხეთის მცირე ნაწილებში, მათ არასოდეს ჰქონიათ ეროვნული სახელმწიფოს სტატუსი და ამდენად, ერთგვარ აუხდენელ სურვილად იქცა ქურთი ხალხისთვის დამოუკიდებელ სახელმწიფოზე ფიქრი. სწორედ ამიტომ იბრძოდნენ ისინი, რათა მათ მაინც შესძლებოდათ იმის მიღება რაც საუკუნეების მანძილზე მათმა წინაპრებმა ვერ შეძლეს.

ქურთების თვითგამორკვევისაკენ მისწრაფებებს თურქეთის ხელისუფლებები ხშირად მკაცრად ახშობდნენ. ქურთები ისტორიულად განიცდიდნენ დევნას, ან ზეწოლას და ასე ხდებოდა შემდგომაც იმ ქვეყნის მმართველთა მიერ, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ მოცემული დროის მონაკვეთში. ქურთების მუშათა პარტიის (PKK) მკვეთრად გამოხატული იდეოლოგია და მოტივი გახლდათ ის, რომ შეექმნათ დამოუკიდებელი სახელმწიფო. თავდაპირველად ორგანიზაციის იდეოლოგია ერთგვარი მარქსისტული მოტივებისა გახლდათ და მათ რიგებს ძირითადად დაბალი ფენის წარმომადგენლები იკავებდნენ. ასევე არ ერიდებოდნენ ძალადობას იმ ქურთების მიმართაც, რომლებიც წარმოადგენდნენ სახელმწიფოს სატელიტს და არ იბრძოდნენ დამოუკიდებლობისთვის (4 1).

1979 წელს მოხდა ორგანიზაციის ერთგვარი რესტრუქტურისაცია. მან გადაინაცვლა ერაყში და იქიდან აგრძელებდა ბრძოლას ქურთების დამოუკიდებლობისთვის. 1980 წელს მოხდა მორიგი სამხედრო გადატრიალება თურქეთში, რამაც კიდევ უფრო გაამძაფრა ოჯალანის სურვილი, მოეპოვებინა დამოუკიდებლობა. ამ მიზნით, 1984 წელს დაიწყო შეიარაღებული კამპანია თურქეთის ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელსაც ხშირი თავდასხმებიც მოყვა. ისინი ებრძოდნენ როგორც ადგილობრივ თურქებს, ასევე დიპლომატიურ მისიებს და ამას გარდა იმ ქურთებსაც, რომელნიც ექვმიტანილნი იყვნენ თურქებთან თანამშრომლობაში. ამ ყოველივემ კი გამოიწვია თურქი სამხედროების თავდასხმა ერაყის ქურთისტანის პოზიციებზე და უფრო მეტიც, 1999 წელს ნაირობიში აბდულა ოჯალანის დაპატიმრება, რომელსაც სამშობლოს დასაცავად დასდეს ბრალი და სასჯელის სახით სამუდამო პატიმრობა შეეფარდა. ამის შემდგომ ერთგვარად შეიცვალა ამ ორგანიზაციის (PKK-ს) მიდგომა და ხედვები მათი შემდგომი ქმედებების განვითარებასთან დაკავშირებით. მათ ორიენტირი გახდა ფართო ავტონომიის მოპოვება და ქურთების სამართლებრივი მდგომარეობის

გაუმჯობესება თურქეთის რესპუბლიკაში. თურგუთ ოზალიმ<sup>17</sup> გადაწყვიტა, ეს პრობლემა მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით მოეგვარებინა. მისი პრეზიდენტობის დროს გაიზარდა ადგილობრივი ქურთების უფლებები, უკვე აღარ იკრძალებოდა ქურთულად საუბარი. ოზალის ასევე სურდა, რომ დაემწვა ქურთულ ენაზე განათლების მიღება და ტელე და რადიო მაუწყებლობის გახსნაც ამ ენაზე. თუმც, ამ იდეების განხორციელებას მისმა უეცარმა გარდაცვალებამ შეუშალა ხელი და მშვიდობის ეს მცირეხნიანი პერიოდი ისევ დაპირისპირებებმა მოიცვა (5, 48).

2002 წლის აპრილში PKK-მ შეიცვალა სახელი KADEK-ით (ქურთისტანის თავისუფლებისა და დემოკრატიის კონგრესი). პარტიის ლიდერები ამტკიცებდნენ, რომ PKK-მ შეასრულა თავისი მისია და ახლა იმოქმედებს, როგორც წმინდა პოლიტიკური ორგანიზაცია. 2003 წლის ოქტომბერში KADEK-ი დაიშალა და გამოაცხადა ახალი ორგანიზაციის შექმნა - KONGRA-GEL (ქურთისტანის სახალხო კონგრესი). 2003 წლიდან, 2004 წლამდე იყო ბრძოლა ძალაუფლებისთვის KONGRA-GEL-ის შიგნით რეფორმისტულ ფრთას, რომლებსაც სურდათ ორგანიზაციის სრული განიარაღება და ტრადიციონალისტ ფრთას შორის, რომელსაც სურდა, ორგანიზაციას კვლავ გაეგრძელებინა შეიარაღებული აჯანყება. ამის შემდგომ კი, 2005 წლის აპრილში KONGRA-GEL-მა შეიცვალა სახელი და კვლავ PKK-დ ტრანსფორმირდა .

2006 წლის მარტში დაიწყო მძიმე ბრძოლები დიარბაქირის ირგვლივ PKK-სა და თურქეთის უსაფრთხოების ძალებს შორის. ადგილობრივების აღშფოთების მიზეზი სიღარიბე და უმუშევრობა გახდა, რომელსაც ერთვოდა სურვილი, მეტი ავტონომიური უფლებების მოსაპოვებლად. ყოველივე ამან გამოიწვია ამ რეგიონის (დიარბაქირის) ჩაკეტვა. დაიხურა მრავალი ბიზნესი, სკოლა და ისევ არეულობამ მოიცვა ქურთებს და თურქებს შორის ურთიერთობები.

### **ურთიერთობის დასტაბილურების მცდელობა და სამშვიდობო მოლაპარაკებები.**

დაპირისპირებამ ქურთულ და თურქულ მხარეს შორის, რომელიც დაიწყო 1984 წელს, შეიწირა დაახლოებით 40 ათასამდე ადამიანი, რომლთა დიდ ნაწილს მშვიდობიანი მოსახლეობა შეადგენდა .

მათ შორის ურთიერთობის დასტაბილურებისკენ გადადგმული პირველი და უდიდესი ნაბიჯი იყო პრეზიდენტ თურგუთ ოზალის სწორი მიდგომა ამ პრობლემისადმი. მან ქურთების საკითხი განიხილა როგორც როგორი კულტურული და სოციალური გამოწვევა. ამით მისი მხოლოდ სამხედრო პრიზმიდან განხილვა ერთგვარად წარსულში დარჩა. ქურთული ენასთან დაკავშირებული შეზღუდვების მოხსნის მოწოდებით გამოვიდა პრეზიდენტი. ის

<sup>17</sup> თურქეთის პრეზიდენტი 1989-1993 წწ.

ამით ერთ-ერთი პირველი პოლიტიკური ფიგურა გახდა, რომელმაც ქურთებს ოფიციალურად უწოდა ქურთები. ასევე აღსანიშნავია 2005 წელს დიარბაკირში რეჟეფ თაიფ ერდოღანის გამოსვლა, რომელმაც ღიად ისაუბრა ქურთების პრობლემაზე. მან აღნიშნა, რომ წარსულში შეცდომები იქნა დაშვებული ამ მხრივ და გამოთქვა მზადყოფნა, ქურთულ საკითხებზე თანამშრომლობასა და ამ პრობლემების მოგვარებაზე (2, 42). ამდენად, ქურთული სეპარატიზმის გამოწვევის მშვიდობიანი მოგვარების საკითხი ერთგვარ პრიორიტეტად იქცა თურქეთის ხელისუფლებისთვის, რომელიც ღიად ალაპარაკდა ამ პრობლემაზე და სცადა მისი მაქსიმალურად მშვიდობიანად მოგვარებას.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი რაც მხარეების შერიგების პროცესში გადაიდგა, გახლდათ რადიო და სატელევიზიო მაუწყებლობების ქურთულ ენაზე განხორციელების უფლება. თავდაპირველად ეს გარკვეულ დროის მონაკვეთს მოიცავდა (4 საათი კვირაში), თუმცა თანდათან ეს დროის ცენზი მოიხსნა და სრული თავისუფლება მიეცათ, განხორციელებინათ მაუწყებლობა ქურთულ ენაზე სრულიად. ამან ქურთების პრობლემა ვერ გადაჭრა. კვლავ ადგილი ჰქონდა შეიარაღებულ შეტაკებებს.

2013 წლის 21 მარტს, თურქეთის მთავრობასთან რამდენიმე თვიანი მოლაპარაკებების შემდეგ, ქურთ ხალხს გააცნეს პატიმრობაში მყოფი მათი ლიდერის, აბდულა ოჯალანის წერილი, როგორც თურქულ, ისე ქურთულ ენაზე, დიარბაკირში ნოვრუზის აღნიშვნის დროს. წერილში იყო მოწოდება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რომელიც ასევე მოიცავდა განიარაღებას, იქიდან მძიმე ტექნიკის გაყვანასა და შეიარაღებული ბრძოლის დასრულებას. PKK-მ განაცხადა, რომ დაემორჩილებოდნენ ოჯალანის ამ მოწოდებას. უფრო მეტიც, მათი თქმით, 2013 წელი იყო თურქეთის ხელისუფლებასთან ურთიერთობის გადაწყვეტის წელი, ომის, ან მშვიდობის გზით.

დემოკრატიისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გახლდათ პროქურთული პოლიტიკური პარტიების გამოჩენა თურქეთის რესპუბლიკაში, რომლის პირველ წარმომადგენლადაც ითვლება „სახალხო ლეიბორისტული პარტია“ (HEP - Halkın Emek Partisi). მისი იდეოლოგიაც არის ბრძოლა ქურთების უფლებების გასაზრდელად. ის არის ერთგვარი დესპანი ქურთი ხალხისა, თურქეთის პოლიტიკურ ველზე. ქურთების პოლიტიკური საქმიანობის მეორე დიდი წარმომადგენელია „სახალხო დემოკრატიული პარტია (HDP - Halkın Demokrasi Partisi), რომელიც დაარსდა 1994 წელს. ერთი წლის შემდგომ კი, თურქეთის საყოველთაო არჩევნებზე ამ ახალგაზრდა პარტიამ მილიონზე მეტი ხმა მიიღო, რომელსაც ყოველ არჩევნებზე ემატებოდა ამომრჩეველთა რაოდენობა. თუმც, მისი საქმიანობა 2003 წელს აკრძალა თურქეთის საკონსტიტუციო სასამართლომ. მათ ბრალად წარუდგინეს „უკანანო გზებით ბრძოლა და შესაბამისად, კანონსაწინააღმდეგო მეთოდების გამოყენება“. ასევე უნდა აღინიშნოს

ისიც, რომ ამ პარტიებს არჩევნებზე საკმაოდ მაღალი ბარიერის გადალახვა უწყევდათ - 10 %-იანი ზღვარი. მიუხედავად ამ 10 %-იანი ზღვრისა, პროქურთული პოლიტიკური პარტიების არსებობა მნიშვნელოვნად უნდა ჩაითვალოს, როგორც დემოკრატიზაციისკენ გადადგმული ნაბიჯი, რომელმაც თურქულ-ქურთული ურთიერთობები ახალ, მშვიდობიან პოლიტიკურ ველზე დააბრუნა.

დაპირისპირების ამ საკმაოდ ხანგრძლივი პროცესის შედეგად ქურთულ-თურქული ურთიერთობები ახალ ეტაპზე გადავიდა. ეს პროცესი ძალიან მნიშვნელოვანია თურქული დემოკრატიი გამოწვევისთვის. კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ღია დაპირისპირება მათ შორის წლებია გრძელდებოდა. ასევე გათვალისწინებული უნდა იქნას ის გენეტიკური კოდი ქურთებისა, რომელიც მიმართულია დამოუკიდებლობისკენ დაუოკებელ სწრაფვაში. ამ ქვეყანაში ქურთების აქტიურობა დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად შესაძლოა სხვა, ახალი ფორმითა და სახით წარიმართოს და საფრთხე შეუქმნას თურქეთის მშვიდობასა და დემოკრატიულ განვითარებას.

### **დასკვნა**

ქურთები, რომლებიც ადრეულ საუკუნეებიდანვე არსებობენ მსოფლიო რუკაზე, ბედის ირონიით სახელმწიფოს ქონას მოკლებულნი ანარიან. დღევანდელ მსოფლიოში არც თუ ბევრი სახელმწიფოა, რომლებსაც ესოდენ დიდი ისტორია და ტრადიციები გააჩნდეს, როგორც ქურთებს. მაგრამ ფაქტი კი ნამდვილად საოცარია\_ ერს, რომელსაც დამოუკიდებელი სახელმწიფო არასდროს ჰქონია და სულ სხვადასხვა იმპერიების შემდგენლობაში უხდებოდა არსებობა, არ მომხდარა მათი ასიმილირება არავისთან. ქურთებმა შეინარჩუნეს საკუთარი იდენტობა და უფრო მეტიც, ისინი იბრძვიან თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. რაც შეეხება თურქებთან მათ თანაცხოვრებას, ოსმალეთის იმპერიის არსებობის დროს ქურთები საკუთარ თავს ხალიფას ინსტიტუტის ქვეშ აქცევდნენ და ამდენად, მათი მშვიდობიანი თანაარსებობის გარანტი რელიგია გახლდათ. თურქეთის რესპუბლიკად გამოცხადების (1923 წ.) შემდგომ წარმოიშვა პრობლემების მთელი სპექტრი თურქებსა და ქურთებს შორის, ვინაიდან საფრთხე შეექმნა „ქურთულ“ იდენტობას. ამ ყოველივეს დაემატა რეპრესიები ადგილობრივი ქურთების წინააღმდეგ. გარკვეული დროის მანძილზე აიკრძალა სიტყვების: „ქურთი“ და „ქურთისტანი“-ის გამოყენება. მათ „მთის თურქები“ უწოდეს. ამ პრობლემების მთელი კასკადის გამოძახილი გახლდათ აბდულა ოჯალანისა და მისი თანამებრძოლების მიერ დაარსებული „ქურთისტანის მუშათა პარტია“, რომელმაც იკისრა ქურთების წინაშე არსებული პრობლემების მოგვარება. ამისთვის მათ კანონგარეშე გზებიც კი აირჩიეს. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში (თურქეთის რესპუბლიკად გამოცხადებუდან, დღემდე) თურქეთის რესპუბლიკაში თურქებსა და ქურთებს შორის შიდა არეულობა და ღია დაპირისპირება სუფევს, რომელიც ხშირად

შეიარაღებულ დაპირისპირებებში გადაიზრდება ხოლმე. ეს პროცესები ცუდ გავლენას ახდენს თურქეთის საერთაშორისო იმიჯზე. თურქეთს ოზალის სწორი პოლიტიკა იყო დასაწყისი, რომელმაც შეარბილა ამ ქვეყნის ხელისუფლების დამოკიდებულება ადგილობრივი ქურთების მიმართ, რის შედეგადაც მათ მიეცა ქურთულად საუბრის უფლება. ის დაპირისპირება, რომელიც წლების განმავლობაში ასე ღიად მიმდინარეობდა, ისევ გრძელდება. ბუნებრივია, დაპირისპირება და სიძულვილი ჩამოუყალიბდა ამ ორ მხარეს ერთმანეთის მიმართ, რომელიც ხანგრძლივი და ამავე დროს სასტიკია. მშვიდობიანი პერიოდის დამყარებას მათ შორის დრო სჭირდება, თუ ეს შესაძლებელია საერთოდ.

### ბიბლიოგრაფია

1. ლიპარტელიანი ლ. ერაყის ქურთისტანის პრობლემა ახლო აღმოსავლეთის კონტექტსში. (სამაგისტრო ნაშრომი) კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი. თბილისი, 2020.
2. სინჯარაძე ნ. უმცირესობების როლი საერთაშორისო პოლიტიკაში: ქურთული საკითხის გავლენა თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობებზე. “-თბილისი, 2018.
3. AVID McDOWALL . Minority Rights Group International - The Kurds- Printed in the UK on bleach-free paper by MFP Design and Print. 1996.
4. adam zeidan britannica - kurdistan workers' party – <https://www.britannica.com/topic/Kurdistan-Workers-Party> ( 02.25.2022)
5. Osma, M. The AKP’s Reconstruction of the Kurdish Problem during the European Union Accession Process, Eastern Mediterranean University, 2012; <http://i-rep.emu.edu.tr:8080/xmlui/bitstream/handle/11129/236/Osma.pdf?sequence=1> (02.25.2022)

## **The Kurdish issue for Turkey - as a challenge on the way to democracy**

### **Abstract**

The Kurds are one of the oldest ethnic groups in the world, they settled on the border between present-day Turkey and Syria territory B.C. II- In the millennium. During this long history of existence they have never had an independent state.

The number of Kurds in the Republic of Turkey is about 20 million, which is almost 20% of the total population of the Republic of Turkey.

The institution of the Caliph was the guarantor of the peaceful coexistence of the Kurds and the Turks during the existence of the Ottoman Empire. The Kurds united themselves under the flag of the Caliph Muslim Community. After the Ataturk reforms, when the caliphate was abolished and Turkey was transformed into a republic, then came the problem of the peaceful coexistence of the Kurds, as the Kurds faced a threat, that they gonna be disappered and assimilated in the name of a common identity, Turkey.

In 1978, when a group of Kurdish students led by Abdullah Ocalan formed the “Kurdistan Workers' Party”, the conflict entered a new phase. The „Workers' Party“ came at the head, they wanted to increase broad autonomy and the legal status of the Kurds For Kurds living in Turkey. As a result, 30-year cycle of tension and hostilities has erupted which ended in a peace treaty during Erdogan's rule. Despite this peace treaty, internal tensions between the two camps are at a rather heavy mark .

## **თურქეთის რეგიონული ამბიციები**

### **(სტამბულის არხი)**

თურქეთში დიდი ხანია განიხილება სტამბულის არხის მშენებლობის პროექტი. ქვეყნის პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანის მიერ ჯერ კიდევ ათი წლის წინ გაჟღერდა ეს მასშტაბური ინფრასტრუქტურული ჩანაფიქრი, როდესაც ის პრემიერ-მინისტრის სავარძელში იჯდა. გაზეთ Sabah-ის ჟურნალისტი ჰინჩალ ულუჩი წერდა: „პრემიერ-მინისტრმა პროექტის სახელი რომ მითხრა. ტელეფონი ხელში გამეყინა. ეს ყველაზე გიჟური პროექტია, რაც კი ოდესმე მსმენია სტამბულის შესახებ“ (9).

არსებული პროექტის თანახმად, სტამბულის არხი ქუჩუქქექმეჯე-საზლიდერე-დურუსუს დერეფანში აშენდება (9), შავ ზღვას მარმარილოს ზღვასთან დააკავშირებს და 45 კმ სიგრძის იქნება, რაც 15 მეტრით მეტია ბოსფორზე, ახალი არხის მინიმალური სიგანე 260 მეტრი, სიღრმე 21 მ, ხოლო გამტარუნარიანობა კი დღეში 185 გემზე მეტი იქნება. იგი სტამბოლის ამჟამინდელ ევროპულ ნაწილს ორ ნაწილად გაყოფს და ბოსფორის სრუტის პარალელურად გაიჭრება. პროექტის ფარგლებში ასევე მარმარილოს ზღვაში ხელოვნური კუნძულების გაშენებაც იგეგმება.

არხის მშენებლობა ჯერ კიდევ 2018 წელს უნდა დაწყებულიყო და თურქეთის რესპუბლიკად გამოცხადების 100 წლის იუბილეზე, 2023 წლისთვის უნდა დასრულებულიყო. ეს საკმაოდ სიმბოლური იქნებოდა, რადგან ერდოღანი ყოველთვის აცხადებს თავის გრანდიოზულ პროექტებს გარკვეულ პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით. თუმცა ეს თარიღი რამდენჯერმე შეიცვალა და ბოლო მონაცემებით, მშენებლობის დასრულების თარიღად 2025-2026 წლების შუალედი სახელდება (4).

რატომ გადაწყვიტა თურქეთმა ბოსფორის სრუტის ალტერნატიული არხის მშენებლობა და რისთვის სჭირდება მას სტამბულის არხი. ბოლო პერიოდში საუბრები ამ საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებით გააქტიურდა. აღნიშნულმა პროექტმა საზოგადოების დიდი ინტერესი მისი დაანონსებისთანავე გამოიწვია. მას ქვეყნის შიგნით გამოუჩნდნენ როგორც მომხრეები, ასევე მოწინააღმდეგეებიც. თურქეთის ტრანსპორტის მინისტრის ქაჰით თურანის განცხადებით, სტამბოლის არხი ყოველწლიურად მილიარდი დოლარით გაზრდის შემოსავლებს, ხოლო 2035 წლისთვის არხი წელიწადში 50 000 გემს მიიღებს და ეს მაჩვენებლები მომდევნო წლებში კიდევ უფრო გაიზრდება. თურქეთი არ უნდა იყოს



დამოკიდებული ევროპაზე, არ უნდა იყოს დამოკიდებული ჩინეთზე და აშშ-ზე, ის უნდა იყოს მაქსიმალურად მოქნილი ყველა ქვეყნის მიმართ და უნდა მოქმედებდეს მხოლოდ ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე (1) - ამბობს ის.

როგორც პროექტის მხარდამჭერები ამტკიცებენ, ახალი სანაოსნო გზის მშენებლობა მნიშვნელოვანი და მომგებიანი პროექტია. ის დიდ ფულს შემოიტანს ქვეყნის ხაზინაში და ხელს შეუწყობს როგორც ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, ასევე მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, რადგანაც მთავარი მიზეზი, რის გამოც უნდა მოხდეს აღნიშნული არხის მშენებლობა გახლავთ ის, რომ შემცირდეს ბოსფორის სრუტის დატვირთვა.

მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე გადატვირთულ საზღვაო გზაზე ყოველწლიურად 43 000-ზე მეტი გემი გადის. მათ შორის ნავთობის ტანკერები, მაშინ როცა ეს მაჩვენებელი საერთაშორისო ხელშეკრულებების მიხედვით 25 000-ია, ეს გარემოება კი კიდევ უფრო ზრდის ახალი საზღვაო არტერიის შექმნის აუცილებლობას და მნიშვნელობას (6). იქ ყოველწლიურად გაცილებით მეტი სავაჭრო და სამხედრო გემი გადაადგილდება, ვიდრე სუეცისა და პანამის არხით სარგებლობისას ერთად.

თურქეთის პრეზიდენტის, რეჯეფ ტაიფ ერდოღანის განცხადებით, "ამჟამად ხდება ბოსფორის სრუტის გადატვირთვა, სადაც გემების გადაადგილება ხშირად ფერხდება მათი მრავალრიცხოვნების გამო და არასასიამოვნო შემთხვევებიც არ არის იშვიათი. ეს გარემოება კი თავისთავად „პოტენციურ რისკებს შეიცავს“ (2). ქვეყნის მთავრობა ამბობს, რომ გაამარტივებს მოძრაობას ბოსფორის სრუტეზე, მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე დატვირთულ საზღვაო გადასასვლელზე და თავიდან აიცილებს წინა წლების მსგავს ავარიულ შემთხვევებს - „ნავთობის ტანკერები და სატვირთო გემები, რომლებიც ატარებენ სახიფათო ნივთიერებებს, არ იქნებიან იძულებულნი, გაიჭედონ გადატვირთულ სრუტეში, რაც ამცირებს შეჯახების რისკს და გარემოზე მიყენებულ ზიანს. წყალსადენის პროექტი მიზნად ისახავს, შეაჩეროს გემები, რომლებიც ბოსფორის გავლით სახიფათო ტვირთს ატარებენ“ (9) - განაცხადა ერდოღანმა 2021 წლის 7 აპრილს.

ერდოღანი ამ ახალი არტერიის შესახებ უკვე მრავალი წელია ლაპარაკობს. დაგეგმილი ხელოვნური არხი შავ ზღვასა და მარმარილოს ზღვას შორის, ქვეყანას უზარმაზარ ეკონომიკურ წარმატებების მოტანას ჰპირდება, მაგრამ მიუხედავად ამისა, სტამბულის არხის მშენებლობის საკითხი არაერთხელ იქცა მწვავე განხილვის საგნად. „გიჟური პროექტის“ მოწინააღმდეგეები არიან სეისმოლოგები. გარემოსდამცველები ამ პროექტის წინააღმდეგწინააღმდეგ გამოდიან და ამტკიცებენ, რომ ამან შეიძლება გამოიწვიოს ეკოლოგიური კატასტროფა, ჯერ კიდევ 2012 წელს, პროფესორ საიდამის მიერ ინიცირებულმა პეტიციამ პროექტის წინააღმდეგ 26,795-ზე მეტი ხელმოწერა შეკრიბა. სტამბულის არხის პროექტის განხორციელებას ეწინააღმდეგება თვით სტამბოლის მერი ექრემ იმამოღლუც, ოპოზიციური რესპუბლიკური სახალხო პარტიის (CHP) წევრი, რომელსაც უკან

საკმაოდ მრავალრიცხოვან თანამოაზრეთა არმია უდგას. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკური სახალხო პარტია სამართლიანობისა და განვითარების პარტიის ძველი პოლიტიკური ოპონენტი. სტამბულის მერი „სიკვდილის პროექტს“ უწოდებს ერდოღანის „ოცნების პროექტს“ (1), ის თამამად საუბრობს მოსალოდნელი რისკებისა და მრავალმილიარდიანი ხარჯების შესახებ და ყურადღებას ამახვილებს იმ მოსალოდნელი ეკოლოგიური კატასტროფის საშიშროებაზე (მტკნარი ტბის, „დურუსუს ლიკვიდაცია, მიწისქვეშა წყლების მარილით დაბინძურება), რომელიც უდიდესი ზიანის მომტანი იქნება ქვეყნისთვის, ქალაქისთვის და მოსახლეობისთვის.

თურქეთის მწვანეთა პარტიამ ასევე მოუწოდა ქვეყნის მთავრობას, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს არხის პროექტი, რასაც მოჰყვება ტყეების გაჩეხვა სტამბულის მახლობლად, ისევე როგორც გრძელვადიანი ეკოლოგიური ზიანი, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს მეზობელ ქვეყნებზეც (8). მედია-ორგანიზაცია Daily Sabah-ი ამასთან დაკავშირებით წერდა, რომ 2021 წლის 30 აპრილის Reuters-ის მოხსენებაში ნათქვამია; თურქეთის ზოგიერთ ბანკს არ სურს პროექტის დაფინანსება გარემოსდაცვითი პრობლემების გამო და დაასახელა გლობალური მდგრადობის პაქტი (10) (ის ითვალისწინებს ბიზნესის ყურადღების მიპყრობას შემდეგი მიმართულებით: ადამიანის უფლებები, შრომის უფლებები, გარემოს დაცვა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა), როგორც დაფინანსების ბარიერი.

როდესაც რისკების შესახებ ვსაუბრობთ, აქ საჭიროდ ვთვლით, ვახსენოთ მონტროს კონვენცია. შეეხება თუ არა მონტროს კონვენცია სტამბულის არხს და მოხდება თუ არა მისი გადასინჯვა? – „არხი სტამბული, რომელსაც საერთო არაფერი აქვს მონტროს კონვენციასთან, მოუტანს თურქეთს უფრო მეტ კომფორტს და მშვიდობას...„მონტრო ეხება მხოლოდ ბოსფორის სრუტეს. ის ისტორიაა. სტამბულის არხი კი ჩვენი პროექტია, რომელსაც ჩვენ თვითონ ავაშენებთ“ – თქვა ერდოღანმაერდოღანმა (2).

როგორც თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მევლუთ ჩავუშოდლუმ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ, სერგეი ლავროვთან შეხვედრის დროს განაცხადა, მონტროს კონვენციის გადახედვა არ მოხდება და არ შეიცვლება ბოსფორისა და დარდანელის მმართველობითი პოლიტიკა (11). ერდოღანის პოტენციური კონკურენტი საპრეზიდენტო არჩევნებში, სტამბულის მერი ეკრემ იმამოღლუ კი მონტროს კონვენციას თურქეთის „დამცავ ფარად“ მიიჩნევს (7).

1936 წელს მონტროში, შვეიცარიაში ხელმოწერილი კონვენცია არეგულირებს ნავიგაციას ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებში, მარმარილოს ზღვაში და ადგენს სამართლებრივ პირობებს საზღვაო ტრანსპორტისთვის ეგეოსის ზღვასა და შავ ზღვას შორის. ის აღიარებს სრუტეების საერთაშორისო სტატუსს და თურქეთს

ანიჭებს მთავარ როლს ბოსფორსა და დარდანელზე კონტროლის განხორციელებაში.

მონტროს კონვენცია განასხვავებს სავაჭრო გემებსა და სამხედრო გემებს. კონვენციაში ნათქვამია, რომ მშვიდობიან დროს სავაჭრო გემებისთვის მიღებულია გადაადგილების თავისუფალი პრინციპი. სამხედრო გემებისთვის კი დაწესებულია გარკვეული შეზღუდვები. მაგალითად, არაშავიზღვისპირა ქვეყნების სამხედრო გემების ჯამური ტონაჟი შემოიფარგლება 30 ათასი ტონით, ხოლო შავ ზღვაში მათი ყოფნის ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 21 დღეს. ამავე კონვენციით თურქეთს უფლება აქვს საერთოდ დახუროს სრუტეები სამხედრო გემებისათვის საომარ პერიოდში, ან იმ შემთხვევაში, თუკი თურქეთს საფრთხეს დაემუქრება (1).

მიუხედავად განცხადებებისა, რომ არ მოხდება მონტროს კონვენციის გადასინჯვა, ძნელი დასაჯერებელია, სტამბულის არხის მშენებლობის პროექტმა 1936 წლის შეთანხმებაზე რაიმე გავლენა არ მოახდინოს. მით უფრო, რომ ახალი სანაოსნო გზის მშენებლობა, რომელიც არც ერთ საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტში არ არის დაფიქსირებული, ანკარას საშუალებას აძლევს, დააყენოს მონტროს კონვენციის გადახედვის საკითხი.

ვფიქრობთ, იმის გათვალისწინებით, რომ თურქეთი ნატოს წევრია, ხელშეკრულება შესაძლებელია, გადაიხედოს თურქეთის მოკავშირეების ინტერესების გათვალისწინებით, რაც რუსეთისთვის რისკის შემცველია.

როგორც ჩანს, ბოსფორის განტვირთვა და სრუტეზე მარტივი და უსაფრთხო გასასვლელის უზრუნველყოფა არ არის თურქეთის ერთადერთი მიზანი. მას სურს დაიბრუნოს თავისი წონა მსოფლიო პოლიტიკაში. თუ არხს მხოლოდ თურქეთის სახელმწიფო ააშენებს გარედან ფინანსური დახმარების გარეშე, მაშინ ის მხოლოდ ანკარას კონტროლის ქვეშ იქნება, რაც მხოლოდ გააძლიერებს მის გეოპოლიტიკურ როლს რეგიონში.

ამდენად კითხვა, შეუძლია თუ არა თურქეთს არხის მართვა თავისი შეხედულებისამებრ? უფრო სწორად, როგორ მართავს მას? ღიად რჩება. პროექტის განხორციელების შემთხვევაში მოქმედ პრეზიდენტს შესაძლებლობა ექნება სტამბულის არხს აუცილებლობის შემთხვევაში მომგებიანად გამოიყენოს როგორც რუსეთის ფედერაციის, ისე ნატოს ქვეყნების წინააღმდეგ და აჩვენოს მათ რომ თურქეთი ძლიერი სახელმწიფოა რეგიონში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მიხედვით, სტამბულის მოსახლეობის მხოლოდ 7,9% უჭერს მხარს არხის მშენებლობას. ერდოღანი იმედოვნებს, რომ არხის და მის ნაპირებთან არსებული ქალაქების მშენებლობა შექმნის ათასობით სამუშაო ადგილს და გაზრდის მის რეიტინგს 2023 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ. ახლა თურქები არ არიან კმაყოფილი იმით, თუ როგორ მართავს პრეზიდენტი და მისი გუნდი ქვეყანას, ეკონომიკას და პანდემიას. ქვეყნის მოსახლეობა კი ყველაზე მეტად სწრაფად მზარდ ინფლაციას უჩივის.

როგორც ვხედავთ, არსებობს საკმაოდ ბევრი წინააღმდეგობები და კითხვები, რომლებიც მოითხოვს პასუხებს, რამდენად განხორციელდება ერდოღანის ჩანაფიქრი და რამდენად მომგებიანი იქნება ეს პროექტი თურქეთისათვის, ამას მომავალი აჩვენებს.

## ბიბლიოგრაფია

1. ბაქრაძე თ, რატომ სჭირდება სტამბოლის არხი საქართველოს და რეგიონს, <https://businessfeed.ge/ratom-stchirdeba-stambolis-arkhi-saqarthvelosa-da-regions>
2. ერდოღანმა სტამბოლის არხის მშენებლობის დაწყება გამოაცხადა, <https://www.ghn.ge/news/265649-erdoghanma-stambolis-arkhis-msheneblobis-datsqeba-gamoatskhada>
3. კილაძე ს, "ერდოღანის ახალი ინიციატივა: რა ნეგატიური შედეგები ექნება "სტამბოლის" ახალ არხს" - რას წერს "ბიბისი", <https://kvirispalitra.ge/article/79490-qerdoghanis-akhali-iniciativa-ra-negatiuri-shedegebi-eqneba-qstambolisq-akhali-arkhsq-ras-tsers-qbibisiq/>
4. შოშიაშვილი ვ, ბოსფორსა და მარმარილოს ზღვებს შორის, <https://geocase.ge/ka/publications/484/bosforsa-da-marmarilos-zghvebs-shoris>
5. ჯოხაძე გ, სტამბოლის არხი: ერდოღანის კონტროვერსიული მეგაპროექტი – შესაძლებლობა თუ ზედმეტი თავის ტკივილი?, <https://foreignpolicycouncil.com/2021/09/08/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%AE%E1%83%98-%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%A6%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98/>
6. Абдулаиев Р, церемонии закладки фундамента первого моста через водную артерию между Черным и Мраморным морями принимает участие президент Эрдоган, <https://www.aa.com.tr/ru/%D1%82%D1%83%D1%80%D1%86%D0%B8%D1%8F/%D0%BA%D0%B0%D0%BD%D0%B0%D0%BB-%D1%81%D1%82%D0%B0%D0%BC%D0%B1%D1%83%D0%BB-%D0%B8%D0%BD%D0%B8%D1%86%D0%B8%D0%B0%D1%82%D0%B8%D0%B2%D0%B0-%D0%BD%D0%B0%D0%BF%D1%80%D0%B0%D0%B2%D0%BB%D0%B5%D0%BD%D0%BD%D0%B0%D1%8F-%D0%BD%D0%B0-%D0%B7%D0%B0%D1%89%D0%B8%D1%82%D1%83-%D0%B1%D1%83%D0%B4%D1%83%D1%89%D0%B5%D0%B3%D0%BE->

[%D0%BC%D0%B5%D0%B3%D0%B0%D0%BF%D0%BE%D0%BB%D0%B8%D1%81%D0%B0/2285899](https://www.dailysabah.com/business/transportation/kanal-istanbul-wont-affect-governance-of-straits-turkish-foreign-minister) .

7. Халтурин А, Канал «Стамбул»: необходимость или амбиции Эрдогана?, <https://russiancouncil.ru/blogs/akhalturina/kanal-stambul-neobkhodimost-ili-ambitsii-erdogana/>
8. Grey E, Kanal İstanbul: Erdoğan's drive to build a new strait, <https://www.ship-technology.com/features/kanal-istanbul-erdogans-drive-build-new-strait/>
9. Kanal Istanbul's 1st bridge to begin as funding issues dismissed, <https://www.dailysabah.com/business/transportation/kanal-istanbul-1st-bridge-to-begin-as-funding-issues-dismissed> .
10. Kanal Istanbul has nothing to do with Montreux Convention: Erdoğan, <https://www.dailysabah.com/business/transportation/kanal-istanbul-has-nothing-to-do-with-montreux-convention-erdogan>
11. Hamit D and Zahra Nur Duz , Meeting with Russian Foreign Minister Lavrov, Mevlut Cavusoglu also talks Syria, Libya, Caucasus, and tourism ties, <https://www.aa.com.tr/en/turkey/canal-istanbul-wont-affect-governance-of-straits-turkish-foreign-minister> .

**Nino Kopaliani**

Caucasus International University

## **Turkey's Regional Ambitions (Istanbul Canal)**

### **Abstract**

The issue about building Istanbul canal construction has been discussed for a long time. The idea of constructing grandiose infrastructural conception was made to sound 10 years ago. And in recent years talks have intensified on this issue. The new navigable route will connect the Black Sea to the Marmara Sea and divide the current European part of Istanbul into two parts. The main motive for construction of the canal is to reduce the load on the Bosphorus Strait and unload it from the ships. According to the initial statement, the construction of this 45-kilometer canal should have started in 2018,

on the 100 th anniversary of the proclamation of the republic of Turkey and should have finished by 2023.

The question naturally arises - What the future of the Istanbul canal will be?

The project was reacted by Supporters and opponents within the country from the side of Ekrem Imamoglu. Will the Montres Convention influence on building canal or will it be revised? -Peace and security inside the country greatly depends on the given issue. It is interesting to know the rating of Erdogan and his party, and also what calculations the incumbent President of Turkey has?

Erdogan is strongly motivated by the project. In the frame of his initiative and guidance, it is a strong geopolitical tool, that he will actively use if necessary. On the other hand, the implementation of the project will help to cover the problems within the country. Erdogan wants to prove, that Turkey is a strong state in the region and that can change the rules of the game at any time and also enable to implement the exact project. It is a kind of demonstration of power of the president.

It should also be noted, that the project is quite expensive, which is associated with significant financial costs and also is environmentally hazardous.

It is clear, that there are a lot of questions that need to be answered. Will the project be implemented at all and to what extent it will be useful for Turkey - the future will show this.

## ქართული სახელმწიფოს

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

## მარინე უგულავა

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

### საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობები სამხრეთ კავკასიის რეგიონის კონტექსტში

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამხრეთ კავკასიის ქვეყნები (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, რის შედეგადაც მათ საერთაშორისო ურთიერთობის სრულფასოვანი სუბიექტის სტატუსი მოიპოვეს. ამ ქვეყნებისადმი საერთაშორისო დაინტერესება რეგიონის სტრატეგიულმა ადგილმდებარეობამ და აქ არსებულმა ენერგორესურსებმა განსაზღვრა. ახალ რეალობასა და სივრცეში შექმნილმა მდგომარეობამ საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის წინაშე დღის წესრიგში დააყენა რეგიონული, საგარეო და ეკონომიკური ურთიერთობების მოწესრიგება. ამ მხრივ აღსანიშნავია საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთთანამშრომლობა, რომელსაც ხანგრძლივი ისტორია გააჩნია. ამ ქვეყნებს შორის არსებული რელიგიური, კულტურული, ეთნიკური, პოლიტიკური და ღირებულებებს შორის არსებული განსხვავებებისა, ეკონომიკური ინტერესები გახდა საკმარისი დემოკრატიულ, დასავლურ ღირებულებებზე ორიენტირებულ საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის საკმაოდ მტკიცე პარტნიორობის ფორმირებისთვის.

მთავარი საფუძველი გახდა ეროვნული იდენტობის საკითხი და არასტაბილური სიტუაცია, ეკონომიკური კრიზისი და კონფლიქტები. სწორედ შიდაპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ორივე ქვეყანას უჭირდა ორმხრივი ურთიერთობების გაუმჯობესებაზე ზრუნვა, რაც, რა თქმა უნდა, იყო შემაფერხებელი ფაქტორი, ანუ როგორც უკვე ავღნიშნეთ რთული შიდაპოლიტიკური მდგომარეობა. შესაბამისად, ეს გარკვეული დროის მანძილზე იწვევდა არაეფექტურ თანამშრომლობას ქვეყნებს შორის 5. 152-153).

საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობა პოსტსაბჭოთა პერიოდში ძირითად პრაგმატულ გათვლებზე დაფუძნდა, რაც დასრულდა დსთ-ში გაწევრიანებით, რაც ორი ქვეყნის ლიდერის მიერ იქნა გადაწყვეტილი და მიზნად ისახავდა რუსეთისგან მომდინარე საფრთხის განეიტრალების და ურთიერთობების ნორმალიზაციას (5 45). რუსეთი საქართველოზე ეკონომიკურ ზეწოლას ახორციელებდა. ამას ემატებოდა ენერგეტიკული პრობლემებიც. რუსეთი ცდილობდა სანქციები დაეწებინა აზერბაიჯანისთვის. ამ დროს გააქტიურდა საქართველოსა და

აზერბაიჯანს შორის ურთიერთობა, რომელის მთავარ მახასიათებლად ეკონომიკური თანამშრომლობა უნდა ჩავთვალოთ.

პოსტსაბჭოტა პერიოდში საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობა გამყარდა მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლობის შექმნით. ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური კავშირი 1992 წლის 18 ნოემბერს დამყარდა. გაფორმდა 100-ზე მეტი საერთაშორისო ხელშეკრულება, დეკლარაცია, ოქმი (8). აღნიშნულმა ხელშეკრულებებმა ხელი შეუწყო საქართველო-აზერბაიჯანის მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების დამყარებას.

1994 წლის 20 სექტემბერს აზერბაიჯანის მთავრობამ და მსოფლიოს წამყვანმა 20 მა ნავთოკომპანიამ ხელი მოაწერეს საუკუნის კონტრაქტებს. სულ იყო 12 კონტრაქტი, რაც ითვალისწინებდა აზერბაიჯანში არსებული ნავთობის და ბუნებრივი აირის რესურსების ათვისებას და მათ შემდგომ ტრანსპორტირებას დასავლეთის მიმართულებით. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ 1995 წელს აზერბაიჯანის პრეზიდენტს, ჰეიდარ ალიევს პირადად ესაუბრა აშშ-ის პრეზიდენტი ბილ კლინტონი და სანავთობო პროექტების რუსეთის გვერდის ავლით განხორციელება შესთავაზა. ამით ცალსახად განისაზღვრა კავკასიის რეგიონის მიმართ აშშ-ის ახალი სტრატეგია (2).

1995 წლის თებერვალში ბაქოში გაიხსნა საქართველოს საელჩო, ხოლო 1996 წლის მარტში-აზერბაიჯანისა, საქართველოში. ჰეიდარ ალიევი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ ორი რესპუბლიკის ურთიერთობას. სხვადასხვა სფეროში ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაღრმავებას ხელი შეუწყო 1996 წლის 9 მარტს ჰეიდარ ალიევის ოფიციალურმა ვიზიტმა საქართველოში, როდესაც ხელი მოეწერა საქართველოს და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობისა და საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებებს. ამ უკანასკნელმა ხელშეკრულებამ შემდგომში განაპირობა ბაქო-სუფსის მილსადენის მშენებლობა. აღსანიშნავია, რომ ამ პროექტის მშენებლობას მხარი აშშ-მ დაუჭირა (3). უნდა აღინიშნოს, რომ 1996 წელს ჰეიდარ ალიევის ვიზიტის დროს 100-მდე ხელშეკრულებას მოეწერა ხელი. მათ შორი იყო ნავთობისა და გაზის სფეროში თანამშრომლობა, ინვენსტიციების წახალისება და ა.შ.

საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო პროექტია ბაქო-სუფსის საექსპორტო მილსადენის მშენებლობა, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 1996 წელს ჰეიდარ ალიევის საქართველოში ვიზიტისას. ეს იყო საკმაოდ მნიშვნელოვანი ეტაპი ორ ქვეყნას შორის ნაყოფიერი და წარმატებული თანამშრომლობის საფუძვლის შესაქმნელად. ენერგორესურსების პრობლემა საქართველოს წინაშე დამოუკიდებლობის პირველი დღეებიდანვე დადგა. კერძოდ კი იქიდან, როდესაც რუსეთმა საქართველოს გაზის მიწოდება შეუწყვიტა (1994 წ.). საქართველომ მალევე შეძლო



და აზერბაიჯანისგან მიიღო გარანტია, უწყვეტად, 5 წლით გაზის მიწოდებაზე. როდესაც დადგა საკითხი ზემოაღნიშნული მილსადენის მშენებლობისა, რუსეთის ხელისუფლებას მცდელობა ჰქონდა, პრობლემები შეექმნა მილსადენების პროექტებისთვის და საქართველოს სატრანზიტო იმიჯისთვის. აშშ-ის ხელისუფლების მხარდაჭერით საქართველო ჩაერთო ენერგეტიკულ ინიციატივაში, რაც საქართველოს მთავრობის პროდასავლურ პოლიტიკაზე მიუთითებდა. შეთანხმება, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ „საუკუნის პროექტი“, დაეხმარა საქართველოს, დაბრუნებულიყო მსოფლიო რუკაზე, როგორც ისტორიულად სატრანზიტო როლის მქონე ქვეყანა, რამაც გზა გაუხსნა აღმოსავლეთ-დასავლეთის სტრატეგიულ ენერგოდერეფანს და ხელი შეუწყო აზერბაიჯანისა და საქართველოს სტაბილურ და მშვიდობიან განვითარებას (6). მილსადენი ექსპლუატაციაში 1999 წელს შევიდა ბაქო-სუფსის ნავთობსადენი კომპანია „British Petroleum“-ის მიერ. ნავთობსადენის სიგრძე 830 კმ-ია, დიამეტრი - 530 მმ. მისი საშუალებით ნავთობის აზერბაიჯანიდან დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, სუფსის ტერმინალში ტრანსპორტირება ხორციელდება. სუფსის ტერმინალის ტევადობა კი 120 000 ტონაა. ჰეიდარ ალიევი აღნიშნავდა, რომ „აზერბაიჯანი-საქართველოს ურთიერთობას აქვს დიდი მნიშვნელობა. რეგიონში ჩვენი მეგობრული და ძმური ურთიერთობის განვითარება მნიშვნელოვანია, როგორც ჩვენი ხალხისთვის და ქვეყნებისთვის, ასევე ის წარმოადგენს დიდ მნიშვნელობას მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფისთვის რეგიონში“ (9).

1999 წელს ეუთოს სტამბულის სამიტი უაღრესად მნიშვნელოვანი იყო გეოპოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით. სამიტზე ორი უმსხვილესი ენერგოპროექტის განხორციელების შესახებ იქნა მიღებული გადაწყვეტილება. აქ საუბარია ნავთობსადენისა და გაზსადენის: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი და ბაქო - თბილისი - ერზრუმის მილსადენების გაყვანაზე (10). დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, რომელიც ეხებოდა საქართველოს გავლით ამ მილსადენის გაყვანას, საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, ქართულმა დიპლომატიურმა კორპუსმა, პროცესში ჩართულმა ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მხარდაჭერამ ამ პრობლემის გადაწყვეტა მოახერხეს. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენს გეოპოლიტიკური თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მას უნდა მოეხდინა რუსეთისაგან დამოუკიდებლად ნავთობის ტრანსპორტირება აზერბაიჯანიდან (შემდეგ ყაზახეთიდან) მსოფლიო ბაზარზე. ეს იყო დსთ-ში პირველი ნავთობსადენი, რომელიც გვერდს აუვლიდა რუსეთს. თავდაპირველად ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი ჩაფიქრებული იყო, როგორც პირდაპირი მილსადენი ბაქოდან ჯეიჰანში, რომელიც თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, უნდა გასულიყო სომხეთის გავლით. ჰეიდარ ალიევს იმედი ჰქონდა, რომ გამოეყენებინა ეს პერსპექტივა მთიანი ყარაბაღის დასაბრუნებლად. როდესაც ერევანმა ამაზე უარი განაცხადა, აზერბაიჯანმა

(თურქეთის მხარდაჭერით) გადაწყვიტა სომხეთისაქვის უარი ეთქვა, მონაწილეობა მიეღო რეგიონალურ პროექტებში. სომხეთი ასევე გამოირიცხა სხვა რეგიონალური პროექტებისგანაც, რამაც უფრო მეტად გახადა ის დამოკიდებული რუსეთისა და ირანის მხარდაჭერაზე.

2002 წელს გამოიკა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის, ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენისა და ბაქო-თბილისი-ერზერუმის, სამხრეთ კავკასიური გაზსადენის პროექტების კოორდინაციისა და მათი განხორციელების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ. ამ პროექტების განხორციელების დაწყებით საფუძველი ჩაეყარა „აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერჯეტიკული დერეფნის“ სრულმასშტაბიანი მშენებლობის პროცესს, რასაც დასაბამი მიეცა 1992 წელს საქართველოს პრეზიდენტის მიერ შემუშავებული „დიდი აბრეშუმის გზის“ აღდგენის კონცეფციით, რომლის შედეგად ნათლად ჩამოყალიბდა საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის სტრატეგიული ფუნქცია და პერსპექტივები (8). ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, რომლის სიგრძეც 1776 კილომეტრია, კასპის ზღვიდან აზერბაიჯანული ნავთობის საქართველოს გავლით მსოფლიო ბაზრებზე ტრანსპორტირებას ემსახურება. იგი ისტორიულ საერთაშორისო ენერგოპროექტს წარმოადგენს, რომელმაც გახსნის დღიდან, 2006 წლის 13 ივლისის შემდეგ, 3,3 მილიარდ ბარელზე მეტი ნავთობის ტრანსპორტირება განახორციელა. Reuters-ის ინფორმაციით, 2020 წელს, 10 თვეში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის გავლით, 3.3 მილიონი ტონა ყაზახური ნავთობის ტრანზიტიც განხორციელდა. ამასთან, მილსადენში 2020 წელს არ გაუვლია თურქმენული ნავთობს (9). ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ბაქო-თბილისი-ერზერუმის მილსადენის მშენებლობამ დიდი ცვლილებები განაპირობა სამხრეთ კავკასიაში. ამ ენერჯეტიკულმა პროექტებმა ხელი შეუწყო საქართველო-აზერბაიჯანის ევრო-ატლანტიკურ სივრცესთან დაახლოებას და კონსოლიდაცია მოახდინა ბაქო-თბილისი-ანკარას თანამშრომლობისა. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მშენებლობამ განამტკიცა საქართველო-აზერბაიჯანის ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური კავშირები. მისიდან 2006 წლიდან ფუნქციონირებს. რა თქმა უნდა, საქართველოს ასეთი ჩართულობა საერთაშორისო პროექტში რუსეთის უკმაყოფილებას იწვევდა, რაც განპირობებული იყო რუსეთზე გვერდის ავლით ენერგორესურსების ტრანსპორტირებაზე. 2007 წელს საქართველომ, აზერბაიჯანმა და თურქეთმა ხელი მოაწერეს „თბილისის დეკლარაცია“, რომელიც გულისხმობდა თანამშრომლობის გაფართოებას ენერჯეტიკული და სატრანსპორტო მიმართულებით.

სამხრეთ კავკასიაში დაგეგმილ და მიმდინარე ენერგო პროექტებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო რეგიონისთვის, არამედ დასავლეთისთვისაც. აშშ-ის ხელშეწყობით ევროკავშირმა შეიმუშავა „სამხრეთ გაზის დერეფნის“ პროექტი, რომელიც ევროკავშირისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმო-

ადგენს. სწორედ ამ დერეფანს უნდა უზრუნველყო ევროპის რუსულ გაზზე დამოკიდებულების შემცირება. 10 მილიარდი კუბურ მეტრი გაზს ევროპა აზერბაიჯანიდან, საქართველოსა და თურქეთის გავლით მიიღებს. რუსეთის ენერგოდამოკიდებულებისგან განთავისუფლება დასავლეთისთვის პოლიტიკურ განთავისუფლებას უდრის. „სამხრეთის გაზის დერეფანის“ ფარგლებში გაფართოვდა საქართველოზე გამავალი გაზსადენიც. ასევე შენდება ტრანსადრიატიკული (TAP) გაზსადენი, რომელიც TANAP-ის გაგრძელებაა (7).

უნდა აღვნიშნოთ, რომ 2014 წელს კრწანისის სასწავლო-საწვრთნელ ცენტრში გაიმართა სამეთაურო-საშტაბო კომპიუტერული წვრთნები აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის სამხედრო მოსამსახურეების მონაწილეობით. მოცემული სწავლების მიზანი იყო მრავალეროვნული ბრიგადის შტაბის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფდა სტრატეგიული მილსადენების დაცვას, პირველ რიგში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისას.

საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობაში მნიშვნელოვანია 2009 წლის 20 მაისის შეხვედრა, სადაც ამე ქვეყნების პრეზიდენტები შეთანხმდნენ რეგიონალურ თანამშრომლობაზე და სხვა საკითხებზე: გააფართოვონ საერთაშორისო კავშირები, დამყარდეს სამხრეთ კავკასიაში პოლიტიკური სტაბილურობა. უზრუნველყონ უსაფრთხოება ნავთობისა და გაზის მაგისტრალების. რეგიონალური პრობლემებისა და ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

2012 წელს თურქეთის ქ. ტრაპიზონში თურქეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს მიერ ხელმოწერილი იქნა “ტრაპიზონის დეკლარაცია”, რომელიც ასახავს სამი ქვეყნის ურთიერთთანამშრომლობის მნიშვნელოვან მიმართულებებს ეკონომიკის, ენერგეტიკის, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტის, კულტურისა და ჰუმანიტარულ სფეროებში.

საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობების ძირითადი თანამშრომლობის სფეროები რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე პოსტსაბჭოთა პერიოდში შეიძლება ასე განვსაზღვროთ\_ ესენია: თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი, რომელიც სამართლებრივად და დარეგულირებული, ენერგეტიკა, რომელიც წარმოადგენს თანამშრომლობის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებას, სატრანსპორტო და სარკინიგზო (ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი TRACECA), რომელიც შემოთავაზებული იყო 1993 წელს და წარმოადგენდა ტრადიციული დიდი აბრეშუმის გზის ხელახლა დაბადებას. არსებობს TRACECA-ს 2 რკინიგზის ხაზი, რომელიც აკავშირებს აზერბაიჯანსა და საქართველოს; პირველი- ბაქო-თბილისი- ბათუმი და მეორე- ბაქო-თბილისი- ფოთი. ამ მაგისტრალების უდიდესი ნაწილი აშენდა ევროპული სტანდარტის მიხედვით (4, 56 ) ასევე, განათლება და კულტურა.

მიუხედავად სტაბილური პარტნიორობისა, საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობაში იყო პრობლემებიც, რაც ძირითადად განპირობებულია რუსეთის ფაქტორით, მაგრამ მოხდა ამ პრობლემების დასტაბილურება. უნდა აღვნიშნოს,

რომ საქართველოში აზერბაიჯანული მსხვილი ინვენსტიციები ხორციელდება. საქართველოს შიდა ენერგეტიკულ ბაზარზე ორმხრივი ენერგეტიკული თანამშრომლობის წყალობით გაზრდილია აზერბაიჯანის წილი, განსაკუთრებით კი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ. აზერბაიჯანი ფლობს და ოპერირებას უწევს ყულევის პორტს, რომელიც წარმოადგენს უდიდეს აზერბაიჯანულ ინვესტიციას საქართველოში.

საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის მრავალმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობა და რეგიონალური პარტნიორობა საერთაშორისო მხარდაჭერით არის დაბალანსებული. ამ ქვეყნებს შორის არსებობს პრობლემა - 480 კილომეტრიანი საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის საკითხებზე, რომელიც ჯერ კიდევ არ არის დასრულებული პროცესი.

1996 წლიდან აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის საზღვრის საკითხზე მიმდინარე მოლაპარაკებების ერთ-ერთ სადავო საკითხს წარმოადგენს დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი. მისი დიდი ნაწილი საზღვრის დაუდგენელ ნაწილშია მოქცეული. დავით გარეჯის შესახებ როგორც ქართული, ისე აზერბაიჯანული მხრიდან არსებობს ისტორიული კუთვნილების ნარატივი. აზერბაიჯანული მხარის მტკიცებით, ეს ტერიტორია მოიაზრება კავკასიის ალბანეთის ნაწილად და მიაჩნიათ, რომ არაბების შემოჭრამდე არსებული ქრისტიანული მემკვიდრეობა მათთვის მნიშვნელოვანია. საქართველოსთვის დავით გარეჯი ისტორიული და ქრისტიანული კულტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლია, რომელიც VI ს-ში დაარსა 13 ასურელ მამათაგან ერთ-ერთმა. საუკუნეების განმავლობაში აქ გაიზარდა ეკლესიებისა და კელიების რაოდენობა. სამონასტრო კომპლექსმა როგორც აყვავების, ისე რბევისა და აოხრების პერიოდები გაიარა. დღეს კომპლექსის ნაწილი აზერბაიჯანის რესპუბლიკის შემადგენლობაშია. საკითხი საკმაოდ სენსიტიურია. პრობლემა ვერ გადაწყდა ვერცერთი ხელისუფლების დროს. სამონასტრო კომპლექსიდან უდაბნო, ბერთუბანი და ჩიჩხიტურის ეკლესიის ნაწილი აზერბაიჯანის მხარეს მდებარეობს. აღნიშნულ მონაკვეთზე ხშირად ხდება ხოლმე აზერბაიჯანელ მესაზღვრეთა მიერ კონტროლის გამკაცრება, რაც ქართული მხარისა და მომლოცველთა გაღიზიანებას იწვევს. 2006 წელს გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველო აზერბაიჯანს დავით გარეჯის სადავო მონაკვეთის ნაცვლად საზღვრის სხვა მონაკვეთში ტერიტორიის გაცვლას სთავაზობდა. მაშინ აზერბაიჯანული მხარე საჯაროდ უარყოფდა ამას იმ მოტივით, რომ მათთვის მიწების გაცვლა მიუღებელი იყო.

სამონასტრო კომპლექსის ფარგლებში არსებული უდაბნოს მონასტრისაკენ მიმავალი გზა პირველად აზერბაიჯანული მხარის მიერ 2007 და შემდგომ, 2012 წლის მაისში მთელი ორი კვირით ჩაიკეტა. მომლოცველებსა და ტურისტებს აკრძალათ გადაადგილება. 2019 წლის თებერვალში საქართველოს პრეზიდენტი ოფიციალური ვიზიტით ეწვია ბაქოს. ამ ვიზიტის ფარგლებში, სალომე

ზურაბიშვილმა წამოჭრა საკითხი დავით გარეჯის დაუდგენელი საზღვრის დელიმიტაციის აუცილებლობაზე და აღნიშნა, რომ ორ მეგობარ ქვეყანას შორის ეს საზღვარი უნდა იქცეს არა გამმიჯნავ, არამედ გამაერთიანებელ საზღვრად. სწორედ ამ პერიოდში გარეჯის პრობლემა ხელახლა გამწვავდა. აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა სასულიერო პირებსა და მომლოცველებს უდაბნოს მონასტრისკენ მიმავალ გზაზე გადაადგილება აკრძალეს.

ეს პრობლემა სათავეს საბჭოთა ოკუპაციის პერიოდიდან იღებს, როდესაც რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის პერიოდიდან - 1921 წლიდან, 1935 წლის ჩათვლით, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ ნებსით, თუ ენებლით, 19 191, 46 კვ.კმ ქართული მიწა გაასხვისა. კერძოდ, აზერბაიჯანს გადაეცა ზაქათალას (3 985,55 კვ.კმ) ოლქის შემადგენლობაში შემავალი ტერიტორიები, სულ 15 844,94 კვ.კმ. გარდა ამისა, გასაბჭოების შემდეგ, თბილისისა და სიღნაღის მაზრებიდან აზერბაიჯანმა დამატებით მიიღო 1093 კვ.კმ - გარეჯ-ყარაისა და ელდარის სტეპების ნაწილი.

ასევე მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ 1921 წელს, ამიერკავკასიის ფედერაციის კავშიურს ხელმძღვანელმა სერგო ორჯონიკიძემ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის შედეგად: არაიაზის ველი და, მათ შორის, სამონასტრო კომპლექსის მნიშვნელოვანი ნაწილი, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე აღმოჩნდა (1). არსებობს 1938 წლის რუკა, რომელზეც სადავო ტერიტორიზე გამავალი საზღვარი კარგად არის წარმოდგენილი.

უნდა აღინიშნოს, რომ 1996 წელს, როდესაც ამ საკითხზე დაიწყო მოლაპარაკება, მხარეები შეთანხმდნენ, რომ სწორედ 1938 წლის რუკა იქნებოდა გამოყენებული მოლაპარაკების საფუძვლად, რაც აზერბაიჯანულ მხარეს საკუთარი ხელმოწერით აქვს დადასტურებული. საკითხი დელიმიტაცია-დემარკაციის შესახებ კვლავ ღიად არის დატოვებული. თითქოს პროცესი დაიწყო, მაგრამ ჯერჯერობით კვლავ ბუნდოვანია.

ამ პრობლემის მოგვარება ამ ორი სახელმწიფოს მიერ კვლავ განხილვის საგანია და დროულ გადაწყვეტას საჭიროებს, რათა იგი არ გახდეს ჩვენ ქვეყნებს შორის კონფლიქტის მაპროვოცირებელი სხვა, “მესამე“ სახელმწიფოს მიერ. საქართველოსა და აზერბაიჯანის ხელისუფლებები უნდა ეცადონ, რომ მაქსიმალურად მოკლე პერიოდში გადაჭრან აღნიშნულ დავა. ეს კი ორ ქვეყანას შორის ურთიერთობას კიდევ უფრო გაამყარებს.

## ბიბლიოგრაფია

1. ჩიტაძე ნ, საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობები და დავით გარეჯის პრობლემა.  
[https://www.resonancedaily.com/index.php?id\\_rub=11&id\\_artc=120784](https://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=11&id_artc=120784)
2. აშშ-ს კავკასიური პოლიტიკა და ზემოქმედების ახალი ბერკეტები (<https://www.militarium.org/amerikiskavkasiuri-politika/> - უკანასკნელად გადამოწმებულია 02.05.2019)
3. ჯონსი ს., „საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ“ = Georgia: A Political History of Independence, თბილისი: სოციალური მეცნიერებების ცენტრი, 2013
4. Kakachia, Z. (2013 ). Azerbaijan-Georgian relations: The Foundations and Challenges of the Alliance . Baku : Center for Strategic Studies.
5. shiriyev, Z. (2013). an alliance built on understanding:the geopolitics of Georgian-Azerbaijanrelations . Tbilisi: Konrad-Adenauer-Stiftung.
6. <http://newsday.ge/new/index.php/ka/component/k2/item/19394->
7. <http://gbc.ge/index.php?m=home&newsid=100797&lang=geo>
8. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1302353?publication=0>
9. [bm.ge/ka/article/2020-wels-baqo-tbilisi-jeihanis-milsadenma-10-wlis-ganmavlobashi-minimaluri-navtobi-gaatara/76503](http://bm.ge/ka/article/2020-wels-baqo-tbilisi-jeihanis-milsadenma-10-wlis-ganmavlobashi-minimaluri-navtobi-gaatara/76503)
10. <https://2020news.ge/index.php?tem/43551->

**Ketevan Shoshiashvili**

Caucasus International University

**Marine Ugulava**

Caucasus International University

### **Georgia-Azerbaijan relations in the context of the South Caucasus region**

#### **Abstract**

The Georgian-Azerbaijan relationship is the most important guarantee for the safety of the Caucasus region. The use of the geopolitical location effectively qualifies the country's political safety, energy independence , competitive advantage and social-economical development. The international interests of these countries have been qualified due to their

strategic location. Aside from fundamental differences in religion, culture, ethnicity and political values, economic interests have become the driving force behind Georgia and Azerbaijan's democratic, long term and strong partnership

In the post-Soviet period, the establishment of constant diplomatic representation resulted in a strong partnership between Georgia and Azerbaijan. More than 100 international agreements, declarations, and reports have been signed, resulting in strong economic ties between Georgia and Azerbaijan.

Involvement in international projects and the establishment of transit routes have enabled Georgia and Azerbaijan to take their place on the world map of energy transit, which has helped to raise their awareness and contribute to geopolitical security and energy.

With the support of the USA, the European Union has developed the southern gas corridor project, which is one of the priorities for the European Union. It is this corridor that should lead to a reduction in Europe's dependence on Russian gas. Despite the international partnership between Georgia and Azerbaijan, there is a problem with the demarcation border. The problem is still unsolved and there is a danger that other countries will use this problem to provoke conflict between these countries.

## **თურქეთის იმპერიის აღდგენის გეოპოლიტიკური პერსპექტივები**

თურქეთის რესპუბლიკა წარმოადგენს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ძლევამოსილი ოსმალეთის იმპერიის მემკვიდრეს. აქედან გამომდინარე, ამ ქვეყანაში იმპერიული მისწრაფებები საოცრად სიცოცხლისუნარიანია და ფერფლმიყრილ ნაღვერდალს გავს, რომელიც სწრაფად ააღდება ხოლმე, თუ მას დაუბერავს ისტორიის ქარი. თურქული იმპერიული ნაღვერდალის გაღვივების პროცესის თვალის მიდევნება ძნელი არაა. გავიხსენოთ მაგალითად, რეჯეფ ტაიფ ერდოღანის ცნობილი გამოსვლა, სადაც მან განაცხადა, რომ „უჭირს 705.000 კვადრატულ კილომეტრზე სუნთქვა“(1), რადგან ოსმანთა იმპერია თავისი დიდების პერიოდში თანამედროვე თურქეთზე ექვსჯერ დიდი იყო. სტატიაში შევეცადეთ თურქეთის იმპერიული ამბიციების მიმართება დღევანდელ გეოპოლიტიკურ რეალობებთან მიმართებაში განხილვა.

კლასიკური გეოპოლიტიკის დებულებების მიხედვით, თურქეთის სანაპირო ზოლში მდებარეობა განაპირობებს მის შესაძლებლობას, გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ორიენტაცია აიღოს, როგორც საზღვაო, ასევე სახმელეთო ცივილიზაციებისაკენ. თურქეთის (ოსმალეთის) ისტორია არის მაგალითი გეოპოლიტიკური ორიენტაციის ცვლილებებისა. ოსმალეთის იმპერიის შემქმნელი, აზიის შუაგულიდან წამოსული მომთაბარე თურქი-ოღუზები, თავისი არსით, ხმელეთის ცივილიზაციის მატარებელი ხალხი იყო. თურქეთის იმპერიის ჩამოყალიბების სათავეებში მის დაპყრობილ ტერიტორიაზე მოხვდნენ არაბული, ბიზანტიური, ქართული, სირიული, სომხური, სლავური მიწები ქრისტიანული სარწმუნოებით. ოსმალეთის იმპერიის გეოპოლიტიკაში მოხდა შენივთება აუთენტური სახმელეთო, შავი და ხმელთაშუა ზღვისპირა საზღვაო და ისლამური გეოპოლიტიკისა. შეიძლება ითქვას, რომ საკუთარი და დაპყრობილი ცივილიზაციების გეოპოლიტიკური სახე გამოიხატა იმპერიის გეოპოლიტიკურ არსში. „დიდებული საუკუნის“ ოსმალეთის იმპერია იყო მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მოთამაშე. მისი დაშლის შემდეგ, მუსტაფა ქემალ ათათურქის შექმნილმა თურქეთის სახელმწიფომ ორიენტირი აიღო დასავლეთისაკენ. მუსტაფა ქემალმა შეძლო, შეეცვალა თურქების ღირებულებათა მთელი სისტემა და მიზნად დაისახა, გადაექცია თურქეთი დასავლური ტიპის სახელმწიფოდ. შესაბამისად, მან სწორედ აქეთკენ მიმართა რეფორმები – გააუქმა რელიგიური (მუსლიმური) სასამართლოები, არაბული ანბანი შეცვალა ლათინურით, აკრძალა მამაკაცების და ქალების ჩაცმულობაში რელიგიური



ელემენტები (2, 223-24) და სხვა. ქემალიზმი – დასავლური საერო იდეოლოგია - განსაზღვრავდა თურქეთის კულტურის განვითარებას, განსაკუთრებით კი ამ ქვეყნის საგარეო პოლიტიკას.

მას შემდეგ, რაც ათა-თურქმა თურქეთი საერო სახელმწიფოებრივ გზაზე დააყენა, ამ ქვეყანაში ყურადღება მუდმივად ექცეოდა იმას, რომ ისლამისტური რელიგიური წრეები გარკვეულ ჩარჩოში ყოფილიყო მოქცეული და პოლიტიკურ პროცესებში მათი ქმედება მკაცრად განსაზღვრული წესებით წარმართულიყო (მის მეზობელ ირანში და არაბულ ქვეყნებში ისლამის ფუნქცია სრულიად სხვაა). ამ ბალანსს ყოველთვის აკონტროლებდა თურქეთის სამხედრო ელიტა და თუ საჭირო ხდებოდა, პირდაპირ ერეოდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ანუ, ათათურქმა და მისმა მიმდევრებმა შეძლეს, სახმელეთო ცივილიზაციური არსის მატარებელი თურქული მოდგმა გადაეყვანა დასავლეთის საზღვაო ცივილიზაციის მიმართულებით, რომლის საბოლოო გამოხატულება იყო ნატოში შესვლა და თავის პირველსაწყისებზე, სახმელეთო ცივილიზაციაზე (ევრაზიული სოციალისტური ბანაკი) დაპირისპირება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დასაწყისში თურქეთმა ორიენტაცია აიღო სახმელეთო გერმანიისაკენ, მაგრამ მისი პირველ მსოფლიო ომში და განსაკუთრებით, მეორე მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ, თურქეთი დაადგა ანგლოსაქსური, საზღვაო ცივილიზაციის ორიენტაციის გზას და გახდა აშშ-ის სტრატეგიული მოკავშირე ახლო აღმოსავლეთში.

თურქეთისთვის ეს ნიშნავდა იმპერიული მსოფლიო მოთამაშიდან, რეგიონალურ მოთამაშედ ქცევას, რისი გვირგვინიც იქნებოდა ცივი ომის შემდეგ მისი ევროკავშირში მიღება, რაც მას საბოლოოდ დასავლურ ცივილიზაციაში მოაქცევდა. ამავე დროს, თურქეთის მიღება ამ ორგანიზაციაში, იქნებოდა უდიდესი პრობლემა ევროპისათვის, განსაკუთრებით მისი ლიდერი ქვეყნების, გერმანიისა და საფრანგეთისათვის. ძირითადი არგუმენტი არ მიღებისა თითქოს მხოლოდ მუსლიმური სარწმუნოებაა, მაგრამ რეალობაში აქ არა ნაკლებ მნიშვნელოვანია თურქეთის დიდი პოტენციური შესაძლებლობები, რაც მას საშუალებას მისცემდა, გამხდარიყო ლიდერი სახელმწიფო ევროკავშირში, როგორც ტერიტორიით, ასევე მოსახლეობითაც. თუ ამას დავუმატებთ ევროპაში, განსაკუთრებით გერმანიაში 5 მილიონიან თურქულ დიასპორას, ერდოღანის მიერ დეკლარირებულ დემოგრაფიულ ექსპანსიონიზმს (3), მის სწრაფად მზარდ ეკონომიკას და ყველაზე დიდ, ნატოს სტანდარტების მქონე ჯარს ევროპაში, ადვილი მისახვედრია, რომ ევროპულ ტექნოლოგიებთან „ნიველირების“ შემდეგ, უახლოეს 10-15 წელიწადში ის გახდებოდა ევროკავშირის ერთპიროვნული ლიდერი, რაც გერმანიის და საფრანგეთის ინტერესებში ცხადია, ვერ იქნებოდა.

ევროკავშირში თურქეთის არ მიღებით შეიქმნა სიტუაცია, რომ მან დაიწყო “უკუსვლა” საეროდან, რელიგიური შეფერილობის ხელისუფლებისაკენ (ანუ სახმელეთო ცივილიზაციისაკენ), რამაც გამოხატულება ჰპოვა რეალპოლიტიკაშიც,

როგორც პოლიტიკური დაახლოება სახმელეთო რუსეთთან და ირანთან, ასევე იდეოლოგიაში ა. დავუდოღლუს ოსმალეთის იმპერიის აღდგენის დოქტრინის წინ წამოწევის სახით (4). აქ ჩვენ არ ვსაუბრობთ პანთურქულ იდეოლოგიაზე და სტრატეგიაზე, რომელმაც თავი წამოყო ცივი ომის დამთავრების და სსრკ-ს დაშლის შემდეგ, რადგან მისი აღსრულება თეორიულადაც კი შეუძლებლად მიგვაჩნია თურქულენოვანი ხალხების საცხოვრისების უზარმაზარ ტერიტორიებზე გაფანტულობის გამო. წარმოუდგენელია თურქეთის, აზერბაიჯანის, ყაზახეთის, უზბეკეთის, ყირგიზეთის, თურქმენეთის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოების; უიღურების (ჩინეთი), ბაშკირეთის, თათრეთის, ქრისტიანი ჩუვაშეთის, შამანური და ბურხანისტული ალთაის, ბუდისტური და შამანური ტუვას, შამანური და ქრისტიანული იაკუტების, ყარაჩაელების, ბალყარელების (რუსეთი), ჩრდილო კვიპროსელების (კვიპროსი), ქრისტიანი გაგაუზების (მოლდავეთი), როგორც ავტონომიური რესპუბლიკების და რაიონების; ასევე დაღესტნელი კუმუკების, ყირიმელი თათრების, ირანის აზერბაიჯანელების, როგორც თურქულენოვანი ხალხების, რომლებსაც სხვადასხვა სახელმწიფოში ავტონომიური წარმონაქმნი არ გააჩნიათ – ერთიან იმპერიაში მოქცევა. ეს არის უზარმაზარი სივრცე ბალკანეთიდან დაწყებული, ანატოლიის ჩათვლით, ვიდრე ციმბირამდე და ჩინეთამდე, რომელზეც სსრკ-ს დაშლის შემდეგ თურქეთის ემისრები აქტიურად მუშაობდნენ აშშ-ის წაქეზებით, რადგან მოელოდნენ, რომ შემდგომში თვით რუსეთის ფედერაციაში დაიწყებოდა დაშლის პროცესი. თუმცა კარგად იცოდნენ, რომ არავითარი პერსპექტივა პან-თურქული იმპერიული კონსტრუქციის შეკვრისა, არ არსებობს.

რელიგიური შეფერილობის ხელისუფლებისაკენ „უკუსვლის“ პროცესის დაჩქარება დაიწყო 1980-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ხელისუფლებაში თ. ოზალის მოსვლის შემდეგ, როცა თურქეთის დასავლეთში, სტამბოლში არსებულმა ლოიალური რელიგიური შეხედულების, ძალაუფლების და დაგროვილი ქონების ცენტრმა თანდათან გადანაცვლება დაიწყო აღმოსავლეთისაკენ - მუსლიმური რელიგიური აზროვნებისაკენ.

თურგუთ ოზალიმ შეასუსტა სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის მკაცრი რეგულირება, წინ წამოწია ლიბერალიზაცია, სახელმწიფო სექტორის განსახელმწიფოებრიობა და მსოფლიო ეკონომიკაში მჭიდრო ინტეგრაცია. მან ასევე შეასუსტა იმპორტზე კონტროლი, ანუ ოპტიმალური გახადა პროტექციონისტული ეკონომიკა, რის შედეგადაც მკვეთრად გაიზარდა საშუალო კლასი. თურგუთ ოზალის მმართველობის დროს ქემალიზმის „უღმერთო“ ფილოსოფიას წინ აქედგა სუფისტური მუსლიმური მსოფლმხედველობა. თურგუთ ოზალიმ XXI საუკუნე „თურქეთის საუკუნედ“ გამოაცხადა. სულეიმან დემირელის აზრით კი, თურქეთი უნდა გამხდარიყო „მაგნიტი და მაგალითი ახალი სუვერენული

სახელმწიფოებისათვის, რომლების საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოიშვნენ” (5).

ზემოთაღნიშნული ტენდენციები გაძლიერდა ხელისუფლებაში რეჟივ ტაივ ერდოლანის მოსვლით. პრემიერ-მინისტრობის პირველივე წლებში მას მოუხდა მკვეთრი შეჯახება ევრაზიული მიმართულების ქემალისტებთან. 2003 წლის არშემდგარი გადატრიალების დროს გენ. შტაბის მთელი ხელმძღვანელობა გადაყენებული იქნა და ბევრი მათგანი დააპატიმრეს კიდევ. იმ ეტაპზე ერდოლანის ხელისუფლება (ზომიერი ისლამისტები – პარტია “სამართლიანობა და განვითარება”) პროამერიკულ პოლიტიკას მისდევდა “ნეოსმანური პოლიტიკის” სახელით. ეს კი ნიშნავდა ანკარას ინტეგრაციას ამერიკასთან, ახალი პროექტის “დიდი აღმოსავლეთის” ფარგლებში. ამ წლებში თურქეთმა პრაქტიკულად გაწყვიტა კავშირი ირანთან, გააუარესა ურთერთობა რუსეთთან და არაბული ქვეყნების უმრავლესობასთან. დაუახლოვდა პროამერიკულ ვაჭაბიტურ საუდის არაბეთს. ამავე პერიოდში დაიწყო რეგიონში თურქეთის გავლენის ზრდისკენ მიმართული პოლიტიკა (ოსმალეთის იმპერიის აღდგენის იდეაც მაშინ გააჟღერეს პირველად), როცა ის მხარს უჭერდა ვაჭაბიზმს, პროამერიკულ ექსტრემისტებს სირიაში და ღიად გამოჩნდა მისი თანამშრომლობა ისრაელთან.

ამ ტენდენციას ბზარი 2003 წელს, ამერიკელების ერაყში შეჭრის წინ გაუჩნდა, როცა თურქეთის პარლამენტმა ხმა არ მისცა ამერიკის ჯარების განთავსებას თურქეთში. აქვე აღვნიშნავთ, რომ სწორედ აშშ-ის ერაყში შეჭრის შემდეგ, თურქეთის საზოგადოების და რელიგიური თემების წარმომადგენლები მივიდნენ ერთიან დასკვნამდე, რომ თურქეთს არ მიიღებდნენ ევროკავშირის წევრად. ერდოლანის საგარეო საქმეთა მინისტრის დაუდოლლუს მეცადინეობით აღდგა კონტაქტები ირანთან. უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიული მტრობის მიუხედავად, ამ ორ ქვეყანას აქვთ კულტურული ერთობის საფუძვლებიც, მაგალითად, სპარსული ოსმალეთის იმპერიაში დიპლომატიის ენა იყო XVI-XVII საუკუნეებში.

ამ პერიოდში თურქეთი ერთდროულად იყო ირანის მოწინააღმდეგეც და მეგობარიც. 2010 წელს თურქეთმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ირანზე სანქციების დაწესების წინააღმდეგ მისცა ხმა, ასევე დათანხმდა, მიეღო შესანახად ირანის გამდიდრებული ურანი. ამ პოზიციას თურქეთი არ ცვლის, მიუხედავად ურთიერთობის გამწვავებისა ირანთან, რასაც საკმაოდ ხშირად აქვს ადგილი (5). შემდგომი ეტაპი აშშ-სთან ურთიერთობის მკვეთრი გამწვავებისა, იყო აშშ-ს არცთუ უსაფუძვლო დადანაშაულება თურქეთში სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის მცდელობისა (2016 წ.) და აშშ-ს უარი, თურქეთისათვის გადაეცა ერდოლანის მოწინააღმდეგე და ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ადამიანი ფეთჰულა გიულენი, რომელიც სამხედრო გადატრიალების მცდელობის მთავარ ორგანიზატორად იქნა დასახელებული. ცხადია, ამან სერიოზული გავლენა იქონია თურქეთის პოლიტიკური კურსის ცვლილებაზე.

დასავლეთთან, განსაკუთრებით აშშ-სთან დაპირისპირებას უფრო ღრმა საფუძვლები აქვს – საყოველთაო გლობალიზაცია, ერთპოლუსიანი სამყაროს შექმნის მცდელობა, აშშ-ის უნივერსალური ღირებულებების თავს მოხვევა, მთლიანად ეწინააღმდეგებოდა (როგორც მინიმუმ ზღუდავდა) თურქეთის სუვერენიტეტს და ათა-თურქის თურქეთის ნაციონალური სახელმწიფოებრიობის ტრადიციებს და დამოუკიდებლობას, რაც დღევანდელი თურქებისთვის უმაღლესი ღირებულებაა. ამასთან, ამერიკულ ფარვატერში ყოფნა თურქეთს აიძულებდა, ყოფილიყო პროისრაელური და შესაბამისად, ანტიარაბული პოზიცია დაეკავებინა. გლობალიზაცია და დასავლური ორიენტაცია, ვერ აგვარებდა თურქეთის მეორე (ქურთების შემდეგ) დიდ პრობლემას, ჩრდილოეთ კვიპროსის საკითხს. ცივი ომის დროს ამ საკითხში აშშ და დასავლეთი თუ ფარულად უჭერდა მხარს თურქეთს, შემდგომში ამ პრობლემის გადაწყვეტას თურქეთისათვის სასარგებლოდ არცერთი დასავლური სცენარი არ ითვალისწინებდა. თურქეთი კარგავდა თავის პოზიციას კვიპროსზე სამხრეთ კვიპროსის შესვლით ევროკავშირში. ამის მთლიანად კუნძული მოხვდებოდა ერთიანი კვიპროსის არეალში. იმაზე, გლობალიზაცია და დასავლური პოლიტიკის გატარება ვერ აგვარებდა ქურთების პრობლემას. პირიქით, აშშ-ს მიერ ერაყის ოკუპაციამ განამტკიცა ჩრდილოეთ ერაყში ქურთების ავტონომიის შექმნა, რის შედეგადაც ერაყის ქურთები ავტომატურად გახდნენ დესტაბილიზაციის დატონატორები თურქეთის ქურთისტანში. ამის დაემატა შემდგომ მოვლენების განვითარება სირიაში, სადაც აშშ თავისი მიზნების განხორციელებისათვის უშუალოდ დაეყრდნო ქურთულ ძალებს, რაც პირდაპირი მაჩვენებელი გახდა თურქებისათვის, რომ აშშ იყენებს ამ ძალებს თურქეთზე ზემოქმედებისთვისაც.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის პრაგმატიზმიდან გამომდინარე, აშშ-დასავლეთი ყოველთვის მხარს უჭერდა და იცავდა თურქეთის ნაციონალურ სახელმწიფოებრიობას. 1995 წლიდან ყველაფერი შეიცვალა და მკვეთრად ნაციონალური თურქეთის გლობალიზაციაში ნიველირებამ უკვე ზიანის მომტანი გახდა მისი სახელმწიფოებრიობისათვის, რაც დამღუპველ პერსპექტივას უქადდა მას. ამჟამად, აშშ აშკარად დაღმავლობის გზაზეა. მოსალოდნელია მისი გავლენის შესუსტდება მსოფლიოში და, მათ შორის, ახლო აღმოსავლეთშიც. ამავდროულად, აშკარაა რუსეთის გეოპოლიტიკური აღმავლობის ტენდენცია, ისევე, როგორც რიგი ევრაზიული კონტინენტალური ქვეყნებისა. გეოპოლიტიკური სიმძიმის ცენტრმა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ დაიწყო განანაცვლება. თურქეთმა, როგორც ორსახოვანმა გეოპოლიტიკურმა სუბიექტმა, დაიწყო მეტი ყურადღების გადატანა რუსეთის ევრაზიულობისაკენ, რასაც თეორიული და სტრატეგიული მომზადება უძღოდა წინ. თურქეთში ევრაზიული გეოპოლიტიკური თეორიით დაინტერესდნენ და მათმა სხვადასხვა მიმართულების ანალიტიკურმა ცენტრებმა ამ თეორიის შესწავლა დაიწყეს. ეს მიუთითებდა იმაზე, რომ თურქეთი ეძებდა

ახალ, XXI საუკუნის მსოფლიოს მრავალპოლუსიან გეოპოლიტიკურ მოწყობაში თავის, როგორც დამოუკიდებელ ნაციონალური სახელმწიფოს ადგილს. ქვეყანას უწევს რთული პოლიტიკური და დიპლომატიური ლავირება აშშ-დასავლეთსა და რუსეთ-ჩინეთს შორის.

მიუხედავად თურქეთის დიდი პოტენციური შესაძლებლობისა (ტერიტორია 783 ათასი კმ<sup>2</sup>, მოსახლეობა 80 მილ.), სწრაფი ტემპით განვითარებადი ეკონომიკისა და ევროპაში ყველაზე დიდი, ნატოს სტანდარტების ჯარისა, მას მაინც უჭირს ამ ზესახელმწიფოებს შორის მანევრირება, მითუმეტეს, რომ მის თავზე მუდმივად კიდია ქურთული დამოკლეს მახვილი. თურქეთის მმართველ ელიტას კარგად ესმის, რომ მიუხედავად აშშ-ის შედარებით დასუსტებისა, მას მაინც კოლოსალური ძალა გააჩნია, რომ ის მისთვის დიდ საშიშროებას წარმოადგენდეს, განსაკუთრებით რუსულ -ამერიკული სიტუაციური ალიანსის შემთხვევაში ჩინეთის წინააღმდეგ დიდი სამკუთხედის გეოპოლიტიკური თამაშების ფარგლებში. ასეთ ვითარებაში გაიზრდება საშიშროება მისი დაშლისა, რომლის ბერკეტებს ქურთების სახით კარგად ფლობს და გაათამაშებს როგორც აშშ, ასევე რუსეთი. მეორეს მხრივ თურქეთს რუსეთისაც ეშინია და ბოლომდე არ ენდობა მას, რადგან კარგად ახსოვს არც ისე შორეული წარსული, როცა მუდმივად და სასტიკად მარცხდებოდა რუსეთთან და კარგავდა დაპყრობილ ტერიტორიებს. თურქებს კარგად ახსოვთ, თუ რა ახლოს იყო რუსეთი კონსტანტინოპოლის ადებასთან, რაც მისი იმპერიული ოცნებაა. რუსეთი ცდილობს შეიტყუოს თურქეთი ევრაზიულ სივრცეში და ამით სახმელეთო ცივილიზაციის საზღვარი ძალთა ბალანსში მნიშვნელოვნად გადასწიოს დასავლეთით. ამ მიმართებით ევრაზიულ თეორიაში დამუშავებულია სერიოზული გათვლები, რომლებიც ემყარება მოსკოვი-ბაქო-ანკარას გეოპოლიტიკურ ღერძს. აშშ და საერთოდ დასავლეთი უშვებს გეოპოლიტიკური კანონზომიერებიდან გამომდინარე, შეცდომებს, რომლის შედეგია თურქეთის ორიენტირება აღმოსავლეთისაკენ. ნატოს წევრი სახელმწიფოს თუნდაც დასავლეთის არეალიდან დროებითი გამოსვლა უკვე დიდი გეოპოლიტიკური წარმატებაა სახმელეთო ცივილიზაციის, ანუ რუსეთის, რაც ფაქტობრივად ნიშნავს ამ არეალში თუნდაც დროებით, ანაკონდას რკალის გარღვევას.

მუდმივი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მოდელი არ არსებობს. ის პოლიტიკური “ქემალისტური” სახელმწიფოებრივი მოდელი, რომელიც თურქეთს მთარგო მუსტაფა ქემალ ათა-თურქმა და რომელსაც იცავდა თურქეთის სამხედრო ელიტა, ამჟამად გარკვეულწილად შეზღუდულია. ამასთანავე, ის მოდელი ოპტიმალური იყო იმ დროის გეოპოლიტიკური ვითარების და გარკვეული პერიოდისთვის და მან მეტ-ნაკლებად კარგად იმუშავა XX საუკუნის მიწურულამდე.

გეოპოლიტიკური ვითარება მუდმივად ერთგვაროვანი არ არის. ის იცვლება და შესაბამისად, როგორი ჭკვიანური, ოპტიმალური სახელმწიფოებრივი მოდელიც არ

უნდა შექმნილიყო, დროთა განმავლობაში მას ყავლი გაუვა, თუ ის არსებული გეოპოლიტიკური ვითარების შესაბამისად არ გარდაიქმნება. თურქეთიც სწორედ ამ ისტორიულ პრპროცესშია. საქმე ის არის, რომ როგორი სახელმწიფოებრივი მოდელიც არ უნდა მოძებნოს თურქეთმა დღევანდელ გეოპოლიტიკურ ვითარებაში, იმ გზაჯვარედინზე, სადაც ის მდებარეობს მისი პარამეტრებისა (ძირითადად ტერიტორია, მოსახლეობა) და პოტენციალით, ვერ პასუხობს ამ ადგილის გეოპოლიტიკურ კონიუქტურას.

აქედან გამომდინარე, ისი ისწრაფვის იმპერიის აღდგენისაკენ, გაფართოებისაკენ, რადგან აქ მდებარე მცირე პოტენციური შესაძლებლობის მქონე ქვეყნები ავტომატურად გადანაწილდება მსოფლიოს მრავალპოლუსიან მოწყობაში, რომელიმე ზესახელმწიფო-პოლუსის არეალში (გლობალურ მსოფლიოში ეს ადგილი ზესახელმწიფოების გადანაწილების არეალია). რადგან ასეთი დიდი, შედარებითი დამოუკიდებლობის პოტენციის მქონე ერთეული არც რუსეთს სჭირდება და არც აშშ-ს, მითუმეტეს ევროკავშირს, რა მდგომარეობაშიც არ უნდა იმყოფებოდეს ის. არსებული და პერსპექტიული ფრაგმენტაციისაკენ მიმართულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში, თურქეთი ამ ტერიტორიით გაუძლებდა დაშლას (ან ალბათობის შანსი მეტი ექნებოდა), თუ თურქეთის ქურთისტანი (თავის სამეზობლო, ირანის, ერაყის და სირიის ქურთისტანებით მხარდაჭერილი) თურქეთის მოსახლეობის მეხუთედი არ იქნებოდა, ამასთან კომპაქტურად დასახლებული თურქეთის ლამის მეოთხედ ტერიტორიაზე. რაც რეალობაა და გარდაუვალობა. გეოპოლიტიკური ქურთული დეტონატორი ამუშავებულია და მისი გაჩერება შეუძლებელია.

დღეს თურქეთი სრულიად ახალ რეალობაშია და ის ეძებს თავის ადგილს, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური მოთამაშემოთამაშე, მრავალპოლუსიან მსოფლიოში. ის ცდილობს, მოიპოვოს თუნდაც რეგიონალური ლიდერის სტატუსი ორ დიდ დაპირისპირებულ ძალას- რუსეთის და აშშ-ს შორის ლავირების და ირანთან ტრადიციული მეტოქეობის პირობებში. ყარაბაღის ომმა, მისმა შედეგებმა და მასში თურქეთის პრაქტიკულად უშუალო მონაწილეობამ, შეცვალა მსოფლიოს გეოპოლიტიკური ძალთა ველის ცვლადი ბალანსი ამ რეგიონში. ამ ომში გამოჩნდა ერთის მხრივ, რუსეთის სამხედრო პოტენციალის უკმარობა, კერძოდ, მას არ შესწევს ძალა, ძველებურად დაიცვას მთელ პერიმეტრზე რუსეთის ინტერესები, მითუმეტეს, რომ დასავლეთმა კარგა ხანია დაიწყო ანაკონდას რკალის მოჭერა რუსეთის გარშემო, განსაკუთრებით ნატოს საშუალებით მისი სასაზღვრო პერიმეტრის დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, რომელიც თანდათან უახლოვდება და უშუალოდ ესაზღვრება რუსეთის საზღვრებს და ამას შეუქცევადი ხასიათი აქვს. ამას ემატება რუსეთის მიმართ სანქციების სულ უფრო გაფართოების ტენდენცია. კიდევ უფრო ურთულეებს რუსეთს ვითარებას უახლოეს მეზობელ ქვეყნებთან მისი უგუნური პოლიტიკის შედეგები. აგრესიული ომები

საქართველოსთან და უკრაინასთან, ტერიტორიული პრეტენზიები ყაზახეთთან, იაპონიის და სხვა ქვეყნების ტერიტორიული პრეტენზიები რუსეთთან და სხვა. რუსეთი თვით სტრატეგიულ მოკავშირეს ჩინეთსაც არ ენდობა ბოლომდე, შესაბამისად, მისი საზღვრების პერიმეტრის ამ მონაკვეთზეც განლაგებულია რუსეთის ჯარის სერიოზული რაოდენობის ნაწილები. რუსეთის საზღვრების მთელ პერიმეტრზე საომარი მოქმედებები და პოლიტიკური დამაბულობაა. დოტაციურ ჩრდილოეთ კავკასიას დაემატა ყირიმი, აფხაზეთი, ე.წ. სამხრეთ ოსეთი, დნეპრისპირეთი, ყარაბაღი, სირია ... რუსეთს აღარ ძალუძს ეკონომიური და სამხედრო თვალსაზრისით გაწვდეს ამ უზარმაზარ სივრცეს. აქედან გამომდინარე, სამხედრო თვალსაზრისით ის აშკარად ჩამორჩება თურქეთს სამხრეთ კავკასიის მონაკვეთში, რითიც არის განპირობებული მისი სიფრთხილე და დამთმობი პოზიცია თურქეთთან, რაც აისახა კიდევ ყარაბაღის ომის შედეგებში.

თურქეთის გაძლიერების, მათ შორის სამხრეთ კავკასიაში გავლენის გაზრდის კვალობაზე გამოიკვეთა მისი სრულიად ახალი სტრატეგია თურქეთის შემდგომი გაძლიერება-გაფართოების მიმართულებით. ანკარამ უარი თქვა თურქეთის გაფართოებაზე ოსმალეთის ყოფილი იმპერიის აღდგენის გზით, რაც პრაქტიკულად შეუძლებელია. ასევე უარი თქვა პანთურქულ (თურანულ) სტრატეგიაზე, რაც, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, შორსაა რეალპოლიტიკიდან (უფრო ფანტაზიის სფეროა) და აირჩია შუალედური გზა. კერძოდ, ერთი ხალხი ორ სახელმწიფოში და შემდგომში ერთი ხალხი ექვს სახელმწიფოში. პირველი გულისხმობს თურქეთ-აზერბაიჯანის სტრატეგიულ და მეგობრულ ალიანსს (რომლის გაგრძელებაა მასში ირანის აზერბაიჯანის ჩართვა) და შემდგომში თურქულენოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოების (თურქეთი-აზერბაიჯანი-უზბეკეთი-ყირგიზეთი-თურქმენეთი-ყაზახეთი) ალიანსის შექმნას. რა სახის იქნება ეს ალიანსი, მიიღებს ერთიანი თურქული იმპერიის სახეს, თუ შეიქმნება ამ ექვსი ქვეყნის კავშირი თურქეთის ჰეგემონობით, ან მიიღებს რაღაც ევროკავშირის მსგავს სახეს, ამას თურქი სტრატეგების აზრით, მომავალში არსებული გეოპოლიტიკური ვითარება განსაზღვრავს.

ამ გეგმით, თურქულ-აზერბაიჯანული ერთობით უნდა ჩამოყალიბდეს თურქ-ოღლუზური სახელმწიფო 95 მილიონიანი მოსახლეობით და 870 ათასი კვ.კმ. ტერიტორიით. გეგმის განხორციელებას ხელს უშლის პრობლემა მათი ტერიტორიული გაერთიანებისა, რაც მოითხოვს სომხეთის ზანგეზურის (სიუნიკის) ტერიტორიის სომხეთისათვის მოგლეჯას, რათა ერთიან სახმელეთო არეალში მოექცეს აზერბაიჯანი და ნახიჭევანი, შესაბამისად თურქეთი. „კომპრომისულ“ ვარიანტად განიხილება ზანგეზურის (სიუნიკის) სატრანსპორტო დერეფნის შექმნა აზერბაიჯანის და ნახიჭევანის დასაკავშირებლად, რასაც სომხეთისგან დაჟინებით ითხოვენ აზერბაიჯანის და თურქეთის პრეზიდენტები: ილჰამ ალიევი და რეჯეფ ტაიფ ერდოღანი. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით

ირანისათვის მიუღებელია თურქეთის და აზერბაიჯანის ერთობა, რადგან ეს კარდინალურად დაარღვევს ძალთა თანაფარდობას სამხრეთ კავკასიაში ირანის საზიანოდ და იქნება დეტონატორი ირანის აზერბაიჯანის სწრაფვისა, თურქეთ-აზერბაიჯანთან გაერთიანებისათვის, რაც გამოიწვევს ირანში არეულობას და მის დაშლას. ირანში ირანის აზერბაიჯანი წარმოდგენილია ძირითადად სამი ოსთანით, საერთო ტერიტორიით 101 . ათასი კვ.კმ, დაახლოებით 8 მლნ. მოსახლით. თუმცა, მთელ ქვეყაში აზერბაიჯანელების რაოდენობა 20 მილიონს აღემატება. თურქეთ-აზერბაიჯანის ერთობა დანარჩენ თურქულენოვან შუა აზიის 4 სახელმწიფოს დაუკავშირდება კასპიის ზღვით, ყაზახეთის და თურქმენეთის ტერიტორიებით. შუა აზიის ოთხი სახელმწიფოს ტერიტორია შეადგენს 3861,9 ათას კვ.კმ-ს, ხოლო მოსახლეობა 66 მილიონია. ერთიანობაში თურქეთ-აზერბაიჯანთან ერთად უზარმაზარი თურქულენოვანი კავშირის, ან იმპერიის ჩამოყალიბების შემთხვევაში მისი ტერიტორია იქნება 3,86 მილ კვმ. და მოსახლეობა 160 მილიონი, რომელიც გადაჭიმული იქნება ევროპიდან ჩინეთამდე, რუსეთის სამხრეთით. ეს გეოპოლიტიკური პარამეტრებიც არ არის საკმარისი მსოფლიო პოლუსის (ზესახელმწიფოს) შესაქმნელად, მაგრამ სრულიად საკმარისია რეგიონალური ლიდერობისათვის და დამოუკიდებელი პოლიტიკის საწარმოებლად.

ექვსი თურქულენოვანი სახელმწიფოს ერთიანობის გეოპოლიტიკური ვექტორი ისარივით მიეზღინება ჩინეთის იმპერიის სინძიან-უიღურების თურქულენოვან ავტონომიურ რაიონს - აღმოსავლეთ თურქესტანს, რომლის ტერიტორია შეადგენს 1664,9 ათას კვკმ-ს, ხოლო, მოსახლეობა 22 მილიონს შეადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ ყაზახეთის ტერიტორიას ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ეკვრის რუსეთის ტუვას, ალთაის და ხაკასეთის თურქულენოვანი ავტონომიური რესპუბლიკები საერთო ფართობით 323,4 ათასი კვ.კმ და 1,1 მილიონი მოსახლეობით.

ზემოთაღნიშნულ თურქეთი-აზერბაიჯანი-ყირგიზეთი-უზბეკეთი-თურქმენეთი-ყაზახეთის ვექტორს გააჩნია განშტოება რუსეთის ტერიტორიაზე ჩრდილოეთით ვოლგისპირეთის მიმართულებით, ბაშკირეთის, თათრეთის და ჩუვაშეთის რესპუბლიკების სახით. ამასთან, რუსეთის თათრეთისა და ბაშკირეთის რესპუბლიკებსა და ყაზახეთის რესპუბლიკას შორის მდებარეობს რუსეთის ორენბურგის ოლქი, რომელიც ისტორიულად ყაზახეთის ტერიტორია იყო და ბოლშევიკურმა რუსეთმა სრულიად გამიზნულად და წინდახედულად ჩამოაჭრა ყაზახეთს, რითაც განაცალკევა თათრულენოვანი ყაზახეთის სსრ, თათრულენოვან ვოლგისპირეთის ავტონომიურ რესპუბლიკებს. ვოლგისპირეთის თათრულენოვანი რესპუბლიკების საერთო ტერიტორია შეადგენს 229,2 ათას კვ.კმ-ს, რომლის მოსახლეობა 9,3 მილიონია. ეს რესპუბლიკები პერსპექტიული ქვეყნებია მომავალში თურქულენოვან გაერთიანებაში (იმპერიაში) შესასვლელად.



ზემოთაღნიშნული პერსპექტივები რთულად განსახორციელებლად მიგვაჩნია. ჩინეთში უკვე კარგა ხანია, მიმდინარეობს სინძიან-უიგურების ავტონომიურ რაიონში ქვეყნის სიღრმიდან ჩინელების და ასიმილირებული მანჯურიების ჩასახლება, რითაც უიღურები საკუთარ ტერიტორიაზე უმცირესობაში მოექცნენ. ამასთან, ეკონომიკის განვითარების საჭიროების საბაბით, ეს პროცესი კვლავ გრძელდება. გარდა ამისა, თვით ავტონომიურ რაიონში ქმნიან სხვადასხვა ერების მცირე ავტონომიურ ერთეულებს, რითაც ანაწევრებენ უიღურებს. ასევე სეპარატიზმის საბაბით სისხლში ახშობენ ყოველანაირ ნაციონალურ გამოსვლებს. სინძიან-უიღურების ავტონომიურ რაიონში მიუხედავად სწრაფი ტემპით ეკონომიკური აღმავლობისა, ეროვნული ჩაგვრის თვალსაზრისით უმძიმესი მდგომარეობაა. აქედან გამომდინარე, მომავლში ალბათ ძალიან მცირეა უიღურების შანსი დამოუკიდებლობისა და ეროვნული იდენტობის გადარჩენისა.

რაც შეეხება რუსეთის თურქულენოვან ავტონომიურ რესპუბლიკებს, აქ მათ უფრო მეტი შესაძლებლობები აქვთ იდენტურობის შესანარჩუნებლად. თუმცა, მათი დამოუკიდებლობა გამორიცხულია რუსეთის იმპერიის დაშლის გარეშე. რუსეთის იმპერია კი მრავალი პრობლემის და შეფერხების მიუხედავად, აღმავლობის გზაზეა და უახლოეს პერსპექტივაში მას დაშლა არ ემუქრება. ერთი ხალხის და ექვსი სახელმწიფოს სტრატეგიის განხორციელების შესაძლებლობის ალბათობა არსებობს. მისი ბედი დიდად არის დამოკიდებული აზერბაიჯანისა და თურქეთის ერთიანი ტერიტორიული სივრცის შექმნაზე. ამით აიხსნება აზერბაიჯანის მისწრაფება, ზანგეზურის ხელში ჩაგდებისაკენ, მინიმუმ სატრანსპორტო დერეფნის შექმნისაკენ მანკ. აქ გადის ყარაბაღის და ზანგეზურის საკითხის გადაწყვეტის პრობლემა და სირთულე. როგორც ჩანს, რუსეთი მიხვდა, რომ მიუხედავად ზანგეზურის სატრანსპორტო დერეფნის ეკონომიკურად მომგებიანობისა, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით მისთვის ეს სრულიად წამგებიანია, რადგან ამით თურქეთს გაფართოების საშუალება მიეცემა, ის უშუალოდ დაუკავშირდება შუა აზიის თურქულენოვან რესპუბლიკებს, რაც შეიძლება გახდეს დეტონატორი რუსეთის თურქულენოვანი რესპუბლიკების და ხალხების "ასაფეთქებლად" და რუსეთის დასანგრევად. თურქულენოვანი დიდი და ძლიერი სახელმწიფოს შექმნა არ უნდა ჩინეთსაც, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ჩინეთისათვის საშიშ პრობლემას, სინძიან-უიღურების ავტონომიურ რაიონს. და ბოლოს, თურქულენოვანი დიდი და ძლიერი სახელმწიფოს წარმოქმნა, ირანისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხია. მის სახელმწიფოებრივ არსებობას ის კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს. შესაბამისად, ირანი რუსეთთან და ჩინეთთან ერთად, მაქსიმალურად შეეწინააღმდეგებიან ამ პროექტის განხორციელებას. რუსეთი და ირანი შეეცდებიან, არ დაუშვან აზერბაიჯანის მიერ ყარაბაღის დარჩენილი ნაწილის გაკონტროლება მისი სტატუსის გადაწყვეტამდე. რუსეთი შეეცდება ყარაბაღის სტატუსის განსაზღვრის საკითხის გადაწყვეტას

საერთაშორისო მინსკის ჯგუფის მეშვეობით, გარკვეულ დრომდე თურქეთთან კარგი, მისთვის მომგებიანი ურთიერთობის შენარჩუნებით. გეოპოლიტიკური გაურკვეველობა გაგრძელდება ქვეყნებში არსებული პოლიტიკური ხელმძღვანელობის შეცვლის, ან სხვა დიდი გეოპოლიტიკური ნაღმის აფეთქებამდე, ნაღმების ნაკლებობას კი, როგორც აღნიშნული სტატია ცხადყოფს, დღევანდელი რაელობა ნამდვილად არ განიცდის.

### ბიბლიოგრაფია

1. As quoted in "Gül'ü tanımayan vatandaşlıktan çıksın !" <http://www.haberturk.com/haber.asp?id=33005&cat=110&dt=2007/08/21>, Haberturk (August 21, 2007)  
წყარო: <https://ru.citaty.net/avtory/redzhep-taiip-erdogan/>
2. Landau, Jacob M (1983). *Atatürk and the Modernization of Turkey*. Boulder, Colorado: Westview Press. გვ. 23-24
3. As quoted in " Erdoğan to Turks in EU: Have 5 children, you are the future of Europe <https://www.turkishminute.com/2017/03/17/erdogan-turks-eu-5-children-future-europe/>", TurkishMinute (March 17 2017)  
წყარო: <https://ru.citaty.net/avtory/redzhep-taiip-erdogan>
4. The Davutoglu effect. – <http://www.economist.com/node/17276420>
5. Владимир Аваков, неосманизм. Базовая идеология и геостратегия Турций. <http://svom.info/entry/458-neosmanizm/>
6. [www.aa.com.tr/ru/политика/чавушоглу-турция-выступает-против-односторонних-санкций-в-отношении-ирана/2421153](http://www.aa.com.tr/ru/политика/чавушоглу-турция-выступает-против-односторонних-санкций-в-отношении-ирана/2421153)

**Ioseb Manjavidze**

Caucasus international university

## Geopolitical prospects for the restoration of the Turkish Empire

### Abstract

The prospects for the formation of a large Turkish geopolitical entity are difficult to implement. China has long been pushing for the settlement of Chinese and assimilated

Manchurian from the depths of China into the Xinjiang Uyghur Autonomous Region, making the Uighurs a minority in their own country, and the process continues under the pretext of economic development. In addition, small autonomous units of different nations are formed in the autonomous region, thus dividing the united country of Uighurs. All kinds of national speeches are suppressed in the blood under the pretext of separatism. The Xinjiang Uyghur Autonomous Region, despite its rapid economic growth, is in dire straits in terms of national oppression, and in the future there is very little chance of the Uighurs surviving independence and national identity. As for the Turkic-speaking republics of Russia, here they have more opportunities to maintain their independence, although their independence is ruled out until the collapse of the Russian Empire. Despite many problems and delays, the Russian Empire is on the rise and will not collapse in the near future. There is a possibility of implementing the strategy of one people and six states, and its fate largely depends on the creation of a common territorial space between Azerbaijan and Turkey. Despite many problems and delays, the Russian Empire is on the rise and will not collapse in the near future. There is a possibility of implementing the strategy of one people and six states, and its fate largely depends on the creation of a common territorial space between Azerbaijan and Turkey. This explains the Turkish-Azerbaijani aspiration of Azerbaijan to capture Zangezur, at least to create a transport corridor. This is where the problem and complexity of resolving the Nagorno-Karabakh and Zangezur issue comes into play. Russia seems to have realized that despite the economic viability of the Zangezur Transport Corridor, it is geopolitically unprofitable for it, as it would allow Turkey to expand, connecting directly with the Turkic-speaking republics of Central Asia, which could become a detonating force for Russian-speaking people. To destroy. The creation of a large and powerful Turkic-speaking state does not suit China either, which is directly linked to the dangerous problem for China - the Xinjiang Uyghur Autonomous Region. Finally, the emergence of a large and powerful Turkish-speaking state is a vital issue for Iran, calling into question its statehood. Consequently, Iran, together with Russia and China, will oppose the implementation of this project as much as possible. Russia and Iran will try to prevent Azerbaijan from controlling the rest of Karabakh until its status is resolved. Russia will seek to resolve the status of Karabakh through the International Minsk Group, while maintaining good, mutually beneficial relations with Turkey for some time. The geopolitical uncertainty will continue until the change of political leadership in the countries, or the explosion of another big geopolitical mine, and the lack of mines, as the above article shows, is not really experienced by the current geopolitical reality.

## ირანის სატრანსპორტო და ენერგეტიკული სექტორის შესაძლო ეფექტი სამხრეთ კავკასიის რეგიონზე

### შესავალი

ირანი ევრაზიის ერთ-ერთი უმსხვილესი სახელმწიფოა, რომლის მოსახლეობა 90 მილიონამდე აღადგინა შეადგენდა. ამ მონაცემით ეს ქვეყანა მსოფლიოში XVII ადგილზეა (1). გეოგრაფიული მდებარეობა მას საშუალებას აძლევს, საკუთარი თავი განიხილოს რამდენიმე სუბრეგიონალური პროცესების მონაწილედ. ირანი მეტ-ნაკლები აქტიურობით მონაწილეობს კასპიის ზღვის აუზის, სამხრეთ კავკასიის, ცენტრალური აზიის, სპარსეთის ყურის, ახლო აღმოსავლეთის, ინდოეთ-ავღანეთ-პაკისტანის რეგიონალურ საერთაშორისო ურთიერთობებში.

ირანი ისლამური სახელმწიფოა, სადაც მოსახლეობის დიდი უმრავლესობა შიიზმის მიმდევარია. ირანის სახელმწიფო მმართველობის ფორმა უნიკალურია. ის თეოკრატიის გამოკვეთილ ნიშნებს ატარებს. ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუციის მიხედვით, სახელმწიფოს მეთაურია უმაღლესი ლიდერი. მას ექსპერტთა საბჭო ირჩევს, რომლის წევრებიც ღვთისმეტყველები, ანუ მაღალი რანგის სასულიერო პირები არიან.


1979 წლის ისლამური რევოლუციის შემდეგ ირანის ისლამური რესპუბლიკა დასავლეთის მხრიდან პერმანენტული სანქციების ქვეშ იმყოფება, რომლის აქსელერაცია 2002 წელს მოხდა მას შემდეგ, რაც ირანმა ბირთვული პროგრამის დაწყება გამოაცხადა. გარდა დასავლეთის ქვეყნების მიერ შემოღებული სანქციებისა, 2006 წლიდან მოქმედებს გაეროს ხუთი რეზოლუცია ირანის წინააღმდეგ სანქციების შემოღების შესახებ. ესენია: 1737, 1747, 1803, 1929, 2231. ცხადია, სანქციები აფერხებს ირანის ეკონომიკურ განვითარებას და მის სრულფასოვან ჩართვას მსოფლიოს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში, თუმცა ქვეყანამ მოახერხა მეტ-ნაკლებად ავტარქიული ეკონომიკის აშენება. სანქციების პირობებში ეკონომიკის გარკვეულ დონემდე განვითარების შესაძლებლობას ირანს ნავთობის და ბუნებრივი აირის უზარმაზარი მარაგები აძლევს. ირანის მთლიანი შიდა პროდუქტი 2021 წელს \$1,081 ტრილიონი იყო, რაც ერთ სულზე \$12,588-ს შეადგენს (2). ირანის ექსპორტის 70% გაზსა და ნავთობზე მოდის, ხოლო იმპორტის ძირითადი სახეობებია: მანქანა-დანადგარები, მეტალი და ფოლადი, ქიმიური პროდუქცია, სატრანსპორტო საშუალებები, მცენარეული ცილები, მარცვლეული (3).

ირანს საკმაოდ აქტიური ეკონომიკური ურთიერთობები აქვს სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებთან. მას გააჩნია სახმელეთო საზღვარი სომხეთთან და აზერბაიჯანთან. სტატიაში ჩვენ განვიხილავთ ირანის ენერგეტიკული სექტორის გავლენას სამხრეთ კავკასიაზე და მის პოტენციალს.

**ირანის ენერგეტიკული სექტორი; ნავთობი.**

2019 წლის მონაცემებით, ირანი მსოფლიოში ნედლი ნავთობის სიდიდით მესამე მწარმოებელი ქვეყანა იყო. 2017 წელს ირანი მოიპოვებდა დღეში 4,8 მლნ ბარელ ნავთობს, რომელიც 2018 წელს ირანის წინააღმდეგ შემოღებული ახალი სანქციების შემდეგ შემცირდა და დღეში დაახლოებით 3 მილიონ ბარელს შეადგენს. აქედან, 2 მილიონ ტონამდე დღეში საკუთარი მოხმარებაა. OPEC-ის მონაცემებით, ირანს 208 მილიარდი ბარელი ნედლი ნავთობის მარაგები გააჩნია (4).

Figure 3. Iran's petroleum and other liquids production and consumption  
million barrels per day



Source: U.S. Energy Information Administration, *Short-Term Energy Outlook*, June  
Note: Iran's petroleum and other liquids production includes crude oil, condensate, and hydrocarbon gas liquids (HGLs).

(5).


**ბუნებრივი აირი.**

ირანი ყოველწლიურად 253 მილიარდ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს მოიპოვებს, საიდანაც 12,6 მილიარდი ტონა ექსპორტზე გადის, დანარჩენი კი ადგილობრივ ეკონომიკას ხმარდება (6). ბუნებრივი აირის დაზვერილი მარაგები 34 ტრილიონ კუბურ მეტრს შეადგენს.

**ელექტროენერგეტიკა.**

ყოველწლიურად ირანი დაახლოებით 306 ტერავატი/საათში ელექტროენერგიას აწარმოებს, საიდანაც 73%-ის წარმოება ბუნებრივი აირიდან ხდება, 15%-ის ნავთობპროდუქტებიდან, 10%-ის კი ჰიდრორესურსებიდან (7).

Figure 9. Iran's electricity generation capacity by fuel, 2019



Source: U.S. EIA, based on data from the International Energy Agency  
 Note: Total may not add to 100% because of independent rounding.

(8).

**ბირთვული ენერჯეტიკა.**

1975 წელს ირანში ბუშერის ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა დაიწყო, რომელიც პოლიტიკური პრობლემების გამო შეჩერდა და მხოლოდ 1995 წელს განახლდა. ამჟამად ერთი 1000 მეგავატიანი ატომური რეაქტორი მუშაობს, სრულდება მეორე ატომური რეაქტორი და იგეგმება მესამე რეაქტორის აშენებაც. ჯამში, 2026 წლისთვის ბუშერის ატომური სადგურის სიმძლავრე 3100 მეგავატზე მეტი იქნება. პროექტს ამჟამად რუსული ატომური სააგენტო ახორციელებს. აღსანიშნავია, რომ პირველ რეაქტორს გერმანელები აშენებდნენ, რომელის მშენებლობა სანქციების გამო, 1980 წელს გაჩერდა.

**ჰიდროენერჯეტიკა.**

ირანში 55 ჰიდროელექტროსადგური მოქმედებს, რომელთა საერთო ჯამური გამომუშავება 12,169 მეგავატია (9). აღსანიშნავია ორი ტრანსსაზღვრო პროექტი, რომელსაც ირანი სომხეთთან და აზერბაიჯანთან ერთად მდინარე არაქსზე გეგმავს. ასევე იგეგმება სომხეთ-ირანის ერთობლივი მეგერინის ჰესის პროექტიც ორი ქვეყნის საზღვარზე, რომლის სიმძლავრე 130 მეგავატი იქნება. აზერბაიჯან-ირანის საზღვარზე კი დაგეგმილია ჰუდაფერინის 280 მეგავატი სიმძლავრის ჰესის აშენება, რომელიც არაქსის წყლის დაგუბების და სასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის სეზონურად გამოყენების საშუალებას იძლევა.

**განახლებადი ენერჯია.**

განახლებადი ენერჯიის წყაროებიდან მიღებული ენერჯია საერთო გამომუშავების მხოლოდ 0,2%-ს შეადგენს. ქვეყანაში არსებული ქარის ელექტროსადგურები 53,88 მეგავატს გამომომუშავებენ, ბიომასისგან 13,56 მეგავატს იღებენ, ხოლო მზისგან 0,51 მეგავატს (9).

**ნავთობ-ქიმიური მრეწველობა.**

1951 წელს ირანის ნავთობის სექტორის ნაციონალიზაცია განხორციელდა, თუმცა რეალური დამოუკიდებლობა ირანის ნავთობ-სამრეწველო კომპლექსმა

1979 წლის ისლამური რევოლუციის შემდეგ მიიღო. ამ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და რეალიზება, ნორმატიულ-საკანონმდებლო რეგულირება, სატრანსპორტო უზრუნველყოფა ირანის ნავთობის სამინისტროს პრეროგატივაა. სამინისტროს ქოლგის ქვეშ ფუნქციონირებენ ვიწრო დარგობრივი სახელმწიფო კორპორაციები: ირანის ნავთობის ეროვნული კომპანია, ირანის ნავთობ-ქიმიური ეროვნული კომპანია, ირანის გაზის ეროვნული კომპანია, ირანის ნავთობგადამამუშავებელი და გამანაწილებელი ეროვნული კომპანია. დღეისათვის ირანში 7 უმსხვილესი ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა ოპერირებს:

	ნავთობგადამამუშავებელი დასახელება	ქარხნის	სიმძლავრე, ბარელი/დღეში
1	ბენდერ -აზასი		25,000
2	არაკი		250,000
3	აზადანი		45,000
4	იმამ ჰომეინი სახელობის		250,000
5	ისფახანი		376,000
6	ლავანი		50,000
7	თავრიზი		110,000

ირანი უახლოეს 3-4 წელიწადში გეგმავს სიმძლავრეების მოდერნიზებას, ახალი სამრეწველო სიმძლავრეების აშენებას და წარმოებული პროდუქციის ხარისხის გაზრდას. საერთო ჯამში, დაგეგმილია ნავთობის გადამამუშავების მოცულობის დღეში 2,2 მილიონი ბარელიდან, 3,5 მილიონ ბარელამდე გაზრდა. პროდუქციის ხარისხის ზრდა და სანქციების შერბილება/მოხსნა საშუალებას მისცემს ირანს, ევროპულ ბაზარზე გაიტანოს ნავთობ-ქიმიური გადამამუშავების პროდუქცია.

ირანის კონსტიტუციით, აკრძალულია ნავთობმომპოვებელი კომპანიების წილის, ან აქციების ფლობა უცხოელების მიერ. ასევე აკრძალულია ნავთობის მოპოვებაზე კონცესიების გაცემა უცხოური კომპანიებისთვის. მიუხედავად ამისა, 1990-იანი წლებიდან მოკლევადიანი კონცესიური კონტრაქტებით ირანის ენერგეტიკულ სექტორში შევიდნენ ისეთი ინვესტორები, როგორცაა; ფრანგული Total, იტალიური Eni, მალაიზიური Petronas, ფრანგული Elf Aquatine, ჩინეთის ნავთობის ეროვნული კომპანია, ბელარუსის Белнефтехим.

აღნიშნული კომპანიები ახალი საბადოების ათვისებაზე მუშაობენ და კონცესიური კონტრაქტის ვადის გასვლის შემდეგ, ირანის მხარეს სრულად გადასცემენ ათვისებულ და ექსპლუატაციაში მყოფ საბადოებს. ამავე დროს ირანმა აითვისა ნავთობის და გაზის დაზვერვის ტექნოლოგიები. მას შეუძლია დაზვერვითი და ბურღვითი სამუშაოები ადგილობრივ საწარმოებში დამზადებული სამრეწველო ტექნოლოგიებით განახორციელოს. მათ შორის, ყველაზე რთული, ღრმაწყლოვანი ბურღვითი სამუშაოები სპარსეთის ყურის და კასპიის ზღვის აკვატორიაში.

ირანის ნავთობ-ქიმიური მრეწველობა 90-მდე დასახელების პროდუქციას აწარმოებს, რომელთაგან 18 პოლიმერული სახისაა. დაგეგმილი აქვთ 2027 წლამდე ნავთობპროდუქტების ასორტიმენტი 124 სახეობამდე გაზარდონ. აღნიშნული პროდუქციის 70% ექსპორტზე გადის, 30% კი ადგილობრივ ბაზარზე მოიხმარება. ასევე დაგეგმილია ნავთობ-ქიმიურ სექტორში 30 ახალი სამრეწველო ობიექტის აშენება, სადაც 16 მილიარდი აშშ დოლარის ინვესტირება მოხდება. ეს კი წლიურად 20 მილიონი ტონის სიმძლავრეს შესძენს სექტორს. ექსპერტების პროგნოზით, 2027 წლისთვის ნავთობ-ქიმიურ სექტორში ინვესტიციების მოცულობა 108 მილიარდ აშშ დოლარს გაუტოლდება, ხოლო ირანის ეკონომიკის მხოლოდ ამ დარგის ექსპორტი წელიწადში 44 მილიარდი აშშ დოლარი იქნება. შეადრებისთვის, იგივე მაჩვენებელი 2021 წელს 25 მილიარდი აშშ დოლარი იყო.

**ირანის ეკონომიკური ურთიერთობები სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებთან;  
ირან-აზერბაიჯანის ვაჭრობა.**

ირანის ექსპორტი აზერბაიჯანში 2020 წლის მონაცემებით 288 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა. აზერბაიჯანის ექსპორტი ირანში კი, 38,5 მილიონ აშშ დოლარის ექვივალენტია (10). აზერბაიჯანში ირანიდან ექსპორტირება ძირითადად ხდება პოლიმერების, ხილ-ბოსტნეულის, კერამიკის, მეტალის, ტექსტილის... აზერბაიჯანის ექსპორტი ირანში კი მოიცავს: ბამბას, ელექტროენერგიას, ალუმინს, მილებს, თამბაქოს, პოლიპროპილენს...

**ირან-სომხეთის ვაჭრობა.**

ირანის ექსპორტი სომხეთში 2020 წლის მონაცემებით 295 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა. ხოლო სომხეთის ექსპორტი ირანში, 84,5 მილიონ აშშ დოლარის ექვივალენტია. ირანის ექსპორტი სომხეთში ძირითადად არის: ნავთობპროდუქტები, მეტალი, ცემენტი და სამშენებლო მასალები, პოლიმერები, სასუქები, კერამიკა... სომხეთიდან ირანში ელექტროენერგიის, ალკოჰოლის, ჯართის... ექსპორტი ხდება.

**ირან-საქართველოს ვაჭრობა.**

ირანის ექსპორტი საქართველოში 2020 წლის მონაცემებით 45,1 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა. ხოლო საქართველოს ექსპორტი ირანში, 29,1 მილიონ აშშ დოლარის ექვივალენტია. ირანიდან საქართველოში ძირითადად ხორციელდება



კერამიკის, მეტალის, ნავთობპროდუქტების, მინის ტარას, ცემენტის, პოლიმერული პროდუქციის, რძის, სასუქების, ხილ-ბოსტნეულის, დანადგარების... ექსპორტი. საქართველოდა ირანში გადის: ფეროშენადნობები, ხის მასალა, ფარმაცევტული პროდუქცია, შოკოლადი, დეკორი...

**ირანის სატრანსპორტო კავშირი სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებთან.**

ირანი ამჟამად სარკინიგზო ხაზებს სომხეთთან და აზერბაიჯანთან აშენებს. თურქეთთან კი რკინიგზა უკვე აკავშირებს, თუმცა 2015 წლის შემდეგ თურქეთის ქურთებით დასახლებულ პროვინციებში არასტაბილურობის გამო, იგი დროებით არ ფუნქციონირებდა. 2018 წლიდან კი მატარებელი თეირანი-ვანის რეისს კვირაში ორჯერ ასრულებს. სატვირთო გადაზიდვები ამ მარშრუტზე ჯერჯერობით არ წარმოებს. სომხეთის და აზერბაიჯანის რკინიგზის სისტემებთან დაკავშირება ირანს საშუალებას მისცემს, დაუკავშირდეს რუსეთის და საქართველოს სარკინიგზო ქსელებს. საქართველოს სარკინიგზო ქსელის გავლით შესაძლებელია საბორნე გადასასვლელით პირდაპირი კავშირის დამყარება ევროკავშირის და უკრაინის სარკინიგზო სისტემებთან. აღნიშნული მარშრუტები ირანისთვის უფრო სწრაფია, ვიდრე სპარსეთის ყურიდან სუეცის არხის გავლით ევროპაში ტვირთების გადაზიდვა. ირანს სარკინიგზო კავშირი პაკისტანთან, თურქმენეთთან და ავღანეთთანაც გააჩნია.



**ფოტოზე: ირანის სარკინიგზო სისტემა**

ირან-აზერბაიჯანის საზღვარზე, კერძოდ, მდინარე ასტარაჩაიზე 100 მეტრიანი და 4 ზოლიანი ახალი ხიდი და სარკინიგზო ხიდი შენდება, რომელიც ირანული ტვირთების აზერბაიჯანის და საქართველოს გავლით, ევროპისკენ და პირიქით, ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს. ეს უდაოდ მნიშვნელოვანი იქნება ქართული პორტებისთვის, რომელთა სიმძლავრეები 2021 წლისთვის სანახევროდაც არ იყო დატვირთული. სავარაუდოდ, იგივე ხიდი სამხრეთ-ჩრდილოეთის სავაჭრო მარშრუტსაც მოემსახურება.



### **ფოტოზე: ირანი-აზერბაიჯანი-საქართველოს სატრანზიტო მარშრუტი**

ირანის და ევროკავშირის ვაჭრობა დაახლოებით 5 მლრდ. ევროს შეადგენს, რაც ნიშნავს, რომ ორივე მიმართულებით დაახლოებით 3-5 მლნ ტონა ტვირთი იმობრავებს. აღნიშნული სატრანსპორტო დერეფანი შესაძლოა ინდოეთისა და პაკისტანისთვის მიმზიდველი გახდეს, რომელთაც ევროპასთან 62 (ინდოეთს) და 11 (პაკისტანს) მილიარდი ევროს ვაჭრობა აქვთ. სახმელეთო მარშრუტი ინდოეთი - პაკისტანი - ირანი - აზერბაიჯანი, (ან/და სომხეთი) - საქართველო, მინიმუმ ორჯერ უფრო სწრაფია, ვიდრე ბომბეიდან, ან ბანდერ-აბასიდან საზღვაო გადაზიდვა ევროპისკენ. წელიწადში 80 მილიონი ტონა ტვირთის პოტენციალის, თუნდაც 20%-ის ათვისება საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში ლოგისტიკის სერიოზულ განვითარებას გამოიწვევს. ეს კი ნიშნავს დასაქმებას, მეტ გადასახადებს ადგილობრივ და ცენტრალურ ბიუჯეტში, სინერგიას, მულტიპლიკაციურ ეფექტს და რაც მთავარია, მეტ უსაფრთხოებას.

ირან-სომხეთის დამაკავშირებელი სარკინიგზო მონაკვეთი 2022 წლის ბოლოსთვის უნდა დასრულდეს, ხოლო საავტომობილო გადაზიდვები სომხეთის გავლით წლებია, ხორციელდება. უნდა ვივარაუდოთ, რომ ირანის რკინიგზის დაკავშირება სომხეთის და აზერბაიჯანის სარკინიგზო ქსელებთან, საგრძნობლად გაზრდის ტვირთბრუნვას საქართველოს რკინიგზაზე და შესაბამისად, ტვირთების გადამუშავებას საქართველოს პორტებში. ამ მარშრუტის პოტენციალი საშუალოვადიან პერსპექტივაში წელიწადში 5-10 მილიონი ტონაა. 2020 წელს

საქართველოს რკინიგზის ტვირთბრუნვამ 11,1 მილიონი ტონა შეადგინა, ხოლო საქართველოს პორტების ტვირთბრუნვამ, 16,9 მილიონი ტონა.

საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს თანახმად, 2020 წელს საქართველოს პორტებში გადაზიდვების მოცულობა შემდეგნაირად გადანაწილდა:

- ფოთის პორტი - 7.4 მილიონი ტონა;
- სუფსის საზღვაო ტერმინალი - 4.2 მილიონი ტონა;
- ბათუმის საზღვაო ნავსადგური - 3.5 მილიონი ტონა;
- ყულევის ტერმინალი - 1.7 მილიონი ტონა, ზრდა 6.2%.

პორტებში გადაზიდული კონტეინერების რაოდენობა 490 ათასს შეადგენს, რაც წინა წელთან შედარებით 24.2%-ით არის შემცირებული. ქართული სატრანსპორტო სისტემის არასტაბილური და ხშირად კლებადი ტვირთბრუნვის ფონზე ირანის, ინდოეთის, პაკისტანის, ავღანეთის ტვირთების ნაწილის საქართველოს ტერიტორიის გავლით ტრანზიტი მეტად მიმზიდველი შესაძლებლობაა.

ირანის გაზსადენების სისტემა საკმაოდ განვითარებულია და ის დაკავშირებულია თურქმენეთთან, თურქეთთან, აზერბაიჯანთან, სომხეთთან და ერაყთან. ირანის გაზსადენების სისტემა იძლევა საშუალებას სამხრეთ კავკასიის იმ სახელმწიფოებმა, რომლებსაც არ აქვთ საკუთარი ბუნებრივი აირი, მოახდინონ გაზის იმპორტის დივერსიფიკაცია. ცხადია, ეს ეხება სომხეთს და საქართველოს.



### **ფოტოზე: ირანის გაზსადენების ქსელი**

ირანის გაზსადენის სისტემა იძლევა საშუალებას ე.წ. „სვოპი“-ს ტიპის ოპერაციები განხორციელდეს. მაგალითად, საქართველო დებს კონტრაქტს თურქმენეთთან ბუნებრივი აირის მიწოდებაზე და რეალურად ბუნებრივ აირს იღებს ირანიდან სომხეთის გავლით, ხოლო თურქმენეთი შესაბამის მოცულობას ჩატვირთავს ირანის გაზსადენების სისტემაში.



ირანის ნავთობსადენების სისტემა შედარებით ნაკლებად არის განვითარებული და ის მხოლოდ ერაყს უკავშირდება.



ირანს ნედლი ნავთობი დიდი მოცულობით გააქვს საექსპორტოდ ბაზარზე. მის სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენს ნავთობის ნედლეულისგან გადამუშავებული პროდუქციის საექსპორტო წილის გაზრდა. რადგან ამ გზით იქმნება მიღებული მნიშვნელოვანი დამატებითი ღირებულება, სამუშაო ადგილები, გადასახადების შეტანა ადგილობრივ და ცენტრალურ ბიუჯეტში. ვითარდება მომიჯნავე სფეროები. ამის ეფექტი ეკონომიკაზე განუზომლად დიდია.

დიდი ალბათობით, ეს წარმოადგენს იმის მიზანს, რომ ირანი არ ცდილობს ნავთობსადენებით დაუკავშირდეს მეზობელ ქვეყნებს და მხოლოდ ერაყთან კავშირს ინარჩუნებს, რადგან ერაყიდან კირკუკის საბადოს ნავთობის იმპორტია შესაძლებელი. კირკუკის საბადოს ნავთობის მოპოვების თვითღირებულება კი ერთ-ერთი ყველაზე დაბალია მსოფლიოში.

ირანის გაზსადენების სისტემა საშუალებას იძლევა, მოხდეს გაზის საჭირო რაოდენობების კონსოლიდაცია თურქმენეთიდან, ყაზახეთიდან, აზერბაიჯანიდან, ირანიდან. შემდგომ კი მისი მიტანა მილსადენის მეშვეობით საქართველოს შავი ზღვის პორტებთან. საქართველოს შავი ზღვის პორტებიდან შესაძლებელია ბუნებრივი აირის თხევად მდგომარეობაში კონვერსია კომპრესირების გზით და მისი შემდგომი ტრანსპორტირება შავი ზღვის აკვატორიაში ევროკავშირის, ან/და უკრაინის მიმართულებით.

ამ კონცეფციის განსახორციელებლად აუცილებელი იქნება საკომპრესორო სადგურის აშენება საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე და რამდენიმე თხევადი ბუნებრივი გაზის გადამტანი სპეციალური ტანკერის შექმნა. ასევე საჭირო იქნება დეკომპრესირების სადგურის აშენება მიმდებ ქვეყნებში. მაგალითისთვის, მსგავსი სადგურები უკვე ფუნქციონირებს მდინარე დუნაის ნაპირზე ავსტრიაში, შენდება მსგავსი ინფრასტრუქტურა უნგრეთში. შესაძლებელია დეკომპრესიის სადგურების აშენება სლოვაკეთში და უკრაინაში. აღნიშნული პროექტი უდაოდ მიმზიდველია

საქართველოსთვის, რადგან ეს გულისხმობს მაღალტექნოლოგიური საინჟინრო ნაგებობის შექმნას საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს სატრაზიტო პოტენციალის ზრდას, ახალ სამუშაო ადგილებს და მეტ შემოსავალს ქვეყნისთვის. ბუნებრივი აირის დამატებითი მოცულობების გაჩენა კი ქვეყანას აძლევს შესაძლებლობას, სამრეწველო პოტენციალი განავითაროს. საქართველოს არ გააჩნია ბუნებრივი აირის შესანახი ინფრასტრუქტურა. თხევადი ბუნებრივი აირი კომპრესაციის დროს მოცულობით 600-ჯერ ნაკლებია ბუნებრივ აირზე, რაც მისი შენახვის ტექნოლოგიას უფრო ხელმისაწვდომს ხდის. აღნიშნული პროექტის განხორციელება სერიოზულ შესაძლებლობას მისცემს საქართველოს, ენერგეტიკული ჰაბის ფუნქციის უფრო მეტად განვითარებისათვის.

### **დასკვნა**

სხვადასხვა პოლიტიკური მიზეზების გამო ირანს მუდმივად უწევდა სანქციების რეჟიმში ყოფნა. მიუხედავად ამისა, ირანმა მაინც მოახერხა მეტწილად ავტარქიული სახელმწიფოს შექმნა. ქვეყანამ განავითარა მისთვის ფუნდამენტური ნავთობის და ბუნებრივი აირის დარგების სრული ჯაჭვი, რომელიც მოიცავს მათ მოპოვება-გადამუშავებას. ირანი დიდი სახელმწიფოა და მისი სავაჭრო პოტენციალი, ისევე როგორც ტრანზიტული ტვირთბრუნვის პოტენციალი, უზარმაზარია. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის ირანთან დამაკავშირებელი სატრანსპორტო მაგისტრალების შემდგომი განვითარება რეგიონის ეკონომისთვის ახალი მძლავრი ბიძგის მიმცემი შეიძლება აღმოჩნდეს. ეს ეფექტი მით უფრო საინტერესო შეიძლება გახდეს აღნიშნულ მაგისტრალებზე ინდოეთის, პაკისტანის, ავღანეთის, ცენტრალური აზიის ქვეყნების ტვირთების მობილიზების შემთხვევაში.

სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანა: საქართველო, სომხეთის, აზერბაიჯანი მნიშვნელოვნად იხეირებს საავტომობილო და სარკინიგზო სატრანსპორტო მაგისტრალების განვითარებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კი ბუნებრივი აირის გაზსადენების და LNG ტექნოლოგიების კომბინირების მეშვეობით ევროკავშირის ბაზარზე თხევადი ბუნებრივი აირის (LNG) ტრანსპორტირება იქნება. ასევე წარმატებული იქნება რეგიონის ენერგორესურსების ნაწილის კონვერტირება ელექტროენერჯიაში და აღნიშნული ელექტროგენერაციის ექსპორტი ევროკავშირში შავი ზღვის ფსკერზე ჩადებული 1000 მეგავატიანი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მეშვეობით, რომელიც საქართველოს ელექტროსისტემას რუმინეთის, ანუ ევროკავშირის ელექტროსისტემასთან დააკავშირებს. აღსანიშნავია, რომ ამ პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის დაფინანსებაზე მზადყოფნა მსოფლიო ბანკმა უკვე გამოთქვა. სამხრეთ კავკასიის, ირანის და ცენტრალური აზიის ქვეყნების თანამშრომლობამ შესაძლოა, საქართველო ბუნებრივი აირის, თხევადი ბუნებრივი აირის, ნავთობპროდუქტების, ელექტროენერგეტიკის მნიშვნელოვანი ჰაბი გახადოს. ამას გარდა,

პარალელურად კი ის ინდოეთ-ევროკავშირის ტვირთბურნვის მნიშვნელოვან ღერძადაც შესაძლოა იქცეს.

### ბიბლიოგრაფია

1. <https://worldpopulationreview.com/countries>
2. <https://www.statista.com/statistics/294233/iran-gross-domestic-product-gdp/>
3. <https://tradingeconomics.com/iran/imports>
4. [https://www.opec.org/opec\\_web/en/about\\_us/163.htm](https://www.opec.org/opec_web/en/about_us/163.htm)
5. <https://www.eia.gov/international/analysis/country/irn>
6. [https://www.opec.org/opec\\_web/en/about\\_us/163.htm](https://www.opec.org/opec_web/en/about_us/163.htm)
7. <https://www.eia.gov/international/analysis/country/irn>
8. <https://www.eia.gov/international/analysis/country/irn>
9. <https://www.tehrantimes.com/news/444445/Iran-s-9-month-hydropower-output-up-over-200>
10. [https://www.satba.gov.ir/suna\\_content/media/image/2017/02/5196\\_orig.pdf?t=636219021775330000](https://www.satba.gov.ir/suna_content/media/image/2017/02/5196_orig.pdf?t=636219021775330000)
11. <https://oec.world/en/profile/bilateral-country/irn/partner/aze>

**Irakli Gogava**

Caucasus International University

## **Possible impact of Iran's transport and energy sector on the South Caucasus region**

### **Abstract**

For political reasons, Iran was constantly subject to sanctions. Nevertheless, Iran managed to create a largely autarkic state. The country has developed for it a complete chain of fundamental oil and natural gas fields, which includes extraction and refining. Iran is a big country and its trade potential as well as transit cargo potential is significant. Further development of transportation routes connecting Iran to the countries of the South

Caucasus could prove to be a new powerful impetus for the region's economy. This effect can be even more interesting in the case of mobilization of cargo from India, Pakistan, Afghanistan, Central Asian countries on these routes. All three countries of the South Caucasus: Georgia, Armenia and Azerbaijan are significantly benefiting from the development of highways, railways, pipelines. Especially important will be the transportation of liquefied natural gas (LNG) to the EU market through the combination of natural gas pipelines and LNG technologies. It will also be successful to convert part of the region's energy resources into electricity and export it to the EU via a 1,000-megawatt high-voltage transmission line on the Black Sea seabed, which will connect Georgia's electricity system to Romania's or the EU's. It should be noted that the World Bank has already expressed its readiness to finance the feasibility study of this project. Cooperation between the countries of the South Caucasus, Iran and Central Asia may make Georgia an important hub for natural gas, liquefied natural gas, oil products and electricity. At the same time, they have become an important axis of India-EU cargo movement.

## **გორდნ ლიბრადქ**

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

### **ისრაელ - პალესტინის კონფლიქტის განვითარების დინამიკა**

ისრაელ - პალესტინის კონფლიქტი საკმაოდ ხანგრძლივი და მასშტაბურია, რომელიც ბევრად გასცდა ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ფარგლებს. სანამ ძირითადი საკითხის განხილვაზე გადავალთ, მანამ მოკლედ ავლნიშნავთ, რომ ებრაელები თავიანთ მიწას სხვადასხვა სახელით იხსენიებდნენ, მათ შორის ისრაელს, სწამდათ, რომ ღმერთმა ეს მიწები გადასცა უძველეს ებრაელებს-მოსეს, აბრაამს და მის შთამომავლობას. ისინი დიდი ხნის განმავლობაში იცავდნენ ტერიტორიას, როგორც მათთვის აღთქმულ მიწაზე და უამრავი ომი გამოიარეს ტერიტორიის შესანარჩუნებლად.

გარკვეული დროის შემდეგ, მიწა, რომელზეც ისრაელი მდებარეობს, დაიპყრო ბაბილონმა, რომმა... ბიბლიაში მოთხრობილია ებრაელთა ყოფა სხვადასხვა დამპყრობლების მმართველობის პერიოდში. აღწერილია მათი გამარჯვებებისა და დამარცხებების ამბები (4).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ებრაელ ხალხს მუდმივად ჰქონდა საკუთარ მიწაზე დაბრუნების დიდი სურვილი. ამიტომაც, 1897 წელს შვეიცარიის ქალაქ ბაზელში დაარსეს „მსოფლიო სიონისტური ორგანიზაცია“, რომელმაც მიზნად მსოფლიოს ყველა ებრაელის კონსოლიდაცია, პალესტინაში ებრაელთა სახელმწიფოს შექმნა და იქ ებრაული ხალხის დასახლება გამოაცხადა. სიონისტური მოძრაობის სულისჩამდგმელი გახდა თეოდორ ჰერცლი, რომელიც საპროგრამო წიგნის - „ებრაული სახელმწიფო ძველი. პრობლემის ახალი გადაწყვეტა“-ს ავტორია. პირველი ოფიციალური აღიარება სიონიზმმა 1917 წელს, „ბელფურის დეკლარაციით“ მოიპოვა, სადაც აღიარებულია ებრაელთა უფლება, „შექმნან ეროვნული კერა“ პალესტინაში, ერთა ლიგის მანდატით. შემდგომ წლებში ებრაელებმა პალესტინაში დასახლებათა სულ უფრო მზარდი რაოდენობა შექმნეს, რომელთაც ერთი ცენტრალური ორგანიზაციის (ებრაული სააგენტო – Jewish Agency) ეგიდით მოქმედი სხვადასხვა კომიტეტი ხელმძღვანელობდა (5).

გადასახლებულთათვის საერთაშორისო იურიდიული ბაზის შექმნას თეოდორ ჰერცლი და მისი მომხრეები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. თეოდორ ჰერცლმა კონგრესზე წამოთქვა მნიშვნელოვანი სიტყვები: „სიონიზმის მიზანია პალესტინაში ეროვნული კერის შექმნა ებრაელთათვის, რომელთა უსაფრთხოებას უზრუნველყოფს კანონი“ (2). ამის შემდგომ სიონისტური მოძრაობის ცენტრალური ადმინისტრაციული ორგანო, რომელსაც კონგრესი ხელმძღვანელობდა, ყოველწლიურად იკრიბებოდა. 1889 წლიდან პალესტინაში უკვე ყოველთვიურად ჩადიოდა რამდენიმე ათეული ებრაელი. ხოლო შემდეგ უკვე რამდენიმე ასეული. XX საუკუნის დასაწყისისათვის პალესტინაში ებრაელთა რაოდენობა შეადგენდა 50 ათას ადამიანს. იმავე საუკუნის 40-იან წლებში პალესტინაში იყო ორი ნაციონალისტური მოძრაობა: **სიონიზმი**, რომლის მიზანი იყო ებრაელებისათვის ეროვნული კერის შექმნა და **პალესტინურ-არაბული ნაციონალიზმი**, რომელსაც სურდა ბრიტანული მმართველობის გაუქმება და დამოუკიდებელი პალესტინის სახელმწიფოს შექმნა. სწორედ ეს ორი ნაციონალისტური ხედვა გახდა კონფლიქტის გამოწვევი მიზეზი ებრაელებსა და პალესტინელ არაბებს შორის (6).

1948 წელს ისრაელმა ოფიციალურად დამოუკიდებლობა გამოაცხადა და საერთაშორისო თანამეგობრობამ სახელმწიფოს სტატუსი მიანიჭა. ამ ყველაფერმა არაბული სახელმწიფოების: ეგვიპტის, საუდის არაბეთის, ტრანსიორდანიის, სირიის, ლიბანის და ერაყის განაწყენება გამოიწვია. მათ გადაწყვიტეს, რომ გაერთიანებულიყვნენ პალესტინის დასახმარებლად და ომი გამოუცხადეს ისრაელს (1948-1949 წწ.), რაც ამ უკანასკნელის გამარჯვებით დასრულდა. ამის შედეგად უამრავ ეთნიკურად არაბს მოუწია ისრაელის ტერიტორიიდან არაბულ ქვეყნებში საცხოვრებლად გადასვლა. ისრაელის სახელმწიფოს ტერიტორიაში კი გაერთიანდა ძველი პალესტინის თითქმის მთელი ნაწილი, გარდა ორისა - ლაზა, რომელსაც ხშირად მოიხსენიებენ, როგორც ლაზას სექტორს და დასავლეთ სანაპიროს



ტერიტორია. 1964 წლიდან, ისრაელსა და პალესტინას შორის კონფლიქტმა ახალ ფაზაში გადაინაცვლა. არაბულ სახელმწიფოების ანტაგონისტურმა დამოკიდებულებამ 6 დღიანი ომი (1967 წ.) გამოიწვია, სადაც ისევ ისრაელი დარჩა გამარჯვებული, რომელმაც ტოტალური კონტროლი დაამყარა აღმოსავლეთ იერუსალიმსა და მდ. იორდანეს დასავლეთ ნაპირზე. კონფლიქტი ასევე განმეორდა შემდეგაც, რომელმაც მასშტაბური ხასიათი მიიღო (3).

საინტერესოა ის ფაქტი, რომ კოალიციური ქვეყნები, რომლებიც გაერთიანებულები იყვნენ ისრაელის წინააღმდეგ, ვერ ახერხებენ მის დამარცხებას. უნდა აღინიშნოს რომ, ისრაელი იმ დროისათვის აწარმოებდა და იყენებდა ისეთ თანამედროვე სამხედრო ტექნიკას, რომელსაც ნაკლებად ჰქონდა ანალოგი მსოფლიო მასშტაბით. ასევე მას გაანალიზებული ჰქონდა ყველა მომდინარე საფრხეები, რომელიც რეგიონში არასტაბილურ გარემოდ აღიქმებოდა (7).

XXI საუკუნის დასაწყისმა დიდი გეპოლოტიკური ცვლილებები გამოიწვია ახლო აღმოსავლეთში. 2000 წელს აშშ-ის ჩართულობით მოხდა კონფლიქტის ორივე მხარის მოწვევა მოლაპარაკების მაგიდასთან (ამას ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში). შეთანხმება ითვალისწინებდა მხარეებს შორის ცეცხლის შეწყვეტას და კონფლიქტური სიტუაციის განმუხტვას, მაგრამ ეს ყველაფერი ვერ მოხერხდა. უფრო მეტიც, მასშტაბური სამხედრო კონფლიქტი მივიღეთ კიდევ 2008 წელს, რომელიც კ საერთაშორისო საზოგადოებისა და წამყვანი სახელმწიფოებისა ყურადღების ქვეშ იყო მოქცეული. გაეროს, ევროსაბჭოსა და აშშ-სთვისაც კი გადაუჭრელ ამოცანად იქცა ნახევარსაუკუნოვანი დაპირისპირების აღმოფხვრა და რეგიონში მშვიდობის დამყარება (2). 2008 წლის მოვლეების დროს პალესტინის ადმინისტრაციასა და ისრაელს შორის ურთიერთობა უკიდურესად დაემძა. ამის მიზეზი იყო ისრაელის სახელმწიფოს მიერ განხორციელებული აგრესიული მოქმედებები. 2008 წლის იანვარში ისრაელის შეიარაღებულმა ძალებმა დაზას სექტორში რამდენიმე ადგილი ააფეთქა. დაახლოებით ოთხასი ათასი ადამიანი იძულებული გახდა ეგვიპტეში გადასულიყო თავშესაფრის საძებნელად.

2009 წელს ვითარება მცირედით შეიცვალა. ამ წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში საპრეზიდენტო არჩევნებში ბარაკ ობამამ გაიმარჯვა. მისმა ადმინისტრაციამ აიღო ვალდებულება სამშვიდობო მოლაპარაკებებში ჩართვის თაობაზე. ბარაკ ობამამ კაიროში სიტყვით გამოსვლისას მუსლიმური სამყაროს ინტერესების დაცვასა და რეგიონში მშვიდობიანი პოლიტიკის წარმოებაზე ისაუბრა. მალევე იგი ისრაელის პრემიერ-მინისტრს ბენიამინ ნეთანიაჰუს შეხვდა. ობამამ მას შესთავაზა **ორი სახელმწიფოს იდეა**, რომელიც გულისხმობდა ისრაელის და პალესტინის მიერ ერთმანეთის ტერიტორიების აღიარებას და მშვიდობიან თანაცხოვრებას. ნეთანიაჰუ პალესტინური სახელმწიფოს აღიარებას დათანხმდა, მაგრამ მისი მხრიდან იყო მოთხოვნა, რომ პალესტინას ისრაელი, როგორც ებრაული სახელმწიფო ეღიარებინა. ასევე მისი პირობა იყო: პალესტინის

სამომავლო დემილიტარიზაცია, უსაფრთხოების გარანტიების მიღება, იერუსალიმის ისრაელის ადმინისტრირების ქვეშ გადასვლა და პალესტინელი ლტოლვილების დაბრუნების მოთხოვნაზე უარის თქმა. ისრაელის პრემიერ-მინისტრის მხრიდან პალესტინის მიერ ასეთ დათმობაზე წასვლის მოთხოვნა უარყოფილ იქნა პალესტინის მიერ და მოლაპარაკებები კვლავ გადაიდო განუსაზღვრელი ვადით (4).

2012 წელს სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ ღაზას სექტორში შუალედური არჩევნები უნდა გამართულიყო და ეს რეგიონი დამოუკიდებელ პოლიტიკურ ჯგუფებს უნდა ემართა. ასეთი შეთანხმება შედგა 2014 წელსაც, თუმცა მხოლოდ მცირე ხნით. პალესტინის ისლმისტურმა რადიკალურმა ორგანიზაცია „ჰამასმა“ კვლავ დაიწყო თავისი ძალების დემონსტრირება და ისევ ჩამოყალიბდა ალტერნატიული ხელისუფლება (1).

პალესტინასა და ისრაელს შორის სამშვიდობო მოლაპარაკებების კიდევ ერთი ეტაპი 2013 წელს, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის **ჯონ კერის** ინიცირებით განახლდა (3). ვაშინგტონში გამართულ შეხვედრაზე მხარეებს შეთანხმების მიღწევამდე ვადა ჰქონდათ მიცემული, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მშვიდობიანი ურთიერთობის აღდგენა (2).

მნიშვნელოვანი მოვლელის ფონზე უნდა გამოვყოთ 2017 წელიწელი, როდესაც აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქად აღიარა. **„ისრაელი სუვერენული სახელმწიფოა და როგორც ყველა დამოუკიდებელ ქვეყანას, მასაც აქვს უფლება, ჰქონდეს დედაქალაქი,“** განაცხადა პრეზიდენტმა (4). იმავე წლის მაისში დონალდ ტრამპი მისი პირველი საერთაშორისო ტურნეს ფარგლებში ისრაელსაც ეწვია და შეხვდა ქვეყნის ლიდერს. გამოსაყოფია ის ფაქტი, რომ პრეზიდენტმა ტრამპმა ახლო აღმოსავლეთის საკითხებში მრჩეველად მისი სიძე, ჯარედ კუშნერი დანიშნა. ამერიკის ადმინისტრაციის მხარდაჭერა ორ-სახელმწიფოს იდეის კუთხით გამოირჩეოდა. კონფლიქტით დაზარალებულ პალესტინურ მხარეს ტრამპის ადმინისტრაციის მიმართ მალევე გაუცრუვდა იმედი. 2017 წლის ივნისში კუშნერის რეგიონში პირველი ვიზიტიდან რამდენიმე დღეში, პრემიერმა ნეთანიაჰუმ პალესტინის ტერიტორიებზე ახალი ებრაული დასახლებების მშენებლობა დააანონსა (3). მნიშვნელოვანია რაც მოხდა ალ-აქსას მეჩეთში, რომელიც არის ისლამური სიწმინდე. ეს წმინდა ადგილია ადგილია როგორც მუსლიმებისთვის, ასევე იუდეველებისთვის. გასული საუკუნის განმავლობაში ის პალესტინასა და ისრაელს შორის მძიმე კონფლიქტის მიზეზი იყო.

პალესტინელებსა და ებრაელებს შორის სისხლიანი დაპირისპირება იერუსალიმის ისტორიულ უბანში მდებარე ალ-აქსას მეჩეთში ისრაელის უსაფრთხოების სამსახურის მიერ მუსლიმებისთვის ლოცვის აკრძალვას მოჰყვა. 1994 წლიდან იერუსალიმში მდებარე ქრისტიანული და მუსლიმური ტაძრების

პატრონაჟს იორდანია ეწევა. 2000 წელს კემპ-დევიდის სამიტზე პალესტინელებმა ტაძრის სრული კონტროლი მოითხოვეს, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწიეს. დაპირისპირება გამოიწვია ისრაელის მხრიდან მეჩეთში შესასვლელად მეტალოდეტექტორების დაყენებამ. რამდენიმე დღიან შეტაკებებს სამი პალესტინელის და ორი ებრაელი პოლიციელის სიცოცხლე ემსხვერპლა. უკიდურესად დაიძაბა ვითარება 2021 წელს მაისშიც, რომელიც 11 დღეს გრძელდებოდა. სამხედრო დაპირისპირებამ 240-ზე მეტი ადამიანის დაიღუპვა გამოიწვია. საბრძოლო მოქმედებები 10 მაისს დაიწყო. ისრაელის სამხედრო მეთაურობის ინფორმაციით, „ჰამასის“ „ბოვეიკებმა“ ისრაელის მიმართულებით 4000 რაკეტა ისროლა. მანამდე კი შეტაკებები იერუსალიმის ალ აქსას მეჩეთთან მოხდა, სადაც პალესტინელები და ისრაელელი პოლიციელები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბინიამინ ნეთანიაჰუმ განაცხადა, რომ ისრაელი „ჰამასის“ და სხვა დაჯგუფებების ობიექტებზე დარტყმებს პრევენციული მიზნით ახორციელებდა. კონფლიქტის დარეგულირებაში წვრილი შეიტანა აშშ-მა და სხვა ქვეყნებმა, რომლებმაც მხარეებს ცეცხლის შეწყვეტისკენ მოუწოდეს.

ბოლოდროინდელმა მოვლენებმა აჩვენა, რომ ისრაელ-პალესტინას შორის დაპირისპირება ჯერ არ განელეზულა და შესაძლოა, ახალ ეტაპზე გადავიდეს. ღაზის სექტორში ბოლო ათწლეულების განმავლობაში ყველაზე არასახარბიელო მდგომარეობაა. ახლო აღმოსავლეთში შემავალი ქვეყნების უმრავლესობა ისრაელის მიმართ ანტაგონისტურად არიან განწყობილნი. ასევე ცალკე უნდა აღინიშნოს ირანის როლი ამ სამხედრო კონფლიქტში. 2015 წელს ირანთან მიღწეული ბირთვული შეთანხმების დარღვევის გამო ისრაელი თეირანის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედების სცენარს განიხილავს. თელ-ავივი ირანს ბირთვული იარაღის შექმნის მცდელობაში სდებს ბრალს, რაც ისრაელის უსაფრთხოების მთავარი გამოწვევაა (1). შექმნილ ვითარებაში აშშ-ის ახალი ადმინისტრაცია ირანთან მოლაპარაკებისა და ბირთვული შეთანხმების განახლების მომხრეა. თავის მხრივ, თეირანი 2015 წელს მიღწეული ბირთვული შეთანხმების დარღვევაზე სრულ პასუხისმგებლობას ვაშინგტონს აკისრებს. ისრაელის მხრიდან თავდასხმის შემთხვევაში კი, პირდაპირ თელ-ავივზე იერიშით იმუქრებოდა. ზემოაღნიშნული მდგომარეობიდან გამომდინარე, ცხელცხელი ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტური ვითარებების ახალ კერებს უნდა ველოდოთ.

## ბიბლიოგრაფია

1. ბარამიძე გ. ირანსა და ისრაელს შორის ურთიერთობა იძაბება. [ბილისი, 2021
2. გაზადაძე ც. ისრაელი VS პალესტინა - დაუსრულებელი კონფლიქტი. თბილისი, 2018

3. თხელიძე შ. გადადებული მშვიდობა - ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი. თბილისი, 2017
4. მესხიზე რ. ისრაელი-პალესტინის კონფლიქტი. თბილისი, 2018
5. პეტროზილო პ. ქრისტიანობის ლექსიკონი. თბილისი, 2011
6. ღირსიაშვილი ლ. სიონიზმის საფუძვლები და ისრაელის სახელმწიფოს წარმოშობა. თბილისი, 2007
7. ფელგენგაუერი პ. ისრაელ-პალესტინის ზავის პირობები დამოკიდებული იქნება. თბილისი, 2021

**Gorda Gibradze**

Caucasus International University

## **The dynamics of the development of the Israel-Palestine conflict**

### **Abstract**

The history of the creation of Israel, linked to the great geopolitical changes of the twentieth century, Theodore Herzl's role in the production process is fundamentally essential. In 1897 Herzl brought together the first Zionist organizations at the World Zionist Congress in Basel.

It was in Switzerland that he declared the existential words "I founded the Jewish state in Basel, that became the determinant of the coexistence of the Jewish people in the Middle East.

The main goal of the organization became Herzl's ideas and books.

Herzl spoke of a practical way to solve the problem of the Jews. In the book, and just his books became the basis of "political Zionism," according to which international recognition of the Jewish state of Israel and only then the settlement of Jews in Palestine was acceptable.

For two millennia, creating a State for the displaced Jews became a reality that seemed at first sight hopeless idea though through the result of their selfless labor, all these followed by the most important processes of the twenty-first century, the confrontation with the Arab world transformed between Palestinians and Jews.

# ისტორია და კულტურა

## Culture and History

### თავა პიტიუროვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ნაცია-სახელმწიფოს ფორმირებასთან დაკავშირებული გამოწვევები XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის ირანში

ირანი იმ ქვეყნების მაგალითია, სადაც საზოგადოების მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში, ევროპაში მასების პოლიტიკური მობილიზაციიდან თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ დაიწყო.

ჟ. გობინო, რომელმაც XIX ს. სპარსეთში იმოგზაურა, აღფრთოვანებული იყო მისი ხალხის “უკვდავი პატრიოტიზმით” და აღტაცებას ვერ მალავდა, რომ მიუხედავად ურიცხვი შემოსევებისა, “ირანული ინდივიდუალობა არ ჩამკვდარა” და “ვინც არ უნდა აწამოს სპარსეთი, დაყოს, ან წაართვას მას სახელი, ის მაინც სპარსეთად დარჩება” (12,164).

ნ. ქედის აზრით, ეროვნული ცნობიერება ირანში ბევრი განსხვავებული ლინგვისტური, ტერიტორიული, ეთნიკური და რელიგიური ნიშნით ხასიათდება. ყველაზე საინტერესო კი პროცესია, რომელიც ეროვნულობაზე ორიენტირებული ამ აქცენტებით ირანულ პოლიტიკას რადიკალური მეთოდებით ცვლის (12,162).

სასანიანთა ძლევამოსილი დინასტიის დაცემას და ერთი სარწმუნოების მეორით ჩანაცვლებას შედეგად ძირეული ცვლილებები მოჰყვა: 1. დაირღვა კლასობრივი საზოგადოება, დაბალ ფენებს უფრო მაღალი საფეხურებისკენ გაეხსნათ გზა. 2. იხსნება საზღვრები და ნაკადებად მოედინებიან უცხოელები, რომელთაც მანამდე ქვეყანაში შესვლის უფლება არ გააჩნდათ. ისლამისთვის უცხოა ეროვნული ნიშნით გაყოფა, რამაც განაპირობა ირანული საზოგადოების მრავალეროვან საზოგადოებად ქცევის პროცესის დაწყება; 3. შექმნილმა ვითარებამ წარმოშვა ახალი კულტურა – კულტურათა ერთგვარი ნაზავი, რომელსაც ნებით თუ უნებლიეთ თან ახლავს გარკვეული წინააღმდეგობანიც” (1,5).

“ირანელები იმთავითვე იმ აზრამდე მივიდნენ, რომ ისლამი დამპყრობელი ერისაგან გაემიჯნათ” (1,9). VII საუკუნეში შიიზმის არჩევა სავარაუდოდ, ირანული ნაციონალიზმის იმ ძლიერმა გრძნობამ განაპირობა, რომელიც მათ ეთნიკური

კულტურის თვალსაზრისით გამოარჩევს (8,3). არსებობს ლეგენდა, რომლის თანახმად, ჰოსეინი (იმამ ალის შვილი) დაქორწინებული იყო უკანასკნელი სასანიანი შაჰის იუზდიგერდ III-ის ქალიშვილზე და მომდევნო იმამების მემკვიდრეობითი ისტორია ამ ქორწინებიდან იღებს სათავეს. ლეგენდის მეორე ვერსიაში სპარსული სიამაყე უფრო თვალსაჩინოა: პრინცესა უარს ამბობს, ცოლად გაჰყვეს ხალიფა ალის სხვა ვაჟიშვილს, რამდენადაც ქმრად მხოლოდ მმართველი მონარქი შეიძლება აირჩიოს (20,102). ამ ფაქტით შიიტი იმამების გენეალოგიური შტო არიული ხდება და არაბთა შემოსევებითა და ირანული ზოროასტრული რელიგიის განადგურებით გამოწვეულ დამცირებას რამდენადმე ამსუბუქებს. ძირითადი სურვილი კი ზოროასტრიზმის ერთგულების მიმართ მაშინ გაქრა, როდესაც ნათელი გახდა, რომ ისლამის ჩარჩოებში თამამად შეიძლებოდა “ირანიზმის” პროპაგანდა. ისლამიზაცია არ ნიშნავდა უცხო ძალის ჰეგემონიას (20,102). შიიტური სარწმუნოების ეს ხასიათი განაპირობებს ირანელთა ინდივიდუალობასა და განსხვავებულობის ძიებას მთელი ისლამური ისტორიის მანძილზე. გარდა ამისა, ირანელთა სწრაფვა მიმდინარეობისაკენ, რომელიც არ იყო მუსლიმთა უმრავლესობის აღმსარებლობა, მოგვიანებით ირანული ნაციონალიზმის გაძლიერებას დაედო საფუძვლად. “შედეგად, ირანი ორი კულტურის ქვეყანა გახდა. ჯერ კიდევ ცოცხალია ფესვები ძველი კულტურისა, რომლის ნაშთებიც ისლამურ მოძღვრებასთან თანაარსებობს” (1:10). ერთმანეთის მონაცვლე დინასტიებმა გაზარდეს ეთნიკური და გეოგრაფიული მრავალფეროვნება, რითაც ხელი შეუშალეს ყოველგვარი ზეკლასობრივი თანამონაწილეობის ჩამოყალიბებას (3,162-163). განსაკუთრებული სპარსული იდენტობისა და რჩეულობის განცდა, რომელიც X-XI სს. ახალი სპარსული ენის აღორძინებაში გამოვლინდა, მომდევნო საუკუნეებში განათლებული ელიტის ვიწრო წრით იფარგლებოდა. მაგრამ 1501 წლიდან თურქმანული წარმოშობის დინასტიამ სათავე დაუდო პოლიტიკურ და კულტურულ რენესანსს, რაც მათი მეზრძოლი შიიტური სარწმუნოებით იყო ნასაზრდოები. ირანული ეროვნული იდენტობა და შიიზმი მას შემდეგ, რაც სეფიანებმა (1501-1722 წწ.) ის სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადეს, ტერიტორიული ერთიანობის და ნაციონალიზმის ეფექტური საფუძველი გახდა. შიიზმი ხაზს უსვამდა ირანელთა უნიკალობას, რამდენადაც ფორმალურად გამოყოფდა მათ სუნიტი მუსლიმების უზარმაზარი უმრავლესობისაგან, განსაკუთრებით არაბულენოვანი და თურქულენოვანი მიმდებარე ტერიტორიებიდან. “ამ დინასტიის მიერ ირანის გაერთიანებამ კი ხელი შეუწყო თორმეტთა (იმამიტური) შიიზმის გავრცელებას, რასაც შედეგად 1722 წლისათვის მთელ ირანში სპარსულ ენაზე მოლაპარაკეთა უმეტესობის შიიზმზე მოქცევა მოჰყვა. ხოლო სპარსული იდენტობა სულ უფრო მეტად, შესაძლოა მიზანმიმართულადაც, ემთხვეოდა შიიზმს” (3,162-163).

მიუხედავად იმისა, რომ შემდეგში, ყაჯართა დინასტიის (1796-1925 წწ.) პერიოდში აღორძინება შენელდა, მან მაინც მოასწრო, შეექმნა სოლიდარობის განსხვავებული, საშუალო კლასის ეთნიკური სპარსული განცდა, რომელმაც პოლიტიკური გამოხატულება 1905-1906 წლების კონსტიტუციურ მოძრაობაში ჰპოვა.

ამდენად, ეროვნული ცნობიერება ირანში საუკუნეების მანძილზე არსებობდა, მაგრამ ნაციონალიზმი, როგორც პოლიტიკური ქცევისა და დამოუკიდებელი ერი-სახელმწიფოს ჩამოყალიბების ძირითადი ფაქტორი, ირანში XX საუკუნით განისაზღვრება. XX საუკუნემდე არავის გაჩენია ეჭვი, რომ ირანის სახელმწიფოსადმი თავდადება და შიიტური სარწმუნოების ერთგულება სხვადასხვა იყო (7,14). მაგრამ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ნაციონალიზმის იდეები ევროპიდან მთელ რეგიონში გავრცელდა და XX საუკუნის დასაწყისში თითქმის ერთდროულად გაჩნდა თურქული, არაბული, ირანული და სხვ. ტერიტორიული ნაციონალიზმი, რაც იმას ნიშნავდა, რომ ადამიანთა გამაერთიანებელი თვითდასახელების მქონე ჯგუფი გარკვეულ ტერიტორიაზე აცხადებდა პრეტენზიას.

1890 წ. ინგლისური კომპანიისათვის თამბაქოს მონოპოლიის გადაცემა, რომელსაც ირანის მოსახლეობის ამბოხება მოჰყვა, ირანის ისტორიაში გარდატეხის მომენტი გახდა. ფაქტმა ირანელი ვაჭრების აღშფოთება გამოიწვია. ბაზარი, ტრადიციული ირანული ქალაქის უძველესი ნაწილი, სპეციფიკური ეკონომიკური, კულტურული, თუ სოციალური თავისებურებებით პირდაპირ, ან არაპირდაპირ რელიგიურ რიტუალებში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა (13,110) და მეჩეთები, ჩვეულებრივ, ვაჭრების შეკრების ადგილი იყო. ისინი თამბაქოს მონოპოლიის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად მაღაზიებს კეტავდნენ და იქ, მღელვარე, ემოციურ გარემოში [იმამ] ალისა და (იმამიმამ) ჰოსეინის ცხოვრების ეპიზოდებს ისმენდნენ. დემონსტრაციების დროს დაღუპულთა ცხედრები მეჩეთებში გადაჰქონდათ, რაც თავისთავად ხალხის უფრო მეტად გაღიზიანების მიზეზი ხდებოდა. მოსახლეობის დიდი უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარი იყო და პოლიტიკური ცნობიერება არ გააჩნდა. ერთადერთი, რასაც შეეძლო ეს აპათიური ბრბო აემოდრავებინა, მათი ემოციები იყო. ამრიგად, ხალხის პირველი რეაქცია არა ეროვნული ღირსების, არამედ მორალური შეურაცხყოფით გამოწვეული რელიგიური გრძნობები გახდა.

ნ. ქედის აზრით, ამას რამდენიმე მიზეზი განაპირობებდა: "ურწმუნო უცხოელების მიერ თამბაქოს მიტაცება, რასაც ირანელები ყოველდღიურად მოიხმარდნენ, პირდაპირ ეხებოდნენ, წინააღმდეგობას იწვევდა. შიიტ მუსლიმს სწამს, რომ რასაც ქაფერ-ურწმუნო (არამუსლიმი) შეეხება, ნაჯეს-უწმინდურია". თამბაქო "ინგლისური კომპანიის არამუსლიმთა შეხებით დაბინძურდებოდა" (10,250). შირაზის დიდი მუჯთაჰიდი ერთ ინგლისელ დიპლომატს შეახსენებდა,

რომ "კომპანია ირანში უამრავ ევროპელს ჩამოიყვანდა და მათი სისტემატური კავშირი ხალხთან სარწმუნოებას შეარყევდა" (10:255).

ამგვარმა მოტივაციამ იმდენად რადიკალური ხასიათი მიიღო, რომ ფარული ჯგუფები ხალხს ჯიჰადისკენ მოუწოდებდნენ. ხალხის უმრავლესობა სამღვდელოებას ეთანხმებოდა, რომ უცხოელები თავს ესხმიან ისლამს, ხოლო შაჰი არაფერს აკეთებს მის დასაცავად. თამბაქოს კონცესიას სამართლებრივადაც განიხილავდნენ - "უკანონო მონოპოლია მუსლიმი ვაჭრების თავისუფალ საქმიანობას ზღუდავდა". ამგვარად, სამღვდელოება, რომელიც ბაზრის მოვაჭრეთა თხოვნით ჩაება მოძრაობაში, ნებით თუ უნებლიეთ "თამბაქოს ამბოხების" ხელმძღვანელი გახდა.

ყაჯართა დესპოტიზმის პირობებში არ არსებობდა პარტიები ან პოლიტიკურად მოტივირებული არასასულიერო ძალა, რომელიც შეძლებდა ხელისუფლებისთვის ოპოზიციის შექმნას. ასეთ როლს, პრაქტიკულად, სამღვდელოება ასრულებდა. სოციალური ძალაუფლება იყოფოდა რელიგიის ძალაუფლების ჩარჩოებში და მონარქიის ანუ "სახელმწიფოს" ძალაუფლების საზღვრებში; შაჰი, დიდ-ვეზირი და ვეზირები სახელმწიფოს სათავეში, ხოლო მარჯა' და მუჯთაჰიდები "ერის" წინამძღოლებად განიხილებოდნენ. "ერში", შარიათის თანახმად, რელიგია, სარწმუნოებრივი დოქტრინა და მისი მიმდევრები, ხოლო "სახელმწიფოში" – მონარქია, ხელისუფლება მოიაზრებოდა. სასამართლო სისტემა – ქონებისა და ხელშეკრულებების რეგისტრაცია, სამართლებრივი საკითხები ერის წინამძღოლებს ანუ სამღვდელოებას ეკისრებოდა, ხოლო მისი პოლიტიკური მართვა - სახელმწიფოს. საგადასახადო წესრიგიც ორგვარი იყო: სამღვდელოება შარიათით გათვალისწინებულ გადასახადებს იღებდა, სახელმწიფო მოხელენი კი სამოქალაქო მოსაკრებლებს. თითოეულის მეორის უფლებებში ჩარევა შფოთისა და საზოგადოებრივი მღელვარების მიზეზი ხდებოდა (4:97).

შეიხ ებრაჰიმ ზანჯანი კონსტიტუციური რევოლუციის შესახებ სტატიაში "ერის" და "სახელმწიფოს" შინაარსზე წერდა: "საუბედუროდ, არსებული ტირანიის გამო, ირანის სახელმწიფო შაჰისა და დიდ-ვეზირის, ჰარამხანის და რამდენიმე კარის მოხელის გავლენით შემოიფარგლება, ხოლო ერი – ულემების, რომელთაც ყოველგვარი საშუალებით მოუპოვებიათ სახელი და ხალხის მხარდაჭერა". "ხალხს თავისი უფლებების შესახებ წარმოდგენა არა აქვს. მათი ბედი სხვების ხელშია. რასაც ულემები "რელიგიისა და რწმენის" სახელით განაცხადებენ, "ხალხი უპირობოდ და უსიტყვოდ ეთანხმება". "ნეტავ, ერსა და სახელმწიფოს, ანუ კარის მოხელეთა და ახუნდებს შორის ეს დაპირისპირება ქვეყნის მმათველობის, ხალხის ინტერესებისა და ქვეყნის დამოუკიდებლობის გამო იყოს, და არა იმაზე, "უბედური გლეხის ერთი მუჭა... კარის მოხელეებმა შეჭამონ თუ მოლებმა" (4,99).

ამგვარად, "ერი" "სახელმწიფოს" საპირისპირო მნიშვნელობით იხმარებოდა. მაგალითისთვის, თამბაქოს ამბოხების ლიდერების მოლაპარაკებებზე შაჰის



წარმომადგენლებთან პირველი ჯგუფი ერის, ხოლო მეორე – სახელმწიფოს წარმომადგენლად იწოდებოდა (13:314). შესაბამისად, მელათ (ერი) მოკლებული იყო ევროპაში “ნაციის” ისტორიულ-სოციალურ მნიშვნელობას, თუმცა მოგვიანებით ეს სიტყვა მისი ევროპული მნიშვნელობით, იმის გამო, რომ სპარსულ ენაში სხვა შესაბამისი არ არსებობდა, ირანის საზოგადოებად, ერად (მელათ) ითარგმნა. ამდენად, ერი სახელმწიფოსგან განცალკევებით, მის საპირისპიროდ არსებობდა, მაშინ, როცა “ნაცია” ევროპაში სახელმწიფოსაც მოიცავდა.

ერისა და სახელმწიფოს მნიშვნელობის შარიათისეული გაგების არაერთ განმარტებას ვხვდებით იმ პერიოდის ისტორიულ და ლიტერატურულ ტექსტებში.

XIX ს. ბოლოს ირანში გაჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც ფრანგ თანამედროვეთა მსგავსად, ნაციონალისტური ღირებულებები აღიარეს. რუსეთთან ომებში (1804-1813, 1826-1828 წწ.) ირანის მარცხის შედეგად იმ პერიოდის ინტელექტუალები ყურადღებას ამახვილებდნენ დასავლური ცივილიზაციის სამხედრო-ეკონომიკურ წარმატებებზე. რუსეთის შეიარაღების უპირატესობა და სამხედრო-ტექნიკური მომზადება მისი გამარჯვების მიზეზად განიხილებოდა. შესაბამისად, საკუთარ სისუსტესა და მარცხს ირანში თანამედროვე შეიარაღების არარსებობასა და ახალი სამხედრო ტექნიკის არცოდნას უკავშირებდნენ. დამოუკიდებლობის შენარჩუნების, უცხო ძალებისათვის წინააღმდეგობის გაწევის მიზნით, სამეცნიერო და ტექნიკური პროგრესის აუცილებლობამ ტრადიციულ ირანსა და პროგრესულ დასავლეთს შორის სამეცნიერო-ინტელექტუალური ურთიერთობა გარდაუვალი გახადა. სტუდენტთა გაგზავნა ევროპაში, დარ ოლ ფონუნის (პოლიტექნიკური ინსტიტუტის) დაარსება (1851 წ.) და ევროპელთა მოწვევა დასავლური ცივილიზაციის, მისი მატერიალური და ტექნიკური მიღწევების გასაზიარებლად, უპირველესად სამხედრო სფეროს განვითარებას ისახავდა მიზნად. ირანელთა დაინტერესება დასავლური მოდერნიზაციით თავდაპირველად მისი გამოცდილების გაცნობის ინტერესი იყოიყო და არა კონკურენციის გაწევის სურვილი.

დაკარგულ ტერიტორიებზე პირველი რეფორმატორების რეაქციამ, რომელიც თანდათან ევროპელი ნაციონალისტების იდეებს დაუკავშირდა, ამასთან სახელმწიფოს ცენტრალიზაციის ზრდამ, იდეოლოგიამ, რომლის აუცილებლობასაც უკვე ბევრი აცნობიერებდა და ყაჯართა უმოქმედობამ შემოჭრილი უცხო ძალების წინააღმდეგ ქვეყანაში ნაციონალიზმის გავრცელება გამოიწვია. ამას ემატებოდა მოდერნიზაციისკენ მიმართული პოლიტიკის მოთხოვნა, რაც ინტელიგენციის აზრით, ქვეყნის ძლიერების გარანტი უნდა გამხდარიყო (12,165). ამ პერიოდის ნაციონალისტური ძალები, რომლებიც ჯერ ჩანასახში იმყოფებოდნენ, აქტიურად მონაწილეობდნენ პოლიტიკურ მოვლენებში და რამდენადაც მათი პოლიტიკური ქცევა მნიშვნელოვანწილად ნაციონალისტური ღირებულებებიდან მომდინარეობდა, შეიძლება ითქვას, რომ

ირანული ნაციონალიზმი ჯერ კიდევ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მასების მონაწილეობამდე, პოლიტიკური ნაბიჯების განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა (8,35). პირველმა “ნაციონალისტებმა” საზღვარგარეთ იმოგზაურეს და საერო განათლება მიიღეს. მათი ერთი ნაწილი აზერბაიჯანულ ენაზე მოლაპარაკე რუსეთის მოქალაქე კავკასიელები იყვნენ. დოკუმენტში სათაურით "ირანელ რეფორმატორთა საჩივარი თეირანში უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებისადმი", ისინი “სამართლიანობისა და შარიათის ჰუმანურ საფუძველზე ქვეყანაში კანონიერი ხელისუფლების დამყარებას” ითხოვდნენ (10:256). მგზნებარე სიტყვებს რეფორმების სია მოჰყვებოდა, რომლებსაც ინტელიგენცია ითხოვდა: უცხოელთა პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის დასრულება, შაჰის ავტორიტარული ძალაუფლების კანონმდებლობით შეზღუდვა, საგანმანათლებლო, სასამართლო და სხვა სტრუქტურების მოდერნიზაცია. შემთხვევითი არ იყო, რომ ირანის პირველი ნაციონალისტები ქვეყნის პირველ მოდერნისტებად ითვლებოდნენ და მათი მიზანი ფეოდალური სისტემისა და სახელისუფლებო კორუფციის დასრულება იყო. ამასთან, არ უნდა დაეშვათ ქვეყნის რესურსების უცხოთა ხელში გადასვლა.

მირზა მალქომ-ხანი (1833-1908 წწ.) ირანში მოდერნიზმის ერთ-ერთი პირველი თვალსაჩინო წარმომადგენელი, თვლიდა, რომ ნებისმიერი გზით უნდა დამყარებულიყო კანონის უზენაესობა და სწორედ მას განესაზღვრა სახელმწიფო ხელისუფლება. მალქომ-ხანი დასავლური მოდელის შესაბამისად, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების გამიჯვნისაკენ მოუწოდებდა და სხვა ლიბერალი მოაზროვნეების მსგავსად, სახელმწიფოს მოვალეობად ქვეყნის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა უზრუნველყოფა და ადამიანის სულიერი და მატერიალური უფლებების დაცვა მიაჩნდა (17,102).

მირზა ფათჰალი ახუნდზადე (1865-1927 წწ.) მიიჩნევდა, რომ “მონარქია (ხელისუფლება) კანონებზე უნდა დაფუძნებულიყო, ხოლო მართლმორწმუნე შაჰი (ხელისუფალი) “კანონმორჩილი, სამშობლოს აღმშენებლობასა და სიმშვიდეზე და ერის განვითარებაზე მზრუნველი ყოფილიყო”; მისი აზრით, მისაღები და სასურველი ხელისუფლების მთავარი თავისებურება ის იყო, რომ “შაჰმა ერი მხოლოდ თავის საკუთრებად არ მიიჩნიოს, ერის ინტერესების დამცველი იყოს, შექმნას მოწესრიგებული პარლამენტი და კანონის ფარგლებში იმოქმედოს (17,80).

მირზა აყა-ხან ქერმანი (1866-1951 წწ.) ირანელთა მთელ გასაჭირს ცუდ კანონმდებლობას მიაწერდა და თვლიდა, რომ კანონზე დამყარებული წეს-რიგის პირობებში, მმართველი რაც არ უნდა უღირსი პიროვნება იყოს, ნგრევასა და განადგურებას ვერ გამოიწვევს (17,115).

მირზა აბდოლრაჰიმ თალებოვი, XIX საუკუნის კიდევ ერთი მოდერნისტი მწერალი წერდა: “სანამ არ გვაქვს კანონი, არ გვყავს ერი, არ გვაქვს სახელმწიფო,

სამშობლო და დამოუკიდებლობა. კონსტიტუციის გარეშე არც ერთი და არც მისი ღირსება და პატივისცემა” (17,142).

განვითარება და მოდერნიზაცია მალქომ-ხანთან, მმართველობის გარდა, განათლებისა და ეკონომიკის რეფორმებსაც მოიცავდა. ამ საკითხებშიც პირველ ინტელექტუალებს მეტ-ნაკლებად საერთო აზრი ჰქონდათ. მალქომ-ხანი წერს: “მუსლიმთა დაუდევრობა და თანამედროვე პროგრესიდან გამიჯვნა ანბანის მიზეზითაა; ხალხის უუფლებობა და თავისუფლებების არარსებობა, ღირსების, ქონების უსაფრთხოების არარსებობა ანბანიდანაა; გზების არარსებობა, მტრობისა და ძალადობის სიმრავლე და სამართლიანობის დეფიციტი – ყველაფერი ეს ანბანის გამოა” (5,94).

ცხადია, ანბანის რეფორმაზე აქცენტი მასის განათლებას გულისხმობდა. განათლება და სკოლა მალქომთან, ისე, როგორც იმ ეპოქის სხვა რეფორმისტ მწერლებთან, პირველხარისხოვანია.

ახუნდზადე განათლების საკითხებზე აქცენტირებისას მალქომზე შორს მიდის. მისი აზრით, ნებისმიერი ღონისძიება, მიმართული პროგრესისა და განვითარებისაკენ, უსარგებლო და ფუჭია საზოგადოებაში განათლებისა და მეცნიერების გავრცელებამდე: “იმის გამო, რომ ნებისმიერი წესრიგი, თუ კანონი მეცნიერებას ეფუძნება, სანამ ხალხი პრუსიის, ამერიკის და ევროპის სხვა ქვეყნების ხალხების მსგავსად, მეცნიერებას არ დაეუფლება, წესრიგსა და კანონებს ვერ გაიგებს, არანაირი უნარი და ცოდნა არ ექნება მათ გასაგებად და შესაქმნელად. ხოლო ისლამური ქვეყნების მმართველები, თავის “მოქალაქეებში” მეცნიერების გავრცელებამდე ახალი წესრიგისა და კანონებისთვის ტყუილად გაირჯებიან” (17,72-73).

ამრიგად, მოდერნისტების საერთო იდეები, რაც მათ აერთიანებდათ, კანონის უზენაესობის დამყარება და ახალი მეცნიერებებისა და ტექნიკის განვითარება იყო.

თუმცა, მათ კიდევ ერთი საერთო ნიშანი გამოარჩევდა – დასავლეთის პროგრესის მიზეზებისადმი უყურადღებობა. ირანელი მოდერნისტების ზოგიერთი განმარტება მოწმობს, რომ ისინი დასავლური პროგრესის შედეგებზე ამახვილებდნენ ყურადღებას და არა იმ ნიადაგსა და პირობებზე, რომელშიც მოხდა მისი განვითარება. მაგალითისთვის, მირზა აყა-ხან ქერმანი აღმოსავლეთში დესპოტიზმის გაგრძელებას, ხოლო დასავლეთში დემოკრატიული მმართველობების აღმოცენებას ბერძნული მითებისა და პოლითეიზმის გავლენით ხსნის. იგი შენიშნავს, რომ მათ (დასავლეთში) ყველაფრისათვის ცალ-ცალკე ღმერთი ჰყავთ. დასავლეთის ადამიანიც მითოლოგიური შეხედულებების გავლენის ქვეშაა, მათ შორის ხელისუფლების საკითხში; ესაა მიზეზი, რომ მისი თითოეული რგოლისთვის უამრავი წევრი და ხელმძღვანელი გამოყვეს და ყველაფერი ერთ პიროვნებას არ ჩააბარეს, მაშინ როცა აღმოსავლეთში მონოთეიზმი ერთპიროვნულ მმართველობაში გადავიდა (17,19).

მალქომი თავის გამოსვლაში სახელწოდებით “ირანული ცივილიზაცია,” შეკითხვას სვამს, “რატომ მიაღწიეს ევროპელებმა გრანდიოზულ პროგრესს, მაშინ როცა აზიელები, რომლებიც ცივილიზაციის პირველი პროპაგანდისტები იყვნენ, ასე ჩამორჩნენ მათ?” და ცდილობს საკითხი ეთნიკურობით და ისლამის პასუხისმგებლობით ახსნას: “ბიბლიაა, რომელშიც შესწორებებია შეტანილი. მასში არ არის საკითხი, რომელიც ქრისტიანობის პრინციპებს პირდაპირ ეწინააღმდეგება.” მალქომის აზრით, ისლამი მარტო რელიგია კი არა, “ადმოსავლური სიბრძნის კრებულია”, “ოკეანეა, რომელშიც ყოველგვარი აღიარებული სიკეთის აღმოჩენაა შესაძლებელი”; ყურანი გვთავაზობს “ხალხის წინსვლისთვის აუცილებელ საკითხებს. ამის გათვალისწინებით, მუსლიმთა წინააღმდეგობა ცივილიზაციის მიმართ შეიძლება მხოლოდ შიშითა და გაუგებრობით აიხსნას; წარმოუდგენიათ, რომ ევროპული ცივილიზაციის მიღებასა და აღიარებას ისლამის ქრისტიანობით ჩანაცვლება მოჰყვება, ამიტომ კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან მას. მაშინ, როდესაც ერთადერთი გამოსავალია, ცივილიზაციის პრინციპები ისლამის მოძღვრებიდან წარმოშობილად წარმოვადგინოთ” (5,187-188). მალქომის აზრით, ცივილიზაციის პრინციპების ევროპიდან აზიაში გადატანა ადვილად შეიძლება, თუ აზიელები ამ პრინციპებს საკუთარი რელიგიიდან და კულტურიდან აღმოცენებულად მიიჩნევენ და არა ქრისტიანული პრინციპებისა და ევროპული კულტურიდან ბრმად გადმოღებულად. მალქომი მთელი ცხოვრება ცდილობდა, მოდერნისტული იდეები ისლამური შეფერილობით წარმოედგინა.

მალქომი აღიარებდა რელიგიური რწმენის მნიშვნელობას და გრძნობდა, რომ თუ მოდერნიზმს ღიად შეეწინააღმდეგებოდა, წარმატების შანსი არ ექნებოდა. თუ მოდერნიზმის რელიგიურ რწმენასთან შეთავსება მოხდებოდა, ის ადვილად მისაღები გახდებოდა. თანამედროვე მკვლევარი მ. დანინეჟადი აღნიშნავს, რომ მალქომი ისევე, როგორც სხვა მოდერნისტები, დაუდევრობას და უყურადღებობას იჩენდა იმ ნიუანსის მიმართ, რომ ისლამური ტერმინები და განმარტებები არაეფექტური იქნებოდა ახალი იდეების გადმოსაცემად. ეს უყურადღებობა გამოწვეული იყო მოდერნიზაციის გაჩენის ადგილისა და პირობების მუდმივი უგულვებელყოფით. დანინეჟადის აზრით, ის, რომ ქერმანი დასავლურ დემოკრატის ბერძნულ მითებში არსებული პოლითეიზმიდან აღმოცენებულად მიიჩნევს, ხოლო მალქომ-ხანი ქრისტიანობასა და დასავლურ ცივილიზაციას ერთიან სამყაროდ განიხილავს, მოსთაშარ ადდოულე კი მოდერნიზმისათვის გზის გასაკვალად ფრანგულ კონსტიტუციას ისლამური ტერმინებით განიხილავდა, უყურადღებობის ბრალი იყო (11,20).

XIX საუკუნის II ნახევარში ირანის სამწერლობო წრეებში გავრცელებულმა იდეებმა XX საუკუნის დასაწყისის კონსტიტუციური რევოლუციის საფუძვლები მოამზადა. კონსტიტუციური რევოლუცია შეიძლება მივიჩნიოთ ირანელი

მოდერნისტი მწერლების დესპოტიზმის წინააღმდეგ მიმართული და კანონის უზენაესობის მოთხოვნების განხორციელების მცდელობად. მაგრამ როგორც რევოლუციის შემდგომმა მოვლენებმა აჩვენა, კონსტიტუციური მოძრაობის მიზნები ვერ განხორციელდა.

XX საუკუნის პირველ წლებში ძველმა ტრადიციულმა სისტემამ ვერ მოიცვა მოდერნიზაციის მომხრე ძალების ბრძოლისუნარიანობა. შესაბამისად, პირველი ნაციონალისტები ოპოზიციონერები იყვნენ, უკიდურესად კრიტიკულად განწყობილნი არსებული სოციალური და პოლიტიკური სიტუაციის მიმართ (12 165).

ინტელიგენციის სამღვდელოებასთან გაერთიანების მცდელობამ და ორი ჯგუფის არცთუ ერთგვაროვანმა მოთხოვნებმა მოძრაობის მიზნების შეზღუდულობა განაპირობა. მთელ რიგ შემთხვევებში ინტელიგენცია იძულებული იყო საკუთარი იდეები სამღვდელოების და ისლამური პრინციპების დახმარებით წამოეწია წინა პლანზე. თავად კი, კულისებიდან ედევნებინა თვალი პროცესებისთვის. მას ცვლილებების მრავალმხრივი პროგრამის წარმოდგენისთვის საკმარისი გავლენა არ გააჩნდა (გარდა ამისა, ასეთი პროგრამის თაობაზე მათ შორის საერთო აზრიც არ არსებობდა). შესაბამისად, სამღვდელოებამ მოძრაობა ბოლომდე წარმატებით მიიყვანა. ძალებმა, რომლებიც "თამბაქოს ამბოხებაში" მონაწილეობდნენ, ეს მოძრაობა ირანის სოციალურ ისტორიაში პირველ სრულიად სახალხო მოძრაობად აქციეს და შაჰსა და უცხო ძალებთან წინააღმდეგობის ახალი ფორმა შექმნეს. სამღვდელოების, ნაციონალისტებისა და უკმაყოფილო ვაჭრების ხანმოკლე ალიანსი საშინაო და საგარეო ინტერესებით ხელისუფლებას დაუპირისპირდა. გაჩნდა პოლიტიკური ცნობიერება და წამოჭრა საკითხები, რომლებიც მოგვიანებით კონსტიტუციურ რევოლუციაში დაისვა.

1905 წელს ირანელთა დიდი ნაწილი თვლიდა, რომ ქვეყანაში გარკვეული ცვლილებები უნდა მომხდარიყო. ისინი პარლამენტის შექმნას ითხოვდნენ. ოპოზიციურ-ნაციონალისტური მიმართულება განვითარდა რევოლუციის მონაწილე ინტელექტუალებში, ვაჭრებში, სასულიერო პირებსა და მათ სტუდენტებში, რომლებიც რესურსებისა და საწარმოო საშუალებების ევროპელებზე მიყიდვის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. კვლავ დამყარდა დროებითი კავშირი საერო ინტელიგენციას (რომლებიც ერიდებოდნენ სამღვდელოებისა და ისლამის ღიად კრიტიკას), სასულიერო პირთა და ვაჭრებს შორის (რომელთაც არამუსლიმი უცხოელები ისლამის საფრთხედ მიაჩნდათ) (12,167). ალიანსში შემავალ ჯგუფებს სამ საკითხში ჰქონდათ საერთო აზრი: შეწყდეს უცხოელებისათვის ნებისმიერი სახის პრივილეგიის მინიჭება და აიკრძალოს უცხოური კრედიტი; საზოგადოების ერთმა ფენამ, ან რომელიმე ორგანომ შეზღუდოს და კონტროლი დააწესოს სამეფო კარის ძალაუფლებაზე, (ეს ბოლო შემდეგში საპარლამენტო წყობის მოთხოვნად გადაიქცა) და ბოლოს, ქვეყანაში

ეკონომიკური და სოციალური რეფორმები გატარდეს. რელიგიურ ლიდერებს ამ სამი მიზნის გარდა, ჰქონდათ კიდევ ერთი - ყურანის პრინციპების ისლამური საზოგადოების საფუძვლად ქცევა და შარიათის მიღება ძირითადი კანონის სახით. ალიანსის სხვა წევრები ამ პირობას ეთანხმებოდნენ, რადგან აცნობიერებდნენ მასებზე უმაღლესი სამღვდელთა გავლენის მნიშვნელობას.

ამრიგად, ვაჭრებმა უზრუნველყვეს მოძრაობის ფინანსური მხარდაჭერა, რელიგიურმა ლიდერებმა წინ წამოსწიეს რელიგიური სამართლის უზენაესობა, ხოლო ინტელიგენციამ მოძრაობა იდეოლოგიური საფუძველით გაამყარა (18).

ირანის კონსტიტუციური რევოლუცია ისლამურ სამყაროში დასავლური ფასეულობების - ლიბერალიზმის, სეკულარიზმისა და ნაციონალიზმის შეტანის პირველი მცდელობა იყო. რევოლუციონერები ისწრაფვოდნენ, შაჰის აბსოლუტური ძალაუფლება კანონით, წარმომადგენლობითი მმართველობითა და სოციალური მართლმსაჯულებით შეეზღუდათ ან შეეცვალათ; იმპერიალიზმის შემოტევას შეწინააღმდეგებოდნენ ნაციონალიზმით, ხალხის აქტივობითა და ეკონომიკური დამოუკიდებლობით. რევოლუციის იდეა პატრიოტიზმის ძლიერ გრძნობასა და სამშობლოს სიყვარულთან (ჰობბ-ე ვათან) თანაარსებობდა. ეს ყველაფერი ზღუდავდა ტრადიციულ ლოიალობას მმართველი-მონარქისადმი. ამასთან, ისლამისა და შიიზმის დაცვა ირანელი ერის (მელათ-ე ირან) დაცვის მოწოდებად გადაიქცა [15].

კონსტიტუციური რევოლუციის იდეოლოგიური საფუძველი როგორც არარე-ლიგიური, ისე რელიგიური ხასიათის იყო. ინტელიგენცია სეკულარული იდეების, კერძოდ, პარლამენტისა და კონსტიტუციის შექმნის ინიციატორი გახდა. ახალი იდეოლოგიური პრინციპები შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: "კანონმდებლობის საჭიროება, თანასწორობისა და ადამიანთა უფლებების დაცვის მოთხოვნა, ვაჭრობის, ხელოსნობისა და ახალი განათლების განვითარება მეცნიერულ, რელიგიურ და განმანათლებლურ საფუძვლებზე" (10:288). როგორც უკვე აღვნიშნეთ, XIX საუკუნის ბოლოს ეს იდეები მწერლებმა და ჟურნალისტებმა ჩამოაყალიბეს, რაც 1905 წელს სასამართლოს (ედალათხანეს), ხოლო 1906 წელს ეროვნული საბჭოს მეჯლისის და კონსტიტუციური მმართველობის შექმნით დაგვირგვინდა. 1906 წლის მეჯლისის დეპუტატებმა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეთა პოლიტიკური მონაწილეობის განსაზღვრის მიზნით, პირველი კონსტიტუცია მოამზადეს (12,167). ირანელმა ნაციონალისტებმა არამარტო დაამკვიდრეს ევროპული სიტყვები ენაში, არამედ ბევრი ძველი სიტყვა თანამედროვე მნიშვნელობით დატვირთეს. მაგ.: ესთებდად \_ ტირანიამ, დესპოტური მონარქიის მნიშვნელობა შეიძინა, მარდომ \_ ხალხი, რომელსაც არანაირი პოლიტიკური დატვირთვა არ ჰქონდა, საკუთარი დემოკრატიული შინაარსი შეიძინა (16,85). მორწმუნეთა საზოგადოება "მოქალაქეებით", ან "თანამემამულეებით" შეიცვალა; რევოლუციონერების მოთხოვნამ, ირანის პირველი მეჯლისი წოდებულიყო

"ეროვნულად" და არა "ისლამურად", როგორც ამას მოზაფარ ად-დინ შაჰი ვარაუდობდა, ნაციონალიზმის საერო საფუძველი განამტკიცა და სიტყვა "ერი", რომელიც ტრადიციული (ყურანისეული) გაგებით "რელიგიურ საზოგადოებას" გულისხმობდა, ახალი შინაარსით შეცვალა (9 462), რაც ნიშნავდა ერთი ქვეყნის ხალხს, რომელიც საერთო ეროვნულ მემკვიდრეობასა და ინტერესებს იზიარებდა ყოველგვარი ეთნიკური და რელიგიური დაყოფის გარეშე (15).

“ირანელი ერი” უკვე მისი ფართო მნიშვნელობით ირანულ ეთნიკურ, კულტურულ, ისტორიულ ცნობიერებას მოიცავდა და “ასნააშარიტული შიიტი ერის” მნიშვნელობას, რომელიც სეფიანთა დროიდან იყო გავრცელებული, თანდათან დაშორდა (19,205).

1905 წლის იანვრის ბესთის დროს პირველად გაისმა შემახილი: "გაუმარჯოს ირანელ ერს!" (14,364). ამას ხალხის მმართველობის დამყარების მოთხოვნა მოჰყვა, სადაც აქცენტირებული იყო იმპერიალიზმის წინააღმდეგობა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა. დაისვა თანასწორობის საკითხიც, რომელიც მის სხვადასხვა ფორმაში, მათ შორის, ქვეყნის მოქალაქეთა თანასწორობაში (მათ შორის, რელიგიურ თემთა, ან ქალის და მამაკაცის) მდგომარეობდა. სხვა საკითხებს შორის, რომლებიც ამ დროს განიხილებოდა, დასავლეთისგან ირანის პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობა იყო, რაც ზოგჯერ დასავლური იდეების გადმოღებასაც შეეხებოდა. მაშინ როცა ირანელი ნაციონალისტები აყა-ხან ქერმანი და სხვები დასავლეთის კოლონიალისტურ სახელმწიფოებს გმობდნენ, თავად ევროპული პოლიტიკური კულტურის მაგალითების კოპირებას ახდენდნენ და დასავლეთის ლიბერალურ არჩევანს უჭერდნენ მხარს (9,463).

ამრიგად, ირანული ნაციონალიზმი საშინაო და საგარეო საკითხებს შორის რთულ კავშირებს აყალიბებდა. ნაციონალიზმი დასავლეთის წინააღმდეგ ირანის უფლებების დადასტურებას და ამავე დროს, სახელმწიფოს წინაშე ხალხის უფლებების აღიარებას გულისხმობდა. შესაბამისად, კვლავ გაურკვეველია, ნაციონალისტური იდეები უპირველესად პოლიტიკური და სამოქალაქო თავისუფლებისთვის ბრძოლა იყო თუ ირანის გათავისუფლება უცხოელთა ჩარევისაგან ქვეყნის საქმეებში.

კონსტიტუციამ შესაბამისი ღირებულებების საფუძველზე ახალი კანონები და კანონიერი ხელისუფლება იმ მიზნით დააკანონა, რომ ზემოაღნიშნული ორი – პოლიტიკური და სოციალური ძალაუფლების კლასიკური მოდელი დარღვეულიყო და, ერთი მხრივ, მონარქიის, ხოლო მეორე მხრივ, რელიგიის და სამღვდლოების ძალაუფლების შეზღუდვის გზით, ახალი წესრიგი დამყარებულიყო. შეექმნა მმართველობის სისტემა, რომელიც სამოქალაქო (საერო) კანონმდებლობის უზენაესობაში უნდა ასახულიყო და მის წინაშე ყველა თანაბარუფლებიანი ყოფილიყო. მაგრამ კონსტიტუციური მოძრაობის ყველაზე დიდი პრობლემა, სოციალური თვალსაზრისით, ის გახდა, რომ სურდა იმავე

ორმაგი ძალაუფლების - ერს ანუ რელიგიას და სახელმწიფოს ანუ მონარქიას შორის წინააღმდეგობრივი სტრუქტურის საფუძველზე მიეღწია ახალი ძალაუფლებისათვის – კონსტიტუციონალიზმისა და საერო მმართველობისათვის; თუ საერო და სასულიერო ინტელექტუალებს კონსტიტუციურ რევოლუციაში ორივეს - მონარქიისა და რელიგიის ძალაუფლების შეზღუდვის მიზანი ამოძრავებდათ, სამღვდელოების მონაწილეობა და რევოლუციის ხელმძღვანელობა ძირითადად მონარქიის შეზღუდვითა და “ისლამური ერთიანობის შენარჩუნების” სურვილით იყო განპირობებული; და თუ სამღვდელოების ძალაუფლების შეზღუდვას ფიქრობდნენ, მასში მხოლოდ “ცუდი და ბოროტი უღემები” იგულისხმებოდა (4,10). შესაბამისად, რევოლუციის საკითხებთან დაკავშირებით იდეოლოგიური განვითარება რელიგიურ ჩარჩოშიც წარიმართა. ირანის კონსტიტუციის მომხრე მუჯთაჰიდები შაჰის დესპოტური რეჟიმისა და კოლონიალიზმის საწინააღმდეგო პროპაგანდას ეწეოდნენ. სამღვდელოება და საერო ინტელექტუალები ერთსა და იმავე ძალებს ებრძოდნენ, მაგრამ სამღვდელოების წინააღმდეგობას განაპირობებდა სრულიად განსხვავებული ხედვის სწორხაზოვნება, კერძოდ, შაჰის ხელისუფლებას უმაღლესი მუჯთაჰიდების ძალაუფლებას, ხოლო სახელმწიფო კანონს - შარიათს უპირისპირებდა. უცხოელთა ჩარევას ისლამურ ტერიტორიებზე ურწმუნოთა შეჭრად განიხილავდა, მაშინ როცა ინტელიგენცია ამას იმპერიალიზმს უწოდებდა. სამღვდელოების უმეტესობა 1905-1906 წწ. მოვლენებს შარიათის სამართლის დამყარების მცდელობად აღიქვამდა. რევოლუციის პირველ ეტაპზე კონსტიტუციური მმართველობის მხარდაჭერასთან დაკავშირებით რელიგიურ და საერო იდეოლოგიებს შორის ერთგვარი მსგავსება არსებობდა.

მართალია, კონსტიტუციონალიზმის იდეა XX საუკუნის დასაწყისიდან დასავლეთიდან შემოვიდა ირანში, მაგრამ მას იმთავითვე ისლამური ტერმინებით განმარტავდნენ. 1871 წლის მოკლე ტრაქტატში იუსეფ-ხან მოსთამარ ად-დოულე თავგამოდებით ირწმუნებოდა, რომ კონსტიტუციური ხელისუფლება ისლამის სულს დაეუფლა. ზოგიერთი ამტკიცებდა, რომ კონსტიტუციონალური ხელისუფლება ჯერ კიდევ წინასწარმეტყველმა მუჰამადმა დააარსა და ის პირველად ევროპელმა მმართველებმა მოითხოვეს უკან დაბრუნებული ჯვაროსნების მეშვეობით; ან კიდევ, ის იყო უძველესი და პირველსაწყისი ხელისუფლების ფორმა ისლამში, რომელიც მუსლიმებმა თანდათან დაივიწყეს (6). ამგვარი არგუმენტები ხშირად ისმოდა კონსტიტუციონალური რევოლუციის მიმდინარეობის დროს. მაგრამ ისლამისა და კონსტიტუციონალიზმის იდენტიფიკაციის ილუზია დაირღვა, როდესაც კონსტიტუციონალიზმისა და საპარლამენტო კანონმდებლობის სეკულარული პროცესი ნათლად გამოიკვეთა და ყველა ძირითადი თემა, რომელიც პრესაში ცხარე დებატებით მიმდინარეობდა, ისლამის ადგილსა და როლს შეეხებოდა ახალ კონსტიტუციურ წესრიგში.



სამღვდელოება თანდათან მიხვდა, რომ ახალ სისტემაში ძირითადი აქცენტი რელიგიის სახელმწიფოსგან გამოყოფაზე იქნებოდა, რაც უცხო და მიუღებელი იყო ისლამური მოძღვრებისთვის. ვაჭრები ამ იდეებს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ და როგორც კი მათი მატერიალური მოთხოვნები მეტ-ნაკლებად დაკმაყოფილდა, მათი რევოლუციური აღტყინებაც ჩაცხრა. რაც შეეხება ინტელიგენციას, მათ პოლიტიკაში მონაწილეობის გამოცდილება არ გააჩნდათ და მხოლოდ ვიწრო წრეში მსჯელობით კმაყოფილდებოდნენ. სასახლის კარის, ჯარის, სამღვდელოების ნაწილისა და მემამულეების მტრული დამოკიდებულება სულ უფრო აშკარა ხდებოდა და პარლამენტი თანდათან იმ ადამიანების გავლენის ქვეშ ექცეოდა, რომლებიც ოდნავადაც არ თანაუგრძობდნენ ლიბერალურ დემოკრატიას. აქედან გამომდინარე, დემოკრატიულ-ლიბერალურ ნაციონალიზმთან დაკავშირებული პირველი მღელვარებები 7 წელი (1906-1912 წწ.) გაგრძელდა.

1905-1906 წლების პროპაგანდა აშკარად განსხვავდებოდა თამბაქოს მონოპოლიის წინააღმდეგ მიმართული კამპანიისაგან. 1891 წლის თამბაქოს მონოპოლიის წინააღმდეგ ბრძოლას საყოველთაო ხასიათი ჰქონდა. 1905-1906 წლებში კი საზოგადოების მხოლოდ 1-2%-მდე მონაწილეობდა პოლიტიკაში, ისიც უმეტესად, თეირანსა და თავრიზში. მოდერნიზაციის მომხრე სამღვდელოებას მოკავშირე ინტელიგენციასთან შედარებით უპირატესობა ჰქონდა. მათ შეეძლოთ მუშების, სასულიერო დაწესებულებების თანამშრომელთა და ბაზრის მოვაჭრეთა ნებისმიერ დროს მობილიზება. თუმცა მათ უმრავლესობას ამ ქმედებების მიზნებზე ზუსტი წარმოდგენა არ ჰქონდა (8,52). მეორე ნაწილს კონსტიტუციური მოძრაობის ლიბერალური იდეები კარგად ესმოდა, არც არსებული მდგომარეობით იყო უკმაყოფილო და მხოლოდ რეფორმატორთა სიახლეები, კერძოდ, რელიგიისა და პოლიტიკის გამიჯვნის საკითხი აღელვებდა. მალე ამ ორ რელიგიურ ჯგუფს შორის დაპირისპირება წარმოიშვა.

1907 წელს თავრიზის ენჯუმენის მიმართვაში მეჯლისისადმი ნათქვამი იყო: "გვსურს კონსტიტუცია და არა შარიათის კანონები." ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ქვეყნის აქტიური დაჯგუფება სამღვდელოების გავლენას უპირისპირდებოდა. ლიბერალებმა რამდენიმე სასულიერო პირი ქალაქიდან გააძევეს. გამარჯვების კვალდაკვალ თავრიზის ენჯუმენის ლიდერებმა რელიგიის პოლიტიკისაგან გამოყოფის საკითხი ღიად დააყენეს. ეს საკითხი ნათელი იყო იმ მცირერიცხოვანი ჯგუფისთვის, რომელიც ნაციონალიზმში დაფარულ არსს, პოლიტიკისგან რელიგიის გამოყოფას აცნობიერებდა, და თეირანისა და პროვინციების სასულიერო პირთა უმეტესობას აშფოთებდა. 1907 წელს ჰაჯ შეიხ ფაზლოლა ნური ნაჯაფიდან რეაქციონერთა ფრთას ჩაუდგა სათავეში. ნურის მიაჩნდა, რომ კონსტიტუცია ეწინააღმდეგება შარიათს, რადგან შარიათი, როგორც ღმერთის მიერ ბოძებული კანონი, ადამიანთა მიერ დადგენილ კანონებს არ ცნობს. მისი ლიბერალი ოპოზიციონერები კი აცხადებდნენ, რომ საბოლოოდ კონსტიტუცია

შარიათთან შესაბამისობაში იქნებოდა და მეჯლისის და შარიათის კანონებს შორის განსხვავება არ იარსებებდა (8,173).

ისლამისა და კონსტიტუციონალიზმის შეთავსებადობის იდეაზე კამათი კიდევ უფრო გაძლიერდა ნურის გეგმასთან “შარიათული, ანუ შარიათით ნებადართული კონსტიტუციონალიზმთან” (მაშრუთე-იე მაშრუ) დაკავშირებით. მართალია, ამ გეგმამ დებატებისას წამოჭრილი ზოგიერთი საკითხი გადაჭრა, თუმცა კონკრეტული ფორმა მიიღო, როდესაც ძირითადი კანონის დამატებაში აისახა და შეეხებოდა ხუთი მუსლიმი სამართალმცოდნის (მუჯთაჰიდის) ვეტოს უფლებას ისლამური ნორმების საწინააღმდეგო ნებისმიერი საპარლამენტო კანონმდებლობის მიმართ. სეკულარული კონსტიტუციონალიზმიდან განსხვავებით, ისლამური კონსტიტუციონალიზმის ამგვარი ფორმა შარიათს ხელისუფლებისა და კანონმდებლობების შეზღუდვად განიხილავდა. საბოლოოდ, ხუთი მუჯთაჰიდისგან შემდგარი საბჭოს დაარსების მცდელობა კრახით დასრულდა შიიტი რელიგიური ლიდერების არაერთსულოვნების გამო (6).

იდეოლოგიური კამათი პოლიტიკურ არენაზე გაგრძელდა. რეაქციონერები შაჰის დესპოტურ რეჟიმს დაუდგნენ გვერდში. ლიბერალების გაერთიანება მეჯლისში თავისთავად მოხდა. რეაქციონერთა პოზიციები ლიბერალთა პოზიციებზე გაცილებით მყარი და ძლიერი იყო, უთანხმოების გაჩენის შესაძლებლობა კი ნაკლები, რადგან ერთადერთი, რაც მათ აღელვებდათ, რელიგიისა და პოლიტიკის გაყოფის იდეა იყო. თეირანის ლიბერალი ლიდერები ნაციონალიზმის, ლიბერალიზმისა და ისლამის ფასეულობებს შორის დიდ განსხვავებას ვერ ხედავდნენ და კონსტიტუციისა და შარიათის შეთანხმებაც დასაშვებად მიაჩნდათ. ლიბერალებს შორის მალე ბზარი გაჩნდა შიიტებისა და არაშიიტებისათვის თანაბარი პოლიტიკური უფლებების მინიჭებასთან დაკავშირებით. ეს საკითხი რადიკალური ლიბერალიზმის გამოვლინებად მიიჩნიეს. კამათი თანდათან გამწვავდა და 1908 წელს, როდესაც შაჰმა კონსტიტუციონალისტებს შეუტია, ლიბერალურ ფრთაში მის დასაპირისპირებლად ერთიანი ფრონტი არ არსებობდა. სახელმწიფოსა და რელიგიის გამიჯვნის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის კონფლიქტი გაღრმავდა. რადიკალი ლიბერალების გაძლიერების შიშით, კონსტიტუციის მომხრე სამღვდელოებაც კონსერვატორთა ბანაკს შეუერთდა. 1908-1914 წლებში მეჯლისის დეპუტატი სასულიერო პირები ნებისმიერ რეფორმისტულ პროექტს ეწინააღმდეგებოდნენ იმის შიშით, რომ სასწორის პინა სეკულარიზმის მომხრეთა სასარგებლოდ არ გადახრილიყო. ქვეყნის დამოუკიდებლობის საკითხთან დაკავშირებით კი ორივე ფრთა ერთსულოვანი იყო.

“ირანის კონსტიტუციურ მოძრაობაში ულემთა ჩაბმა და მათი პარადოქსული ალიანსი საერო ლიბერალ-დემოკრატებთან ანალოგის არმქონე მოვლენაა ისლამურ სამყაროში. მათი სურვილი ხელმძღვანელი როლი შეესრულებინათ პოლიტიკურ

პროცესებში და სახელმწიფო მმართველობაში, ირანული სასულიერო წოდების ტრადიციებისა და საზოგადოებრივი ფუნქციების სპეციფიურობიდან მომდინარეობს” (2,262). შესაბამისად, მათი როლი ამ მოძრაობაში სხვა ჯგუფებთან შედარებით გაცილებით რთული, წინააღმდეგობრივი და ცვალებადი იყო.

ამგვარად, კონსტიტუციონალისტი ლიბერალების ნაციონალიზმი ისლამთან მჭიდროდ გადაიხლართა. სასულიერო პირებთან საერო იდეოლოგიის კავშირი საერთო მტრების - შაჰის ტირანიის, იმპერიალიზმისა და ამა თუ იმ ფორმით უცხოური ჩარევის აღიარებას ემყარებოდა. მოძრაობის ანტიიმპერიალისტური ხასიათის გათვალისწინებით, 1918 წელს ე. ბრაუნი XX საუკუნის დასაწყისის კონსტიტუციონალისტების ნაციონალიზმის დახასიათებისას, მას უფრო ნაციონალისტურად მიიჩნევს, ვიდრე ლიბერალურად (18,81-113). სწორედ იგივე ადამიანები ქვეყნის შიგნით გამეფებულ რეაქციასთან ერთად სამღვდელოების უმეტესობას ებრძოდნენ. მათ დამოუკიდებელი, ისლამური ირანი სურდათ და ლიბერალური დემოკრატიის პრინციპების დასამკვიდრებლად იბრძოდნენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საერო მიზნები ამოძრავებდათ, რომლებიც საზოგადოებისთვის (ნაციისთვის) რელიგიასთან თანარსებობდა და მისგან განუყოფლად არ განიხილავდნენ.

Philosophical intuition is a kind of intuition in which another thing is not involved because man himself is the seer and the seen; the witness and the witnessed. Although such knowledge and attainment of truth are not transmissible to another person, it involves acceptance of the truth itself. This principle does not need to be transmitted and taught. This is the beginning of the establishment of definite knowledge, because it is certain in and of itself. Such "intuition" or "presence" is the source of proof of truth and it is where ontology and epistemology get together. In this view, on the one hand, man has found his way into the core of existence and has intuited the truth and gained knowledge of existence, and on the other hand, the reality of knowledge and perception has been made visible to him. In other words, knowledge has manifested itself to man in the course of existence and reality. The truth entails the unity of knowledge, the knower and the known; the knower is thus annihilated in the truth. At such a juncture, the knower does not flinch and has no doubt or uncertainty whatsoever.

By intuition of the soul and sensual states, and by the analysis of the intellect on these observations, concepts such as unity and multiplicity, causality and causation, substance and accident, necessity and possibility, and other secondary intelligibles are obtained.

By abstracting such concepts and generalizing to a realm out of essence, other facts and truths can be proved, and this primordial knowledge, which itself will be a definite knowledge, will be the source of other knowledge that will not be equally certain. (Hijāzī, 1993: 30-31)

## **5. Intuition in Mysticism**

The concept of intuition in mysticism is one of the main concepts. Intuition or witnessing refers to something that is seen; the center of this witnessing is the heart, and such a vision can only be realized as a reason for monotheism. That is, the mystic sees things as the reasons for monotheism. In other words, in this view, the mystic does not have an independent view of objects, but sees things as a sign and a manifestation or shadow. It is with these characteristics that mystical intuition is obtained. As and when "witnessing" takes place, the witness ceases to see himself; he attains the truth through intuition and sees nothing other than the truth. Such kind of witnessing leads to divine self-manifestation (*Tajalli*) which is a process by which God reveals Himself in concrete forms.

According to mystics, true intuition is happens with seeing of truth; it is the vision of truth obtained by the illuminated heart of the seeker of truth. Through *witnessing*, the mystic acquires *yaqīn* (real certainty), which cannot be achieved by the intellect or transmitted to those who do not travel the mystical path. Presence is used in the mystical term against the

unseen. Thus, whenever the mystic's heart is absent from the creation and present with the truth, there and then the presence (*ḥuḍūr*) is realized.

In mysticism, the term "Kashf "unveiling" is a concept dealing with knowledge of the heart rather than of the intellect. Kashf describes the state of experiencing a personal divine revelation after ascending through spiritual struggles, and uncovering the heart (a spiritual faculty) in order to allow divine truths to pour into it. *Kashf* is etymologically related to *mukāshafā* "disclosure" of the essence", which connotes "gaining familiarity with things unseen behind the veils" but *kashf*(unveiling) is more complete and superior to witnessing, not to mention the fact that *mukāshafā* is a kind spiritual perception.

It is inferred from the statements of mystics about *kashf* (unveiling) and *shuhūd* (witnessing) that they are a kind of knowledge that originates in the heart. For those who have purified their hearts, and who come to know the Divine Names and Attributes to the fullest of their individual capacities, the veils in front of the purely spiritual realms are opened slightly, and they begin to gain familiarity with the unseen. In mysticism, an even further revelatory capacity exists by which the divine mysteries become readily apparent to the seeker through the light of knowledge of God. The heart, not the human intellect, is the place of this knowledge; it is conscientious knowledge or knowledge by presence; it is to be found, not to be learned.

## **6. The Degree of Similarity between Philosophical and Mystical Intuitions**

The titles of "intuitive perception", "knowledge by presence" or "philosophical intuition" are all synonymous and indicate a single truth. Therefore, in this section, we shall express the common points of philosophical intuition and mystical intuition. In other words, we will examine those characteristics that are commonly discussed in both mystical intuition and philosophical intuition.

A) Mystical intuition and contemplative vision (*mukāshafā*) are lifting of the veil (*ḥijāb*). Given the fact that mystical unveiling and intuition are characterized by an absence of the veil, as well as by direct knowledge and philosophical intuition are also unmediated, we conclude that mystical unveiling and intuition are of the type of the knowledge by presence (*ilm ḥuḍūrī*) which is an innate understanding developed through unmediated, direct experience.

B) Mystical unveiling (*kashf*) and intuition are infallible and inerrant. Infallibility and inerrancy are obvious features of mystical *mukāshafā* (lit. disclosure) and intuition. The eye of the heart becomes bright and insightful with the light of the guidance of truth. The heart is not prone to error, forgetfulness or slipping. The teacher of the human heart is God, and the divine instincts are forever infallible. The esoteric knowledge provides the true sciences to man to the extent of the veil in accordance with the Shari'a. In short, the

mystical discovery and intuition is infallible. On the other hand, there is no possibility of error in the philosophical knowledge by presence as well as in the philosophical intuition. Knowledge that is not accompanied by intermediaries and forms is permanently true. Therefore, we conclude from the infallibility of mystical unveiling and intuition and the infallibility of knowledge by presence and philosophical intuitive perception that intuitive knowledge is knowledge by presence.

## 7. Intuition according to Mulla Sadra

Mulla Sadra has two types of negative and positive attitudes towards *Kashf o Shuhūd*, (unveiling and intuition). He criticizes the discoverer and intuitionists for their being incapable of describing their findings through demonstrative language, which is because they are inept in terms of reasoning due to their complete immersion in austerity and rigorous struggle (Shīrazī, 1998/1419 AH, vol. 1: 12). However, Sadra's positive position against intuition and unveiling is where he considers unveiling and intuition as the ways to achieve true knowledge, that is, the wisdom related to divine knowledge. It is the same wisdom that can in no way be doubted. (Shīrazī, 1999, 376)

He considers philosophy (*ḥikma*) as a divine gift, and in his definition of philosophy, he considers it be the perfection of the human soul and the attainment of perfection and knowledge of the truths of existence, and finally resemblance to the Supreme Lord. This is an indication of the harmony and coherence of the Sadrian system of philosophy. From an epistemological perspective, this point is expressed as follows: *Kashf* (unveiling), *ʿilm ḥuḍūrī* (knowledge by presence) and *ʿaql* (intellect), finally, result in acquired knowledge. The knowledge by presence is useful for knowing the facts only when it transforms into the language of acquired knowledge. (Barāti and Qayṣarī, 2016: 113-112)

There is no doubt that Mulla Sadra, as the founder of a new philosophical school of thought, possesses many characteristics in the whole of his philosophical system. Among these characteristics is his method. He did not remain confined to the transcendent wisdom by the conventional method of the peripatetic philosophers or theologians or mystics; rather he skillfully used all sources, but his philosophical status required that he be methodically bound by the criteria of the philosophical method, that is, reasoning and demonstration (*burhān*). Therefore, it is not far from the truth to say that Mulla Sadra, as a collector, used all sources. In the same position, he sometimes explores his philosophical claim in some areas through the net of intuition and rational revelation, and then, as a judge, he presents it on rational and legal criteria.

However, although some have criticized Mulla Sadra for violating the traditional method of philosophy, namely reasoning, by resorting to intuition, they have failed to present an example of this violation (Ahmadi, 2001: 17). That is, he has used the mystical method to

present a philosophical argument, whereas in fact, intuition is specific to mysticism, not philosophy. Hence, intuition cannot be the tool of philosophical cognition.

The truth is that intuition in its various meanings has been recognized by many philosophers as one of the valid methods of knowledge. According to Mulla Sadra, as explained above, "rational intuition" is valid as a reliable and assuring method. In addition to sense and intellect, Murtaḍa Muṭ ahharī also mentions the heart and observation of the heart as a means of gaining knowledge. It does seem that the verses of the Qur'an have had a great impact on the circulation and popularity of this opinion among Muslim philosophers. The Qur'an considers the heart to be the center of a series of divine inspirations and inculcations. Depending on one's strife and struggle to keep himself pure and to practice servitude, every human being is benefited by divine inspirations to the extent he strives and endeavors.

Mullah Sadra has earnestly used his intellectual intuitions as a source of important principles. His reputation as a philosopher has led him to clothe his intuitions with demonstrations. The Sadrian intuition is intellectual in the sense that the intellect has been upgraded and perfected to the stage of the heart and has reached the threshold of mysticism. His attempt to substantiate his intuitive claims seems to be complete, although his arguments are subject to debate and controversy. Mulla Sadra's rational intuition can be explained in the framework of the anthropological paradigm of Islamic theoretical mysticism. Such intuition is very similar to mystical intuition and unveiling in terms preliminaries and requirements, including outward and inward austerity, as well as in terms of theoretical results.

### **8. Examining Perspectives on the Relationship between Intellect and Intuition**

Thinkers and scholars have, over the centuries, considered the relationship between intellect and intuition from completely different perspectives. Different theories about the relationship or non-relationship of these two characteristics with each other can be divided into four parts.

A) Some believe that these two faculties or characteristics are in complete conflict with each other. That is, they are inherently averse to each other.

B) Some others believe that there is no conflict between them, but that they belong to two completely different realms, because the difference between them is so big that they are impossible to collide with each other.

C) And yet others believe that these two things are complementary to each other. They believe that these two things come in contact with each at times but they do not conflict with each other.

D) The last group also believes in the complete connection and harmony of these two characteristics with each other.

**The first view:** The conflict between intellect and intuition. Some extremist rationalists are of the view that there is no relationship between religious propositions and intellect. They believe that the path of intellect is separate from that of revelation and intuition, and that one cannot accept rational principles as well as advocate intuition and discovery; otherwise it would amount to sacrificing the intellect and truth for religiosity and intuition. According to this group, not only do we have no reason for the necessity of intuition, but that the religious teachings being averse to intellect call on us to avoid those teachings.

The proponents of this theory believe that some theologians want to deal with philosophy and give their opinions by immersing themselves in theology, while some philosophers also want to deal with theology by immersing themselves in philosophy and drawing philosophical issues into the field of theology. According to the proponents of the conflict between reason and religion, the only possible way to end these conflicts is that we should enter into issues in philosophy as a theologian, because the paths of these two domains are separate. (Gilson, 1992: 55)

**The second view:** The distinction between intellect and intuition. The second group of those who have commented on the relationship or lack of connection between intellect and intuition believe in the distinction and independence of these two characteristics from each other. This group does not see any conflict between the two characteristics. In other words, they are not averse to each other, but, nonetheless, these two domains are considered independent of each other. They maintain that these characteristics are similar to each other in very few cases as well as in a few instances and subjects. They argue that the striking distinction between the two characteristics stems from the distinction between their subjects, methods, and ends. Therefore, there is no conflict between these two characteristics of human beings, but they are independent of each other.

**The third view:** Intellect and intuition are complementary to each other. Those who subscribe to this opinion try to establish a close connection between intellect and intuition, and for this purpose, they try to include intellect and intuition in a larger hypothesis or to integrate them in such a framework.

Of course, thinkers do not agree on the outcome of this kind of thinking. Some of them believe that the interaction between intellect and intuition strengthens religion while others argue that this leads to the weakness of religion.

**The fourth view:** Perfect harmony between intellect and intuition. In addition to using the faculty of intellect and the teachings of revelation, man can also use other means called intuition to achieve truth and knowledge. Throughout history, great thinkers have

recognized this faculty or power and have written extensively in support of it. For example, the entire philosophy of Mulla Sadra is an attempt to harmonize between intellect, religion and mysticism. After extensive research at the end of his life, he concluded that not only is the way of unveiling (*kashf*) and intuition useful to reach the truth, but it is also the most important and the best way.

Mulla Sadra says, "As a result of long struggles and practicing severe austerities, my heart burned and the heavenly light started shedding on it ... So, I learned secrets that I had not yet reached and mysteries were revealed to me that had not been revealed so much through demonstration (*burhān*). In fact, everything I knew by demonstration became visible to me through intuition." (Shīrazī, 1998/1419 AH, vol. 1: 8)

Confirming this, Shahid Murtaḍa Muṭ ahharī says: "Sadra's philosophy is a crossroad in which four major currents, namely the peripatetic, Aristotelian Avicenian and Suhrawardi's illuminationist philosophies, the theoretical mysticism of Muḥyī al-Dīn (better known as Ibn Arabi), and theological concepts intersect one another. Like four streams, they run into each other forming a roaring river." (Muṭ ahari, 1987, 524)

According to the majority of Islamic thinkers, it is necessary to make use of all three ways in order to reach objects and truths. Shaykh Ḥasanzāda Amulī says: "In short, in order to acquire knowledge, one must have both logic and demonstration, intuition and mysticism. The philosophy (demonstration) and mysticism drink milk from the same breast, and the truths of mystical teachings rest in the internal (*anfusi*) interpretation of the Holy Qur'an. (Hasanzāda Āmulī, 2002, 16)

Referring to the harmony between mysticism and philosophy in the end of chapter 26 of the sixth stage of al-Asfār, Mulla Sadra says: "Real philosophy is not averse to revelatory intuition" (Shīrazī, 1998/1419 AH, vol. 1: 289). That is, real mysticism is not separate from real demonstration (philosophy).

Mental intuition strengthens beliefs and enables man to find his own reality and connection to God, the Exalted. Without it, a thousand kinds of intellectual, philosophical and rational thoughts will not humble him. The psychological and mental hesitations persist even after a series of correct demonstrations based on correct arguments and correct analogies. Thus, he never feels at ease and does not seem to have peace and tranquility of mind. (Ḥusaynī Tehrānī, nd, 70)

Rational thinking causes the interaction and balance of esoteric emotions and feelings and prevents imaginative tendencies and delusions. And it puts that intuition and conscience in the right direction. If there was no rational thinking, the intuition would deviate from its correct path.

## Conclusion

The acquisition of knowledge is possible through one of four ways including the sense and experience, intellect, unveiling, intuition and revelation. These are different and distinct ways of acquiring knowledge and truths each playing its part to explain to man the path of happiness and guidance. Mulla Sadra considered reason and demonstration as the standard for mystical intuition. In his view, disclosures (*mukāshafāt*) that are opposed to intellect are invalid and unreliable. However, it seems that in Mullah Sadra's careful view, the prophetic intuition and revelation is not only the surest way to acquire knowledge but it is also considered a criterion for the accuracy of other mystical discoveries and observations. Thus, Mulla Sadra believes in perfect harmony between philosophy, mysticism and the Qur'an.

The harmony and unity of intellect and intuition does not mean they are one and the same methods of acquiring rational and mystical knowledge; rather they are unquestionably two different methods of acquiring this knowledge, but this difference in the method of acquisition does not mean a difference in purpose and objective. In fact, harmony between intellect and intuition is harmony in terms of end and purpose.

According to Mulla Sadra, intuition and argument are basically similar. His view is in fact very close to the fourth view of the four theories (conflict, distinction, complementariness and perfect harmony). Apart from the arguments presented above, Mulla Sadra's principles concerning the unity of the soul and the powers and levels of perception can well explain this similarity. Therefore, in his view, the intellect is not against intuition, but is the light by which man recognizes intuition. The intellect that is demonstrative is a strong light but intuition is the straight path. Man can never reach the destination only with the intellect because the light shows the way only; if there is no way, whatever the light shows will be pathless.

Despite Sadrian transcendent wisdom defending intellect and philosophy, he never considers this source of knowledge to be sufficient to guide human beings and reach their ultimate perfection and knowledge of the truths of the universe. In addition, when it comes to mysticism, many mystical truths are beyond the reach of the intellect and the only way to know them will be through *kashf* and *shuhūd* (unveiling and intuition).

## Bibliography

1. Aḥādī Sa' dī, ' Abbās, "*Sadrian Intuition; Rational or Mystical?*" Quarterly Journal on Religious Thought, the University of Shiraz, Summer and Autumn, 2001, Issue No.4.

2. Barātī, Farajullah and ‘ Ali Riḍā Qayṣ arī, *Mysticism according to Mulla Sadra*, Quarterly Journal of New Research in the Humanities, Summer 2016, Issue No.7.
3. Hījāzī, Muḥammad Riḍā, *"The Concept of Witnessed in Islamic Philosophy"*, Ma‘ rifat Specialized Journal, Spring, 1993, Issue No.43.
4. Shaykh Ḥasanzāda Āmulī, Ḥasan, *Quran, Gnosticism and Philosophy Are Not Separable*", fourteenth edition, Qom, Qiyam Publications, 1992.
5. Ḥusaynī Tehrānī, Sayyid Muḥammad Ḥusayn, *Mehr Tābān*, Baqir al-‘ Ulūm Publications (nd).
6. Ḥakīm Ilāhī, ‘ Abd al-Majīd, *"Rationalism and Textualism in Shi'ism (A Comparative Study of al-Shaykh al-Ṣadūq's and al-Shaykh al-Mufīd's Thoughts)"*, A Research Journal on Theology, Spring and Summer, 2016, Issue No.4.
7. Khusrow Panah, ‘ Abd al-Ḥusayn and Nafīsa Amīrī, *"Reason and Rationalism in Philosophy and Quran"*, Interdisciplinary Research Quarterly in Quranic Sciences, first year, Spring, 2009, Issue No.2.
8. Rayshahrī, Muḥammad, *The Principles of Cognition*, 2<sup>nd</sup> edition, Dār al-Ḥadīth Publications, 2009.
9. Gilson, Étienne, *Reason and Revelation in the Middle Ages*, translated by Shahrām Pazūkī, Tehran, Institute for Cultural Studies and Research, 1992.
10. Shīrāzī, Ṣadr al-Dīn Muḥammad, *Sharḥ uṣūl al-kāfi (Kitāb al-‘ aql wa al-jahl)*, researched by Muḥammad Khwājawī, Tehran, Institute for Cultural Studies and Research, 1988.
11. Shīrāzī, Ṣadr al-Dīn Muḥammad, *al-Ḥikmah al-muta‘ āliya fī asfār al-‘ aqliyya al-arba‘ a*, vol.2, Beirut, Dar al-Iḥya al-Turāth al-‘ Arabī, 1410.
12. Shīrāzī, Ṣadr al-Dīn Muḥammad, *al-Ḥikmah al-muta‘ āliya fī asfār al-‘ aqliyya al-arba‘ a*, vol.8, Beirut, Dar al-Iḥya al-Turāth al-‘ Arabī, 1410.
13. Shīrāzī, Ṣadr al-Dīn Muḥammad, *Mafātīḥ al-ghayb*, Beirut, Tarīkh al-‘ Arabī Institute, 1999.
14. Ṭabāṭ abā‘ ī, Muḥammad Ḥusayn, *Tafsīr al-mizān*, translated by Muḥammad Bāqir Mūsavī Hamadānī, vol.2, 11<sup>th</sup> edition, Qom, Office for Islamic Publications of the Teachers' Society of the Islamic Seminary, 1999.
15. Furūghī, Muḥammad ‘ Alī, *Sayr-i Ḥikmat dar Urūpa (The Course of Philosophy in Europe)* second edition, Tehran, Zuwwār Publications, 1988.
16. Ravāq-e Andīsha Journal, *"Etymology: Rationalism"*, Winter 2003, Issue No.25.



17. Mahmūd-pūr, Jawād, *"The Relationship between Intellect, Revelation and Intuition according to 'Allāma Ṭabāṭ abā' ī, 'Allāma Muḥammad Taqī Ja' farī and Ayatullah Javādī Amūlī"*, Qom University, 2007.
18. Muṭ ahharī, Mūrtaḍa, *The Reciprocal Services between Islam and Iran*, fourteenth edition, Tehran, Sadra Publications, 1987.
19. Yūsfiyān, Ḥasan and Aḥmad Ḥusayn Sharīfī, *"Reason and Revelation"*, Tehran, Islamic Culture and Thought Research Institute, 2003.

**Sayyid Muhammad Ali Dibaji**

University of Tehran

**Emil Tomaev**

University of Teheran

## **The Relationship between Intellect and Intuition according to Mulla Sadra**

### **Abstract**

It is well-known that philosophical activity is a rational attempt but intuition is a function of perception having to do with mysticism (‘irfān). Hence, allowing intuition into the realm of philosophy may lead to confusion between mysticism and philosophy. Given the identity of Mulla Sadra's philosophy, a question that comes up is whether or not he believes in any kind of interplay between intuition and philosophy.

To address this question, the article analyzes the problem based on four assumptions: 1. the relationship between reason and intuition is one of conflict, and that these two are completely contradictory and far apart. 2. There is a distinction between these two realities inasmuch as each of them depends on a completely independent realm. 3. The third theory holds that not only are there no contradictions between intuition and philosophy, but that they complement each other. 4. The fourth theory holds that there is perfect harmony and precise coherence between these concepts, and that reason and intuition both convey the same truth and reality and correspond to one and the same meaning. Based on the fourth theory advocated by Mulla Sadra, he argues that the accuracy and legitimacy of intuition is proved through rational demonstration, and that intuition, like a bright light, shows the path to reason and helps it in cases of inability.

**Keywords:** intellect, rationalism, mysticism, intuition, Mulla Sadra, Sadrian philosophy.

## სეფიანთა პირველი კონტაქტები საქართველოსთან

ირანის ისტორიაში გამორჩეული ადგილი უჭირავს სეფიანთა დინასტიის ზეობის ხანას (1501-1722 წწ.), რომელიც აყ-ყოიუნლუს თურქმანთა სახელმწიფოს (1467-1501 წწ.) დაშლის შედეგად წარმოიქმნა. XV საუკუნის მიწურულს დამხობის პირას მყოფი აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოს შიდა კრიზისული ვითარებით მოხერხებულად ისარგებლეს არდებილელ შეიხთა სუფიურ-დერვიშული ორდენის მიმდევრებმა - სეფიანებმა. აღნიშნული დროისათვის მათ უკვე ღიად დააფიქსირეს თავიანთი პოლიტიკური ამბიციების შესახებ და საამისოდ ბრძოლა გააჩაღეს ძალაუფლების მოსაპოვებლად. აყ-ყოიუნლუს სუნიტ მმართველთა წინააღმდეგ ბრძოლაში იდეოლოგიურ იარაღად სეფიანებმა შიიტური ისლამი გამოაცხადეს, რითაც ისინი გაემიჯნენ როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის სუნიტ მეზობლებს - ოსმალებს და ოზბეგებს.

შირვანშაჰებთან ბრძოლაში შეიხ ჰეიდარის (1460-1488 წწ.) დაღუპვის შემდეგ შეიხის ტიტული მის მცირეწლოვან ვაჟზე - ისმაილზე გადავიდა. რადგანაც მის სიცოცხლესაც საფრთხე ემუქრებოდა, მისმა მიმდევარმა სეფიანებმა ისმაილი გილანში გადამალეს, რათა მოწინააღმდეგე ძალების მხრიდან მასაც მამის ბედი არ გაეზიარებინა. XV საუკუნის მიწურულს კი, 1499 წლის იანვარში მათ ისმაილი გილანიდან წამოიყვანეს და უკვე ოფიციალურად ის სეფიანთა, ანუ ყიზილბაშთა სულიერ და პოლიტიკურ ლიდერად გამოაცხადეს [11 :444].

პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებისკენ მიმავალ გზაზე, სეფიანებს ბევრი დაბრკოლების და მძიმე სისხლისმღვრელი ბრძოლების გადატანა მოუხდათ. სწორედ ამ პერიოდში დაიწყო მათი პირველი კონტაქტები საქართველოსთან, ანუ ჯერ კიდევ სეფიანთა სახელმწიფოს წარმოქმნამდე. რაც შეეხება საქართველოს, XVI საუკუნის დამდეგს შიდა ფედალური დაპირისპირებათა წყალობით ის დაშლილ-დანაწევრებული იყო ცალკეულ სამეფოებად. მიუხედავად ამისა, ის უწინდებურად ძლიერ ანგარიშგასაწევ ძალად მოიაზრებოდა როგორც რეგიონში, ისე ზოგადად, საერთაშორისო სარბიელზე. როგორც ჩანს, ყიზილბაშურ ტომთა თავკაცებს და მათ მომავალ შაჰს - ისმაილს სათანადოდ ჰქონდათ გაცნობიერებული საქართველოს გეოსტრატეგიული და პოლიტიკურ-ეკონომიკური მნიშვნელობა და ამიტომაც იყო, რომ ის იმთავითვე ერთ-ერთი პირველი მოექცა მათი თვალთახედვის არეალში.

განსახილველ პერიოდში საქართველოსთან სეფიანების ურთიერთობის შესახებ ცნობები დაცულია სხვადასხვა წელიწადით წყაროებში. მათგან განსაკუთრებით საყურადღებოა XVI საუკუნის სპარსული წყაროები; კერძოდ,

ხონდემირის (1475-1535/36 წწ.) და ჰასან რუმლუს (1531-1576 წწ.) საისტორიო ნაშრომები. ხონდემირის გადმოცემით, ისმაილს დიდებულებისთვის უკითხავს, თუ რომელ მხარეში ელაშქრათ თავდაპირველად. მას სხვადასხვა ვარიანტები შესთავაზეს\_ დასახელდა ერზინჯანი, ნახჭევანი, ჩუპურსაადი, ასევე „ყვარყვარეს ქვეყანა,“ ანუ სამცხე-საათაბაგო. საბოლოოდ, თითქოსდა სიზმარში გამოცხადებული იმამის რჩევით, ისმაილმა შირვანში ლაშქრობა გადაწყვიტა. საქმე ის იყო, რომ თავისი გარემოცვისგან ისმაილი ინფორმირებული იყო იმის თაობაზე, რომ შირვანშაჰები იყვნენ დამნაშავეები მისი მამის - შეიხ ჰეიდარის (1460-1488 წწ.) და პაპის - შეიხ ჯუნეიდის დაღუპვაში, რომლებიც შირვანშაჰ ფარუხ იასართან ბრძოლას შეეწირნენ, უფროსი ძმა - ალი კი აყ-ყოიუნლუს შაჰის, რუსთამის წინააღმდეგ ბრძოლის დროს იქნა მოკლული [12: 341]. ამიტომაც ისმაილი სწორედ შირვანში ლაშქრობას ემუშრებოდა, რათა შური ეძიებინა წინაპრების დახოცვისათვის. ამ მიზნით, 1499 წლის იანვარში თავის მომხრეებთან ერთად, გილანიდან შირვანის მიმართულებით დაიძრა. თუმცა, იმავდროულად ყიზილბაშთა ლაშქრის ნაწილი, ხოლევა-ბეგის სარდლობით, ისმაილმა საქართველოში გაგზავნა, ლაშქრის მეორე ნაწილი კი, ალიას-ბეგის სარდლობით, სომხეთში გაიგზავნა მენტეშის ციხის ასაღებად. ორივე ხსენებული ლაშქრობა წარმატებით დასრულდა და ყიზილბაშები დიდი ნადავლით დაბრუნდნენ ბანაკში [7: 453-454].

ანალოგიურ ინფორმაციას გვაწვდის მეორე ირანელი მემატიანე, ჰასან რუმლუც. მისი სიტყვით, როდესაც შირვანისკენ მიმავალმა ყიზილბაშთა ჯარმა ბასიანამდე მიაღწია, ისმაილმა ხოლევა-ბეგი საქართველოში გაგზავნა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს ლაშქრობა წარმატებით დასრულდა, რომლის მიზნად წყაროში დასახელებულია „ურწმუნო ქართველების განადგურება“ [8: 19]. მოტანილი ცნობებიდან ნათლად ჩანს, რომ ყიზილბაშები ისე უყურებდნენ ზემოთხსენებულ ქვეყნებს, თუ სამეფოებს, როგორც ირანის ტერიტორიაზე არსებულ ნებისმიერ პროვინციას და შესაბამისად, თავიანთ კუთვნილებად მოიაზრებდნენ. ამის დასტურია ასევე ხონდემირის სიტყვები იმის თაობაზე, რომ დიდებულები თათბირობდნენთათბირობდნენ; „ისმაილის სახელმწიფოს რომელი მხარე დაელაშქრათ“. იმჟამინდელი ქაოსური და კრიზისული ვითარების გათვალისწინებით, საქართველოში ორგანიზებული სამხედრო ექსპედიციის (ისევე როგორც სომხეთში) მიზანს უთუოდ, მხოლოდ იქაურობის დარბევა და ალაფის აღება წარმოადგენდა, რადგან ჯერ კიდევ სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში მყოფ სეფიანებს და მათ ახალგაზრდა ლიდერს (იმხანად ისმაილი 13 წლის იყო) ფიქრიც კი არ შეეძლოთ საქართველოს დაპყრობა-დამორჩილებაზე. იმ ეტაპზე ისინი, უპირველეს ყოვლისა, თავიანთი უშუალო მოწინააღმდეგე ძალებთან (ოზბეგები, აყ-ყოიუნლუ, შირვანშაჰები) ბრძოლებით იყვნენ დაკავებული და გზას იკაფავდნენ უზენაესი ხელისუფლების მოსაპოვებლად.

აღსანიშნავია, რომ ქართულ წერილობით წყაროებში არაფერია თქმული ხოლევა-ბეგის საქართველოში ლაშქრობის შესახებ. სპარსულ წყაროთა ცნობას ნაწილობრივ ეხმიანება მხოლოდ ვახუშტი ბატონიშვილი. მისი გადმოცემით, 1500 წელს ყიზილბაშებმა შირვანი და აზერბაიჯანი აიღეს. ბრძოლის დროს მოკლულ იქნა შირვანის შაჰი ფაროხ იასარი, რის შემდეგაც ისმაილმა ქ. ბაქო დაიკავა. შირვანში მყოფ ისმაილთან კახეთის მეფე ალექსანდრემ (1476-1511 წწ.) თავისი ვაჟი დიმიტრი გაგზავნა „ძღუენითა დიდითა და ტყვითა ქალ-ყრმითა და მიუმცნო მორჩილება“. ისმაილმა პატივით მიიღო უფლისწული, შემდეგ კი გაისტუმრა „ზავითა მშვიდობისათა“ [1: 569]. რამდენადაც ხსენებული ინფორმაცია სხვა წყაროებით არ დასტურდება, შეიძლება ვარაუდის დაშვება, რომ შორსმჭვრეტელმა კახეთის მეფემ წინასწარ დაიზღვია თავი ყიზილბაშების შემოსევისგან და თავისი სამეფოს გადარჩენის მიზნით ისმაილს ძღვენი გაუგზავნა და მორჩილებაც აღუთქვა. მართლაც, ამ გაბედულმა ნაბიჯმა გაამართლა. ამას ადასტურებს ისევ ვახუშტი ბატონიშვილის მომდევნო ცნობა, რომლის თანახმად, ისმაილთან დაზავებით კმაყოფილმა ალექსანდრე მეფემ „უმეტესად დაიმშვიდა კახეთი და მოიმტკიცა თვისად, აღაშენა და განავსო და მართავდა კეთილად“ [1: 569]. მეორე ქართველი მემატიანე - ბერი ეგნატაშვილი ისმაილის შესახებ მოგვითხრობს, თუ როგორ მალავდნენ მტრებისგან და უფრთხიდებოდნენ მას, როგორც მომავალ შაჰს, მის მხარში მდგომი სეფიანები. ის ასევე აღწერს, როგორ იბრძოდა ისმაილი შირვანშაჰების წინააღმდეგ და ბოლოს - როგორ მოიპოვა სამეფო ტახტის გვირგვინი. დასასრულს, ავტორი დასძენს, რომ ამ ყველფარის შესახებ „სპარსთა ცხოვრებასა შინა ვრცლად წერილ არს,“ ანუ სპარსულ წყაროებში იყო ვრცლად აღწერილი. საყურადღებოა, რომ ქართველი მემატიანე ისმაილს დადებით კონტექსტში მოიხსენიებს. მისი სიტყვით, ისმაილი იყო „კაცი ჭკუიანი და ხონჯიანი. ამან გამოაჩინა სჯული შიასი და დაუწყო სჯულთა ოსმანთასა გინებ და აღამალა სახელი ალიასი“. ყიზილბაშებმა ის იმამის ძედ აღიარეს და პატივს მიაგებდნენ, როგორც ღვთაებას [3: 355, 357].

საინტერესო ინფორმაციაა დაცული სეფიანების და საქართველოს პირველი კონტაქტების შესახებ XVI საუკუნის იტალიურ წყაროებში (კატერინო ძენოს, ჯოვანი მარიო ანჯოლელოს, ანონიმი ვენეციელი ვაჭრის ნაშრომებში), მაგრამ ზემოთხსენებული წყაროებისგან განსხვავებულ კონტექსტში. მართალია, მათში არაფერია თქმული ხოლევა-ბეგის საქართველოში ლაშქრობის შესახებ, სამაგიეროდ ისინი არანაკლებ მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავენ განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით. ისტორიიდან ცნობილია, რომ 1500 წლის შემოდგომაზე ისმაილმა შირვანში ილაშქრა და გამარჯვება მოიპოვა. თავად ფაროხ იასარი კი ამ ბრძოლაში დაიღუპა. სწორედ ამ ამბებიდან იწყება იტალიურ წყაროებში საუბარი სეფიანების და ქართველების ურთიერთობების შესახებ. კერძოდ, კატერინო ძენოს (რომელიც ვენეციის ელჩის რანგში იყო წარგზავნილი აყ-

ყოიუნლუს სახელმწიფოში) და ანონიმი ვენეციელი ავტორის გადმოცემით, სეფიანების მიერ შირვანში მოპოვებული გამარჯვების და მისი დედაქალაქის - შემახის აღების შემდეგ, ისმაილი ახალი ბრძოლისათვის სამზადისს შეუდგა. ამჯერად მის სამიზნეს აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოს სულთანი, ალვენდი წარმოადგენდა. ყიზილბაშთა ახალგაზრდა ლიდერი ისმაილი შიშობდა, რომ გარედან დამხმარე ძალის გარეშე, თავისი მცირერიცხოვანი ჯარით (7 ათასი მეომრისგან შემდგარი ჯარი) მოწინააღმდეგის 30 ათასიან არმიას ვერ გაუმკლავდებოდა, ამის გამო მან ცოცხალი ძალით დახმარების თხოვნით ქართველ მეფე-მთავრებს მიმართა; ალექსანდრეს, ყვარყვარეს და მირზა-ბეგს. სანაცვლოდ, გამარჯვების შემთხვევაში, ის მათ ჰპირდებოდა, რომ გათავისუფლებულ იქნებოდნენ იმ ხარკისგან, რომელსაც აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოს უხდიდნენ [4: 149]. იტალიური წყაროების თანახმად, იქიდან გამომდინარე, რომ ქართველებს ძველი მტრობა ჰქონდათ ალვენდთან, მათ გადაწყვიტეს, დახმარება გაეწიათ ისმაილისთვის. მითუმეტეს, რომ ისმაილის მიერ მიცემული დაპირებაც ერთობ მიმზიდველი იყო. ამიტომაც ხსენებულმა მეფე-მთავრებმა ისმაილს 3-3 ათასი მეომარი გაუგზავნეს, რის შედეგადაც ყიზილბაშთა ჯარის ოდენობა 16 ათასამდე გაიზარდა. იასმაილმა ქართველები დიდი პატივით მიიღო და თან უხვად დააჯილდოვა შემახაში მოპოვებული ნადავლით. კატერინო ძენო იქვე მკითხველს ქართველებს აცნობს: „ქართველები ისინი არიან, ვინც უძველესი დროიდან იბერებად იწოდებიან და იქიდანვე ქრისტიანები არიან“ [5: 38].

წყაროებში მოხსენიებულ ყვარყვარესთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ განსახილველ პერიოდში სამცხის ათაბაგი იყო არა ყვარყვარე II (1451-1498 წწ.), არამედ მისი ვაჟი მზეჭაბუკი (1500-1515 წწ.). მართებულად შენიშნავს პროფესორი ე. მამისთვალიშვილი, რომ ყვარყვარე II-ის ხანგრძლივმა მმართველობამ მისი სახელი სამცხის ათაბაგების საერთო, კრებით სახელად აქცია და ამის გამო ასახელებენ იტალიური წყაროები ყვარყვარეს [4: 150]. იგივე უნდა ითქვას ზემოთხსენებულ სპარსულ წყაროებზეც, რომლებშიც სამცხის აღსანიშნავად ასევე გამოიყენება „ყვარყვარეს ქვეყანა“. რაც შეეხება მირზა-ბეგს, რამდენადაც „მირზა“ უფლისწულის შესატყვისი ტერმინია, სავარაუდოდ, აქ უნდა იგულისხმებოდეს ქართლის მეფის - კონსტანტინე II-ს (1479-1505 წწ.) ერთ-ერთი ვაჟი [2: 46] - დავითი (1505-1525 წწ.), გიორგი ან ბაგრატო.

გადამწყვეტი ბრძოლა ყიზილბაშებსა (რომელთა ლაშქარი უკვე ქართველი მეომრებით იყო შევსებული) და ალვენდ აყ-ყოიუნლუს შორის, 1501 წლის გაზაფხულზე ნახჭევანთან ახლოს - შარურის ველზე მოხდა, რომელიც ყიზილბაშთა გამარჯვებით დასრულდა. ამ ბრძოლის პერიპეტეების შესახებ მოგვითხრობს XVII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი არაქელ დავრიჟეცი, თუმცა ქართველებს ამ ბრძოლაში არ მოიხსენიებს [11: 484]. ანონიმი ვენეციელი ავტორის ცნობით, ალვენდის წინააღმდეგ წარმოებულ ომში ქართველებმა თავი ისახელეს

მამაცობით და გულადობით. სეფიანთა ამ გამარჯვებაში სწორედ მათ შეასრულეს გადამწყვეტი როლი [ 4: 151].

ამის შემდგომ ისმაილი ზარ-ზეიმით შევიდა თავრიზში და ახალ დინასტიას ჩაუყარა საფუძველი, შაჰინშაჰად ეკურთხა შაჰ ისმაილ I-ის სახელით. მან ქვეყნის დედაქალაქად თავრიზი გამოცხადდა, ხოლო სახელმწიფოს ოფიციალურ რელიგიად - შიიზმი. აღსანიშნავია, რომ ქართველების წვლილს ისმაილის გამარჯვებაში ხაზს უსვამს მოგვიანო ხანის ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი (1643-713 წწ.). მისი გადმოცემით, „მას შემდეგ, რაც ისმაილმა კასპიის ზღვის დასავლეთით მდებარე ქვეყნები (მიდია და არმენიის ნაწილი) დაიპყრო და იმ ადგილებიდან ოსმალები განდევნა, ომი გამოუცხადა ქართველებს. თუმცა, თავის მეფობის დასაწყისში სწორედ მათგან ჰქონდა მიღებული მნიშვნელოვანი დახმარება“ [6: 301]. ამრიგად, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა წერილობითი წყაროები ერთმანეთისგან განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდიან. თუმცა, ეს ცნობები ძირითადად ერთსა და იმავე მოვლენებს ეხება და ერთმანეთთან მიზეზ-შედეგობრივი კავშირითაა გადაბმული. ასე, რომ ისინი კი არ გამორიცხავენ, არამედ გარკვეული დოზით ავსებენ ერთმანეთს.

ზემოთ წარმოდგენილი წყაროების მონაცემების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე, მოვლენების განვითარება შემდეგნაირად წარმოჩინდება: ყიზილბაშთა ლაშქრის ერთმა ნაწილმა 1500 წელს სამხრეთ საქართველო დაარბია ალაფის აღებისა და თავიანთი ძალის დემონსტრირების მიზნით. იმავდროულად, ისმაილის ჯარის ძირითადი ბირთვი შირვანისკენ გაემართა. ქართველ მეფე-მთავრებისგან დახმარება კი ისმაილმა მოგვიანებით - შირვანში გამარჯვების შემდეგ, 1501 წელს ითხოვა უკვე მომდევნო, გადამწყვეტი ბრძოლის წინ.

სეფიანების გამარჯვებაში დიდი წვლილის მიუხედავად, გამეფების შემდეგ ისმაილმა ქართველებისთვის მიცემული პირობა, ხარკისგან მათი განთავისუფლების თაობაზე, არ შეასრულა. საქმე ის იყო, რომ მას საქართველოს მიმართ სულ სხვა მიზნები ამოძრავებდა. კერძოდ, თავისი წინამორბედი დინასტიების მსგავსად, ისმაილ I საქართველოს დაპყრობა-დამორჩილებას გეგმავდა, მაგრამ მანამდე ქვეყნაში შიდა პოლიტიკური ვითარება იყო მოსაწესრიგებელი. ამიტომაც უპირველეს ყოვლისა, ის აქტიური ღონისძიებების განხორციელებას შეუდგა ომებისგან დაშლილ-დასუსტებული სახელმწიფოს გასაერთიანებლად და ცენტრალური ხელისუფლების განსამტკიცებლად. შესაბამისად, შაჰ ისმაილი აგრძელებდა ბრძოლას შინაური, თუ გარეშე მტრების წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ გამეფებისას, ის 14 წლის იყო, მან ბრძოლებში თავი გამოიჩინა, როგორც მამაცმა და გულადმა მეომარმა, რომელიც ბრძოლის ველიდან მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა. 1503 წელს ქ. ჰამადანთან მან საბოლოოდ დაამარცხა მურად აყ-ყოიუნლუ და მთელი სპარსეთის ერაყის ტერიტორია დაიკავა, 1502-1509 წლებში დაიმორჩილა ირანის მთელი რიგი პროვინციები. ასევე ყიზილბაშებმა

დაიკავეს სომხეთი, დიარბეიერი, ბაღდადი, დაამარცხეს ოზბეგები და სხვ. [9: 216-217; 10: 35-37]. ასე, რომ სულ რაღაც ათ წელიწადში ახალგაზრდა შაჰმა წარმატებით დააღაგა ქვეყნის შიდა პოლიტიკური ვითარება და მძიმე ბრძოლების წარმატებით დაგვირგვინებით უზარმაზარი ტერიტორიების შემომტკიცებაც მოახერხა, რის საფუძველზეც ის უკვე საკმაოდ მძლავრი სახელმწიფოს მბრძანებელი გახდა.

## ბიბლიოგრაფია

1. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, "ქართლის ცხოვრება", ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973.
2. გელაშვილი ნანა, ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (XVI საუკუნე), თბილისი, 1995.
3. ეგნატაშვილი ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, "ქართლის ცხოვრება", II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1959.
4. მამისთვალიშვილი ელდარ, იტალიელ მოგზაურთა ცნობები XVI საუკუნის დასაწყისის ირან-საქართველოს ურთიერთობის შესახებ, ტ. I, თბილისი, 1975.
5. XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვალიშვილმა, თბილისი, 1981.
6. ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევები და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბილისი, 1975.
7. ჰაბიბ ას-სიიარ ფი ახბარ აფრად-ე ბაშარ, თა'ლიფ-ე ბე ხონდემირ, IV, თეჰრან, 1333 (სპარსულ ენაზე).
8. ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვლ. ფუთურიძემ, თბილისი, 1966.
9. The Cambridge history of Iran, vol. VI, Edited by P. Jackson and L. Lockhart, Cambridge, 1986.
10. R. Savory, Iran under the Safavids, Cambridge, 1980.
11. Аракел Даврижеци, Книга историй, Перевод с Армянского, предисловие и комментарий Л. А. Ханларян, М., 1973.
12. История Азербайджана, редактор С. Алиярлы, Баку, 2009.

## **First Contacts of Safavids with Georgia**

### **Abstract**

According to the information, preserved in various written sources, the first contacts of Safavids with Georgia began before the formation of their state (at the very beginning of the XVI century). By that time Georgia was disintegrated into separate feudal kingdoms. Despite this, it represented a force, to be taken into consideration as in the region, as well as on the international arena in general. The Qizilbash tribes leaders and their future shah – Ismail (1487-1524) were well aware of the special geo-strategic and political-economic importance of Georgia and that's why it came in their view from the very beginning. According to Persian sources, in the summer of 1500, Ismail sent a Qizilbash army to Georgia under the command of Kholefa-Beg, who returned from there with innumerable loot. Supposedly, the purpose of this military expedition was only getting a booty, as the Qizilbashes at that time, being still in the process of forming their state, could not even think about conquering Georgia. In order to come to power, they were engaged in permanent battles with various opposition forces and, correspondingly, the primary goal was to clear the way towards the supreme power. According to European sources, before the battle with Alvend Ak-Koyunlu, Ismail appealed to the Georgian kings for help and in return promised to release them from the tribute they were paying to the Ak-Koyunlu state (1468-1501). As this condition was attractive to the Georgian kings, they provided effective assistance to Ismail. The sources emphasize the crucial role of the Georgian army in the victory of the Qizilbashes in this battle.

Concerning the mentioned issues, the information, preserved in different sources, differs from each other, though they do not exclude, but rather somehow complement each other's information. Based on the mutual comparison and analysis of the source data, the development of events appear as follows: with the purpose of demonstration of their power and also to seize loot, a part of Qizilbash army ravaged Southern Georgia in 1500, afterwards in the spring of 1501, Ismail contacted the Georgian kings for a peaceful purpose - asking for help in the battle with Alvend Ak-Koyunly. The Qizilbashes and Georgian army won a brilliant victory, thus ending the Qizilbashes' struggle for the supreme politic power. In the autumn of 1501 Ismail was consecrated Shahinshah in Tabriz and laid the foundation of the Safavid state.



## არაბულ-სპარსული წარმოშობის მცენარეთა სახელები სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართულის“ მიხედვით

არაბულ-სპარსული წარმოშობის მცენარეთა სახელების შესწავლა ს.ს.ორბელიანის „ლექსიკონ ქართულში“ წარმოადგენს ჩვენი კვლევის საგანს და სტატიაში წარმოდგენილია ამ კვლევის მეოთხე ნაწილი, კერძოდ, ქართული ალფავიტის „ი“ და „კ“ ასოებით დაწყებული მცენარეთა სახელები (იასამანი, ინა, იორდასალები, ისპანაღი, კალამი, კალნაბი, კანაფი, კურნა), რომელთაც აღმოსავლური, კერძოდ, არაბულ-სპარსული ეტიმოლოგია უდასტურდება.

### იასამანი – (ხე) ZABCDE (20, 321)

სპარსულ ლექსიკონებში ეს ლექსიკური ერთული მოცემულია *ياسامان* (იასამან) ფორმით. „ზეთისხილის გვარის აღმავალი ბუჩქი. მისი ყვავილები დიდი და სურნელოვანია, თეთრი ან ყვითელი, ან წითელი. ყვავილები ხან ცალმხრივია და ხან ტოტის ბოლოს განლაგებული. ცნობილია ამ მცენარის ასამდე სახეობა, რომელთა სურნელოვანი ჯიშის ყვავილებს ხშირად იყენებენ პარფიუმერიაში. ხოლო თეთრი იასამნის შედარებით ახალგაზრდა ტოტებს იყენებენ მოსაწევი მილების დასამზადებლად (ხის არომატული ბუნების გამო). იასმინ. იასემონ. ზიან. გელ-ე ჰაშმ, სამან. ინდოელები მას ჩანბალის უწოდებენ“ (6, 286).

„ზეთისხილის ოჯახის სუბტროპიკული მცენარეები, ჟასმინის გვარის, თეთრი და ყვითელი ყვავილებით. ჩვეულებრივ იასამანს (*J. officinale*) აქვს თეთრი სურნელოვანი ყვავილები, საიდანაც მიიღება ზეთი. ეს ნივთიერება გამოიყენება პარფიუმერიაში. ჩინურ იასამანს (*J. nudiflorum*) აქვს ღია ყვითელი ყვავილები, რომლებიც ხის ფოთლის წინ ჩნდება. „იას“ ან „იასამან-ე ჩამბა“ (*J. grandiflorum*) იასამნის გვარის სხვა სახეობებია, რომლებიც იზრდება ირანში. მისი ეთერზეთი გამოიყენება ჩაის არომატიზებისთვის (16, 538).

სპარსულ ენაში იასამანის (ხე, ბუჩქი) ფორმის რამდენიმე ვარიანტი არსებობს: იასამან //იასამინ// იასემინ (7, 302).

იასამანი (ლათ. *Syringa*), მესხეთში ლეილაღი (თურქ. *Leylak*, არაბ. *سندباد*) – მცენარის გვარი ზეთისხილისებრთა ოჯახისა. ფოთოლმცვივანი პატარა ხე, ან ბუჩქია. ცნობილია 30-მდე სახეობა. მუქი მწვანე წვეტიანი ფოთოლი აქვს. ფუძე გულისებრი, სურნელოვანი, თეთრი, ლილისფერი, ან იისფერი ყვავილი მარტივია, ან ბუთხუზა. აღ. მაყაშვილის „ბოტანიკურ ლექსიკონში“ იასამანი ლექსემის რუსული სახელწოდება *сирень обыкновенная*, ლათინური *Syringa vulgaris L.*,

**მესხური** – ლეილადი. მისი სინონიმებია: ჟასმინი, ლეილადი (13 260). გურულ დიალექტში იასამანი – (გურ.) ძველი დილინი, სიმღერაა ხალხური (25, 74).

იასამანი ლექსემა დასტურდება ძველ ქართულ კარაბადინებში: ირ. ياسمن – იასამანი, იგივე მნიშვნელობით Syringa (10, 707. 27, 312) ასევე ისეთ ძველ ძეგლებში, როგორცაა: “შაჰ–ნამე” სპარს. ياسمن იასამან –ყვავილია, იგივე მნიშვნ. (1916:808). “ქილილა და დამანა”: ორ. სამან–უცვეთელა. (გვ:1017). თეიმურაზ პირველის თხზულებებში – სურნელოვანი მცენარე (1933:299).

დ. ჩუბინაშვილი აღნიშნულ ლექსემას არაბულ ეტიმოლოგიას უთითებს ясмин (17, 577). არაბულ ლექსიკონებში: الياسمين/iasmīn – ზეთისხილისებრთა ოჯახის მცენარეა. სურნელოვანი ყვავილებით. სპარსულიდან არაბიზებული ფორმა (1, 1065). სპარსული ეტიმოლოგიითაა ჯონსონის ლექსიკონშიც (29, 1411).

**ინა – (ზალ.) წითლად შემღებავი ZA (20, 330).**

უცხო სიტყვათა ლექსიკონში მითითებულია მისი არაბული წარმომავლობა არაბ. henÁ - 1. მოწითალო-ყვითელი საღებავი, რომელსაც ხმარობენ თმის, ფრჩხილებისა და სხვ. შესაღებავად. 2. ბუჩქი, რომლის ფოთლებისგანაც ამზადებენ ამ საღებავს.

სპარსულ ლექსიკონებში მითითებულია ამ ლექსემის არაბული წარმომავლობა. حناء ჰანნა //ჰენა 1. ინა, 2. ხნა (რუბინჩიკი 1376: 520). ჰანა (არაბიზებული ‘ხანა’) ხნა (ენსაფფური 1377: 345).

„ინისებრთა გვარის მცენარე, რომელიც ხარობს აფრიკის, სამხრეთ აზიისა და ჩრდილოეთ ავსტრალიის სუბტროპიკულ და ტროპიკულ რეგიონებში და უძველესი დროიდან გამოიყენება კანის, თმის, ფრჩხილების, ტყავის და მატყლის შესაღებად (ომიდი 1389: 545). „(არაბ.) ეს არის ბუჩქი ბროწეულის მსგავსი ფოთლებით, რომლის ყვავილები თეთრი და სურნელოვანია. ფოთლებს ფქვავენ და მტვრის სახით ქცეულს გამოიყენებენ თმის, ფრჩხილების ან კიდურების შესაღებად. გამოთქმა: „მის ინას ფერი არა აქვს“ (მოინი 1375: 454).

პირველი დოკუმენტური მტკიცებულება, რომელშიც ინა, როგორც სამედიცინო საშუალებაა, მოხსენიებულია, ეგვიპტურ ებერსის პაპირუსში, რომელიც ჩვ. წ. აღ–მდე XVI საუკუნით თარიღდება. ინით მკურნალობა ძალიან პოპულარული იყო არაბულ ქვეყნებში. მას ძლიერი სადუზინფექციო შემადგენლობა აქვს და იყენებენ ჭრილობების, ნაკერების, დერმატოლოგიური დაავადებების და ძვლების ტკივილის დროს. თირმიზ უმ სალმას ჰადისის მიხედვით: “მოციქულ მუჰამედის ცხოვრებაში არ არსებობდა არც ერთი იარა, ან ჭრილობა, რომლის მოსაშუშებლადაც ინას არ იყენებდნენ” (9, 158).

ინა ლექსემა დასტურდება ძველ ქართულ სამედიცინო წიგნებში (არ. ჰინნა) Balsamina Hortensis Impatiens noli tangere L. (27, 494);

არ. حا ჰენნა, resp. ჰინნა მოწითალო საღებავი ჰენნის ხისაგან (*Lausonia Inermis* L.) (10, 708). დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში არაბული წარმომავლობა უფიქსირდება: არაბ. თმის საღებავი. მცენარე Хенне, алкала (1984: 708). დასტურდება შაჰ-ნამეში წითლად შემღებავი (1974: 632).

არაბული წარმომავლობისაა ჯონსონის ლექსიკონში (1852:494); الحناء/alĪnÁ' – ხე, რომლის ფოთლებიც და ტოტებიც ბროწეულისას ჰგავს. აქვს მტევნებივით თეთრი ყვავილები. მისი ფოთლებიდან მიიღება წითელი საღებავი (ალ-ვასიტი:201), *Lawsonia inermis* ან *Egyptian privet*– მცენარე, რომლის ფოთლებიც გამოიყენება კიდურების შესაღებად (ლეინი 2: 654).

### იორდასალები – (ბალ.) ZABCDE (20, 332).

იორდასალამი – *Paeonia* L. ქართლური, ქიზიყური – ტყის ყაყაჩო; კახური გუგულის კაბა; ზემო რაჭული – გუგული; ქვემო რაჭული – ყაყაჩო; სულხან-საბა ორბელიანი–იორდასალები; ნიკო კეცხოველი – იორდანეს სალამი. ამ სახეობის წარმომადგენელთა უმრავლესობა მრავალწლიანი ბალახია იორდასალამისებრთა (*Paeoniaceae*) ოჯახისა, მსხვილი ძირებით, ზოგი წარმომადგენელი ნახევრად ბუჩქია. ფოთლები სამნაწილიანია, რთული (13, 260).

სამედიცინო წიგნებიდან გვხვდება XI საუკუნის “უსწორო კარაბადინში – იორდასალები: ყელშასაბამი წამალია (23,494). იადიგარ–დაუდში: იორდასალები – *Radix Paeoniae* მცენარისაგან *Paeonia Officinalis* L. (10, 708). ევროპაში იორდასალამი ცნობილია უძველესი დროიდან. ჯერ კიდევ პლინიუს უფროსმა ნაშრომში “ბუნების ისტორია,” პირველად აღწერა იორდასალამი და მიუთითა იმ 20 ავადმყოფობაზე, რომელთა სამკურნალოდაც ის გამოიყენებოდა. საქართველოში გვხვდება გვარ იორდასალამის 10 სახეობა. მათგან 7 კავკასიისა და საქართველოს ენდემია.

ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში იორდასალამი აბუჯაჰლ ყაუნის სახელწოდებით გვხვდება. “აბუჯაყლ ყაუნი, ვითარცა და იორდასალამიო ... კაცსა რომე გული და ღვიძლი სტკიოდეს და ესე იორდასალები ჭამოს და დაჭრას, წყალშიგა დააღბოს და მისი წვენი სვას, გულსა და ღვიძლსა ორსავე მჰოველ არგებს და ფირტუსა ამთელებს ( 9, 151).

